ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით ფასი 1,50 ლარი 23 მარტი 2012 №6(162)



საქართველო და დასავლური კულტურა

შადიმანი — ჩემი საყვარელი სახელი

ზაზა აბზიანიძე მარინა ცვეტაევაზე

ტრიოლეტებით შევრჩი საწუთროს

გადაზნექილი სიზმრების წლები

ვერგილიუსის მეოთხე ეკლოგა

ნინო წიკლაურის ნოველები

ინგა მილორავას ლექსები

რეი ბრედბერის ნოველა

აი, ისტორია?!

შინაარსი

ერი და ბედისწერა	2	ზურაბ ხასაია საქართველო და დასავლური კულტურა (შინაგანი წინააღმდეგობა ჩვენს ეროვნულ თვითცნობიერებაში)
ექსპრეს-ინტერვიუ	7	პაატა ბარათაშვილი „შადიმანი — ჩემი საყვარელი სახელი“ (მოამზადა ნინო ჩხიკვიშვილმა)
პროზა	8	ლეილა მესხი კოლხური თილისმა
	14	ნინო წიკლაური სამი ნოველა
პოეზია	20	ინგა მილორავა ზღაპრების წიგნი და სხვა ლექსები
პირველი შთაბეჭდილება	22	მაკა ჯოხაძე პოეტის ქვეყანა
პოეტის ერთი ლექსი	23	შოთა ბოსტანაშვილი რახელს
უცხოეთის ცხოვრებიდან	24	იან იუზეფ შჩეპანსკი ლანჩი ჰარვარდში
ესეისტიკა	26	ზაზა აბზიანიძე ფატალური მინიშნებანი (მარინა ცვეტაევას ლიტერატურული პორტრეტი)
პოეტის ერთი ლექსი	29	მარინა ცვეტაევა „მე მომწონს ის, რომ...“
დიალოგი	29	„...კიდევ შორია მის დრო-ჟამამდე“ (თამარ შაიშმელაშვილს ესაუბრება თემურ შავლაძე)
მოგონებათა სკივრი	32	ლალი ალექსი-მესხიშვილი რეკვიემის მაგიერ ანუ გარდასულ დღეთა მძიმე მოგონებანი
აი, ისტორია?!	38	იოსებ ჭუმბურიძე ოთხტომეულის დასასრული — პირქვე დამხობის დასაწყისი
ბედი კაცისა	39	როსტომ ჩხეიძე დარდი ფარული (გრიგოლ აბაშიძის ბიოგრაფიული ნატეხები)
გალაკტიონი — 120	47	ნოდარ ტაბიძე გადაზნექილი სიზმრების წლები
კრიტიკა	53	მარინე ტურავა „ტრიოლეტებით შევრჩი საწუთროს“ (გენო კალანდიას პოეზია)
ახალგაზრდები, აწ კი თქვენ	55	გამარჯობა, აფხაზეთო, შენი! (თამარ შამათავა, ლანა გიორგიძე, ეკა მაღალდაძე, ნანა გეგეჭკორი)
ლიტერატურული ცხოვრება	57	ნინო დეკანოიძე წიგნის მყუდრო გარემოში („ოქტავა“ — დალილა ბედიანიძის ახალი პოეტური კრებული)
პოეზიის მერიდიანები	58	ვერგილიუსი მეოთხე ეკლოგა
უცხოური ნოველა	60	რეი ბრედბერი მენაგვე
მოზაიკა	63	და შევაძე მე მხიარულება

ორკვირეული ჟურნალი

დამფუძნებელი „ილიონი“

მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის №41

რედაქცია – (995 322) 96_20_62
რეკლამა – (995 93) 65_93_68
გავრცელება – (995 77) 11_24_30
ფაქსი: (995 322) 96_20_62
E_mail: info@mtserloba.ge

მთავარი რედაქტორი – **როსტომ ჩხეიძე**
პროზის რედაქტორი – **ივანე ამირხანაშვილი**
პოეზიის რედაქტორი – **მაკა ჯოხაძე**
კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – **თამაზ ნატროშვილი**
მხატვრული რედაქტორი – **კარლო ფაჩულია** დიზაინერი – **მალხაზ იაშვილი**
სტილისტ-კორექტორი – **ნინო დეკანოიძე** დაკაბადონება – **თენგიზ რობიტაშვილი**
ოპერატორი – **თამარ ჩიხლაძე** სარეკლამო მენეჯერი – **ეკა ბუჯიაშვილი**
გავრცელების სამსახური – **ლევან კიკნაძე**

გარეკანზე: **დალილა ბედიანიძე, ჯემალ კასრაძის ფოტოეტიუდი ვაველთა სამეფო სასახლე კრაკოვში, პოლონეთი**

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 6 აპრილს

დაბეჭდილია სტამბაში "ომეგა თეგი"
საპრინტველო, თბილისი, საჯარიშვილის 17
ტელეფონი: 00 995 322 53 03 62

PRINTED BY "OMEGA TEGI" PRINT HOUSE
TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET
TELEPHONE: 00 995 322 53 03 62

ზურაბ ხასაია

საქართველო და დასავლური კულტურა

შინაგანი წინააღმდეგობა ჩვენს ეროვნულ თვითცნობიერებაში

ფრიდრიხ დიდს უთქვამს: „ღმერთო, თუ მართლა არსებობ, შეიწყნარე ჩემი ცოდვილი სული, თუ მართლა გამაჩნია იგი!“

ეს არაა მორწმუნის სიტყვები, მაგრამ ღრმად ადამიანური ნათქვამი კია. ადამიანი მოაზროვნე არსებაა. ეს კი ნიშნავს, რომ ის არაფერში არაა ბოლომდე დარწმუნებული. ბოლომდე დარწმუნებულობას, ვფიქრობ, ადამიანი მხოლოდ თამაშობს და ამით თავს იმაგრებს; თუ სხვები დაარწმუნა, თვით მისი ეჭვი შემცირდება.

არც მე მწამს ბოლომდე ჩვენი ეროვნული თვითცნობიერების არსებობა. მას საეჭვოს ხდის ჩვენი ხალხის უკვე ქრონიკული არასახელმწიფოებრიობა.

სახელმწიფო, კაცმა რომ თქვას, სიკეთის ზოდი როდია. ის თავის წილ ბოროტებას იტევს – არღვევს ზნეობის ბუნებრივ ძირებს და ამკვიდრებს უსულგულო, ლიტონ ურთიერთობებს. მეორე მხრივ, ის დასაბამიერი მტერია ინდივიდუალობისა და პიროვნულობისა. ამ ოქრორეულ ქმნილებებს ის ცვლის **მოქალაქეობის** ყალბი მონეტით. ადამიანები სახელმწიფოს ჰქმნიან ერთმანეთისგან თავის დასაცავად, მაგრამ მერე სახელმწიფოსგან უწევთ თავის დაცვა. ამიტომ უტევენ ხოლმე ანარქისტები სახელმწიფოს.

მეორე მხრივ, სახელმწიფოს შექმნა ერის **დამფუძნებელი აქტია**. როგორც პიროვნება იქმნება საკუთარი თავისათვის კანონის დადგენით, ისე ერი – სახელმწიფოს შექმნით. ამით ერი კანონს თავისუფლად ემორჩილება და უფლებას იძენს ერად იწოდებოდეს. მანამდე ის ტომთა ან საგვარეულოთა გროვაა.

ჩვენ სახელმწიფო ვერ შევქმენით. ამიტომ ჩვენი ეროვნული თვითცნობიერების არსებობა დიდი კითხვის ნიშნის ქვეშაა. ამ უბედურებას ზედ დაერთო მსოფლიოს ეგრეთ წოდებული გლობალიზაცია, რაიც აშკარად ასუსტებს ეროვნულ თვითცნობიერებას თვით დიდ სახელმწიფოებშიც კი.

ბოლო ოცი წლის მანძილზე ჩვენს ეროვნულ თვითცნობიერებაში აშკარად გამოიკვეთა ორი პრინციპი. ერთია მართლმადიდებლური ავტორიტარიზმი, მეორე კი – მედასავლეთეობა.

მართლმადიდებლური ავტორიტარიზმი შემდეგში მდგომარეობს: არსებობს ერთადერთი უმაღლესი წიგნი – ბიბლია და მისი ერთადერთი ნამდვილი მცოდნე – მართლმადიდებლური ეკლესია. ქართულ სულს მუდამ ეს ეკლესია იფარავდა. საბჭოურ ხანაში კი მოხდა ქართული სულის ჩამოცილება მისგან. ახლა, თავისუფლების ჟამს, ქართული სული ისევ იბრუნებს ეკლესიის მადლს და ამიტომაც გადარჩება, გაბრწყინდება.

ჩვენი **მედასავლეთეობა** კი, დაახლოებით, ასე გამოითქმის: ჩვენ, ქართველები, ჩვენი ფესვებით და მოწოდებით, ვეკუთვნით დასავლურ კულტურას. მისგან კი ჩამოგვაცილეს აღმოსავლურმა იმპერიებმა. ახლა, თავისუფლების ჟამს, სრულად უნდა დავუბრუნდეთ ჩვენს ნამდვილ წიაღს. დასავლური აზროვნება და ცხოვრების წესი უნდა იქცეს ჩვენთვის ნიმუშად.

ჩვენი ეროვნული თვითცნობიერება შეიცავს ერთგვარ **გულუბრყვილობას**; გვგონია, რომ ეს ორი პრინციპი ერთმანეთს ავსებს და ამაგრებს. მართალია, ზოგს ერთი უფრო ხიბლავს, ზოგს მეორე, მაგრამ მათი ერთმანეთთან შეუთავსებლობა ცოტას თუ მოსდის აზრად.

ამ წერილის მიზანი კი სწორედ მათი **ერთმანეთთან შეუთავსებლობის** სამაგალითოდ გახაზვაა. ამის გაცნობიერება აუცილებელი მგონია ჩვენი თვითცნობიერების ჩამოყალიბებისა და ძალთა მოკრებისათვის.

ლაპარაკი მექნება ამ ორი პრინციპის არა სისწორის ან მცდარობის, არამედ ურთიერთწინააღმდეგობის შესახებ. ესე იგი, შევეცდები იმის დამტკიცებას, რომ მართლმადიდებლური ავტორიტარიზმი და მედასავლეთეობა ერთმანეთის საწინააღმდეგო პრინციპებია. ამიტომ მათი ტარება ერთი სუბიექტის მიერ ღრმა შინაგანი სნეულების მაჩვენებელია.

დასავლური კულტურისა და მართლმადიდებლობის დაპირისპირების ზოგადი სურათი

დასავლურ კულტურას აქვს თავისი რელიგიური საფანელი და საფუძველი. ეს არის კათოლიკური და პროტესტანტული აღმსარებლობანი. ორივემ დიდი როლი შეასრულა დასავლეთის ისტორიაში და შუაგული ადგილი დაიკავა დასავლეთის ცნობიერებაში, კულტურაში.

თუ დასავლეთისავე დიდ მოაზროვნეებს ოსვალდ შპენგლერს, მაქს ვებერსა და ერიხ ფრომს დავუჯერებთ, ამ მხრივ, უპირატესობა პროტესტანტობას ეკუთვნის. მაგრამ ჩვენი თემისათვის ამას მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ორივე ერთნაირად უპირისპირდება მართლმადიდებლობას.

კათოლიკეებისა და მართლმადიდებლების მტრობას, როგორც იტყვიან, კომენტარი არ სჭირდება. მათ გაჩენისთანავე დასწყევლეს ერთმანეთი და ამ სრულიად ანტიქრისტულ აქტზე დაამყარეს ერთმანეთთან ურთიერთობა.

ეს მტრობა ვერ ჩაეტია ვერაფერში და ბოლოს რელიგიურ ომებშიც კი გადაიზარდა. კათოლიკე ჯვაროსნებმა უნიფხოთა უშქარი ბრბოები დასძრეს აღმოსავლეთისკენ, ვითომდაც მაცხოვრის საფლავის გამოსახსნელად; მაგრამ განსაკუთრებული სისასტიკით კი მართლმადიდებლობის ციტადელს, კონსტანტინოპოლს დასცხეს.

ცნობილია კონსტანტინოპოლელ მართლმადიდებელთა ფრიად დამახასიათებელი საპასუხო ფრაზა: „გვირჩევნია ქალაქში თათრის ჩალმა ვიხილოთ, ვიდრე პაპის ტიარა“.

ისტორიკოსთა თითქმის ერთსულოვანი აღიარებით, ბიზანტია სწორედ ჯვაროსნებმა გადატეხეს წელში. თურქებმა ეს საქმე, უბრალოდ, ბოლომდე მიიყვანეს.

კათოლიკეებმა არანაკლები სისასტიკით შეუტიეს მართლმადიდებლებს ჩუდის ტბაზეც. ესეც წმინდა წყლის რელიგიური ომი იყო. ახალგაზრდა რუსულმა სახელმწიფომ წარმატებით მოიგერია მომხდური და გადაარჩინა თავისი სარწმუნოება. ამ გამარჯვებისთვის **ალექსანდრ ნევსკი** დღესაც, თურმე, რუსეთის უპირველეს ისტორიულ პიროვნებად ითვლება. ეს დაადასტურა რუსეთში 2008 წელს განხორციელებულმა ტელეპროექტმა „რუსეთის საუკეთესო ათეული".

მაგრამ, დოგმატების მხრივ, მართლმადიდებლობას კათოლიკობაზე ბევრად უფრო პროტესტანტობა უპირისპირდება. მეტიც შეიძლება ითქვას: პროტესტანტობა არსებითად განსხვავდება მართლმადიდებლობისგან; იქნებ არანაკლებ, ვიდრე იუდაიზმი ან ისლამი.

ამიტომ არ მიკვირს, რომ ზემოხსენებული მოაზროვნეები პროტესტანტული კულტურის ანტიქრისტულობას აღნიშნავენ. ამით მისი ძაგება კი არ სურთ, არამედ – ფაქტის აღნიშვნა. იმას კი არ ამბობენ, რომ ქრისტიანული მოძღვრება მაინცდამაინც სჯობია ანტიქრისტულს; იმას ამბობენ, რომ ისინი სხვადასხვაა.



კლოდ მონე *სენტ ადრესის ტერასა*

შეიძლება დაბეჯითებით ითქვას: დასავლური კულტურა კათოლიკურ-პროტესტანტული, მეტადრე კი პროტესტანტულია; რაც მთავარია, ის სრულიად განსხვავდება მართლმადიდებლურისგან.

ამიტომ ჩვენ ის კი არ უნდა ვთქვათ, რომ მართლმადიდებლებიც ვართ და ევროპელებზე უფრო ევროპელებიც. ჩვენ კარგად უნდა გავერკვეთ ჩვენს გრძნობებში: მართლმადიდებლობა გვირჩევნია თუ მედასავლეთეობა? მართლმადიდებლური მცნებები და წესები, თუ „დასავლური ფასეულობანი"? ორივედ ყოფნა ორთავიანობაა. ორი კია მეტი ერთზე, მაგრამ თავი მაინც ერთი სჯობია.

შევეცადოთ ნათქვამის ნათელყოფას – მართლმადიდებლობისა და პროტესტანტობის ერთმანეთისაგან სრული განსხვავებულობის ჩვენებას.

მართლმადიდებლობა და პროტესტანტობა

მართლმადიდებლური კულტურის ამოსავალია **შემოქმედი ღმერთი**. მართლმადიდებელს სწამს, რომ ქვეყნიერება – ცა და მიწა, ზღვა და ხმელი, ცხოველი და ადამიანი – ღვთის შემოქმედებაა.

სხვა შემოქმედი, თვინიერ ღვთისა, არ არსებობს. ადამიანის შემოქმედება პირობითაა ნათქვამი და მკრეხელობაც კია. ადამიანი მშრომელია და ღვთის შემოქმედების ამომცნობი. ის მიწყივ უნდა ინარჩუნებდეს მოწიწებასა და კრძალვას ღვთის საიდუმლოების, ბოლომდე შეუცნობელი შემოქმედების მიმართ.

ღმერთი წესრიგზე მაღლაა, რადგან თვითონ ჰქმნის წესებს. ადამიანი კი უკვე დადგენილ წესების ფარგლებშია და ამიტომ შემოქმედი ვერ იქნება. ის უნდა დაემორჩილოს ბუნების სიღრმეში ჩაფენილ წმინდა წესებს, ღვთის მიუწვდომელ სიბრძნეს.

სხვაა პროტესტანტული ანუ დასავლური კულტურა. მისი ამოსავალია **შემოქმედი ადამიანი**. მართალია, ღმერთმა შეჰქმნა ქვეყანაც და ადამიანიც, მაგრამ ცოდვით დაცემის მერე ადამიანი უსასრულოდ დაშორდა ღმერთს. ღმერთსა და ადამიანს შუა უფსკრული გაჩნდა.

მართლმადიდებლისგან განსხვავებით, პროტესტანტი შეპყრობილია **საკუთარი ცოდვის** მტკივნეული შეგრძნებით. უცნაურია, მაგრამ სწორედ აქედან განვითარდა სახელგანთქმული დასავლური **ჰუმანიზმი**. ღვთისგან დაშორებამ ადამიანს შეუქმნა თვითგანღმრთობის პერსპექტივა. ცხოველებზე და ბუნებაზე ბატონობის ბიბლიურმა იდეამ მიიპყრო პროტესტანტის ყურადღება და მან თვითონაც იგრძნო თავი შემოქმედად.

სწორედ ეს იყო აღორძინების ხანის საიდუმლოება. მართალია, ეს ხანა კათოლიკეებმა დაიწყეს, მაგრამ მის სიღრმეში პროტესტანტული ძარღვი ფეთქავდა. აღორძინების გენიოსები ღვთაებრივი შემოქმედების კოლოსზე არიან ამხედრებულნი. ისინი ღმერთს ებრძვიან. არასოდეს ადამიანურ შემოქმედებას ამგვარი რელიგიური საფანელი არა ჰქონია. ადამიანი ღვთაებრივი სიშმაგით ისვრის ქამანდებს მთელი დედამიწისა და კოსმოსის დასაუფლებლად. ღმერთის ადგილს თითქოს ადამიანი იკავებს.

ეს ახალთახალი ვითარება მკაფიოდ აისახა დასავლურ ფილოსოფიაში. თუ მანამდე ფილოსოფოსები ამოდიოდნენ ღმერთის ან მასთან გათანაბრებული სამყაროს იდეიდან, **დეკარტმა** ამოსავლად აიღო ადამიანის თვითცნობიერება. ჩემთვის მხოლოდ ჩემივე არსებობაა ცხადი და სარწმუნო. ყველაფერი სხვა საეჭვო და ჯერ კიდევ დასამტკიცებელიაო.

ეს წმინდა პროტესტანტული განცხადება იყო, რაიც მართლმადიდებელს გააოგნებდა. მას, პირიქით, საკუთარი არსებობის სიმცირე აწუხებს, საკუთარი არსებობა ეეჭვება, თორემ გარესამყაროსა და ღვთის არსებობაში მას აბა რა დააეჭვებს? დეკარტი კი თავის თავშიც და გარესამყაროს ყოველ კუნჭულში თავისი მეფური არსებობის კვალსა და ანაბეჭდს ხედავს.

მაგრამ ღმერთი? განა როგორ შეეძლო ქრისტიანს ღვთის უარყოფა?

დეკარტს არც კი უფიქრია ღვთის უარყოფა. მაგრამ მან ჩამოაყალიბა ღმერთთან ადამიანის მიმართების ახალი წესი.

მართლმადიდებელს სწამს, რომ უპირველესი ღმერთია. ადამიანს სწამს ღვთისა, რადგან **ღმერთი არსებობს**.

სხვაგვარად ფიქრობს დასავლეთელი პროტესტანტი. მისთვის ამოსავალია საკუთარი თვითცნობიერება, „მე". ღმერთი არსებობს, რადგან **მე მწამს**. რწმენა კი არ ჰკიდია ღმერთზე, როგორც მართლმადიდებელს ჰგონია, არამედ, პირიქით, ღმერთი ჰკიდია რწმენაზე. ღმერთი „ჩემი" ღმერთია. მას ჩემი პიროვნების ბეჭედი აზის.

როგორც ვხედავთ, რწმენის ხასიათი სრულიად იცვლება. თუ მართლმადიდებელი შეყუჟულია ღმერთში, ვითარცა ბავშვი დედის კალთაში, პროტესტანტს თვითონ სწამს თავისივე რისკით და გაბედვით, თავისი პასუხისმგებლობის ფასად.

მართლმადიდებელი აღასრულებს ღვთის მცნებას და მშვიდდება. მართალია, ისიც ირჩევს და მსხვერპლსა სწირავს, მაგრამ სამაგიეროდ სიმშვიდით ჯილდოვდება. ღმერთმა მიიღო მისი მსხვერპლი.

სხვაგვარადაა პროტესტანტის საქმე. მას სწამს, მაგრამ თავისი რწმენისთვის თვითონვე აგებს პასუხს. მან, არსებითად, არასოდეს არ იცის, აამა თუ არა ღმერთს. ამიტომაც რწმენას სიმშვიდე არ მოაქვს. ის დაძაბულობაა.

მართლმადიდებლის ღმერთი კეთილი საწყისია, **დედაა.** ამადაც უყვართ მართლმადიდებლებს ისევე, როგორც კათოლიკეებს, მარიამი – თბილად და უანგაროდ მოსიყვარულე დედა კაცობრიობისა. ისინი ასეთსავე „დედობრივ" სიკეთეს ხედავენ და შეიმეცნებენ ძის ხატებაშიც. იესო კეთილი გულით ეწამა ადამიანებისათვის და მათს მაგივრად.

პროტესტანტის ღმერთი კი მკაცრია, **მამაა**. აქ ჭარბობს იუდეველური პატრიარქალიზმი. ძეს პროტესტანტისთვის ნაკლები მნიშვნელობა აქვს, ვიდრე მამას. სწორედ ესაა პროტესტანტული სარწმუნოების ერთგვარი ანტიქრისტულობა.

აქედან გამომდინარეობს თემის ანუ საზოგადოების სრულიად სხვადასხვაგვარი გაგება მართლმადიდებლურ და პროტესტანტულ კულტურებში.

მართლმადიდებელს საკუთარი თავი ესმის იმთავითვე თემის ასოდ, ნაწილად. ადამიანები არიან ღვთის შვილები ანუ **და-ძმები** ქრისტეში. ამ დაძმობას გამოხატავს საეკლესიო მრევლი. ადამიანი ღმერთს შეიმეცნებს საიდუმლო სერობის გზით; აუცილებლად სხვებთან ერთად, თბილ დაძმურ გარემოში. ნდობა და სიყვარული აქ მონაწილეობს, ვითარცა თავდაპირველი, გულუბრყვილო გრძნობა.

პროტესტანტის საქმე სხვაგვარადაა. ის მხოლოდ პირად, ინტიმურ ურთიერთობაშია ღმერთთან. ეკლესია აუცილებელი არაა. სხვა ადამიანები ხელს უფრო გვიშლიან ღვთის შემეცნებაში, მასთან ურთიერთობაში. სხვა ადამიანი სხვა სამყაროა, რაიც რაღაც ჯოჯოხეთისნაირს ჰქმნის.

„სხვები" ჩემი **კონკურენტული გარემოა.** ადამიანთა თანაცხოვრება კონკურენციაა. ბუნებრივ მდგომარეობაში ადამიანები ერთმანეთის მტრები არიან. ისინი, პროტესტანტ ფილოსოფოსთა მტკიცებით, მხოლოდ საქმიანი **ხელშეკრულებით** ერთიანდებიან.

ესე იგი, თემი მეორეული, ხელოვნური წარმონაქმნია. მისი არსებობა კონტრაქტის პირობების დაცვის მაჩვენებელია, რისთვისაც ადამიანი დიდი პატივისცემის ღირსია. ადამიანთა ერთობა მათი რისკიანი და ვაჟკაცური ნდობის მაჩვენებელია. აი ესაა პატივისცემის ღირსი.

როგორც ვხედავთ, მართლმადიდებლის გულუბრყვილო, და-ძმურ ნდობას აქ ცვლის მამაკაცური, ნათლად გაცნობიერებული რისკიანი ნდობა. ამიტომ მართლმადიდებლობაში სიყვარული მეტია, პატივისცემა – ნაკლები. პროტესტანტიზმში, პირიქით, პატივისცემაა მეტი, სიყვარული – ნაკლები.

ამ მხრივ, თვით საკუთარი თავისადმი მიდგომაც სხვადასხვაგვარია. მართლმადიდებელს აცოცხლებს საკუთარი თავისადმი **სიყვარული**, პროტესტანტს კი – საკუთარი თავისადმი **პატივისცემა.** მართლმადიდებლის ტრაგედია სიცოცხლის ხალისის, ეგრეთ წოდებული უმიზეზო სიხარულის დაკარგვაა. პროტესტანტს კი ეს შეჩვეულ ჭირად მიაჩნია. მისი ტრაგედია საკუთარი თავისადმი პატივისცემის დაკარგვაა.

შესაბამისად, სხვადასხვაა ადამიანის იდეალი ამ კულტურებში. პროტესტანტი ფიქრობს, რომ მისი ცხოვრება ბრძოლის ველია. ბრძოლაში კი მთავარია სხვისი დამარცხება. ჩემი გამარჯვება ნიშნავს სხვის დამარცხებას. ასე იქმნება **წარმატებული** ადამიანის იდეალი. ადამიანი უნდა იყოს წარმატებული. მან უნდა აჯობოს სხვებს და განახორციელოს თავისი გეგმა, პროექტი. ამაზე შორს იგი ვერ წავა. ესაა მისი არსებობის სისრულე.

მართლმადიდებლობას კი სხვაგვარად სწამს. წარმატებული ადამიანი მას ეჩვენება ცალმხრივად განვითარებულ ადამიანად, ვინც შორსაა სრული არსებობისგან, ბედნიერებისგან. ასეთი ადამიანი იწვევს შურს, შუღლსა და მტრობას. მის ცხოვრებას, წარმატების გამო, პირიქით, ემატება დაძაბულობა. წარმატებული ადამიანის ტკბობა და სიმშვიდე ხელოვნური და მოჩვენებითია. ის იხვეჭს ნივთებსა და სახელს, სამაგიეროდ უცხოვდება სხვა ადამიანებისგან. ამით მის ცხოვრებაში იზრდება სიძულვილის ველი და იკვეცება თვითონ ცხოვრება.

ბედნიერება მოაქვს მხოლოდ დაძმობას ქრისტეში ანუ **სულის განათებასა** და ზრდას. მოყვასის შეყვარება სწორედ ესაა – საკუთარი სულის გაბრწყინება, მასზე ზრუნვა. ასეთი ადამიანი იქნებ არც არაფერს ფლობდეს გარესამყაროში. სამაგიეროდ ის ფლობს თავის თავს. ესაა, სულის გაბრწყინებაა ცხოვრების მთავარი მიზანი. **სიყვარულით გაბრწყინებული** ადამიანი – აი მართლმადიდებლობის იდეალი.

ამას უკავშირდება კიდევ ერთი დიდი განსხვავება. პროტესტანტი ფიქრობს: ყველაზე ძვირფასი და წმიდათაწმიდა ისაა, რაც ჩემია და ნაკლებად საერთოა სხვასთან. ამიტომ **კერძო საკუთრება** წმიდათაწმიდაა. ჩემი მთავარი იმედი და მხსნელი ისაა. ჩემი სიდიდე კერძო საკუთრებით იზომება. რაც მეტი მაქვს, მით მეტი ვარ. რაც უფრო მცირედი მაქვს, მით უფრო მცირე ვარ.

ამიტომ საერთო საკუთრება ჩემი შეკვეცის და სიმცირის მაჩვენებელია. კერძო საკუთრება და მასთან დაკავშირებული უთანასწორობა ღვთით დადგენილი წესრიგია. მისი ყოველი შეზღუდვა ბორკავს ადამიანს და აფერხებს ცხოვრების თავისუფალ განვითარებას.

მართლმადიდებელს კი სწამს: ყველაზე ძვირფასი და წმიდათაწმიდა ისაა, რაც **საერთო** მაქვს სხვებთან. ესაა სუ-

ლიწმინდა, ღმერთი, მზე, ცა და მიწა, სუფთა ჰაერი. კერძო საკუთრება შედარებით უმნიშვნელოა. ის მხოლოდ მაჯაჭვავს ცალკეულ ნივთებთან და მართმევს ყოველსავე დანარჩენს. ამიტომ ის აკნინებს ჩემს არსებობას.

ცხოვრება უფრო სწორი და ნამდვილი გახდება, როცა კერძო საკუთრება საერთო საკუთრებად გადაიქცევა. საერთო საკუთრება და მასთან დაკავშირებული თანასწორობაა ღვთით დადგენილი წესრიგი, ქრისტიანული სათნოება. კერძო საკუთრების აღზევება ცოდვით დაცემიდან მომდინარეობს. ცოდვილი ადამიანი თავის თავს კაცობრიობის ნატეხთან ათანაბრებს და კერძო საკუთრებას ებღაუჭება. მისი ხსნა **საერთო საკუთრების** მნიშვნელობის გაცნობიერებაშია.

ადამიანი იზომება არა იმით, რაც მას **აქვს**, არამედ იმით, რაც ის **არის** – მისი ცხოვრების წესით, ღმერთთან მიმართებით, სულიერებით. კერძო საკუთრება ძირს ანარცხებს ადამიანს ამ სიმაღლიდან და ათანაბრებს მას იმ ნივთებთან, რასაც ის ჩაბღაუჭებია.

მართლმადიდებელსა და პროტესტანტს სრულიად სხვადასხვანაირად ესმით დრო, ისტორია. მართლმადიდებელი ფიქრობს, რომ ამ ქვეყნად ყველაზე მნიშვნელოვანი უკვე მომხდარია. ქვეყნიერება და ადამიანი შეიქმნა; ცოდვით დაცემა და დიადი ჯვარცმა მოხდა.

რაღა დარჩა გასაკეთებელი? ადამიანი უნდა ჩაუფიქრდეს უკვე მომხდარის მნიშვნელობას. ამით ის გაეცლება დროის უაზრო დინებას და მარადიულს შეეხება. ადამიანმა თავი არ უნდა გაუყადროს დროს. ის **მარადიულის** ღირსია. მხოლოდ ამ წერტილში აღწევს იგი არსებობის მთელ სიღრმეს და სიდიადეს.

ამიტომ მართლმადიდებელი **კონსერვატიულია**. ის ადიდებს წარსულს; მისით იკვებება; მის მხრებზე დგას.

პროტესტანტის აზრთა წყობა კი აქაც სრულიად საპირისპიროა. ის ქვეშეცნეულად მუდამ გრძნობს ცოდვის სიმძიმეს და ღრმა, მითთაჟამურ არასრულფასოვნებას. ამიტომ მთელი მისი იმედები მომავალზეა მიპყრობილი. მხოლოდ მომავალში უნდა მოხდეს ყველაზე მთავარი – ცხოვრების მოპოვება, ცოდვისგან გაჩენილი უფსკრულის შევსება.

მანამდე კი ის ღრმად უკმაყოფილო არსებაა. წარსული მას ცუდ გუნებაზე აყენებს. ამიტომ ის ნაკლებად სცემს პატივს წარსულს. წარსულისადმი თაყვანისცემა საკუთარი არარაობისა და მონობის ხელდასხმაა. წარსული მაჯლაჯუნად აწევს ადამიანის შეგნებას და გზას უღობავს სინათლისკენ. მონანიებითა და ლოცვით ხამს მოვიკვეთოთ წარსული და გავთბეთ **მომავლის** ციაგით. პროტესტანტის ცნობიერება მიწყივ ნაირ-ნაირ „პროექტებშია" გახვეული, რადგან არსებული მას სძაგს.

მართლმადიდებელს ჯანსაღად სძინავს. პროტესტანტს უძილობა სჭირს. გამოღვიძებული მართლმადიდებელი წირვაზე მიდის და არც ტრაპეზებს აკლდება. გამოუძინებელ პროტესტანტს ხანგრძლივი წირვისათვის არა სცალია, რადგან დრო ფულია. არც ეკლესია სჭირდება. ის ჭიქა ყავას, განსაკუთრებულ შემთხვევაში კი ალაფუშეტს სჯერდება. მას დასაჯდომად არ სცალია; სჭირს მოქმედების, ციბრუტივით ტრიალის ნევროზი.

მართლმადიდებელი მცირედითაც ახერხებს დატკბობას. პროტესტანტი დიდ ქონებას უყრის თავს, მაგრამ ვერ ახერხებს მის დაგემოვნებას, მისით ტკბობას; იმ ცვედანს დამგვანებია, ვისაც ულამაზესი ქალები ახვევია ნიადაგ. ამიტომ შრომის ჟინით ატეხილი პროტესტანტი წარმოშობს მომხმარებელ შვილს. მამას მხოლოდ შრომა იზიდავს; შვილს – მხოლოდ ნაშრომის მოხმარება. მამა-შვილობაში გადამწყვეტ ადგილს იკავებს სამართლებრივი ურთიერთობანი, ხოლო შვილის აღზრდაში – დამოუკიდებლობის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება.

მართლმადიდებლობაში მამა-შვილობა ბუნებრივი ურთიერთობის ფარგლებში რჩება და აგებულია, უმთავრესად, თანაგრძნობასა და სიყვარულზე. პროტესტანტიზმში ეს ურთიერთობა პიროვნებებს შორის ურთიერთობაა და აგებულია პატივისცემასა და სამართლიანობაზე.

მართლმადიდებელი პატივსა სცემს ადამიანს **აზროვნებისთვის.** ის ფიქრობს, რომ ადამიანი ღმერთსა ჰგავს სწორედ აზროვნებით.

მაგრამ რაა აზროვნება? რატომაა ის ღვთაებრივი? იმიტომ, რომ მისი უმაღლესი საგანი ღმერთია. აზროვნება გვებოძა ღვთის შესამეცნებლად; იმის დასანახად, რომ ამ უსასრულო ქვეყნიერების ერთადერთი საზრისი მაღალი ღმერთია. აზროვნება კი ენის სახით ქმნილა; ბუნებრივი, ცოცხალი, წარმართულ ღმერთივით მფშვინავი, ჭიგოსავით დაგრეხილი და ჯადოსნურად მოციმციმე ენის სახით.

პროტესტანტი სულ სხვაგვარად ფიქრობს. ადამიანს იხსნის არა აზროვნება, არამედ – **რწმენა.** ამით აზროვნება ჰკარგავს იმ საკრალურობას, რაიც მას მართლმადიდებლობაში ენიჭება. ხდება მისი სეკულარიზაცია და პროფანაცია. აზროვნება უსაზღვრო სამყაროში გაჭენებული უაღვირო ცხენია; არც სადმე – სამანები, არც სადმე – სულის მოთქმა!

მაგრამ ეს **ჰეგელის** „ფუჭი უსასრულობაა" და აზროვნებაც უაზრო ჭენებას ედრება. მას ნაყოფის ნაცვლად მუდამ ნაფცქვენებიღა რჩება. მას წინასწარვე გადაუკეტეს გზა ღმერთისკენ და ისიც ნაყარ-ნუყარს უნდა დასჯერდეს.

სხვა სიტყვებით: აზროვნებას ძველი ბიბლიური შარავანდი აღარ ამშვენებს. ის პროტესტანტულ კულტურას აღარ ესმის ღვთის შემეცნების საშუალებად. ის, **ბეკონ ვერულამელის** თქმისა არ იყოს, „ორგანონი" ანუ იარაღია, საჭურველია საგანთა მოსათვინიერებლად; და, **ბერგსონის** თქმისა არ იყოს, ბიოლოგიური უნარ-ჩვევაა რთულ გარემოში „ადაპტირებისთვის", „მანიპულირებისთვის", „ოპერირებისთვის".

შესაბამისად, მართლმადიდებელი ბავშვს ასწავლის „მაღალ საგანთა" შემეცნებას, რათა მას „სული გაუნათდეს". ასე ესმის მას ბავშვის აზროვნების განვითარება. ამგვარ მიზნიდან გამომდინარეობს რუსული „პროსვეშჩენიე" და ქართული „განათლება". ორივე სიტყვა მართლმადიდებლური კულტურის ქმნილებაა. აღზრდის მთავარი მიზანი განათლება ანუ „სულის **განათებაა**".

პროტესტანტი კი ბავშვს ასწავლის საყოფაცხოვრებო უნარ-ჩვევებს; უყალიბებს ცხოვრების ალღოსა და გერგილიანობას; ატენის ინფორმაციებს. ასე ესმის მას ბავშვის აზროვნების განვითარება. აზროვნების დანიშნულების ამგვარი გაგებიდან მომდინარეობს რუსული „ობრაზოვანიე" და ქართული „**წურთნა**".

ამას აუცილებლად თან სდევს ის, რასაც ენის **ფორმალიზაცია** ჰქვია. სეკულარული ანუ ნივთიერი აზროვნება

ვერ ჰგუობს ცოცხალ, სულიერ ენას. ის უკეთ გრძნობს თავს მკვდარ, ხელოვნურ ენაში. ენა ჰკარგავს მსგავსებას საგანთა იდუმალ ბუნებასთან და იქცევა პირობით ნიშანთა სისტემად.

სახელს ცვლის პირობითი ნიშანი, სიტყვას – ცნება; ცოცხალის კვამლისებურ, ღრუბლისებურ გრაგვნას – მკვდრული უძრაობა; თავის თავთან მოთამაშე პოეტურ სიტყვას, **ხატვას** – ცალსახად გამოკვეთა, **ხაზვა**. ენის უმთავრეს ფუნქციად იქცევა არა ადამიანის სულის გამოხატვა, არამედ – საქმიანი კომუნიკაცია. უფრო მარტივად რომ ვთქვათ: ენა ადამიანის საუბარია არა ღმერთთან, არამედ – მეორე ადამიანთან; ის არის არა **მისტერიის,** არამედ **საქმის** ნაწილი.

ენის მისტიკური გაგების გამო მართლმადიდებლურ კულტურაში, ისევე როგორც ძველი მსოფლიოს მითოსურ ხანაში, დიდი პატივი ერგება წილად სახეებით აზროვნებას, **პოეზიას**. მეცნიერებაშიც სეფე-ადგილი უკავია უანგარო ჭვრეტას, „წმინდა თეორიას". სარგებლიანობაზე მაღლა დგომა, ესთეტიზმი მართლმადიდებლური კულტურის უცვლელი ნაწილია.

სხვა ვითარებაა პროტესტანტულ კულტურაში. აქ პირველ ადგილზეა ცნებებით აზროვნება, **მეცნიერება**. ხოლო თვით მეცნიერებაში სეფე-ადგილი სარგებლიანობას უპყრია. მეცნიერება ან პირდაპირ გამოყენებითი უნდა იყოს, ანდა სარგებელი საბოლოო მიზნად მაინც უნდა ჰქონდეს. ეგრეთ წოდებული „წმინდა თეორია" პროტესტანტულ კულტურას ნაკლებად იზიდავს. მეცნიერება პრაგმატულია, როგორც ანგლო-საქსები ფიქრობენ, და არა ესთეტური, როგორც ბერძნებს ეგონათ.

აქედან ცხადია ხელოვნების, მხატვრული აზროვნების ბედი. პოეზია აქ არც ითვლება აზროვნებად. ის გრძნობების სფეროს ეკუთვნის ან ფანტაზიის ნაყოფია. პოეზია ჰკარგავს ძველებურ იდუმალებას. ადამიანი თავის უმთავრეს კითხვებზე პასუხს მეცნიერისგან ელის და არა პოეტისგან. პოეზია ფანტაზიის ჩხირკედელაობას და ეკვილიბრისტიკას, ვერბალურ ტრიუკებს და სალტო-მორტალებს ემგვანება.

არაფერი ისე არ გამოხატავს ბუნებრივი ენის კვდომას და თანდათან ხელოვნურ ენად გადაქცევას, როგორც პოეზიის ეს დაცემა. ხელოვნური ენა კი არაეროვნულია, ყველა ერისთვის საერთოა, რაღაი ერის ცხოვრებიდან არ ამოზრდილა. ხელოვნური ენა სახელდახელოდ გამოიგონა ადამიანმა, რის გამოც მას ღვთაებრიობისა არაფერი სცხია. ბუნებრივმა ენამ კი, კაცმა რომ თქვას, თვითონ „გამოიგონა" ადამიანი. ამიტომ იგი ღმერთს ედრება, შემოქმედს.

პროტესტანტული კულტურა არაკეთილმოსურნეა ენების მიმართ და ცდილობს ერთი საერთო ენის შექმნას. არაეროვნული, საერთო ენა უფრო შეეფერება ენის ზემოხსენებულ საკომუნიკაციო ფუნქციას. ის არაა დამძიმებული ქვეყნიერების საიდუმლო, ნისლოვანი ნაწილით და ადვილი გასატყორცნია ერთი წერტილიდან მეორეზე.

პროტესტანტული კულტურა პირდაპირ ცდილობს ახალი ხელოვნური ენის შექმნას ან ერთ-ერთი ბუნებრივი ენის ხელოვნურად გავრცელებას, საყოველთაო ენად გადაქცევას. თან ამ ერთ სეფე ენას ის აცლის ბუნებრივ გულღვიძლს და სახელდახელოდ ამარტივებს, რათა ზედმიწევნით კარგი სახმარი გახადოს.

მედასავლეთეობის შეფასება

როგორც ვხედავთ, მართლმადიდებლური და პროტესტანტული სარწმუნოებანი არათუ არსებითად განსხვავდებიან, არამედ, მეტიც, ერთმანეთის საპირისპირონი არიან. გავიმეორებ: მართლმადიდებლობა, ალბათ, ისე ძლიერ არ განსხვავდება იუდას ან მუჰამედის სარწმუნოებისგან, როგორც – პროტესტანტიზმისგან ანუ **ლუთერის** და **კალვინის** დოქტრინისგან; ურიების და არაბების მზიანი გულის ჩქროლისგან – ნაკლებად, ვიდრე გოთების ჩრდილოურ კვეთებისგან.

ამასთან, ქართული კულტურა პირწმინდად მართლმადიდებლურია, დასავლური კი – არსებითად პროტესტანტული. ამიტომ დროა შევაფასოთ ჩვენი მედასავლეთეობა მთელი თავისი ღირსება-ნაკლოვანებების აწონ-დაწონვით.

ეგრეთ წოდებული „დასავლური ფასეულობანი" პროტესტანტული წარმოშობისაა. ამიტომ საქართველოში მათკენ კისრისტეხით სწრაფვა, არსებითად, სარწმუნოების გამოცვლის მცდელობაა.

ჩვენი პოლიტიკოსები გულუბრყვილოდ მსჯელობენ: „დასავლეთში მაგრად ცხოვრობენ და თავისუფლები არიან. ჩვენ ცუდად ვცხოვრობთ და თავისუფლები არა ვართ. ამიტომ გეზი დასავლეთისკენ უნდა ავიღოთ; მათ უნდა დავემგვანოთ."

ზერელე მსჯელობებში არავის ავყვები. თქმით კი იმას ვიტყვი, რომ კანონის მიღებასა და აღსრულებას სარწმუნოების გამოცვლა არ სჭირდება. ამისთვის სავსებით საკმარისია აზროვნება და პატიოსნება.

სარწმუნოების გამოცვლა კი დიდი დაბნეულობა და ცეცხლთან თამაშია. ეს არ ეპატიება თვით დიდ სულხან-საბას; აგრეთვე ანტონ კათალიკოსს; ხოლო ამ ნაბიჯის გამართლება – ნიკო ნიკოლაძეს და აკაკი ბაქრაძეს. თუ ისინი გულისხმობდნენ ამგვარი ნაბიჯის შესაძლო პოლიტიკურ შედეგებს საქართველოსთვის, მაშინ უნდა ითქვას: სხვა სახელმწიფოს ან სახელმწიფოების მიერ გადარჩენილი ქვეყანა ჯერ ისტორიას არ ახსოვს.

მაგრამ მთავარი სხვაა: სარწმუნოების გამოცვლა ნიშნავს წყვეტას კულტურის განვითარებაში. ესაა უხეში ქირურგიული ჩარევა კულტურის ფაქიზ ქსოვილში. მოიკვეთება წარსული კულტურა და დაიწყება სრულიად ახალი კულტურის შექმნა.

ამით მხოლოდ ის მიიღწევა, რომ წარსული კულტურა მოკვდება, ხოლო ახლისთვის საძირკველი აღარ იქნება და ვერაფერი აიგება. „უგნური თაგუნა", თაგვობა რომ იუკადრისა, თაგვობას ვეღარ შესძლებს, ხოლო ჩიტად ვერ გადაიქცევა. ჰამლეტის სიტყვებით რომ ვთქვათ, „გაწყდება დროთა კავშირი" და მაშინ კი დარეკავს „ჟამი სიკვდილისა".

მაშასადამე, საქმე იმას კი არ ეხება, რომ პროტესტანტობა ცუდია და დასავლური კულტურა – მანკიერი. უბრალოდ, პროტესტანტულ სარწმუნოებას ჩვენ ვერ ავითვისებთ და ფესვებმოთხრილნი დავიფანტებით.

ხოლო ვერ ავითვისებთ არა ჩვენი უნიჭობის ან უკულტურობის, არამედ ჩვენი მართლმადიდებლობის გამო. ჩვენ ჩვენი დიდი კულტურა გვაქვს და ჩვენი გადარჩენის ერთადერთი გზა ჩვენივე ფესვების კარგად შეგრძნება და მუდამ ამ ფესვებთან ყოფნაა.

პაატა ბარათაშვილი

„შადიმანი — ჩემი საყვარელი სახელი“



— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?

— როდესაც სანაგვეში იქექები...

— სად ისურვებდით ცხოვრებას?

— საქართველოში.

— რა არის უმაღლესი ბედნიერება?

— იყო ჯანმრთელი, ემსახურო საყვარელ საქმეს. გქონდეს საკმარისი ფული, ირგვლივ გყავდეს საყვარელი ადამიანები.

— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?

— ტარიელი.

— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?

— დავით აღმაშენებელი.

— თქვენი საყვარელი მხატვარი?

— ლეონარდო, პიკასო.

— თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?

— ბეთჰოვენი, ვერდი.

— რომელ თვისებას აფასებთ ყველაზე მეტად მამაკაცში?

— მეგობრობას, თავდადებას.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?

— ერთგულებას, ქალურობას.

— რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მომხიბლავი?

— სიკეთე.

— თქვენი საყვარელი საქმიანობა?

— ჩემი პროფესია — მსახიობობა.

— თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდოდათ ყოფილიყავით?

— არცერთი.

— თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?

— მომთმენი ვარ.

— რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?

— ურთიერთგაგებას.

— თქვენი მთავარი ნაკლი?

— სიზარმაცე.

— თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?

— არ ვიცი...

— რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?

— ოჯახის წევრის გარდაცვალება.

— როგორი გინდოდათ ყოფილიყავით?

— როგორიც ვარ.

— თქვენი საყვარელი ფერი?

— შინდისფერი.

— ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?

— შავი ვარდი.

— თქვენი საყვარელი ფრინველი?

— მერცხალი.

— თქვენი საყვარელი მწერალი?

— გრიგოლ რობაქიძე.

— თქვენი საყვარელი პოეტები?

— გალაკტიონი.

— საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?

— მარგარიტა გოტიე.

— საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?

— ზვიად გამსახურდია.

— საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?

— ღვთისმშობელი მარიამი.

— საყვარელი სახელები?

— შადიმანი, გულბაათი.

— რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?

— ღალატს.

— ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზღი დაიმსახურა?

— იუდა.

— საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტნაკლები აღტაცებისა?

— დიდგორის ომი და ხრესილის ბრძოლა.

— რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?

— დავით აღმაშენებლის მიერ გატარებული რეფორმები.

— ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?

— სიმღერის.

— როგორი გინდათ რომ გარდაიცვალოთ?

— ძილში მინდა რომ გარდავიცვალო.

— თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?

— არასახარბიელო.

— ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?

— მონანიება.

— თქვენი დევიზი?

— არა მაქვს.

— თუკი ოდესმე შეხვდებოდით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?

— ყოჩაღ!

ლეილა მესხი

კოლხური თილისმა

ნაწილი მეორე

საღამო ჟამს, დაღლილი და უგუნებო ვაჟი, მძიმე ნაბიჯით აჰყვა სასახლის კიბეს. ახლობლებთან შეხვედრას, შორ გზაზე მგზავრობას გამოექანცა იგი. ყველაზე მეტად ძმებთან შეხვედრას დაეთრგუნა... ამიტომ იყო არავისთან საუბარი არ სურდა, ტკივილისა და დარდის გაზიარება... პადრესაც გაერიდა. დუმილი ამჯობინა... არადა, საოცარი სიზმარი ნახა ღამით, დაუჯერებელი და ძნელად სარწმუნო. დადიას საყვარელი ფრინველები ვიღაცას გაეფრინა. წკნელით მოწნული გალიის კარი გაეღოთ და ერთიანად მოეფრიალებინათ. ყველა ფრინველი გაფრენილიყო. ფერად— ფერადები, ღამაზები, დიდები და პატარები, ფრთახატულები... (გაუთავებლად რომ წიოქობდნენ, ერთმანეთს კორტნიდნენ, ბუნტყლს აბდღვნიდნენ) ჟივილ-ხივილით იქაურობას იკლებდნენ. ვიღაცის მადლიან მარჯვენას მათთვის თავისუფლება მიეცა. გაფრენილიყვნენ ჩიტუნები... ბუმბულით, სკორეთი ავსებული ჩანდა გალია... სიჩუმეს და სიცარიელეს დაესადგურებინა.

ხეირიანად გონზე მოსვლა ვერ მოასწრო ჯონდიმ, ვერც სიზმრისგან გამოფხიზლება, რომ... საძინებლის კარი შემოაღეს. შავქოჩორა, მარმაწა ყმაწვილმა, მთავრის ხელის ბიჭმა, თავი შემოყო.

— ბატონი გიხმობთ!— ამცნო მათ.

წარუდგნენ.

—ქართლში წახვალთ?!—ეკითხება მთავარი. —ერთ საპატიო ქალბატონს მკურნალობა სჭირდება. სასწრაფო, გადაუდებელი საქმეა.. ჩვენ გვთხოვა დახმარება, მე და ჩემს მეუღლეს... უარის თქმა არ შეგვიძლია. ახლობელია... მართალია, ცოტა თავისებური ქალია, თავისი ჭკუისა და აზრის... ყველაზე მეტად შაირები უყვარს.. თავადაც თხზავს...— სიტყვა არ დაამთავრა დადიამ, უგემურად ჩაიხირხილა, მგონი დასცინოდა.

უხმოდ დამორჩილდნენ.

ბარგის შეკვრა იწყეს. მოგზაურობის ძველი ტრფიალი გახლდათ პადრე, ერთ ადგილას დიდხანს დარჩენა არ სურდა, მიზეზი მიეცა ახლა. გამგზავრებაზე თანხმობა განაცხადა. თუმცა, ხეირიანად არ იცოდნენ სად მიდიოდნენ, ვისთან, რამდენი ხნით. ან საიმედო თუ იქნებოდა მგზავრობა?!. წასვლის წინ, ორთავენი, ქალბატონმა იხმო.

— დეიდაშვილები ვართ, ერთად გავიზარდეთ. რომ არ უჭირდეს, არ შემომითვლიდა, ამაყი ქალია. ახლა დახმარებას მთხოვს, თითქოს მემშვიდობება... — მიჩუმდა — ეს ბარათი შემთხვევით მგზავრს გამოატანა, ქართლიდან სამეგრელოში მომავალს. თავისი ამბავი შეგვატყობინა. ვალდებული ვარ გულთან ახლოს მივიტანო. შიში მზაფრავს, ვაი თუ ვეღარ მიუსწროთ, ცოცხალი აღარ დაგხვდეთ...

— რა დაემართა?!—იკითხა ვაჟმა.

— ციებ-ცხელებამ ლოგინად ჩააგდო. ფეხიც მოიტეხა... უყურადღებოდ ვერ მივატოვებ... მგზავრობა, თანხა თუ რამ საჭიროა, ყველაფერზე თანახმა ვართ, ოღონდ, დროულად უნდა გაემგზავროთ... თქვენი იმედი მაქვს.

ფარული გზებით იარეს. გამყოლებმა ყველაფერი იცოდნენ, სად შეესვენათ და სად ჩაეხვიათ. ხშირად დატკეპნილ შარას მხარს უქცევდნენ, ღელეებით მიყვებოდნენ ბილიკს. რატომღაც, სააშკარაოზე გამოჩენას ერიდებოდნენ. მანძილს ამოკლებდნენ.

თბილი, ჩახჩახა ამინდი იდგა.

სამეგრელო გაიარეს, იმერეთის საზღვარზე ლურჯჩოხიანი ფიცის კაცები დახვდათ. ოდიშის მთავრის ბარათს დიდი ძალა აღმოაჩნდა, იმერული პეწით გაატარეს, გზა დაულოცეს.

სულ ზევით და ზევით შეჰყვნენ აღმართს. წიფის გადასასვლელისკენ მიმავალ გზას დაქანებული ბილიკებით აჰყვნენ. ალაგ-ალაგ სავალი გზა ვიწროვდებოდა, უვალი ხდებოდა. ცხენები მარქაფად მისდევდნენ ერთმანეთს. ირგვლივ ტყე იყო. წიფლნარი და ცაცხვნარი. ადამიანის ხმა არ ისმოდა. მყუდროებას ცხენების ნალების ხმა არღვევდა... ცხენზე ჯდომა იმდენად არ უჭირდათ, რამდენადაც აღმართზე წაკუზული ჯდომა. ამას ერთვოდა საქონლის ბღავილი და ქათმების კრიახი. იმერული ოდა-სახლები გამოჩნდა, ბაღ-ვენახები (მეგრელებისგან განსხვავდებთ უფრო მხიარულები ჩანდნენ) მზად იყვნენ, სტუმრები შინ მიეწვიათ. ღარიბი სუფრით გამასპინძლებოდნენ. „პურადი კაცის სასწორი მუდამ წონაში მეტიაო," უცხო ოჯახში გაათიეს ღამე, ფართო პალატში, გრძელ ტახტზე მოასვენეს სტუმრები. ქალები არ გამოჩენილან, ერთხელაც არ შემოუღიათ კარი. მზა კერძს, ცხელ, ნეშოიან მჭადებს პირდაპირ სამზადიდან აწვდიდნენ.

არ დაეძინა პადრეს. მთები გადმოდგომოდნენ თავზე. ერთხანს აივანზე იდგა, ღრმად, დახარბებით ისუნთქავდა გრილ, ქირქილა ჰაერს... განსხვავებული სამყოფელი აღმოჩნდა... სამეგრელოში ჰაერიც სხვაგვარი იყო. უფრო ნესტიანი, სველი. ჭაობის სუნით გაჯერებული. აქ გამომშრალ-გამოფიცხებული ჩანდა ბუნება, სახლი თუ კარი, ძეძვმოდებული ღობე, მყუდროებაში ჩაძირული სოფელი, ციხის შორეული კოშკურები.

ლამფა არ აუნთიათ, თითქოს დაღამებას ელოდნენ, რომ ქათმებთან ერთად დაემუდრათ.

დილა-ადრიან გაუდგნენ გზას. შეუსვენებლად იარეს, მცირედათ წაიხემსეს, წყაროსთან ჩამოსხდნენ. უკვე ქართლში იყვნენ. მზისგან გარუჯული, გამომშრალი პირისახიანი ადამიანები ჭარბობდნენ. დაუნდობლად აჭერდა მზე, სივრცეს შაშრავდა. დაღლილობა იგრძნეს. შეისვენეს, ცხენები აბალახეს. მცირედათ თვალი მილულეს... და ჩამობნელდა კიდეც.

ძევერა. ლიახვის პირას გაფენილი ძველისძველი სოფელი, ჯავახიშვილების, ზედგინიძეების უბანი. ვირზე უგერგილოდ ამხედრებულმა, შეშითა და ფიჩხით დატვირთულმა, ნაგვიანებმა მგზავრმა — „მანდედ ჩაუხვიეთო" ასწავლა. სხვა რაღა უნდოდათ. მაგრამ უცხო დასახლებაში მოხვედრის განცდა, ვერ გაიცილეს. ცხენები ფრუტუნებდნენ, თავს აქნევდნენ, დროულად დასვენებას, თივასა და ნამჯას ითხოვდნენ...

*** დასასრული. იხ. „ჩვენი მწერლობა" №5**

— დაღმართს ჩავყვეთ, ეგებ ცხენმა იცნოს... — ჩაესმათ მეგზურის ხმა.

ფართოდ მოღებულ ჭიშკარში ერთი-მეორეზე ჩალაგდნენ. ჩაჩუმებულ-ჩაქვესკნელებული ეჩვენათ იქაურობა. ქვითკირის ორსართულიანი შენობა მყუდროდ და საიმედოდ იდგა. საბძელი, საჩეხი, თივის ზვინები სიბნელეში ბუნდოვნად ჩანდნენ.

წამით ქვედა სართული განათდა, გაჩახჩახდა. ზემოთაც აანთეს ლამფა....

— სტუმრები არიან... იმოდენა გზიდან მოსულან... — ქოთქოთობს ვიღაც, ხანშიშესული ქალი აღმოჩნდა— გაიღვიძე შე სასიკვდილევ! — დაუცაცხანა — რა ძილი მომინდომე... ადე მომეხმარე!..

მხოლოდ თვალები უჩანდა ქალს. თხელი და კაფანდარა ჩანდა, ლანდივით მიმოდიოდა, ხან ერთ კუთხეში გამოჩნდებოდა, ხან მეორეში.

ქულაჯიანმა ბერიკაცმა ცხენებს მიხედა.

ბუხარში ცეცხლი შეაღვიძეს, შეშა მიაყარეს...

სტუმრები მიიპატიჟეს.

საგზალი და მოსაკითხი საკმაოდ წამოეღოთ, ხელდამშვენებულები გამოეგზავნა ოდიშის მთავარს. პირამდე გატენილი ხურჯინები გადმოზიდეს, ღვინიანი ტიკი, რძიანი სულგუნებით სავსე ტოპრაკი, ქალბატონისთვის გამოგზავნილი ნივთები: სავარცხელი, სარკე, ნელსაცხებლის კოლოფი (მთავრის მეუღლე უგზავნიდა).

მხატვარი ნინო ზაალიშვილი

მკურნალმა ავადმყოფი მოიკითხა. ნელი ნაბიჯით აჰყვნენ კიბეს. წინ შაოსანი ქალი მიუძღოდათ. ფეხაკრეფით შევიდნენ საძინებელ ოთახში. ბუხარში ცეცხლი ენთო, მაგიდაზე ლამფა ბჟუტავდა... საწოლში ქალი კვნესოდა. შიგ ჩაკარგულს ჰგავდა... შაოსანი მიეახლა. რაღაც უჩურჩულა... პასუხად ღრმა კვნესა გაისმა. კანკალებდა ავადმყოფი. ბორგავდა, მატყლის საბანი ეფარა, ფეხები შალით გაეთბუნა, თუმცა ვერაფერს შველოდა, მთელი ტანით ძიგძიგებდა, სახეზე ოფლის მსხვილ-მსხვილი წვეთები ასხდა...

— ლამფა მომანათეთ!—ბრძანა მკურნალმა.

ყელში ჩახედა. ფილტვებს მოუსმინა, თვალებში ჩააცქერდა. უხმოდ ემორჩილებოდა მწოლიარე, წინააღმდეგობის გაწევის თავი არ ჰქონდა.

ირგვლივ სიწყნარე იყო. არავითარი ფუსფუსი, მისვლა-მოსვლა. ადამიანები გარიდებოდნენ ავადმყოფს თუ თავად გარიდებოდა მათ, ჯერაც ვერ გაერკვიათ. შავი ჭირი, ხოლერა შეყროდა თუ ციებ-ცხელების კანკალს აეტანა. ამას ემატებოდა გადამსხვრეული მარჯვენა ფეხი. გაშეშებულივით იწვა საბრალო... ვიღაც უცოდინარს, ნაკლებად დახელოვნებულ მკურნალს ყავარის თხელ ფირფიტაზე დაეკრა ქალის ფეხი, შალით გაეფუთნა. სულ ეს იყო მთელი მკურნალობა! ფეხი შესიებოდა, მოძრაობა უჭირდა, საწოლიდან გადმოსვლა და იატაკზე ფეხის დადგმა აუტანელ ტკივილს იწვევდა. ცუდათ ნამკურნალევი ჩანდა!

სიჩუმის, მარტოობის უსიამო წუთები იდგა. ამგვარი ყოფა ჯანმრთელ ადამიანს გაუძნელდება და ავადმყოფ, ციებ-ცხელებისაგან გათანგულ, ფეხდაზიანებულ ქალბატონს რაღას უზამდა. თუმცა სდუმდა იგი, ზედმეტს არაფერს ამბობდა... ჩუმად კვნესოდა. სულ ეს იყო... ხეირიანად ვერც მიხვდნენ, ავადმყოფმა გაიგო თუ არა მათი სტუმრობა, უცხოელი მკურნალის მოულოდნელი გამოცხადება. თვალები დაეხუჭა, მთვლემარე ჩანდა.

ლამფას აუწიეს. საწოლთან ახლოს მიიტანეს.

ავადმყოფს მაღალი შუბლი და ხუჭუჭა თმა გამოუჩნდა. ნაბლისფერი თმის ბუწუწები ოფლთან ერთად აზელოდა. სხეული ჩახურებოდა, სუნთქვა უჭირდა. უპირველესად მისი დაშოშმინება ინდომა მკურნალმა. ქინაქინას აბები და რევანდის წყალი ასვა, სველი ქსოვილით გაუკრა შუბლი.. იის ძირების ნახარშით ყელ-კისერი დაუნამა...

კანკალი ჯერაც არ შეეწყვიტა ავადმყოფს.

გათენდა. მზის სხივებმა სამყარო გააფერადეს. სოფელს მთები შემორტყმოდნენ გარს. ლურჯ ნისლში ჩაძირული ჩანდნენ. მასპინძლის სახლ-კარს, კარმიდამოს, სიღარიბე და უქონლობა ნაკლებად ეტყობოდა. აშკარად ჩანდა ერთ დროს ხვავიან-ბარაქიანად ცხოვრობდნენ. მარანი, ქვევრები, საწნახელი, კასრები, საქონლის ბაკი. ეზო ასწლოვან ხეებს დაეჩრდილა. კიბესთან, ბებერი ვაზის ვარჯი იდგა (ხის ტანი გეგონებოდა). ერთ დროს მდიდარი ეზო-კარი, სიუხვით, დოვლათით გაჯერებული, ამჟამად მოუვლელი და გაპარტახებული ჩანდა.

კარგა ხანს, გრძელ აივანს შერჩა ჯონდი. სივრცეს გასცქეროდა, სახლსა და ეზოს ათვალიერებდა. იქვე ახლოს, ცოცხით ხელში, წუხანდელი მასპინძელი, შაოსანი დედაბერი დატუსტუსობდა. სამოცი წლის იქნებოდა. მარჯვეს და მარმაწას მზემოკიდებული სახე და კეხიანი ცხვირი უჩანდა. მალიმალ მოხედავდა სტუმარს, აშკარად ეტყობოდა, ვაჟთან საუბარი ეწადა... სჯა-ბაასი, აზრის გაზიარება.

— აგე, ამ კიბეზე დაუცურდა ფეხი — ჩაესმა ხმა. ვაჟმა მოხედა. ხმელ, ხიოჭა ქალს ქარი თავსაფარს უფრიალებდა, ჭაღარა თმა გასწეწოდა. კერკეტა კაკალს ჰგავდა, ძნელად გასატეხს და დასამორჩილებელს.

— ვაბანავე, სამოსი გამოვუცვალე, ცოტა მოითქვა სული... — ამცნო ქალმა — აღარ კანკალებს. ეტყობა წამალმა უშველა. ღმერთმა გაგახაროთ! ბოლო დროს სულ გაგიჟდა... გათენდება თუ არა ქაღალდს ითხოვს.

— ქაღალდი რათ უნდა?!

— წერს... მაინც რა აქვს ამდენი საწერი. — მიჩუმდა — ამიტომ ამბობენ სოფელში...

— რას ამბობენ?!

— ჭკუაზე არ არის... გარეკაო... გიჟად თვლიან...

— რატომ? ლექსებს რომ სწერს?!

—აბა რა ვიცი...—მიჩუმდა ქალი, თითქოს ფიქრს გაჰყვა, გაედევნა — საიდან გავაჩინო ქაღალდი, ერთი გირვანქა, ერთი შაური ღირს...

— ქმარ-შვილი ჰყავს?!—უჩურჩულა ვაჟმა.

— როგორ არა. სასახლე უდგათ გორში, ეს კიდევ აქ ამჯობინებს მარტოდ ყოფნას... აქ მირჩევნიაო, ამბობს, უფრო თავისუფლად ვარო. ეს სოფელი მისი დედულეთია, მშობლების დანატოვარი სახლი უდგას. ერთ დროს შეძლებულად ცხოვრობდნენ. მთელი ეს მხარე მამამისს ეკუთვნოდა. ამ ჭალებს რომ ხედავ, ცხვრით იყო გადათეთრებული. ლეკების შემოსევამ სოფელი გააჩანაგა... — ერთხანს მდუმარედ იჯდა, ფიქრში წასული— სოფელში ორმა კაცმა იცის წერა-კითხვა, ქალბატონმა და მღვდელმა. დანარჩენი ყველა ყრუა...

— ბატონმა?!

— წიგნისთვის არ იწუხებს თავს. ერთ ჭამაზე ერთი თოხლი არ ჰყოფნის...— ჩაიკუსკუსა ქალმა. — ჭამა-სმის მოყვარული კაცია, ჯან-ღონით სავსე. ღმერთმა შეარგოს, ჩემსას კი არა სჭამს... ერთ დოქ ღვინოს მწყურვალედ სვამს. ყმებისა და მამულის მოდარაჯე კაცია, მათი დამცველი და მფარველი. ეს ქალბატონი კიდევ... ცაში დაფრინავს...

— ცაში?!

— ჰო. შაირებსა თხზავს. წერს და წერს. რა ვქნა, უპატრონოდ ხომ ვერ მივაგდებ, ნათლიდედა ვარ. ბატონმა მიბრძანა, დარჩი და მოუარეო... მეც დავრჩი. არადა, საწოლიდან წამოყენება მიჭირს. მძიმეა. სისხლით და ხორცით სავსე ქალია... მაშ! კიდევ კარგი ვანუა მშველის...

გაღმა ჭალაზე, მწიფე პურის ყანები მოჩანდა, ნიავის ყოველ დაქროლვაზე თავთავები ირხეოდნენ. ყანის ბოლოს ვიღაც სტვენდა...

— ღამით რომ მოვედით, დაცარიელებული გვეჩვენა სოფელი, სიბნელეში ჩაძირულს ჰგავდა აქაურობა. ყველანი სადღაც გაკრეფილიყვნენ. რა ხდება, სად წავიდა ხალხი, ლეკიანობაა?!— ღიმილით იკითხა ვაჟმა.

—ლეკიანობაა, მაშ! — ჩაიცინა ქალმა— ახლა ცოტათი დაწყნარდა სოფელი. ხალხი შინ მობრუნდა. მთაში იყვნენ გახიზნული. პირუტყვიც გარეკეს, სარჩო-საბადებელიც თან წაიღეს.. ამბავი მოვიდა, ნურსალ-ბეგი აპირებს შემოჭრასო... ბატონმა თადარიგი დაიჭირა, ურმები და ცხენები წინასწარ გაგზავნა.

— ნურსალ-ბეგი ვინღაა?!

— ლეკების ბელადი, ხუნძახის ბატონი. ერეკლე მეფესთან დამარცხებამ გაანაწყენა, მჭადიჯვართან შეტაკებისას ჩვენმა მეფემ აჯობა... ეტყობა ჯავრის ამოყრა სურდა. არაგვი გადმოლახა და ქართლს მოადგა. ქალებს, ბავშვებს, პირუტყვს იტაცებს. რომ მოვიდნენ დაცარიელებული სოფლები დახვდათ. განაწყენებულმა მომხვდურმა სარწყავი არხები დაანგრია, ეკლესიაც ცეცხლს მისცა...

— თქვენ როგორ გადარჩით?!

— ჩქარობდა ბატონი, სამი ურემი უკვე გაგზავნილი ჰყავდა. წვიმდა იმ ღამით, სველ მიწაზე სიარული ჭირდა, გარეთ გამოსულა ქალბატონი, ეტყობა კიბეზე დაუცდა ფეხი... კარგა ხანს უგონოდ ეგდო... დილით, მოჯამაგირე ბიჭის ღრიალმა გამოგვაღვიძა. ისე იყო დალეწილ—დამსხვრეული ძლივს მივიტანეთ საწოლამდე. ხმას არ იღებდა. ტკივილებს დაემუნჯებინა... არადა, ჩქარობდა ბატონი, დროულად წასვლა ეწადა. ეშინოდა გზაში ლეკებს არ გადაყროდა. ფეხის მკურნალობას ვინ დაეძებს, გული გაუხდა ქალბატონს ცუდათ. ციებამაც შეუტია. მოკლედ, კვდებოდა ქალი! ხელიდან გვეცლებოდა... ეს ბატონი კიდევ შუაღამისას მობრძანდა და ქალბატონის წაყვანა მოინდომა... ხელი აუქნია ქალმა, „წამომსვლელი არა ვარო”— უთხრა. რუმბივით გასიებოდა ფეხი. ცხენზე შეჯდომა არ შეეძლო, ურემზე კიდევ ტკივილები დატანჯავდა. ძნელად სავალი გზა იყო. ეტყობა არ სურდა წასვლა... გაავდა ბატონი, იმგვარი აალება იცის, გეგონება ცეცხლი წაეკიდაო... არც ერთმა დათმო, არც მეორემ... „ქალაჩუნა ხარ, შიშმა გადაგრია და გარბიხარო”— ქალბატონმა უთხრა. ამაზე მთლად შეიშალა კაცი. განაწყენებული მოახტა ცხენს. უკან არ მოუხედია, ისე გაკურცხლა. ეს ავადმყოფი ქალი ჩვენ შეგვატოვა. მე და ვანუას... ჩვენ კიდევ რისი მომვლელები ვართ!. აქეთ ლეკი მოგვადგა კარს...

— ლეკი?!

—ჰო, ნურსალ-ბეგი გვეწვია. დაცარიელებულ სოფელში თავმომწონედ შემოვიდა, მხოლოდ ერთ ადგილას ამოდიოდა კვამლი. ის სახლი ჩვენი იყო. ღიმილით შემოაღო ჭიშკარი, ალბათ უკვირდა, რატომ არ გაიქცნენო... არ ჩანდა უთვალო კაცი, მოჭედილი ხმლით, თეთრი ჩოხით, ნაბდით, ფაფახით. ცხენიც საუკეთესო ჰყავდა... გაოცებას მოეყვანა, რად არ დაიმალნენო... ამ ჩვენმა ქალბატონმა კიდევ მათი ენა იცოდა, არც მიღება და სალამი შეშლია. პატივით მიიღო მოძალადე სტუმარი... ხმელი ხილი მიართვა. თავად ტახტზე იწვა, ფეხგაშეშებული. დედოფალივით დახვდა. ეტყობა იცოდა ლეკმა, ვისთანაც მოვიდა. ეზო ფეხმარდი ცხენებით აივსო. უნაგირებზე დაჭედებულებს ჰგავდნენ ლეკები. ხელი არაფრისთვის უხლიათ, ნურსალ-ბეგის გამობრძანებას ელოდნენ...

არავინ იცის, რაზე ისაუბრეს ქალბატონმა და მისმა სტუმარმა, თავდახრით გამოვიდა ლეკი. ქალბატონს ეხერხებოდა ვიღაც-ვიღაცეებისთვის ყურიდან მწყრების გამორეკვა, მაგრამ ახლა სხვა იყო. ბეგმა მოწიწებით დატოვა სახლი, ცხენებზე შესხდომა ბრძანა.

— თქვენს ყონაღად მიგულეთ, მფარველათ!... — შეჰფიცა ქალს. თეთრი ნაბადი საჩუქრად დაუტოვა.

— ჰაჯა-ბიჰლა! (ალაჰს ვფიცავარ!)— დამშვიდობების ნიშნად მათრახი მკერდზე მიიდო. მარჯვედ შეახტა ცხენს. მეორედ ფეხი არ დაუდგამს აქეთ.

იმ დღეს, ტახტზე ნახევრადწამომჯდარი, ლეჩაქ—ქათიბით მორთული დახვდათ ქალბატონი. მშვიდი სახე უჩანდა. მუთაქებსა და ყურბალიშებს შორის მისვენებულს, კავ — დალალი შვენოდა. საშუალი ტანის ქალი იყო, მკერდსავსე და მოხდენილი. მგრძნობიარე, თხელი ბაგე უჩანდა. მწვანე თვალები სითბოთი და სინაზით ჰქონდა სავსე... საუკეთესო მოსაუბრე აღმოჩნდა. გონიერი და ნაკითხი ჩანდა.. ხშირად ფეხის ტკივილი ახსენებდა თავს. ჩუმათ ჩაიკვ-

ნესებდა... შესიებული წვივი უეჭველ ჩარევას, მკურნალობას საჭიროებდა...

ქალის ფეხებთან ჩაიმუხლა პადრემ. მამაკაცის ნაცადი თითები სიფრთხილით შეეხო ქალის თხელ წვივს, ძვლების სისწორე შეამოწმა... სიმწრით დაიკვნესა ავადმყოფმა.

— ძვალს შეხორცება უჭირს, არასწორადაა მიერთებული — დაასკვნა მკურნალმა.

— რა ეშველება ?!

— უნდა გასწორდეს. კვერცხის ნაჭუჭი, ნაცარი, ცილა, თაფლის სანთელი და სპირტია საჭირო. ერთმანეთში შეიზილება და გადამსხვრეულ წვივზე შემოეფინება, ყალიბში უნდა ჩაისვას. ძვლების გასწორება ძალზე მტკივნეულია. ყველაფერი ავადმყოფზეა დამოკიდებული, გაუძლებს თუ არა...

— გავუძლებ!.. — ჩაიჩურჩულა ქალმა, ხმაში დაძაბულობა ეტყობოდა.

მკურნალის მარჯვე თითები ყოვლისშემძლე აღმოჩნდა... დაზიანებული ძვლების გასწორებისას, (რამაც აუტანელი ტკივილი გამოიწვია!) უმეტესად სდუმდა ქალი. ხმა, კრინტი არ დაუძრავს. გაშეშებული იწვა, ჭერს შესჩერებოდა...

— დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ალილუია, ალილუია, ალილუია, დიდება შენდა ღმერთო! — ჩურჩულებდა პადრე.

ავადმყოფის საწოლთან ჩაემუხლა.

იქ გაათენა და დააღამა.

* * *

მასპინძელს მდიდარი წიგნსაცავი აღმოაჩნდა. ხელნაწერებით, გრაგნილებით, სიგელ-გუჯრებით ავსებული მაგიდა, თაროები... ვახტანგ მეექვსის ბრძანებით დასტამბული: „დაბადება", „დავითნი," „სახარება", „ვეფხისტყაოსანი". ტყავის გარეკანში ჩასმული ძველისძველი წიგნები. ჯერაც მელანშეუმშრალი ხელთნაწერები სასთუმალთან ეწყო ავადმყოფს. თხოვნა არ სჭირდებოდა, სიამოვნებით კითხულობდა მათ: „სიფიცხით ფრთასა ვერ მოგლეჯ შავარდენსა და წეროსა, იგი გარდამხდეს სოფელსა, რაც რამე თავს მეწეროსა". ლექსები, შაირები მისი სიხარული იყო... ფიქრიანი, შორს გაქცეული მზერით, თითქოს იყო და არც იყო ამქვეყანაზე, ამ სახლში...

სამეგრელოს მთავრის მეუღლეს ნაკლებად ჰგავდა იგი. არა მარტო გარეგნობით, ცხოვრების წესითაც განსხვავდებოდა. სხვა სურვილები გააჩნდა, ფიქრები და ოცნებები... დადიანის მეუღლე, ნატიფი, ჰაეროვანი ქალბატონი, უთვალავ მომვლელსა და მოსამსახურეს შორის ჩაკარგული, უგუნებობას იმიზეზებდა, ყველასა და ყველაფერს დაეჭვებით უმზერდა... ხოლო მისი დეიდაშვილი, ლიახვის პირას გაზრდილი, ნახევრად დაცარიელებულ სოფელში მარტოობას შეხიზნული ქალბატონი, ბერიკაცისა და ბერიქალის გარემოცვაში ჩარჩენილი, გამოჯანმრთელებული და ავადმყოფობისგან თავდახსნილი, თავს ლაღად გრძნობდა, დილის გათენება უხაროდა... ამდენხანს თუ ჩასაქრობად გამზადებულ ლამპარს ჰგავდა, მცირედი სულის შებერვა და... ჩაქრებოდა! სულზე მიუსწრეს. ერთბაშად გაცოცხლდა! გახალისდა!

არადა, ავადმყოფის სასთუმალთან ჯდომა, ლამის ჩვევად ექცა მკურნალს... თმაშევერცხლილ, წარმოსადეგ მამაკაცს — ჯუზეპე ჯაკომოს. ყვრიმალები შეფაკლოდა კაცს... ფრინვით შესცქეროდა ქალს, ლურჯ თვალებში სიამის ნაპერწკალი ენთო...

— ყველაზე მეტად გაზაფხული მიყვარს — ჩურჩულებს ქალი — ვცდილობ არ გამომრჩეს ის წუთი, როცა მიწიდან პირველი ყლორტი ამოიწვერება. ბუნება გამოიღვიძებს... ამას წინასწარ ვგრძნობ... ჩემსკენ რომ მოიწევით, ესეც ვიცოდი... თქვენს ცხენებს ვხედავდი, ხმებიც მესმოდა. სოფლის შემოსასვლელში გზა აგერიათ, სხვაგან ჩაუხვიეთ, დარწმუნებული ვიყავი მომაგნებდით.

ქალის ყოველ სიტყვას ზედმიწევნით, სიზუსტით თარგმნიდა ვაჟი. ორთა შორის, მთარგმნელად ჰყოფნა, რატომღაც სიამოვნებდა. ქალისა და მამაკაცის დაახლოებას აშკარად ხელს უწყობდა. ალაგ-ალაგ ჩაიცინებდა, თითქოს ერთობოდა.

— ყველაზე მეტად მთვარიანი ღამეები მაფორიაქებს. — ჩურჩულებს ავადმყოფი — სულს მიწეწავს. საწოლში ვერ ვჩერდები... მეჩვენება, სული სხეულიდან ამოდის... მთვარეულივით აღმა-დაღმა დავქრივარ, აივანზე გავდივარ, ლიახვის პირას ვსეირნობ... ასეთ დროს ყველაზე მეტად, უკან დაბრუნების მეშინია... სიცხიან სხეულში ხელახლა ჩაბრუნება მტანჯავს...

— დამშვიდით. აი, ეს წამალი მიიღეთ...

წყლიან ჭიქაში წვეთ-წვეთობით ასხამს წამალს, ასმევს.

— გრანდ დამ! — ალაგ-ალაგ ჯონდის მოხედავს ჯუზეპე — საოცარი ქალია! — აშკარად ჩანს ქალი მოსწონს, მოხიბლულია...

დაუჯერებელი რამ მოხდა! მათ თვალწინ თითქოს გაცოცხლდა ქალი, გალამაზდა, გაახალგაზრდავდა კიდეც. სასიცოცხლო ძალებით აივსო. გრძელანაფორიანი მაღალი კაცი, ჯუზეპე ჯაკომო, ხმელ-ხმელი, ჩაცვენილი თვალის უპეებით, წინ წამოწეული ნიკაპით (დანტე ალიგიერს რომ წააგავს!) შავი წვერით, შავგვრემანი სახით, ლურჯი თვალებით... ქალის აღფრთოვანებას იწვევდა. ღიმილით შესცქეროდნენ ერთმანეთს... მწვანე თვალებში უჩვეულო სხივი უციმციმებდათ...

უხილავმა სულმა, ბედთან თამაში მოიწადინა თითქოს... ქალისა და მამაკაცის პირისპირ შეყრა, ერთმანეთის აღმოჩენა მოისურვა. ამიტომ იყო, ავადმყოფის საწოლთან პირველსავე მიახლოებისას, თითქოს იის სურნელი შეიყნოსა პადრემ... (თავადაც იას ჰგავდა ქალი, ნაზსა და უძალოს, ყუნწში გადამსხვრეულს.) ამ სურნელმა გააბრუა და ძალა წაართვა კაცს.

— სიყვარულის არსებობა დამავიწყდა, არ მეგონა თუ ოდესმე მეწვეოდა... მე ვტკბები საკუთარი ფერისცვალებით. ჩემი სხეული თითქოს გაცოცხლდა... თქვენ ჩემი გამოღვიძება შესძელით... — ჩურჩულებს ქალი (სიტყვებით ნაკლებად წარმოთქვამს, ამას მისი თვალები ამბობენ...)

— აუცილებელი არ არის, ახალგაზრდა იყო. საკმარისია, თავი ახალგაზრდად იგრძნო... — პასუხობს მამაკაცი.

მათი საუბარი არავის ესმის, არც ჯონდის... (ბოლო ჟამს, ერთობ ზედმეტად გრძნობს თავს,) იძულებულია აღმა-დაღმა იხეტიალოს, ჭალა-ველი მოიაროს, გადამწვარი ეკლესია ინახულოს.

ბოლო დროს მანტიას აღარ ატარებს პადრე, ბერის მოსასხამი მსუბუქი სამოსით შეეცვალა. განუწყვეტლივ ალბომი აქვს გადაშლილი, ხატავს... მთებს, ჭალებს... ქალის მკრთალ სილუეტს. თეთრი ლეჩაქით, ღილკილო შეხსნილი

კაბით, თმაგაშლილს. ჩიხტი-კოპითაც დახატა, ბატის ფრთით ხელში... თავისას უბერავდნენ, დამშლელი არავინ ჰყავდათ!

— „უფალო, დამიხსენ საკუთარ თავისაგან!“ — ჩურჩულებს პადრე.

ქართული ენის შესწავლა იწყო, ერთბაშად მოიწადინა. ერთი სურვილით. ადვილად ითვისებს... ყოველ სიტყვას ხმამაღლა წარმოთქვამს... უკვირს ჯონდის, რა მიზნით სწავლობს ასე გატაცებით, რა აუცილებლობას წარმოადგენს. როგორც არაბული ენა ისწავლა ეგვიპტეში მოგზაურობისას და ამჟამად ვერაფერში იყენებს, ალბათ ასე დაივიწყებს ქართულ ენასაც. თუმცა, იმგვარი ჟინით იზუთხავს, თითქოს ვიღაცის გაოცება სწადია ან სამუდამოდ აპირებდეს საქართველოში დარჩენას! შეიძლება ასეცაა. რას გაიგებ, „კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო”, მასპინძელიც ეხმარება, მალიმალ წაეშველება.

მასწავლებელმა და მოწაფემ ერთმანეთი იპოვეს.

ამგვარ წუთებში, გუნებანაცვალ ქალს, ლამის საწოლიდან ამოფრენა სწადია... სხვა ქვეყნების, სივრცეების ხილვა სურს... პარიზის, რომის... დიდი კულტურის, მიღწევების შეცნობა. მუსიკის მოსმენა... გატაცებით უამბობს პადრე... (თითქოს სარკმელი გამოაღო და სივრცე დაანახა!) ამ წუთებისთვის ემადლიერებოდა ქალი. ამიტომაა, მამაკაცის მოახლოებისას, მის ფეხისხმაზე თრთის და კანკალებს. განუწყვეტლივ ელოდება...

ვერც კაცი მალავს აღფრთოვანებას, ქალის გონიერებით გაოცებული, სადარდელს შეუპყრია. ამ კუთხისთვის, ამ ორღობეში ჩასამალ-ჩასაკარგავად ენანება იგი... არადა, როგორ სწრაფად გარბიან დღეები...

ხელმარჯვე აღმოჩნდა პადრე. ქალბატონისთვის ტახტრევანი შეჰკრა. გორგალაჭით, ბალიშებით დაამშვენა. ერთი ადგილიდან მეორეზე გადაადგილების საშუალება მისცა... ამიტომ იყო, საღამო ჟამს, ლიახვის პირას, მწვანე ჭალაში, განმარტოებით ისხდნენ ისინი. ორნი ერთად... ავადმყოფი და მკურნალი. ტკბილად საუბრობდნენ. თელიანი მინდვრის პირას. ფრინველების ჭიკჭიკსა და ჟრიამულში, თავს ლაღად გრძნობდნენ. ხელისშემშლელი არავინ ჰყავდათ. სატრფიალო ლექსებიც მაშინ დაწერა მანანამ. გულწრფელი და ალალი სტრიქონები მიუძღვნა მამაკაცს. თბილი, დათენთილი ხმით უკითხავდა...

სტუმრებსაც ხშირად იწვევდნენ — პეტრარკას, დანტეს, რუსთაველს...

ამდენხანს თუ ეჩვენებოდა ქალს, რომ ვიწრო ჭუჭრუტანიდან უცქერდა სამყაროს, ადამიანებს, ბუნებას. პირაკრულს, ლაპარაკის უფლება არ ჰქონდა! დიდებული ქვეყნის შვილის სტუმრობამ ყველა ჯეირი წაშალა. შეეძლო თავისუფლად ეფიქრა, ემსჯელა, გულისწადილი გაემხილა. ყოველივე ამას ემატებოდა უჩვეულო განცდა — როგორც ნიავს ვერ ხედავ, მაგრამ გრძნობ მის თბილ დინებას, საამო ქროლვას, ასევე გრძნობდა, მამაკაცის მისდამი ლტოლვას, ჟინსა და სურვილს... ერთმანეთის სიახლოვით ტკბებოდნენ...

* * *

მისიონერი და მკურნალი, მრავლისმნახველი და მრავლისმომსწრე, ქართლის მიყრუებულ სოფელში შემთხვევით აღმოჩენილი მკურნალი, ერთ ჭეშმარიტებას ჩახვდა... გაუთვალისწინებლად და გაუაზრებლად არაფერი ხდება ამქვეყანაზე! ყველაფერი წინასწარ გათვლილსა და გაანგარიშებულს ჰგავს. თავად უფალმა ინება მწვანე ჭალაში, მდინარის პირას მათი თავშეყრა. პოეზიის საღამოების გამართვა. არადა, საკუთარ თავს ვერ ცნობდა. ამგვარ გაცოცხლებას თუ გაახალგაზრდავებას ნამდვილად არ ელოდა. არ ამხელდა თორემ ყოველივეს ლაზას თილისმას მიაწერდა... მის ყოვლისშემძლე ძალას. საკუთარი თავისთვის ვერაფერი მოეხერხებინა. განუწყვეტლივ ქალთან ყოფნა ეწადა. მის ახლოს, მის ფეხებთან, მისი ხმის მოსმენა სურდა. (წლების შემდეგ, როცა თავისი ცხოვრების ყველაზე მშვენიერ წუთებს გაიხსენებს, ლოცვებითა და მარხულობით გაჯერებულ ყოფას, ერთბაშად ამოტივტივდება ქალის სახე, ლიახვისპირა საღამოები და პოეზიის უჩვეულო წუთები...)

ყოველივე ამისთვის ღირდა სიცოცხლე!

იტალიიდან ჩამოტანილ, ტყავისყდიან ალბომებს, მუდამ ჟამს თან დაატარებდა პადრე, წუთითაც არ იცილებდა. (მოსასხამის გრძელ ჯიბეში მალავდა მათ). ერთში — სამკურნალო მცენარეებზე აკეთებდა ჩანაწერებს. ფესვებს, ტოტებს, ფოთლებს იხატავდა. მეორეში მხატვრობას გაეტაცა. პირველივე ჩანახატი— ლაზა, თეთრი ბუღასთან ერთად, უდაოდ ღირებული აღმოჩნდა, შთაბეჭდილების ქვეშ აქცევდა მნახველს. ამას მოჰყვა მთავრის მეუღლის პორტრეტი (ქალბატონის მწყაზარი სახე თითქოს სიღრმიდან ანათებდა!) ჩიტებით ავსებული გალიაც დახატა... ფერადფერადები, ფრთახატული ჩიტუნები, სამეგრელოს პეიზაჟებიც დახატა, ტეხურას ნაპირი, ღელეები და ბოგირები. იმერული ჩანახატებიც მიამატა. რიკულებიანი ოდა-სახლი, ჭაში ჩაკიდებული ოჭინარი, თეთრი ბეკეკოებით ავსებული ორღობე... მოკლედ ერთობოდა პადრე, სახილველი არ აკლდა!. ქართლში გადმოვიდნენ და... ფერებით აივსო ალბომი. ხოდაბუნები... მზეს შეფიცხებული მზესუმზირები. ლიახვის პირი... ქალის მკრთალი სილუეტიც გამოჩნდა, (ჯონდიმ იცნო იგი!) ნახატს, ქალური კდემა, მომხიბვლელობა მოემატა..

შეუმჩნევლად გაიქროლა დრომ, პირველ თვეს, მეორე მოჰყვა...

საქართველოს წარსულის თუ დღევანდელობის შესახებ ბევრი არაფერი იცოდა პადრემ.. არადა, აწეწილი დრო იყო. ირანში ნადირ-შაჰი ბატონობდა. საქართველოს აღმოსავლეთს — ერეკლე განაგებდა, დასავლეთს — სოლომონი. ქსნის ერისთავი შანშე და ზემო ქართლის მფლობელი გივი ამილახვარი (ამილახორი) ერთმანეთს დანასისხლად გადაჰკიდებოდნენ. ამილახვარი, ყიზილბაშების დახმარებით აოხრებდა ქსნის ხეობას, ხილო შანშე, ლეკთა ჯარით აწიოკებდა ლიახვისპირა სოფლებს... ამას დაემატა მეორე უბედურება! კათოლიკეთა დევნა დაიწყეს. უპირველესად, ქართლიდან გარეკეს ისინი... ეჭვის თვალით უმზერდნენ. ერეკლე მეფის ბიძაშვილი, განათლებული და ერუდირებული კაცი, თეიმურაზ ბაგრატიონი (ანტონ I კათალიკოსი,) ევროპული ორიენტაციის მომხრე აღმოჩდა, თბილისში მოღვაწე კათოლიკე მისიონერებს დაუახლოვდა (კაპუცინთა ორდენს) და კათოლიკური სარწმუნოება მიიღო. ლამის მწვალებლად აღიარეს იგი... (თუმცა, სიცოცხლის ბოლომდე კათოლიკედ დარჩა!).

ჩვენს მისიონერებს საფრთხე მოდგომოდათ კარს, თუმცა, თავად არაფერი იცოდნენ...

ნათქვამია, „სადაც მზე არ შედის, იქ ექიმი შედისო", დილაადრიან დაადგნენ თავზე. ამილახვრის კაცები იყვნენ. თავისკენ იხმობდნენ მკურნალს. მისიონერთა სტუმრობა შეუმჩნეველი არ დარჩენია ამილახვარს, ამ მხარის მბრძანებელს, ძევრელი ქალბატონის მორჩენა, სასიკვდილოდ გადადებული ავადმყოფის ფეხზე წამოყენება, ეტყობა გახმაურდა. ამ ამბავმა ამილახვრის ყურამდეც მიაღწია... თავისკენ იწვედა იგი. შველას სთხოვდა... წითელი ქარი შეჰყროდა ბატონს, სისხლიანივით დასწითლებოდა ხელები, ძველ სპარსულ მალამოს, მუმიას ხმარობდა... მთის ფისისგან მზადდებოდა. ქვასავით მაგარ ფისს წყალში ლესავდნენ და წითელი ქარისგან დაავადებულს მკურნალობდნენ, თუმცა ამილახვარს ვერ უშველა, ქავილისაგან იტანჯებოდა კაცი. ღამეები არ ეძინა.

დილაადრიან დაადგნენ თავზე, ბოხოხიან — ქულაჯიანი ცხენოსნები აღმოჩდნენ... ოთხნი იყვნენ... თუმცა, მისიონერთა წაყვანა, დაპატიმრებას უფრო ჰგავდა, ვიდრე თავისთან მიწვევა-მიპატიჟებას. ქალბატონთან დამშვიდობება ვერ მოასწრო მკურნალმა, გაუძნელდა. უჩუმრად მიმოდიოდა, ბარგს ჰკრავდა, წასასვლელად ემზადებოდა. ქალის საძინებელში შესვლა, მისი შეღვიძება, ვერ გაებედა. თუმცა გრძნობდა, ბოლო წუთები დამდგარიყო, მეტად ვეღარ იხილავდა, მათი გზები იყრებოდა.

კოლხეთში მიბრუნებას თვის ბოლოსთვის აპირებდა პადრე (დადიანთან ამგვარად იყო შეთანხმებული). გამყოლი ცხენებს ჩამოიყვანდა და უკან გაბრუნდებოდნენ. თუმცა, ისე ჩაილია ორი თვე, არავინ გამოჩენილა. ოტია დადიანს მგონი დაავიწყდა მათი არსებობა. ახლა კიდევ, ამილახვრის კაცები მოდგომოდნენ კარს... სტუმრების ვინაობა იკითხეს — ვინ იყვნენ, საიდან ჩამოვიდნენ, ვინ გამოგზავნა...

დადიანის სახელმა უსიამოდ გაიჟღერა.

ცუდად იყო საქმე! ხათაბალაში გაებნენ!.

მქისე სამოსი ეცვათ ამილახვრის კაცებს. ხამი მატყლისგან ნაქსოვი. გაურანდავ — გაუჩორკნავები ჩანდნენ. უკმეხები... ერთმანეთში დაობდნენ. ამილახვარი ქსნის ციხეში გამაგრებულიყო, მისიონერებს იქ იბარებდა. ციხეში უნდა მიეყვანათ... ჩქარობდნენ.

ჯერაც არაფერი გაეგო ქალბატონს, უცხოთა ძახილი, თავისთან ხმობა ნაკლებად მიწვდენოდა. შესაძლებელია, უცხოებთან შეხვედრა არ ეწადა, მდუმარებას არჩევდა... არადა, უკვე შეკრეს ბარგი, წასასვლელად გაემზადნენ. ის იყო ჭიშკარს გაცდნენ (დარახტული ცხენები ელოდათ!). უცებ! საძინებელი ოთახის კარი გაიღო და აივანზე ქალი გამოიჭრა! ფრიალა სამოსით, თმაგაშლილი... კოჭლობით ჯერ ბირკვილს მიენარცხა, უძალოდ გადაემხო ზედ. მერე კიბეს ჩამოჰყვა. ჩლახუნით, წვალებით. თან ჯოხს იბჯენდა, იშველიებდა. შემაძრწუნებელი ჩანდა მისი ცრემლიანი თვალები, უხმო სვლა..

ამ დროს იყო, ცხენზე ნახევრად ამხედრებულმა პადრემ, თავისდაუნებლიედ მოიხედა უკან. ქალის გამოჩენამ, მისმა გაწეწილმა თმამ, აფრიალებულმა სამოსმა, ადგილზე გააშეშა კაცი. უკანვე გადმოეშვა, ერთბაშად ჩამოშვავდა... შუა ეზოში, ქანდაკად აღმართულ ქალისკენ მზერაამღვრეული გაემართა.

— მიდიხარ?! — ჰკითხა ქალმა. ცრემლიანი თვალები შეანათა.

— გთხოვ, ნუ ტირი... ყველაფერი კარგა იქნება — ქართულ ენაზე, მცირედი ბორძიკით გაეპასუხა კაცი.

— ვიცი, ჩვენი ბოლო შეხვედრაა... — ჩაეკრა ქალი — ვერასდროს განახავ...

— დამშვიდდი...

— მთელი ცხოვრება გელოდი... — ხმამაღლა ატირდა — რომ იცოდე, როგორ მ ი ყ ვ ა რ ხ ა რ !

— მეც მიყვარხარ! — მკლავები მოხვია კაცმა, გულში ჩაიკრა — უსაზღვრო მადლობა! — აკანკალებული თითები დაუკოცნა. ამასაც არ დაჯერდა, დაუჩოქა და კაბის კალთაზე ემთხვია.

ჯონდიმაც დააპირა ქალბატონთან დამშვიდობება, გაიწია კიდეც მისკენ, რომ პადრეს მღელვარებამ, ცრემლიანმა თვალებმა შეაჩერეს... ნაბიჯი ვერ გადადგა წინ. უხილავმა ძალამ თითქოს შებორკა ვაჟი, მოძრაობის უნარი წაართვა. ქალისა და მამაკაცის გამოთხოვება, გულში ჩაკვრა, შუბლზე ამბორი, აფორიაქებულ სამყაროს თითქოს ამშვიდებდა... მიუღებელს — მისაღებად ხდიდა...

უხერხულად იმმუშნებოდნენ ამილახვრის კაცები.

ამგვარი მღელვარება მათთვის უცხო იყო!

და რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, მთელ ამ ორომტრიალში, უთავბოლო ფორიაქსა და მღელვარებაში, გაწელილ წუთებში, მოულოდნელად პადრემ იგრძნო, ყველა მღელვარება, ფორიაქი, ყელზე დაკიდებული ავგაროზის ბრალი იყო, კოლხური თილისმის... ღაზასეული შელოცვის... მაგიის... ბერიკაცის ოფლით გაჯერებულ ნივთს საოცარი ძალა აღმოაჩნდა! იგი შეუმჩნევლად აკვროდა სხეულზე, სამოსში ჩაცურებოდა. გასანთლულ ძაფზე დაკიდებული ავგაროზი ხილვების მარყუჟში ამწყვდევდა მას... ამიტომ იყო, განუწყვეტლივ ერთიდაიგივე სივრცეს ხედავდა... სამდღიანი წვიმებით, წყალუხვი მდინარეებით, ალაფებული გზებით, ძეძვნარით გადაფარულს... წკნელით შემოღობილ ეზოებს, ყავრისსახურავიან სახლებს, ოჭინარებს, რაც მთავარია, ქალის გრძელი ნაწნავით შეკრულს სივრცეს... (ამ ნაწნავმა შეებოჭა ისიც!). მოძრაობის უნარი წაართვა. ამიტომ გაუძნელდა ცხენზე ხელახლა აბობღება...

უმალ ხელი მიაშველეს ამილახვრის კაცებმა, გამშრალგახევებული კაცი ფიჩხის გუდურასავით შედვეს (თუ შესვეს) ცხენზე. მათრახი გადაჰკრეს..

წითელმა ფაშატმა გზაზე გაიყვანა.

ჯონდიც მიჰყვა.

მინაწერი

საუკუნეთა მიღმა მიჩქმალული ამბავთა წყობა ხშირად დაუჯერებელი გვეჩვენება (სიზმარში ნანახს ემსგავსება!)

ჩვენი ნაცნობი მისიონერები, ამილახვრის კაცებმა დააპატიმრეს და კარგა ხანს ქსნის ციხეში ამყოფეს, იქ აყურყუტეს. (ალბომები ჩამოართვეს პადრეს.) ყველაზე მეტად შიშველი ქალის სურათებმა გააოცა ისინი... ერთმანეთს ანახებდნენ... იღრიჭებოდნენ, ჩაყვითლებულ კბილებს აჩენდნენ... ქალის უზადო სხეულმა (შიშველმა მკერდმა, მკლავებმა) ადგილზე გააშეშა ხისტი კაცები. უხმოდ დასცქეროდნენ ნახატს. უგერგილონი და უნიათონი ჩანდნენ. ამილახვარიც მოხიბლა ნახატმა... ტფილისის ციხეში გა-

დაყვანისას, ერთი ალბომი დაუბრუნა პატრონს (სამკურნალო მცენარეები რომელშიც ეხატა).

ამილახვრის სიცოცხლეში ორჯერ გადაიწვა ქსნის ციხე.

არავინ იცის, სად ჩაიფერფლა ის...

მოგვიანებით, როგორც საეჭვო პირები, ტფილისში გადააგზავნეს მისიონერები. სანამ მათ ვინაობას დაადგენდნენ, უფრო სწორად, დადიანიდან პასუხს მიიღებდნენ, (ვინ იყვნენ ან რატომ ესტუმრენ საქართველოს). ერთხანს, ნარიყალას ციხეში ამყოფეს. თავზე ხელჯოხიანები ადგნენ! როგორც იქნა მოაღწია ბარათმა, (სამეგრელოს მთავრის მეუღლემ გამოგზავნა). არავინ იცის რა ეწერა შიგ. ერეკლე მეორის მეუღლეს, დარეჯან დედოფალს მიართვეს ბარათი, ხელიდან ხელში გადასცეს... ერეკლე მეფე თელავში იყო, ჭრილობებს იშუშებდა. დარეჯან დედოფალი დადიანის ქალი გახლდათ (კაცია დადიანის ასული), უმალ ისმინა რძლის ვედრება. მისიონერთა განთავისუფლება ბრძანა. ერთხანს სასახლეში დატოვეს, მცირეწლოვან უფლისწულებს: იულონს, ვახტანგს, მირიანს, ქეთევანსა და ხორეშანს აღმზრდელებად გაუმწესეს, ლათინურ ენას ასწავლიდნენ. კარგახანს დარჩნენ სასახლეში... აღა-მაჰმად— ხანთან საბრძოლველად ემზადებოდა ერეკლე მეფე. დახმარებისთვის, მეზობელ ქვეყნებში ელჩები დაგზავნა.

რომში მიმავალ ქართველ ელჩს, ისინიც თან გააყოლა.

შემდგომი ბედი არავინ იცის, არც არვინ დაინტერესებულა... ჯონდი მარღია აღარ დაბრუნებია სამშობლოს. ისე დაიკარგა, როგორც სხვა მრავალი შვილი დაეკარგა საქართველოს — ღირსეული თუ უღირსი, სახელიანი თუ უსახელო... (ღმერთმა ნათელში ამყოფოს მათი სულები!) ბოლო წლების კვლევამ დაადასტურა, საუკუნეების წინ, იტალიაში დაბეჭდილი პირველი წიგნების: „ქართულ-იტალიური ლექსიკონის" და „კოლხეთის სამკურნალო მცენარეების" გამოცემაში, იტალიელებთან ერთად უცნობი ქართველი მონაწილეობდა. სტამბა, აწყობა, შრიფტის შერჩევა, ყოველივე მას ევალა! (შეიძლება ჯონდი მარღია იყო!).

დედა-სამშობლო არასდროს ივიწყებს თავის ერთგულ შვილებს!

რაც შეეხება პოეტ ქალს მ ა ნ ა ნ ა ს, მისი შემდგომი ბედი არავინ იცის. ჩვენამდე მხოლოდ თხელმა (ოცდაექვს გვერდიანმა) რვეულმა მოაღწია. ამჟამად (ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება!) მასში პოეტი ქალის რამდენიმე ლექსია შეტანილი — "მანანას თქმულნი შაირნი", „ციების ბაასი", „კიბიდან ჩამოვარდნა" და „ესეც რაღაც ღარიბად თქმული". რვეულის ბოლო გვერდზე, გადამწერის მინაწერი მოჩანს: „ეს წიგნი გახლავთ ვარინკო დაფქვიევისა(!), ვინც ითხოვოთ, პატრონსავე უბოძეთ". გადაწერის თარიღიც აზის —1872 წ. მაშასადამე, პოეტი ქალის ნატვრა ასრულდა! ლექსები გადაწერეს... გაამრავლეს კიდეც. გასულ საუკუნეში წიგნადაც გამოსცეს (1937).

რაც შეეხება მანანას სამიჯნურო ლექსებს — ლიახვის პირას დაწერილ სტრიქონებს, ჩვენამდე არ მოუღწევია. ისე დაიკარგა, როგორც ბევრი სხვა მადლიანი სტრიქონი განქარდა... (თუმცა, ამქვეყნად არაფერი იკარგება, სხვა ავტორთან იპოვი მათ!) „მე თოვლი მიყვარს, როგორც შენს ხმაში ერთ დროს ფარული დარდი მიყვარდა!"

სავალალოდ, ავტორის გვარი არ ვიცით, არც გარდაცვალების თარიღი...

მხოლოდ ლექსები გადარჩნენ!

დაიბადა 1974 წელს, 6 სექტემბერს. 1999 წელს დაამთავრა საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი — ერლომ ახვლედიანის სახელოსნო. მისი მოთხრობები დაბეჭდილია კრებულში — „ასი სტყვა", ჟურნალებში — „ცხელი შოკოლადი" და „ლიტერატურული პალიტრა". სულ უფრო მდიდრდება ავტორის მხატვრული პალიტრა და უცნაურპერსონაჟებიანი ის სამი ნიმუშიც, რომელსაც „ჩვენი მწერლობა" სთავაზობს მკითხველს, ადასტურებს მისი ოსტატობის ზრდას.

ნინო წიკლაური

სამი ნოველა

ვაკელები

მრავალსართულიან სახლებს შორის ბარაკები იყო შემორჩენილი.

ლამპიონებით განათებულ ქუჩაში შავი კნუტი უშველებელ კალიას დასდევდა. რეტდასხმული მწერი აქეთ-იქით აწყდებოდა და კვლავ კნუტის თათებში ხვდებოდა.

ჩაბნელებული ეზოდან ცუხცუხით გამოიქცა დედაბერი. კნუტი დაფრთხა და მიიმალა. იმავე ეზოდან გამოვარდა კაცი, დედაბერს დაეწია, წააქცია და მუშტებს წიხლები მიაყოლა.

მოსულიერებული კალია შორს გადახტა და გაყუჩდა. კაცს გამხდარი ცოლი დაეწია და დაეჯაჯგურა.

პატრულის სირენებჩართული მანქანები მიადგათ ზედ. გამხეცებულ კაცს ხელები გადაუგრიხეს, ბორკილები დაადეს, მანქანაში შეაგდეს.

— სად მიგყავთ, ჩემი ქმარი! დამიბრუნეეეთ! მიშველეეეთ! — აკივლდა როზა, გამხდარი ცოლი.

— გამოფხიზლდება და მოგიყვანთ! – უპასუხა ქერა პოლიციელმა და მობილური მოიმარჯვა.

სასწრაფო გამოიძახა. როზას დასისხლიანებული დედა სახლში შეიყვანეს. თავი ორგან გახეთქოდა. ექიმმა ჭრილობები დაუმუშავა. ქალი ბედს წყევლიდა.

— გამოუშვი ჩემი ქმარი! – არ ეშვებოდა პოლიციელს როზა.

— ნუ მევაჭრები! ქმარი თუ გინდოდა, მე რას მირეკავდი! ეხლა მაცალე!— და პოლიციელმა ისევ სადღაც დარეკა.

მალე სასწრაფოს გვერდით ორი მანქანა ამოუდგა. ერთში, უკანა სკამზე ხელებდაბორკილი როზას ქმარი იჯდა, წინ კი პოლიციელები. გამხდარი მძღოლი ცოცხლად გადმოხტა და შარვალი გაისწორა. მელოტმა კომპიუტერში კირკიტი გააგრძელა. მეორე მანქანიდან ფურცლებიანი კაცი გადმოვიდა.

— ეს გამომძიებელია. კითხვებზე უპასუხე! — მანქანის კარი გაუღეს პატიმარს.

არსენამ გადმოსვლა დააპირა.

— არა, იჯექი და ისე!

გამომძიებელი პატიმრის წინ დადგა. ხელში ფურცლები და პასტა ეჭირა.

— თქვენი სახელი!

— არსენა მქვია, არსენა! რით ვერ გაიგეთ!

— რა გვარი ბრძანდებით, არსენ?

— მარკოზაშვილი! დიდი გვარის კაცი ვარ! პროკურორის ნათესავი! თელავში დაურეკეთ!.. გამიშვიიით! –მოულოდნელად მანქანიდან გადმოხტა და გამომძიებელს გაეჭიმა.

— დაჯექი! — ძლიერი ხმა გამოუშვა გამომძიებელმა.

არსენა გაჯგიმული იდგა.

— დაჯექი! — დაემუქრა გამომძიებლის ხმა.

არსენა ჩაფიქრდა.

— ა რ ს ე ნ, დ ა ბ რ ძ ა ნ დ ი!

არსენა მოეშვა და დაჯდა.

— რამდენი წლის ხართ?

— სამოცდახუთიანი ვარ.

— არა, ვერ ვიპოვნე! ესეთი არავინ არის! — დაიძახა მელოტმა და კომპიუტერს თავი მიანება.

— ცოლი როდის მოიყვანე, არსენ? — გააგრძელა გამომძიებელმა.

— ოთხი ცოლი მყავს!

— ეს, ბოლო, როზა როდის მოიყვანე?

— მაგის დედა მ. . . ! სომხები არიან! მე მაგათი!..

მანქანას მეორე მხრიდან მიეპარა როზა, ფანჯარაში თავი შეჰყო და ჩუმად უთხრა ქმარს:

— ჯაბა, დაწყნარდი და გაგიშვებენ!

პატიმარი აფართხალდა და უფრო აყვირდა.

— შენი სომეხი დედა მ . . . ნ! შენი!..

— ჯაბა დაწყნარდი! — მშვიდად გაუმეორა როზამ.

— შე ნაბოზარო, შენი!..

— როზა, მოდი აქ! აქეთ დადექი, რომ არ დაგინახოს! – დაუძახა ქერა პოლიციელმა.

როზა ხეს ამოეფარა.

— შენი ქმრის პასპორტი მოგვიტანე!

— არა მაქვს.

— მაშ ვის აქვს ?!

— არ ვიცი, სახლში არ მოუტანია.

შავი კნუტი სამალავიდან გამოძვრა და გამომძიებლის ფეხებთან გატრუნულ მწვანე კალიას მიაცივდა.

— გამიშვიიით! გამიშვიიით! – ყვიროდა პატიმარი.

როზამ ისევ შეიხედა მანქანაში.

— ჯაბა, დამშვიდდი!

— დედას მ . . . ვ!

— როზა, აქეთ გამოდი! თვალში ნუ ეჩხირები!

როზა ისევ ხეს ამოეფარა.

— ჯაბას რატომ ეძახი?

— ჯაბა ქვია და მაშ რა დავუძახო?!

— არა, ვერც ჯაბა მარკოზაშვილი ვნახე! — დაიძახა კომპიუტერს ჩაკირკიტებულმა მელოტმა.

— როზა, რა იცი რომ ჯაბა ჰქვია?

— ჯაბა ქვია!.. აქ რომ მოვიდნენ, ძმაც და შვილიც ჯაბას ეძახდნენ.

— მაგათი ტელეფონის ნომრები ჩამაწერინე!

— არ ვიცი.

— როგორ არაფერი იცი! კითხვებზე გვიპასუხე, როზა!

— არ ვიცი და რა ვქნა! ბლოკნოტში ეწერა და ჩხუბის დროს დახია.

კნუტმა ისკუპა და გამომძიებლის ფეხებთან გატრუნულ კალიას დაახტა. კალია დაუსხლტა და შორიახლოს გადაფრინდა.

სახლიდან ჯაბას თუ არსენას თავგატეხილი სიდედრი გამოიყვანეს. მოხუცმა ბაჯბაჯით გადაჭრა ქუჩა და ექიმების დახმარებით შეფორთხდა სასწრაფოში.

— სად მიდიხარ, დედა? — დაიყვირა როზამ.

— მამაჩემის მამასთან! — შვილისკენ არ მიუხედავს ქალს.

— დედაააა! დედაააა! — ატირდა როზა და მასთან შეხტომა დააპირა. პოლიციელებმა დაიჭირეს.

— გამიშვით! დედაჩემს უნდა გავყვე! გამიშვიიით! — მიწაზე გაწვა როზა.

მისი ტირილი რომ გაიგო, მანქანიდან გადმოხტა არსენა თუ ჯაბა.

— რა იყო, როზა? რას უშვრებით?! გაუშვით ვინა ხართ?! საიდან მოეთრიეთ?! როზაااა!

ქერა პოლიციელმა უკან შეაგდო მანქანაში, სასწრაფოს მძღოლს კი ანიშნა წასულიყო. მანქანა დაიძრა. უცებ დამშვიდდა როზა. ბრძოლა შეწყვიტა.

— გამიშვით! გამიშვით და პასპორტს გამოგიტანთ სახლიდან.

გაუშვეს. როზამ რამდენიმე ნელი ნაბიჯი გადადგა. მერე გაიქცა. სასწრაფოს დაედევნა. პოლიციელები და გამომძიებელი უყურებდნენ.

— გაიქცა! — აღმოხდა ქერას.

— ჩქარა მოათრიე, სანამ ქუჩიდან გადაუხვია!

ქერა ჩახტა მანქანაში და გამოეკიდა.

— გიჟები არიან! — ხელები გაშალა გამომძიებელმა.

— მართლა ვაკეში ვართ?! — შეხედა მას მელოტმა — თითქოს ვაკეში მოვედით, მაგრამ ესენი ვინ არიან?! აქ რა უნდათ?

— ვაკეში ხარ, ვაკეში! — გაიცინა გამომძიებელმა.

— მთელი ვაკე მიცნობს! მთელი ვაკე პატივს მცემს! გამიშვით! სიგარეტი მომაწევინეთ!

— კიდე რა გინდა? წყნარად იყავი, არაფერი გატეხო!

როზა დააბრუნეს.

— კითხვებზე გვიპასუხე და პირობას გაძლევ, მე თვითონ წაგიყვან საავადმყოფოში! — შეპირდა ქერა პოლიციელი.

როზა პასუხებისთვის მოემზადა.

— რამდენი წლის არის შენი ქმარი?

— არ ვიცი.

— ნუ გადაგვრიე, ქალო! კითხვებზე გვიპასუხე, თორემ შენც დაგიჭერთ!

— არ ვიცი და რა ვქნა! — ატირდა როზა.

— წყალი დამალევინეთ! — დაიღრიალა არსენამ თუ ჯაბამ — სიგარეტი მომაწევინეთ!

როზა წყლის მოსატანად გაიქცა. სანამ ეზოში შევიდოდა, გამომძიებელს დაავალა:

— ერთი ხელი გაუხსენი და პაპიროსი მოაწევინე!

— ბიჭო, ცოდოა, არა გაქვს? ერთი ღერი მიეცი! — პოლიციელს შეხედა გამომძიებელმა.

— მანქანაში მე არ ვეწევი და ამას უნდა მოვაწევინო?!.

კნუტი ყურადღებას აღარ აქცევდა ირგვლივ მობორიალე ადამიანებს და მანქანებს. მოურიდებლად დარბოდა მათ შორის და ცდილობდა მსუქანბარკლებიანი კალიების დაჭერას.

გამომძიებელმა პატიმრის დაკითხვა განაგრძო.

— რატომ სცემე სიდედრს?

— ოხ, მაგის სომეხი დედა მ . . . ნ! ტვინი მ . . . ა! აქ წადი! იქ წამოდი! ეს წაიღე! ის მოიტანე!

როზამ ბოთლით წყალი მოიტანა და ქმარს ტუჩებზე მიადო.

— მომშორდი შენი დედა მ . . . ნ! რას მასმევ?

— წყალია! არა გჯერა? აი, ნახე! — როზამ თვითონ მოსვა წყალი — ხომ ხედავ? დალიე, გენაცვალე! — ისევ მიუტანა ბოთლი ტუჩებთან.

— გაეთრიე აქედან! გაეთრიე, შენი!..

— როზა, გამოდი აქეთ, ქალო! ნუ აღიზიანებ! მოდი აქ! დედაშენის ტელეფონი ჩაგვაწერინე!

— არ ვიცი.

— მართლა დაგიჭერთ, როზა! გვითხარი დედაშენის ნომერი!

— არ ვიცი — ისევ ატირდა როზა.

— დაიჭირეთ ეს ქალი! დაადეთ ხელბორკილები! — დაიძახა სასოწარკვეთილმა გამომძიებელმა.

— ახალი აღებული ნომერი აქვს. ზეპირად არ ვიცი. ბლოკნოტში ეწერა.

მხატვარი ნოდარ ბადურაშვილი

— ბლოკნოტი მოგვიტანე!

— ხო გითხარით დახია — მეთქი!

— გამიშვით! რა დავაშავე?! კაცი მოვკალი?! რა გინდათ ჩემგან?! — ღრიალებდა არსენა თუ ჯაბა.

როზა ისევ მიიპარა ქმართან.

— გაჩუმდი და გაგიშვებენ!

— დედას მ . . . ვ!

— როზა გვაღადავებ თუ რა არის? გამოდი აქეთ!

— დედაჩემთან მინდა! წამიყვანეთ საავადმყოფოში! - წაუტირა როზამ.

— გაგვაგებინე, ვინ არის შენი ქმარი და ერთხელ კიდე გპირდები, მე თვითონ წაგიყვან!

— მგონი ეს უნდა იყოს! მოდით, ნახეთ! კოჩიევის გვარზე ყოფილა ადრე!

ყველა კომპიუტერს შემოეხვია. როზა ისევ ქმარს მიუცუცქდა.

— დედას მ . . . ვ!

— როზაააა! — დაიყვირა პატრულმა.

როზა ისევ ხეს მოეფარა.

— ადრე კოჩიევის გვარზე ეწერე, არა? — ჰკითხა პატიმარს გამომძიებელმა.

არსენამ თავი დაუქნია.

— უფრო მსუქანი იყავი, ხო?

— ამათ შემჭამეს, ამათი!..

— არკადი გქვია?

— არავითარი არკადი!

დიდხანს ადარებდნენ კომპიუტერში ნაპოვნ სურათსა და პატიმარს ერთმანეთს.

— როზა, მოდი აქ! შენ ქმარს არკადი ჰქვია?

— არა, რა არკადი?! ჯაბა ჰქვია!

— იქნებ პირადობაში უწერია არკადი?

— ჯაბა ჰქვია, ჯაბა! დამიჯერეთ!

— ისიც არ იცი, რამდენი წლის არის შენი ქმარი და როგორ დავიჯერო, რომ სახელს სწორად მეუბნები.

— არა ჰქვია არკადი, არა! შენ არკადი გქვია? — თავი შეჰყო მანქანაში როზამ.

— არავითარი არკადი!

— აი, ხომ გითხარით, ჯაბა ჰქვია! არკადი საიდან მოიტანეთ?

არსენა, ჯაბა თუ არკადი ისევ აღრიალდა.

— ამოწყდეს, ვინც შენ დაგალევინა! — გაკაპასდა როზა — იმან არ გაიხაროს!

— ფხიზელს როგორი ხასიათი აქვს? — დაინტერესდა ქერა პოლიციელი.

— ძალიან კარგი! ისეთი ჭკვიანია! ისეთი მშვიდი! ხვალ რო ნახავ, გაგიჟდები. იტყვი, ეს არის... ესაო?! არაყს ვერ იტანს. იმან არ გაიხაროს!..

შავმა კნუტმა მწვანე კალია დაიჭირა და ჩაკბიჩა.

როზამ ხელი წყლით დაისველა და ფანჯარაში გაუბედავად შეჰყო. ქმარმა ვითომ ვერ დაინახა. როზამ სახეზე ხელი მოუსვა. არსენა, ჯაბა თუ არკადი გაიტრუნა.

— აი ასე, გენაცვალე! მე არ გეჩხუბები! მოდი, წყალიც დალიე!

— როზა, წამოდი, საავადმყოფოში წაგიყვან! — მოშორებით გაჩერებული მანქანისკენ წავიდა ქერა პოლიციელი.

როზამ გახედა და ისევ ქმარს მიუბრუნდა. კაცმა ტუჩები აღარ მოაშორა ბოთლს.

— ეგრე, გენაცვალე, ეგრე! — ისევ მოწმინდა სველი ხელით სახიდან ოფლი.

გამომძიებელი და პოლიციელები იღიმებოდნენ.

— კიდე დალიე, კიდე!

— აღარ უნდა მაგდენი წყალი, როზა! საავადმყოფოში მივდივარ, წამოდი!

როზა ისევ სველ ხელებს უსვამდა ქმარს სახეზე.

— როზაა! — დაიყვირა ქერამ.

ძალით მოაშორეს არსენას, ჯაბას თუ არკადის როზა და პოლიციელს ჩაუსვეს მანქანაში.

ერთი კვირის შემდეგ, შუადღისას ბარაკიდან დინჯად გამოვიდა როზას დედა. ურიკის ხრიალით მას უკან მოჰყვა თვით არსენა, ჯაბა თუ არკადი. ურიკა დახუნძლული იყო ფერად-ფერადი ბუშტებით, სათამაშოებით, ტკბილეულით... როზაც გამოჩნდა.

სიდედრი წინ მიუძღოდა. უკან სიძე მიათრევდა ტვირთს. როზა ქმრის გვერდით მიაბიჯებდა.

ვაკის პარკში შევიდნენ. შადრევანთან, ხის ჩრდილში გაჩერდნენ. როზამ და დედამისმა ლამაზად გაშალეს სათამაშოები, ბუშტები...

არსენა, ჯაბა თუ არკადი გვერდზე გადგა, სიგარეტს მოუკიდა. როზამ ერთი კამფეტი გაფცქვნა, პირში შეიგდო, ქმართან მივიდა, წინ დაუდგა და შეჰღიმა. კაცი სერიოზული იყო. როზა დროდადრო უსწორებდა მაისურს, ღილებს უწვალებდა და თვალებში შესციცინებდა.

არსენა, ჯაბა თუ არკადი სიგარეტს აბოლებდა.

გრინფისი

შვიდასოცი გრამი დაიბადა გელა და ღუმელთან, ფეხსაცმლის ყუთში გაზარდეს.

ჩვეულებრივ სკოლაში სწავლა ვერ შეძლო. დედამ გონებაშეზღუდულ ბავშვთა სასწავლებელში მიაბარა. იქ გაიცნო გურანდა — დაბალი, გამხდარი, გამრუდებული ხერხემლით, მოგრძო ცხვირით...

და შეუყვარდა.

სკოლის დამთავრების შემდეგ, ბებოსა და პაპასთან დაბრუნდა ობოლი გურანდა. კვირაში შვიდჯერ ჩადიოდა გელა მის სოფელში. პაპამ მშობლების მიყვანა და ყველაფრის წესისამებრ ჩატარება მოსთხოვა.

მალე გამოაწყვეს სასიძოდ — პრიალა შავი შარვალი და თეთრი პერანგი ჩააცვეს. გაფშეკილი თმა დედამ წყლით დაუსველა და დიდხანს ვარცხნა...

ძმა, რძალი და დედა წაყვნენ თან...

მამას არ ეცალა. დიდი საქმე ჰქონდა წამოწყებული – ხევში, მდინარის პირას ბაღს აშენებდა. აკაფა, ამოძირკვა ასკილის, მაყვლის ბუჩქები. მდინარე ქვის ყორეში მოამწყვდია. მთას ფერდი ჩამოაცალა და ჩამოშლილი მიწა გაშალა.

— საძირკველს ნუ უთხრი მთებს! თავს ველარ შეიმაგრებენ და ჩამოცვივდებიან! — ბრაზობდა თმააფაფრული გელა.

ჯიუტად აგრძელებდა საქმეს მამა.

გაზაფხულზე მდინარის ვიწრო, ღორღიან-სილიანი ნაპირის ადგილას ფართო, დაბარულ-დაკვალული ბაღი გაჩნდა...

პამიდვრის ჩითილებს რგავდა მამა, როცა ცისფერი ჩრდილებით თვალებმოხატული გურანდა შეიყვანა გელამ სახლში...

თაფლობის თვე სოფლის ყველაზე მაღალ მთაზე გაატარეს. ჯაგებით მოღობილი, ხავსგაკრული ადგილი ჰქონდათ შერჩეული. ყოველდღე ხელჩაჭიდებული მიჰყავდა ცოლი მთისკენ და იქიდანაც ხელჩაჭიდებულები ბრუნდებოდნენ.

კარგი დიასახლისი აღმოჩნდა გურანდა. გელა განსაკუთრებით კარადაში ჩაწიკწიკებული ქათქათა თეთრეულით და სუფთა ტანსაცმლით ამაყობდა.

თვითონაც არ გაჩერებულა უსაქმოდ – დიდუბის ავტოსადგურში ბანანებს ყიდდა...

წვიმიანი შემოდგომა დადგა. აზვირთებულმა მდინარემ ერთიანად წალეკა ახალგაშენებული ბაღი. სველი და აკანკალებული დაბრუნდა შინ გელას მამა. ჩაწვა ლოგინში და აღარც ამდგარა. შემოდგომითვე დაასაფლავეს. დედაც მალე მიჰყვა ქმარს იმქვეყნისკენ.

გელამ ჯერ წამლის სმა შეწყვიტა, შემდეგ ბანანების გაყიდვა. პირველი გოგო რომ გაუჩნდათ, უკვე არ მუშაობდა.

აბორტის ფული არ გააჩნდა გურანდას. ამას არც დარდობდა. უნდოდა ბიჭი შესძენოდა, მაზლისცოლს რომ არ ჩამორჩენოდა. ყოველ წელს ბადებდა ბავშვებს. მხოლოდ გოგოები უჩნდებოდა...

გელას ძმას გოგოც ჰყავდა და ბიჭიც. ის „დეზერტირების“ ბაზარში, ნაქირავებ დახლზე ყიდდა ხილს და ოჯახის სამყოფ ფულს შოულობდა.

მამამისივით გელას ძმასაც მოუვიდა იდეა — სახლის ქვეშ, ერთიციცქნა, დაბალჭერიანი სარდაფის ადგილას სამზარეულო ოთახის გაკეთება გადაწყვიტა. აიღო მამის ნაქონი წერაქვი, ლომი, ბარი. ჯერ კედლები მოანგრია. მერე თხრა დაიწყო. დღითიდღე იზრდებოდა სახლის გვერდით ნათხარი მიწის გორა.

აფორიაქებული გელა ჩხუბობდა. მიწის უკან ჩაყრას მოითხოვდა.

ყურს არ უგდებდა ძმა. გულმოდგინედ აქოთებდა დედამიწას.

— საცაა მიწას გახვრიტავ, ჩავარდები და სახლსაც თან ჩაიყოლებ! – ჩაჰყვიროდა გელა ორმოში...

ნახევარ წელიწადში ფართო, თანამედროვედ მოწყობილ სამზარეულოში იღებდა გურანდას მაზლისცოლი სტუმრებს...

უფრო და უფრო აურია გელამ და უფრო და უფრო გაუძლიერდა ქალთან დაწოლის სურვილი. თავისი შვილები და გვერდით ოთახში ძმის ოჯახი ხელს ვერ უშლიდნენ. ბავშვებს გარეთ გაყრიდა და... ფანჯრის მინებს ეკვროდნენ გოგონები და ოთახში ინტერესით იჭვრიტებოდნენ.

ცოლის ცემაც დაიწყო.

ერთხელ გადარეულ ქმარს ძლივს დაუსხლტა ხელიდან გურანდა და გაიქცა. ისევ ფეხმძიმედ იყო.

უდედოდ დარჩენილ მშიერ შვილებს გამოკეტავდა გელა და დადიოდა გზაზე აღმა-დაღმა. ხან არავის ესალმებოდა. ხან კი უსალმოდ უცნობსაც არ გასცდებოდა.

ორ დღეში დაბრუნდა გურანდა შინ. გელა ისევ მუშტებზე იყურებოდა. მოკიდა ხელი დედამ შვილებს და წავიდა.

— სად მიდიხარ? – ჰკითხეს მეზობლებმა.

— ბავშვებს „ინტერნეტში“ მივაბარებ. მეც იქვე ვიმუშავებ.

— საპატრიარქოში მიდი! – ურჩია კოჭლმა მადონამ.

— ეგ რა არის? – იკითხა გურანდამ.

ბავშვები ჩაიბარეს თავშესაფარში. გურანდაც დაასაქმეს. მალე დაუჯერებელმა ჭორმა ააფორიაქა სოფელი – გურანდა გათხოვდაო!..

გზაზე სიარულს უმატა გელამ. აბურძგნილი თმა ჭუჭყმა გაუზიპა. ტანსაცმლი ჩამოეწუწა, დაულაქავდა, აუყროლდა. სალამზეც აღარ პასუხობდა შემხვედრებს. მიწას ჩაჩერებული დადიოდა.

— ჩაანგრევენ!.. ჩაანგრევენ!.. – ბურტყუნებდა გელა...

ამ ხეტიალში, ნაწვიმარ დილას, სოფლის მოედანზე მოხვდა. ხის სკამზე ჩამოჯდა და დაბრეცილ, მავთულებით შეკრულ ფეხსაცმელს ისე დაუწყო თვალიერება, თითქოს „კამფეტა“ და ლიჩარდა იქ არ მსხდარიყვნენ.

...გამსლიკული კაცი რომ იყო ჩამოსული ამასწინათ, ეგ იცი ვინ არის? თავის ნებაზე ატრიალებს სახელმწიფოებს! ხელში ჰყავს ამერიკის პრეზიდენტი! – ხელი დამუშტა ლიჩარდამ.

— ვითომ? — დაეჭვდა „კამფეტა“.

— რას მიქვია „ვითომ?“ ცუდად რომ ხდება, ნავთობის ფასი მაღლა იწევს! ეეეეჰ! ეგ და გერმანიის კანცლერი საყვარლები არიან!

— საცაა დედამიწა ჩაინგრევა, თქვენ კი სისულელეებზე ლაპარაკობთ! — წამოიბღავლა გელამ და თვალებგაფართოებული, გაშმაგებული შეაჩერდა კაცებს.

— სულ გაგიჟდა, ეს შობელძაღლი! — წამოიძახა შეშინებულმა ლიჩარდამ.

— მე გავგიჟდი? თქვენ „ტუფლებს“ შეხედეთ! რამდენი ტალახი აგიკრიათ! მიწას ათხელებთ! ცოტაც, ყინულივით ჩაამტვრევთ და ყველანი ჩავცვივდებით!

„კამფეტამ“ გაიცინა.

— შენ ის გირჩევნია, სამსახურიდან ცოტა-ცოტა ბეტონი წამოიღო და სადაც ხშირად დავდივართ, იქ დაასხა!

— ჩემი ჭიშკარი ვერ ჩამიბეტონებია. ერთი წელია ცოლი მეხვეწება! — წამოიწია „კამფეტა“, წელში გაიმართა და ნელი ნაბიჯით წავიდა.

— შენი სულელი დედაც!.. — შეუკურთხა ლიჩარდამ და უკან დაედევნა ძმაკაცს...

ღამე სოფლის ყველაზე მაღალ მთაზე, ჯაგებით მოღობილ, ხავსიან მიწაზე მოკუნტული იწვა გელა. თვალები დაეხუჭა. ირგვლივ მიწის მძაფრი სურნელი იდგა.

ყოფა

დაბალი, ლოყაწითელა ქალი იყო ნათელა და არ იცოდა, მის მიერ დამყარებულ წესრიგს მატრიარქატი რომ ერქვა. არც ის იცოდა, მატრიარქატი მრავალი საუკუნის წინათ რომ შეცვლილიყო პატრიარქატით. ამ გაუგებრობის გამო საცოდავ დღეში იყო ბეჟანა.

ბეჟანას უყვარდა სმა. ნათელა უკრძალავდა. გულკეთილი ადამიანები ჩუმად ასმევდნენ, რასაც ნათელას გაბრაზება და ბეჟანას სახრით ცემა მოჰყვებოდა...

ჭამაც უყვარდა ბეჟანას, ნათელას აზრით, ზედმეტის და ღორულად.

— ჩაქნა ამისი თავი! წელანაც ენთი ჯამი სუპი შეჭამა, მანა ან გაუძღა მუცენი! — მეზობლებს აგონებდა ნათელა.

— რას ამბობ, შენი ასე და ისე! — ბურტყუნებდა ქმარი, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა...

ქალებიც უყვარდა ბეჟანას. თვალები გადმოსცვივდა ქალაქში ბაზრისკენ მიმავალ პეტოს, ოთხ გოგოს შორის ჩამდგარი ბეჟანა რომ დაინახა. ახალგაზრდა, ასხლეტილ, წითელპომადიან ქალებს ხელკავით მიჰყავდათ ბეჟანა. სიცილით იხოცებოდნენ გოგოები. ტანადი სხეული გაეშალა ბეჟანას და კოხტად შეკრეჭილ ულვაშებში დინჯად იღიმოდა. ბედნიერი იყო. ისე ჩაუარა გაოცებულ მეზობელს, არც კი შეუნიშნავს.

— ფულის გამო დახვევიან თავს, თორე ამისთანა ანგელოზები ბეჟანას როგორ იკადრებდნენ?! კარგ ხელფასს იღებს „ბულკების“ საცხობში! — ფიქრობდა პეტო და ბაზრისკენ მიიჯგიმებოდა...

ნათელამაც იცოდა, როგორ დაეცინცლა ქმრისთვის ფუნთუშების თრევაში მიღებული გასამრჯელო. მარტოს ეძინა, მაგრამ ფული რომ დასჭირდებოდა, ქმრის საწოლს მიადგებოდა.

— მიიწი, ჩაგიგონდე! — გაუღიმებდა და ლოყებღაჟღაჟა, დიდმუცლიანი, დიდძუძუებიანი ნათელა ბეჟანას უგორდებოდა. ამან ბუნებრივი შედეგი გამოიღო — ბიჭი გაუჩნდათ!

ნათელა ისევ ნათელად დარჩა.

მხოლოდ ერთხელ გაბედეს კაცებმა მათ ეზოში საქეიფოდ ფეხის შედგმა. მაშინაც ნათელა შინ არ იყო.

ბროწეულის ხის გვერდით დადგეს დაბალი მაგიდა. ბეჟანამ ტაფით ერბოკვერცხი გამოიტანა. კაცებმა ღვინო მიიტანეს. დათვრნენ.

— მოდით, ბეჟანას ძმად შევეფიცოთ! — დაიძახა მსუქანამ და თვალები დაკარკლა.

— შევეფიცოთ! შევეფიცოთ! — უკან არ დაიხიეს ლიჩარდამ და პეტომ.

მსუქანამ დანას ხელი წამოავლო და თითში სწვდა მასპინძელს. ბეჟანამ ხელის წართმევა სცადა. ლიჩარდამ და პეტომ გააკავეს.

— რამ შეგაშინა, შე კაცო! ოდნავ გაგიფხაჭნით!

და მსუქანამ თითზე დაუსვა დანა. ბეჟანამ დაიყვირა. მიწას სისხლის წვეთი დაეცა. თვითონაც გადაისერეს თითები. გაჭრილი ადგილები ერთმანეთს გაუსვ-გამოუსვეს, სისხლი აურდაურიეს.

— დღეის ამას იქით, ბეჟანას ძმები ვართ, ძმებო! — ჭიქა მაღლა ასწია მსუქანამ — ბეჟანას მტერი ჩვენი მტერია!..

ამ დროს დაადგათ თავზე ნათელა. კაცები წამოხტნენ და გაიქცნენ. ცარიელ ტაფას დაავლო ხელი ნათელამ. ბეჟანამაც გაქცევა დააპირა. ვერ გაასწრო. მარცხენათი დაიჭირა ცოლმა და მარჯვენათი ტაფას ურტყამდა. ხელებით იფარავდა დარეტიანებულ თავს და გამხდარ სახეს. ღობის იქით ძმადნაფიცები იდგნენ და სიცილით იჭაჭებოდნენ...

ხანი რომ მოემატა, საცხობში მუშაობას თავი მიანება ბეჟანამ და მენახირე გახდა. ყოველ საღამოს მხარზე გადებულ მოზრდილ შეშის ნაჭერს მიიყოლებდა სახლში. რაც უფრო დიდი იყო შეშის ნაჭერი, მით ლმობიერი ხდებოდა ნათელა. იმ საღამოს საჭმელი არ ენანებოდა ქმრისთვის. ზამთრის პირზე შეშის იმდენი მარაგი ჰქონდათ,

ყიდვა აღარ სჭირდებოდათ.

მთლად რომ მობერდა, თავისა და ხელ-ფეხის კანკალი მოერია. ველარც ძროხების მწყემსვა შეძლო, ვერც შარდისა და განავლის შეკავება და მთლად გაუსაძლის ყოფაში ჩავარდა. წყევლა-კრულვით გამოიყვანდა ხოლმე ეზოში ჩასვრილ ბეჟანას ნათელა, გაატიტვლებდა გაძალიანებულს, გადააყუდებდა, ცივ წყალს მიუშვერდა და ცოცხით რეცხავდა. გაუბედავად იგინებოდა ბეჟანა. ნათელა ლანძღავდა და დროდადრო რეზინის მილის პირს თითს აჭერდა, წყლის ძლიერი ჭავლით მიწასთან რომ გაესწორებინა ქმარი. აკანკალებული განწმენდილ სუფთა ტანსაცმელს იცვამდა, სველ თმას მოკლე, წვრილკბილა, ალუმინის სავარცხლით გვერდზე ივარცხნიდა და მზის გულზე ჯდებოდა.

სისუფთავე უყვარდა ნათელას!

ნაკლებს აჭმევდა, ნაკლები გარჯა რომ დასდგომოდათ მას და ბეჟანას კუჭს. თუ ვინმე შეიბრალებდა დამშეულს და დააპურებდა, ნათელა ლანძღვას დაატეხავდა თავს მეტიჩარას. ბეჟანას კი ისევ სახრე მოხვდებოდა...

ჭირის დღესავით სძულდა სხვების ქეიფიც.

ერთ დილას მზეს აასწრეს კაცებმა და ორღობეში გაშალეს სუფრა. ერთხანს უყურა აყაყანებულ მთვრალებს ნათელამ და დუდღუნით დაბრუნდა ეზოში. ეშმაკურად ჩაჭუტა თვალი პეტომ და პატარა ბიჭს წყალი მიატანინა. მიიპარა პეტო ნათელას სახლთან, კედელს წყალი მიასხა. კვლავ რომ გამოიხედა ნათელამ და დასველებული კედელი შეამჩნია, წითელი ლოყები მთლად სისხლისფერი გაუხდა.

— მიწამ შეგიჭამოთ საფსმუნები! მიწამ შეგიჭამოთ კნეები! სახლები ანა გაქვთ, თქვე გათახსინებულებო?!

— რა ვქნა ნათელ, უცებ მომაწავა და ტვალეტამდე ველარ მივასწარი!— გაიკრიჭა პეტო.

გაცეცხლებულმა ნათელამ წყალი გამოიტანა და „შებილწული“ კედელი ჩამორეცხა.

კაცები ხარხარებდნენ. ნათელა „საფსმუნებს“ უწყევლიდა...

მაჭანკალმა შორეულ სოფელში მოუძებნა სარძლო. დიდი ქორწილი გადაიხადა. მთელი უბანი რთავდა ნეფედედოფლის სარეცელს. ხის საწოლი არ ჰქონდათ, ამიტომ ნათელასგან მრავალჯერ ნაწყევლი კაცები ერთ ზომაზე ხერხავდნენ ფიცრებს, თან ენაკვიმატი აზრებით აცინებდნენ ერთმანეთს. დახერხილი ფიცრები რკინისბადიან საწოლზე დააკრეს. ივარგა იმ ღამეს სიძემ. ცხრა თვეში ბებია გახდა ნათელა. ხელი აღარ გაუშვია შვილიშვილისთვის. ათი წლისაც ხელჩაჭიდებული დაჰყავდა, ქვებზე რომ არ წაქცეოდა...

რძალი კი ინდურ სიმღერებს მღეროდა. სუფრიდან სიმღერის გარეშე არ გაუშვებდნენ. ჯერ თავს გამოიდებდა. უარზე დადგებოდა, მაგრამ მაიმუნობის გუნებაზე მოსული მეზობლები რომ არ მოეშვებოდნენ, გათხოვების შემდეგ გასუქებულ ყელს მოიღერებდა და ამღერდებოდა — „ ენა ჯუპა ე მანა მე ...“

თვალებში ეშმაკებჩასახლებული მთვრალები იცინოდნენ და აქებდნენ. გათამამებული რძალი სიმღერას სხეულსაც აყოლებდა. ნათელა იბღვირებოდა...

ერთ ღამეს საშინელმა ხმაურმა წამოყარა ლოგინებიდან მთელი ოჯახი. მეზობლის ეზოში გაჩერებული სატვირთო მანქანა დაძრულიყო, ნათელას სახლის კედელი შეენგრია, კარადა გადმოეყირავებინა და ზედ შეწყობილი ბროლის საყვავილეები უამრავ ბრჭყვიალა ნამსხვრევად ექცია. აყვირდა ნათელა. აკივლდა რძალი. აღნავლდა ბავშვი. უბანმა გაიღვიძა. ბეჟანა თვალებს იფშვნეტდა. ღობესთან მიმდგარი ნათელას ბიჭი შემელოტებულ თავზე ხელს ისვამდა. ჩაერივნენ მეზობლები. დამნაშავე მანქანის პატრონმა პირობა დადო, ყველაფერს ავანაზღაურებო.

ამოუშენეს კედელი, გაულესეს, შპალერი გაუკრეს, საყვავილეებიც უყიდეს, მაგრამ ნათელამ სამუდამოდ დაკარგა სიმშვიდე. მანქანის ხმას გაიგებდა თუ არა, გამოვარდებოდა გარეთ და, ვიდრე საფრთხე მის სახლს არ გასცილდებოდა, იდგა. მშვიდად კი არა, ხელებაპყრობილი ღმერთს თავისი მტრის შინ არ დაბრუნებას შესთხოვდა.

— ერთხელ დავთვრები და შენთვის დავთვრები! — ემუქრებოდა მძღოლი და ხშირად თვრებოდა.

ატყდებოდა აყალ-მაყალი, გაწევ-გამოწევა. თმაგაწეწილი ნათელა თავისი ოჯახის უბნიდან გადასახლებას მოითხოვდა, ღმერთმა იცის — ვისგან. უდანაშაულო მეზობლებსაც მთელი კვირა უბღვერდა.

იცოდნენ, როგორ შეიძლებოდა ნათელას გულის მოგება. თუ ვინმე თეთრ ბალს მიართმევდა, სახე გაუნათდებოდა, გაებადრებოდა, გაიღიმებდა, გაკეთილდებოდა და გახალისებული დატრიალდებოდა — ბალს გარეცხავდა, თმიდან სამაგრს მოიხსნიდა და კურკებს სათითაოდ დააცლიდა. უკურკო ბალს ერთი საათით მარილიან წყალში ჩაყრიდა და მსუქან მატლებს ბუნაგებს დაატოვინებდა. მერე კი უგემრიელეს მურაბას მოხარშავდა, ქილებში ჩაასხამდა და ბეჟანას შეკოწიწებულ ხის თაროებზე, სხვა ათასი რამით სავსე ქილებს გვერდით მოუდგამდა.

ყველანაირი საჩუქარი ბედნიერს ხდიდა — ლეღვი, ნაყინი თუ ტოტიანი მოჩითული ქვედა საცვალი...

განსაკუთრებით კი აქლემებდახატული, ყავისფერ ქაღალდში გახვეული „ყარაყუმი“ უყვარდა. რვა ჭიანაჭამ კბილშერჩენილ პირში შეიგდებდა შოკოლადს, ჩაალბობდა, ჩასწუწნიდა და ჩატკბებოდა...

თვითონაც იცოდა პატივისცემა. თუ დაინახავდა მეზობელი ზამთრისთვის შესანახ პამიდორს ამზადებდა, დაუძახებლად მივიდოდა. მიიტანდა თავის დაბალ სკამს, შავტარიან, პატარა დანას და მიეხმარებოდა. მადლიერების ნიშნად თუ პამიდვრით თავმობმულ ჯამს არ გაატანდნენ შინ, ძალიან ეწყინებოდა და უბნის საჭორაოს გახდიდა ძუნწს...

ბავშვობის გახსენება სევდას გვრიდა.

— „პნიუტში“ გავიზანდე! — იტყოდა და თვალების ფაახულით უხილავი ცრემლების შეკავებას ცდილობდა.

იქ რამდენიმე რუსული სიტყვა ესწავლა, რითაც თავი მოჰქონდა შვილიშვილთან.

— „ა ნუკა იძი სუდა“! — და ამაყად გაიღიმებდა...

დღე დღეს მისდევდა, ღამე ღამეს...

ჯერ ბეჟანას ყოფა შეწყდა, მერე ნათელასი...

სასაფლაოზე, ბალახიდან თავი ამოეყოთ შავ მარმარილოს ქვაზე დახატულ ბეჟანას და ნათელას. იღიმოდა ბეჟანა, როგორც მაშინ, ოთხ გოგოს ხელკავით რომ მიჰყავდა. ნათელასაც ისე გაბადროდა სახე, თითქოს ვიღაცამ მთელი ყუთი „ყარაყუმი“ მიართვაო. იქვე, მზის სხივებისგან გახუ-

დროის ბორბალმა იტრიალა
საღამოს ბინდში,
ძველი ბაღები გააცოცხლა
სევდიან ფიქრში,
ხეზე ბიჭი ზის,
წიგნს კითხულობს,
მოელის გოგოს
და აქ გაჩერდეს იქნებ დრო და
მტვრიანი ფიქრი...
სუფთა, ნათელი, შეურყვნელი
გადარჩეს ბიჭი...

ინგა მილორავა

დაბრუნება

საიდან მოდის ნეტა ეს გზა... რატომ მოვედი...
რამ გადაწყვიტა ჩემი მოსვლა მიწაზე სტუმრად.
მე არ მინდოდა..არავინ მკითხა
და მზიან დილას უსასრულო ტკივილით გავჩნდი.
ტირილით მოდის ყველა სული სხეულში ქვეყნად
და მეც ვიტირე ალბათ მწარედ პირველად მაშინ.
თუმცა რა მახსოვს... ან ვის ახსოვს... კი... ვიტირებდი...
მერეც ისედაც უსაშველოდ ბევრია ცრემლი...
მხოლოდ გზის ბოლოს შრება თვალი, ივსება გული,
ზოგის კი მხოლოდ იფლითება, იმსხვრევა, ხმება.
ბედნიერია, ვისაც მკერდზე დაეცა ვარდი,
ვისაც თბილ სახლში მიაცილებს სხვისი ცრემლები,
ყველა ვერ ხდება ღირსი ცრემლის, ტკივილის, დარდის...
ახლა სტუმრად ვარ და ველოდები შინ დაბრუნებას...
ეს ერთადერთი ისარია, ფრთიანი, სწრაფი,
გარდაუვალი დაბრუნების მშვილდ-ისრის შვილი,
ლაღს, ბედნიერსაც რომ ეწევა მზით სავსე გზაზე
და უბედურსაც — მკერდდაგლეჯილ მრუმე ღრუბლებში.
ახლა სტუმრად ვარ ხალხით სავსე გაყინულ ველზე,
ყველა უცხოა და მათ თვალებში ვერ ვხედავ ჩემს თავს,
ვერ ავირეკლე — ან მე ვარ ავი, მაქცია, ბნელი,
ან მათი გული აღმოჩნდა გლუვი და შეუვალი -
რომ ვერ ვიპოვე ერთი კარი, ერთი სარკმელიც
და სარკის ნაცვლად დამხვდა ბნელი ცივი კედელი...
თვალები — მხოლოდ გადათხრილი გვირაბი შავი.
გულები — ფსკერი, დალექილი ბოღმა და შლამი.
ვერ ავირეკლე... და მარტოსული ვეძებ გასასვლელს,
რომ დავაღწიო თავი მტვრიან, ხმაურიან, სავსე ოთახებს,
როგორმე იქნებ ვიპოვო კიბე, დავბრუნდე სახლში,
სადაც უსიტყვოდ გაიგებენ ჩემს დარდს და ტკივილს,
სადაც არავინ დაუნდობელს არ მეტყვის სიტყვას,
სადაც სიჩუმე სიყვარულით იქნება სავსე
და არა ბნელი, უსულგულო, რკინის ეჭვებით.
როგორ მოველი დაბრუნებას ჩემს ნათელ სახლში.
ან რა მინდოდა ამდენ ხანს სტუმრად, შემცივდა ქარში.
მივდივარ შლამში, ვეფლობი, ვდგები, ვეძახი, ვკვნესი,
არ ესმის ჩემი გაყინული ტბების იქით უკვე არავის.
მივდივარ მარტო, დამეკაწრა ეკლებით სახე,
მივარღვევ ლაქაშს
და ვეძებ კიბეს, რომ დავაბრუნო უვნებელი
როგორმე ტვირთი,
რომლითაც ასე უმიზეზოდ ვეწვიე მიწას, დავტოვე სახლი —
გული მისკდება, არ ჩამადნეს ხელში უცებ ფერადი სული.
რა პასუხს გავცემ მაშინ იმათ, ვინც მელის სახლში,
ვინც იცის ჩემი ხეტიალის, ყოფნის მიზეზი...
საიდან მოდის ნეტა ეს გზა... რატომ მოვედი...
მე არ მინდოდა... არავინ მკითხა და მაინც გავჩნდი.
არც დაბრუნებას მეკითხება ალბათ არავინ.
უცებ, ერთბაშად, ყვავილებად იქცევა გული
და სიყვარულის ოქროს წვიმად მოვა სიმშვიდე.

ქუჩა. ოთახი. სამსახური. ხმაური. ხალხი

ქუჩა. ოთახი. სამსახური. ხმაური. ხალხი.
სიჩუმე. ჭერი. დაბზარული ლითონის ჭაღი.
კარადა. კაბა. წიგნის თარო. ჭრიალა ტახტი.
ტრანსპორტი. გზები. დიდ ქალაქში შემცბარი ტაქსი.
უხმო ყვირილი. მარტოსული ჩიტების სევდა.
ფანჯრის რაფაზე დაყრდნობილი უშვილო დედა.
თავგაჩეხილი ყვავილების ქუჩის აკლდამა
და მზესუმზირის ნაფცქვენებით სავსე კალათა.
ქუჩა. ოთახი. სამსახური. ხმაური. ხალხი.
გაუგებარი საუბარი, უდარდო დარდი.
სიცილი მაშინ, როცა ყველას ტირილი უნდა.
მრუში ტუჩები უნებართვოდ დამცხრალი ყურთან.
ფოლადისფერი, ნისლიანი ძველი სახლები,
გარედან ჭრელი, შემინული, ვითომ — ახლები.
ზაფხულში ყინვა. მზეში თოვლი. ზამთარში ხვატი.
ვიღაც ვერ უძლებს უსასრულო, უაზრო ლოდინს —
შეკრა კამარა
და სამუდამოდ ჩაიკეტა მდინარის კარი.
ქუჩა. ოთახი. სამსახური. ხმაური. ხალხი.
წყალი. მწვანილი. კარტოფილი. სარეცხი. ქვაბი.
სარკეში სიღრმე ნაოჭების. თვალებში — ზარი.
სიტყვები ლიქნის, ვერმიხვედრის. გამხმარი ბაღი.
სიცარიელე. შფოთვა. გვემა. ტბორები ცრემლის.
შორეულ გზაზე საგზლად მიაქვთ უგულო დღეებს
უცხოდ ქცეული სულის ხმა და ტკივილის ფერი.
მხოლოდ ტკივილს თუ შერჩენია აქ ახლა ფერი.
სხვა ყველაფერი ერთი დიდი რუხი ორმოა.
არავის ესმის ერთმანეთის და ბრბოდ ქცეული
სახლს ვეღარ აგნებს სიყვარული, დაიბნა გზაში.
გარდასულს ნისლი შეეჩვია. დღე დადგა თალხი.
ქუჩა. ოთახი. სამსახური. ხმაური. ხალხი...

გზაზე...

პირველად შევცბი, დავიკარგე უსიერ ტყეში,
აქამდე თურმე ვბანაობდი ჩახჩახა მზეში
და თბილ სხივებში გახვეული, თუნდ სევდით სავსე,
მაინც სიყვარულს დავეძებდი მოჭედილ ცაზე.
თურმე ტყუილად მიელტვოდა კაცი სინათლეს,
გზა აბნევია უდაბნოში მბრწყინავ სიმართლეს
და სიყვარულის ენძელების კონების ნაცვლად
შემომაჩეჩეს ხელში ძვლების ჩხარუნა აცმა.
უნდა იარო ქვეყანაზე როგორც სალოსმა,
აღარ გეღირსოს გულიანი ერთი დალოცვა.

რადგან ამქვეყნად შენიანი არავინ დარჩა,
თავის ქალებით მოიფინა ეზო და ბაღჩა,
ქუჩები ,მთები და სიმარტოვე ყვირის კარებთან,
ვეღარ მოვიდა სიყვარული დარდის ბაღებთან.
მის ნაცვლად ბოღმა, ანგარება ხარხარებს ქარში
და სიძულვილი შემოიჭრა ოთახში, სახლში.
ვინღა განდევნოს სიძულვილი, მახინჯი, შავი,
ლურჯ კბილებს დაკრეჭს, გაიცინებს, ძლიერი, ავი,
როცა მარტო ხარ, მოგერევა, როცა მარტო ხარ,
როცა ბნელში ხარ, მოგერევა, როცა ბნელში ხარ,
როცა ყინულში ჩაიძირა ვისაც უყვარდა სიცოცხლე, სითბო,
არავინ მოვა, აღარ მოვა, ტყუილად ითხოვ,
არც შენ გაქვს ძალა, არც მშველელი არ ჩანს არავინ
რა დაგრჩენია? გამოდი გზაზე და იარე მარტომ მანამდის,
სანამ სიცოცხლე არ მოხურავს შეჭედილ ჭიშკარს
და მოვა სითბო, ფრთებთან ერთად დატოვებ მიწას...
რა დაგრჩენია? არ დაეცე, გამოდი გზაზე...
ამაყი, მძლავრი, უძლეველი გამოდი გზაზე...

ჩემი ქვეყანა

ეს ჩემი ლურჯი ქვეყანაა, ზღვის ტალღის ფერი,
ატმის ყვავილის რბილ ნამქერში,
მაისის თაფლის ტკბილ სურნელში გაყუჩებული
და მის სიყვარულს არ სჭირდება სიტყვით გამოთქმა.
ჩუმად ვუკმევდი გუნდრუკს ალბათ მზით გამთბარ გულში,
რომ არა დარდი ამ მთების და ამ ქალაქების,
რომ არა დარდი გამოცლილი ძველი ქვევრების.
რაა სიტყვები, დაემსგავსნენ ყალბ მარგალიტებს
დიდი ხანია
და წვრილ ნემსებად ესობიან გათოშილ სხეულს,
მაგრამ სამშობლო ჩემს ტკივილზე უფრო მეტია
ის ითხოვს ბგერას, ის ითხოვს სითბოს.
მწიფე და სავსე მიწის სურნელს წაიღებს ქარი,
დაიშანთება უცხო ცეცხლით ეზო და კარი...
სად დაკრას კაცმა, გამოშიგნულ მინაზე ბარი,
ვინ მიიტაცა მწველი მზის ქვეშ მისი ადგილი?
სამშობლო ჩემი იდეაა სიყვარულის, ზეცით მოსული,
და ათასწლოვან მყარ სხეულში შეუსხამს ხორცი,
რომელიც ახლა იდაღება, ბორგავს, ირყევა და
შიმშილისგან ღონმიხდილი თხოულობს შველას,
არავის მისი აღარა აქვს ამქვეყნად დარდი,
რადგან იბრძვიან ბნელ ჯუნგლებში გადარჩენისთვის...
ჩემი სამშობლო მოხუცია, როგორც ბებია
და უმწეოა როგორც თოთო პატარა შვილი
და მის სხეულზე იარებად ამოსულა დღეს გულგრილობა,
უიმედობა, სიბრაზე, შიში...
ქუჩაში გდია ცრემლიანი მოხუცი ქალი და
დაკრუნჩხული, დაკონკილი პატარა ბავშვი.
ჩემი სიტყვები ზედმეტია, უმწეო სუსტი,
როცა მდინარემ გადაყლაპა უკვე სხეული
მწარე ბედისგან დაფლეთილი ბებერი კაცის...
რა ლამაზია ჩემი ძველი, მსხმოიარე ქვეყანა — ვაზი,
რა ლამაზია მისი ისევ მფეთქავი გული,
და ტკბილი, თბილი, მაჭარივით შუშხუნა ენა,
მაგრამ როდემდე? როდემდე გაძლებს ასე მაინც?
მაინც როდემდე?

ზღაპრების წიგნი

წვრილი ყვითელი ყვავილები თიხის ქოთანში,
რძე დიდ ტოლჩაში და შაქრის ნაცვლად
ხელისგულებში მოგროვილი მზის ნატეხები,
კედელზე ფრთხილად დაცოცავენ რბილი ჩრდილები
და მეწამული სითბო ავსებს გაყინულ სხეულს.
ტკბილ სიმშვიდეში იფურცლება ზღაპრების წიგნი,
ფანჯრის წინ ქარი აშრიალებს თავდახრილ დაფნას.
ოქროს აღვირი დავარდნია გრძელ გზაზე ზღაპარს,
შეარხევ — უცებ მოფრინდება ფრთოსანი რაში...
რა იქნებოდა ყველაფერი იყოს მარტივი,
არც სიხარული დაიკარგოს ეკლიან გზაზე,
არც ოცნებები დაიფერფლონ სუსხიან ალში,
მზე სიყვარულით ჩაიძიროს სურვილის ტბებში...
რა იქნებოდა ყველაფერი იყოს იოლი,
თეთრი, უმტვერო, უტყუარი, პირთამდე სავსე
და გაქრეს შიში, საწამლავი და მოსასხამი,
დამჭკნარ ფოთლებად ჩამოცვივდეს ყველა ნიღაბი,
მერე მოხვეტოს და ბნელ ღამეში წაიღოს ქარმა...
დასრულდეს ფუჭი, უსულგულო , ყალბი თამაში,
გაშლილ ველებზე უაღვიროდ გასხლტნენ რაშები.
ასკილის ტევრში მოელვარე ციხე-კოშკებში
მუსიკის ხმაზე აშრიალდნენ მძიმე ფარდები
და აწეული ხიდების მიღმა გადარჩეს გული,
რომ ვერ იპოვოს ერთი ღრიჭოც ბლანტმა ტკივილმა...
ისეთი იყოს ეს სამყარო, როგორიც მაშინ,
როდესაც ბნელში აკიაფდა სიცოცხლის სხივი
და სიყვარულის ნაპერწკალი გაკრთა ჭალებში.
ოქროს აღვირი შეარხიოს დაღლილმა ხელმა
და გაჩნდეს რაში, შუბლვარსკვლავა, ვერცხლის ხალებით,
ქარის ჭავლებში გაიქროლონ გულმა და ცხენმა,
იყოს სამყარო უსასრულო, მაგრამ მარტივი,
იყოს სიტყვები მოოქვრილი, მაგრამ ნამდვილი,
არც ერთი წუთი არ აღმოჩნდეს ფუჭად ჩავლილი,
სიცოცხლე უცებ გადაიქცეს წიგნად ზღაპრების...
არც ერთი წვეთი ჭაობების მუხთალი სიღრმის
არ მიეკაროს, არ შეახმეს სინათლეს სიზმრის.

დაღლილობა

გადაღლილია ყველა კედელი, სახლი და ბაღი,
ქანცგაწყვტილი ცხენების ფლოქვებს ედება ხავსი,
და ცარიელი, აზრდაცლილლი სხეულის გარსი
დაეხეტება შორეული ფიქრების ზღვაში,
რომ გამართლება მოუძებნოს მიწაზე მოსვლას,
წამით სტუმრობას...
არ დაწერილა ქვეყანად წიგნი, ერთი სტრიქონი,
ბედნიერების მიწაზე პოვნის დიდ საიდუმლოს
რომ სრულად ფლობდეს და ასწავლიდეს,
არ შეუქმნიათ სიხარულის მუდმივი ძრავა...
სამაგიეროდ ამოხეთქა გულიდან კითხვამ
ბნელ ციხე-კოშკში: „ყოფნა-არყოფნა?“
ბედნიერების უვიცები გზას ეძიებენ სველ უდაბნოში
და მძაფრი გრძნობა, უჩვეულო და უსახელო
დაბუდებული, შეყუჟული მყიფე ნაჭუჭში
ყოველდღე ამტვრევს ციხის კედლებს, გამოდის გარეთ

პოეზია

და მერე უკან დაბრუნებას ნატრობს ამაოდ.
რაა წამალი მიწიერი ტკივილის, გვემის?
სიყვარულია, იტყვის ყველა,
მაგრამ სიყვარულს თან ახლავს ბასრი შფოთიც და დარდიც..
რაც მეტი ვინმე ან რამე გიყვარს, მეტია შიში,
მათი არყოფნის, ტკივილის, სევდის,
მათი იმედის კოშკების მსხვრევის.
იქნებ ჯობია სიცარიელე,
რომ დაღლილობამ ვერ იპოვოს იქ ნიადაგი,
ვერ მოიკიდოს ფეხი სივრცეში,
სადაც არაფერს არა აქვს ფორმა, არ აქვს სახელი,
მაგრამ მიწაზე ყველაფერი სავსეა სისხლით,
მძიმეა, თბილი, მომლოდინე, მფეთქავი, მყარი
და სიხარულის მუდმივ იმედს ისხამს კვირტებად,
თუმცა ამაოდ...ხშირად ამაოდ...
იქ როცა მიხვალ, სადაც ოდესმე
ხომალდი — გული ჰპოვებს მშვიდ ყურეს
და სიჩუმეში ფიქრის ღვინო აავსებს დოქებს,
სადაც ვარსკვლავის ვერცხლისფერ სიმებს
ძველ ვიოლინოს შეაბამს ხელი
და შვების ღრუბლებს გააყოლებს ტკივილის ჰანგებს,
სანამ იქ მიხვალ, კარგი იყო,
ცოტა მაინც ბედნიერება,
სულ ერთი ყლუპი აქვე, მიწაზე,
რომ დაუღლელი სავსე სულით
შეხვდეს სიცოცხლე მარადიულ მზეს...
სულ ერთი ყლუპი იმისი, რისი საიდუმლოც
ვერც მოიძია, ვერც ამოხსნა ქვეყნად ვერავინ...

პირველი შთაბეჭდილება

„ჩემი ქვეყანა“ — სათაური კი არა, დარდია. უხსოვარი დროიდან დარდთა შორის ყველაზე უფრო კეთილშობილი. არა მასშტაბისა და სიღრმის გამო, დროისა და სივრცის ნიშნებით დასეტყვილი აბსტრაქცია, არამედ კონკრეტული, ხელშესახები, როგორც „ზღვის ტალღის ფერი“, მოუხელთებელი „ლურჯი ქვეყანა“. პოეტის ფიქრით მოსავადებული, თიხის სურაში ჩასხმული ბადაგი, ჩაღვრილი და შედედებული ჩვილის ტანში, მოხუცის ტორსში, რომელსაც ტაძარი უფრო ეთქმის, ვიდრე სხეული.

ინგა მილორავას ქვეყანა... ბიბლიური დატირებაა დაშრეტილი მადლის, დახოცილი შვილების, ფერწასული სინათლის სვეტის. პოეტის სევდა „ჩაკეტილი მდინარეების“, გამქრალი სიკეთის, დამშრალი ჭების, გაშავებული სულების, ძვლების, ტყვიისფერი მრუმე ზეცის და ამღვრეული ნაკადულების გამო...

მერე რა რომ ჯერ ისევ **„ლამაზია ჩემი ძველი, მსხმოიარე ქვეყანა — ვაზი“,** გაკაფულ ტყესავით აქა-იქ ისევ ისმის მისი „ტკბილი, თბილი, მაჭარივით შუშხუნა ენა“.

„როდემდე გაძლებს ასე მაინც? მაინც როდემდე?“ — აი, დარდი ნამდვილი პოეტის.

„ჩემი ქვეყანა“ — ინდივიდუალური, კონკრეტული, ხელშესახები.

„ახლები“ აღარ არიან ინდივიდუალურები, კონკრეტულები.

ისინი უღიმღამო „თავგანწირვით“ ეთამაშებიან სიტყვებს და ზოგადობით ერთობიან.

მათი „აფეთქება“ საახალწლო შუშხუნებივით ერთჯერადი და სულმოკლეა, როგორც ყველაფერი ხმაურიანი, ამიტომ აღარ ხდება სიტყვათა შეუღლება, აღარ იბადებიან მათი შვილები: აზრები და მეტაფორები.

სამაგიეროდ, ჩნდება ტექსტები — ტრამალებივით გულისგამაწვრილებელი და ერთფეროვანი.

მეტაფორა პოეტის ხსოვნაა.

ხსოვნა კი გამძიმებს, როცა წრეში ტრიალებ, როცა ერთ ადგილს ტკეპნი.

უმეტაფორო პოეზია დავიწყებისთვისაა განწირული.

„ახლებს“ ეს აწყობთ, მათი ამბიცია კონფორმიზმზე შორს ვერ მიდის.

როცა არაფერი გახსოვს, ე.ი. როცა არაფერი იცი, უფრო იოლია ცივილიზაციის სახელით ახალი გვინეის აღმოჩენა თავისი უცნობი ტომებით; მგრძნობიარე, ემოციური, ველური აბორიგენებით...

მეტაფორა პოეტის ღია ჭრილობაა.

ამიტომ ნებისმიერი განაკაწრი ცხვირში მუშტის ამორტყმასთან ასოცირდება და სისხლდენასავით საგანგაშოა.

ამიტომ ომში წასვლის სიხარული („ომში წასვლა მას უხარის“...), ანდა დუელით დაცული ღირსება ისეთივე ბარბაროსობაა მათთვის, ისეთივე შორეული და გაუგებარი, როგორც ლამანჩელის ქარის წისქვილები, როგორც სევდა გალაკტიონის: „მოუნათლავი ბავშვები სკოლისკენ მიიჩქარიან“.

„ახლები“ აღარ ტირიან. ამაზე იზრუნეს. ცრემლი წამალივითაა გული რომ მოალბოს. ამიტომ ეს წამალიც აკრძალულია.

გალობა მაღალი რეგისტრია, ცისკენ მიმავალი განზომილება. „ახლები“ გალობენ კი არა, ვეღარც კი მღერიან; ვეღარც იწყევლებიან, პრინციპში, სწორადაც იქცევიან.

თუ წყევლა იერემიას გოდებასავით თავზარს არა გვცემს, სჯობს, რომ დადუმდე. ჰოდა, უფრო ჭკვიანები დუმან.

პრაგმატული თაობა გასუსულია.

ხანდახან მაინც გამოუვლით და ე.წ. „აქციებს“ აწყობენ ე.წ. „საზოგადოებრივი აზრის“ წინააღმდეგ.

სულსწრაფები, უნიჭოები, ნიჭიერი გამყიდველები... ხანდახან ამა სოფლის მთავრისაგან შეკვეთილ წირვას აყენებენ და გულმოდგინედ ილანძღებიან.

გინება მოდაშია, პრემირებულია. განსაკუთრებით დედის გინება. განსაკუთრებით კონკრეტული პოეტის კონკრეტული დედის.

აბა, აბსტრაქტული სამშობლოს გინებას რაღა დაუდგება წინ. რომელი ნიჭი, რომელი ტაბუ, რიდი და მადლი შეაჩერებს ამ აღვირახსნილ კონვულსიას.

პოეტის ქვეყანა — ტოტალური დაღლილობის ქვეშ მოქცეული ჩვენი ქვეყანა — **„გადაღლილია ყველა კედელი, სახლი და ბაღი ქანცგაწყვეტილი ცხენების ფლოქვებს ედება ხავსი“.**

პოეტის ოცნებაა — ეს ქვეყანა ზღაპრის წიგნად იქცეს, ე.ი. როგორც ზღაპარშია კეთილმა ბოროტი დაამარცხოს, ობლის კვერი გამოცხვეს და სამართალმა პური ჭამოს. ცხრა ნეტარება სულში ჩასახლდეს და თალხი თეთრმა შეცვალოს.

ინგა მილორავა — პიროვნება, მშობლიურ და ევროპელ კულტურაზე აღზრდილი გულთბილი ინტელექტუალი, ნამდვილი ესთეტი, რომლის უცნაური ხიბლი, პირადად მე, ინგას გენეტიკაში შერეული ფრანგული სისხლის ბრალიც მგონია.

ლიტერატურული სამყარო კარგად იცნობს ამ მრავალმხრივ შემოქმედს. იგი ფილოლოგიის დოქტორია, არაორდინალური მკვლევარი, მოთხრობებისა და პიესების ავტორი.

რამდენიმე თვის წინ კი, ინტერნეტსივრცეში მისი ლექსები შეცურდა, როგორც თოლიები ზამთრის ზღვაში, როგორც აფრებდაბერილი ქათქათა ნავები.

ჟურნალ-გაზეთებმა ვირტუალური ქვეყნიდან ეს ლექსები წამოიყვანეს და თავის ფურცლებზე კუთვნილი ადგილი მიუჩინეს.

ინგა მილორავა — ერთგული, კეთილი, ლამაზი სული. სანამ ასეთი სულები არსებობენ, ცოცხლობს იმედი, რომ პოეტის ქვეყანაში — ჩვენს ქვეყანაში

„სუფთა, ნათელი, შეურყვნელი გადარჩეს ბიჭი“.

ეკა ჯოხაძე • ინგა ქვეყანა

შოთა ბოსტანაშვილის პოეტური ოპუსები მკვეთრად გამოხატული აქცენტურობით გამოირჩევა. ძირითადად ეს ეხება ფონიკურ და სემანტიკურ მხარეებს. უნდა ითქვას, რომ თანხმოვნების გამეორებაზე აგებული აზრობრივი კომბინაციები, რომლებიც, ერთი შეხედვით, მხოლოდ სათამაშო მანიპულაციების ფუნქციით არის აღჭურვილი, სინამდვილეში წარმოადგენს მწყობრ პოეტიკაზე დაფუძნებულ ტექსტებს.

უცნაური შეგრძნება გეუფლება ამ ტექსტების კითხვის დროს. თითქოს არქიტექტურული ნაგებობის წინ დგახარ და შეჰყურებ კონსტრუქციებს, რომელთაგან არცერთი არ მეორდება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, რაღაც გამაერთიანებელი ძალა თავიდან ბოლომდე სალტესავით დაჰყვება მთელ კომპოზიციას. ეს არის ძალა ავტორის ნებელობისა და გნებავთ ნებისა, რომელიც განსაზღვრავს ლექსის სუგესტიურობას. დიახ, არის აქ ჩაგონების, შთაგონების, ზემოქმედების, მინიშნების ეფექტი, ხაზგასმული ტენდენცია მკითხველის ყურადღების მიპყრობისა და, მეორე მხრივ, არის სანინააღმდეგო განწყობაც საიმისოდ, რომ ეს ყოველივე წარმოვიდგინოთ როგორც თვითკმარი, ავტონომიური მოცემულობა, რომელიც სულაც არ უწევს ანგარიშს მკითხველის ფაქტორს, მკითხველის გემოვნებას თუ აზრთა წყობას.

ნუ დაგვავიწყდება, რომ შოთა ბოსტანაშვილი არქიტექტურის პროფესორია და ამ დარგში შექმნილი აქვს საკმაოდ თამამი, ავანგარდისტული კომპოზიციები, რომლებიც სწორედ სემანტიკური შტრიხების გამოკვეთით გამოირჩევა. სხვათა შორის, არის მის ლექსებში რაღაც, რაც არქიტექტურული თვალსაზრისითაც არის საინტერესო. უპირველეს ყოვლისა, ეს არის რიტმი და ხაზი. მან კარგად იცის, რომ პოეზიის მიზანი არის საგნის შეგრძნება და არა ამოცნობა. ალიტერაციული აქცენტები სწორედ შეგრძნების გამძაფრებას, მისი ინტენსივობის ამაღლებას ემსახურება. აქ თანხმოვანი მეტყველებს, თანხმოვანი ქმნის კომუნიკაციის ველს, ფორმა კი იპყრობს და იკავებს აღქმის სივრცეს.

შოთა ბოსტანაშვილის ლექსის თავისებურება ისიც არის, რომ თავის თავში უკონფლიქტოდ ითავსებს ტრადიციულსა და ავანგარდულს. მაგალითად, „რახელის“ ევფონიაში იგრძნობა მე-XVI-XVIII საუკუნეების ქართული პოეტიკის გამოძახილი, ზოგიერთი სემანტიკური თამაში კი უშუალოდ ჩახრუხაძის „თამარიანის“ ვერბალურ ეფექტებს გვახსენებს.

ერთი სიტყვით, საინტერესო საკითხავია — ლექსი როგორც ბგერწერა და სემანტიკურ-ისტორიული დისკურსი.

შოთა ბოსტანაშვილი

რახელს

რახელ, რა ხილვა მეახლა მე ახლა:
რახელ, რამხელა გამხდარხარ, რახელ!
რახელ, რა ხანი გასულა...
ასულა სულა
მარსის მინდორზე, მეფეთა გვერდით
და იქ ქანდაკად დგას.

რახელ, რა ხელად გავიდნენ წლები,
წყლები დაიწრიტნენ, რახელ...
რახელ, რა ხელი-ხელ დაგყავდი,
ხელჩაკიდებული, რახელ!

ხარანი ხარ ჩემი გ ზების,
ჩემი გ ზნების,
ჩემი ვნების საყუდარი, რახელ!
რახელ, რა ხელმოკლედ ვცხოვრობდით,
ხელმწიფესავით მივლიდი, რახელ!
რახელ, რა ხილით ივსებოდა შენი ხალთა — კალათა, კალთა;
რა ხილილო ხარ, რახელ!

რახელ, რა ხე იდგა შენს ეზოში,
ის ხე კეთილი ვნახე...
ხელკეთილი ხარ, რახელ!
რახელ, რა ხეხილის ბაღი...
რა ხელით, რა გულით დარგული, რახელ!
რახელ, რა ხმაა ნაბაღარიდან?..
ან რომელი გახმიანდა?..
ანდა იქნა,
რო მელის ხმა გახმა, ანდა...

ხმა შენში იყო და ცა ციაგი...
აქ ხმაურია..,
აქ ცა რუხია, რახარუხია, რახელ!
აქ არხილია, მზე მიილია, რახელ!
აქ არხანია რახანია, რახელ!
რახელ, რა ხელს მყრის მე ეს ჩივილი
ჩვილი გულისთვის (შენ რომ გაქვს), რახელ!
რა ხელობა მაქვს? — რახელობა მაქვს, რახელ!
რახელ, რა ხელში ჩაგაბერდი...
რახელ, რა ხანი გასულა...
ასულა სულა...
ქორო:
ან გააძევეთ სულა,
ანდა ჩვენ წავალთ სულაც!

ხო ხედავ ვხედნი ბედსა და ბედაურს...
ნახე, რა ხელი ვარ, რახელ;
რახელ, რახსი დავრახტე და
კოხტა ახტაც მოხტის, რახელ!..
რახელ, რიხით ვახმიანებ:
რახელმა გამზარდა, და მერე რა ხელმა?!..
ქებათ-ქება სახელს — რახელს!

13.06.11

იან იუზეფ შჩეპანსკი (1919-2003) პოლონეთში ცნობილი მწერალი, ესეისტი, რეპორტიორი, კინოსცენარისტი და მთარგმნელი იყო. უამრავი მოთხრობისა და ესეისა თუ სცენარის გარდა, დაწერილი აქვს ორი რომანიც („პოლონური შემოდგომა“ და „კუნძული“). ამბავი, რომელიც ქართულად გურამ გოგიაშვილის მიერ არის გადმოენებული, ამოღებულია 1990 წელს გამოცემული „პატარა ამბების“ კრებულიდან.

იან იუზეფ შჩეპანსკი

ლანჩი ჰარვარდში

ამბავი

1958 წელს ჰენრი კისინჯერი ჯერ არ იყო გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე, თუმცა უკვე მაშინვე შეიძლებოდა იმის ვარაუდი, რომ ადრე თუ გვიან თავს გამოიჩენდა. ჯერჯერობით კი ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი გახლდათ, აგრეთვე იმ საერთაშორისო სემინარის დამფუძნებელი და ხელმძღვანელი, რომელშიც მე ვმონაწილეობდი (იაცეკ ვოზნიაკოვსკის შემდეგ მეორე მიწვეული პოლონელი ვიყავი).

სხვა პროფესორთ კისინჯერი თვალში არ მოსდიოდათ (უხეშობასა და მეტისმეტ ამბიციურობას სდებდნენ ბრალად), თვით სემინარის მონაწილენიც გულგრილად ექცეოდნენ, რაკი ხედავდნენ, რარიგ არათანაბრად ანაწილებდა თავის სიმპათიებს, თუმცაღა იმ არაობიექტურობას, რასაც კისინჯერს მიაწერდნენ, პირადი ხასიათი არა ჰქონია და რაიმე წინასწარშექმნილი ცუდი აზრიდან არ გამომდინარეობდა. კისინჯერის არაობიექტურობის მიზეზი ყოველთვის პოლიტიკური იყო. იმ ქვეყნების წარმომადგენელნი, სადაც მაშინ მნიშვნელოვანი რამ ამბავი ხდებოდა, მუდამ გრძნობდნენ იმის კეთილგანწყობილებას — ბევრს შინ ეპატიჟებოდა, ბუხრის წინ გაუბამდა საუბარს, თან ვისკით უმასპინძლდებოდა. დანარჩენები არსებობდნენ მხოლოდ როგორც სტატისტები, რომლებიც არცრა საგანგებო ყურადღებას არ იმსახურებდნენ.

მე, შემიძლია თქმა, პრივილეგირებულ მდგომარეობაში აღმოვჩნდი. ჯერ კიდევ ყველას ახსოვდა პოლონური ოქტომბერი, ხოლო გომულკა არცთუ მცირედ პოპულარული იყო ამერიკაში. ამ გარემოებათაგან დამოუკიდებლად ჰენრი კისინჯერი ჩემზე ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენდა. ენერგია გინდა თუ ღრმა, მსუყე ბარიტონი, იუმორის იშვიათი გრძნობა თუ ელვისებური რეაქცია, ყველაფერი აშკარად მოწმობდა, რომ ის გამორჩეული გონებრივი უნარით დაჯილდოებული ძლიერი პიროვნება იყო. ვფიქრობ, მაინცდამაინც საქმის ცოდნით ვერ განვუმარტე რაპაცკის გეგმა და, ცოტა არ იყოს, იმედი გავუცრუე. მაგრამ, როგორც ჩანს, გომულკას წყალობით, მაინც დავრჩი რჩეულთა წრეში და უსახელო ფიგურანტთა ხვედრი არ გამიზიარებია. ერთ-ერთი ასეთი ფიგურანტი იყო, მაგალითად, ერთი ფილიპინელი, რომელიღაც პატარა კუნძულის სულთნის შვილიშვილი, რომელმაც კემბრიჯში ჩამოსვლისთანავე გაზეთებში გამოაცხადა, მსურველთ ნაშუადღევს ხუთიდან ექვს საათამდე მივიღებო, და მართლაც ყოველდღე, ამ დათქმულ დროს, თავდოლბანდიანი, მურასა ტანსაცმლით უცხოდ გამოწყობილი და ხავერდის ჭვინტიან მაშიებში ფეხებწაყოფილი მოთმინებით (მაგრამ ამაოდ) ელოდა კამპუსში თავისი პატარა ოთახის ჭერქვეშ ცნობისმოყვარე უცნობ პირთ, ვინც პატივის მისაგებად უნდა მისულიყო. არც კიდევ არცროდის არ გადავყრივარ კისინჯერის მხრიდან იმ მოწყალე ღიმილს, რის ღირსიც მავანი ესპანელი გახდა, ვისი ერთადერთი მეცნიერული

წვლილი ჩვენს პროგრამაში ხარების ბრძოლაზე წაკითხული მოხსენება იყო. ტყუილს ვერ ვიტყვი, არც მე არცრით არ გამიმდიდრებია ის პროგრამა (რომლის თემა „მასობრივი კულტურა“ იყო), თუმცა კისინჯერისთვის, ეტყობა, ამას მნიშვნელობა არა ჰქონდა.

ღონისძიებები მრავლად და მრავალნაირი იმართებოდა, რომელთაგან ყველაზე თავშესაქცევ ყოველკვირეულ შეხვედრებს გამოვარჩევდი. სტუმრად გვყავდნენ ხოლმე ეგრეთ წოდებული Guest speakers ჰენრი კისინჯერი ხან რომელ მნიშვნელოვან პიროვნებას იწვევდა, ხან რომელს. მოდიოდნენ პოლიტიკოსები, მეცნიერები, საზოგადო მოღვაწეები, მწერლები, რათა ჩვენთვის თავიანთი მოსაზრებანი გაეცნოთ და, ამასთანავე, ჩვენიც მოესმინათ. სტუმარი შაბათობით, საღამო ხანს, ერთ-ერთ აუდიტორიაში სემინარის ყველა მონაწილისთვის კითხულობდა ლექციას, მეორე დღეს კი მასწავლებელთათვის განკუთვნილ კლუბში სტუმრის პატივსაცემად იმართებოდა საზეიმო ლანჩი, რომელზეც რამდენიმე რჩეულს იწვევდნენ. ლანჩს წინ მუდამ საგულდაგულო სამზადისი უძღოდა. ორი დღით ადრე კისინჯერის თანამშრომლები ყველას მოსაწვევ ბარათებს ურიგებდნენ, რომელთაც მაგიდის სქემატური სურათი ერთვოდა — ვინ სად, რა ადგილას უნდა დამჯდარიყო, ყველას წინასწარ აუწყებდნენ.

ასეთი მოსაწვევი ბარათი მე ქალბატონ ელეონორა რუზველტის ვიზიტის გამო მივიღე. რა თემაზე წაგვიკითხა ლექცია, კარგად აღარ მახსოვს. მგონი, ომისაგან გაჩანაგებულ ევროპაში ბავშვებისთვის დახმარების აქციაზე გვესაუბრა, რომელ აქციაშიც პირადად იღებდა აქტიურ და ყველანაირად საქებარ მონაწილეობას. სამაგიეროდ, კანთიელად დამახსომდა თვითონ ლანჩი და ერთი რამ მაშინდელი ამბავი.

ზემოხსენებული მოსაწვევი ბარათი ჩემს ოთახში საწერ მაგიდაზე დავდე, წესიერად არც დამიხედავს, რადგან სადღაც მიმეჩქარებოდა და გავიქეცი. ცხელი და ქარიანი ზაფხული იდგა, ამიტომ ჩვენი საცხოვრებლის კარ-ფან-

ჯარა დღედაღამ ღია გვქონდა. როცა დავბრუნდი, დავინახე, რომ ქარს სულ ოთახში მიმოეფანტა, რაც მაგიდაზე ქაღალდები ეწყო. მაშინვე წამოვუარე და ავკრიფე, მაგრამ მოსაწვევი ბარათი ვეღარ ვიპოვე.

მეორე დღეს სასაუზმოდ კაფეტერიაში მიმავალი გზად კისინჯერს შევეხეჩე. უმალ ის მკითხა, მოსაწვევი ბარათი თუ მიიღეო. გულახდილად ვუთხარი, სადღაც თვალს მიეფარა, ვერსად ვერ მივაგენი-მეთქი. ამ ამბავმა ძლიერ ააღელვა. წარბები სათვალის სქელ მინებს ზემოთ აზიდა და მკითხა:

— როგორ, თვალს მიეფარა?

— ჩანს, ქარმა გადმოაფრიალა მაგიდიდან. ბევრი ვეძებე, მაგრამ ვეღარსად ვერ მივაგენი.

ჩემდა გასაკვირად, უცებ მიბრუნდა და სწრაფად წავიდა თავისი კაბინეტისკენ. შუადღისთვის ახალი მოსაწვევი ბარათი გადმომცეს. ამჯერად უკვე ყურადღებით გადავიკითხე. ქალბატონ რუზველტის ხელმარჯვნივ მიწევდა ჯდომა.

ლანჩი გეგმის შესაბამისად მიმდინარეობდა, იმ მხიარულ, ბუნებრივ ატმოსფეროში, ესოდენ ხშირად თვალს რომ უხვევს ევროპელს, რომელსაც ეგალიტარული სისადავით შენიღბული ხისტი ცერემონიის წესების შეცნობის უნარი არ შესწევს. ჩემი მეზობელი ფრიად ენამჭევრი გამოდგა, თავის შექცევინება არ დამჭირვებია. ამ ფრიად პატივსაცემ ადამიანს ყველაფერი ორმაგად დიდი ზომისა ჰქონდა. ხელების მტევნები, ტერფები, ბიუსტი, ცხვირი ორ შემართულ მუშტს მიუგავდა. ფართო პირიდან ნამდვილად ცხენის კბილებსა ყრიდა გარეთ, თვალები კი არაბუნებრივად გადმოჰკარკვლოდა, რაც ბაზედოვის დაავადებაზე მეტყველებდა. ლაპარაკით მჭექარედ ლაპარაკობდა, ჟღერადი მკერდისმიერი ხმით. თუმცაღა მუდმივად ხალისიანი გუნება-განწყობილებისა გამო ქალბატონი რუზველტის ტანსავსეობა მოკლებული არ იყო თავისებურ შნოს.

იმ ფაქტმა, რომ პოლონეთიდან ვიყავი, ქალბატონ რუზველტში ჩემთვის, ცოტა არ იყოს, გაუგებარი ენთუზიაზმი გამოიწვია. მან რამდენჯერმე წამოიძახა შორისდებული „ოუ!“ და მომილოცა — თურმე რა ბედნიერი ვიყავი, რაკი ქვეყნიერების იმ ნაწილში ვცხოვრობდი, სადაც ჩვენი პლანეტის მომავალი იჭედებოდა. მე სკეპტიკურად მივუგე, ჩვენს ქვეყანაში ამისთანა მომავალზე სულაც არ გვიოცნებია-მეთქი, და ჩემს პასუხს ეგრევე დისკუსია მოჰყვა.

— ჰო, თქვენ, პოლონელთ, — განაცხადა ქალბატონმა რუზველტმა, — რაღაც კომპლექსი გაქვთ რუსეთის მიმართ. უბრალოდ არ იცნობთ მაგ ქვეყანას და ამიტომ უსამართლონი ხართ.

რომ შევახსენე, არაერთი საუკუნის მეზობლები ვართ და ამ ხნის განმავლობაში რუსეთი ასე თუ ისე გავიცანით-მეთქი, მან იმწამსვე სიტყვა გამიტრიზავა. დიახაც ეგრე ჩნდება ცრურწმენა და აზრის წინასწარ აკვიატებასაც ეგეთი დამოკიდებულება აჩენსო! იგი დარწმუნებული იყო, რომ ობიექტურად აფასებდა ჩვენს მეზობელ ქვეყანას, რადგან სულ ცოტა ხნის წინათ მოენახულებინა მოსკოვი. ის კი არა, იქ ციხეშიც შესულიყო. ვერც კი წარმოედგინა, თუ ესოდენ ჰუმანურად შეიძლებოდა პენიტენციალურ დაწესებულებათა არაერთი სავალალო პრობლემის გადაწყვეტა. საკანი სულაც საპყრობილე არ არისო. კედლები სუფთა და ნათელიაო, ფანჯრებზე ყვავილების ქოთნები უდგათო, საწოლებზე ქათქათა თეთრეული აფენიაო, კუთხეში ხატი ჰკიდიაო, ხოლო თვითონ პატიმრები — დაბანილ-დავარცხნილები, ელეგანტურები და თავაზიანები — უფრო სანატორიუმის ბინადართ ჰგვანან, ვიდრე დამნაშავეებსო. ვუსმენდი, მაგრამ არ შევკამათებივარ და არცერთი იმისი ეს იდილიური წარმოდგენა სადავოდ არ გამიხდია. ლუბიანკა არც მაშინ მენახა და არც მერე თვალით არ მინახავს. მხოლოდ მრავალი წლის შემდეგ წავიკითხე სოლჟენიცინის „წრე პირველში“, როგორ მოინახულა ერთმა გვარდაუსახელებელმა, მაგრამ მაღალი წრის ამერიკელმა ქალბატონმა მოსკოვის ციხე. ავტორი ერთ-ერთი იყო იმ სუფთად დაბანილ-დავარცხნილ „სანატორიუმის ბინადართაგან“, მთელი ნახევარი საათი რომ იცავდნენ დაწესებულების ღირსებას აგრე საგანგებოდ, მოსაჩვენებლად გაწყობილ საკანში.

ორი დღის მერე სრულიად შემთხვევით ვიპოვე ის პირველი, დაკარგული მოსაწვევი ბარათი. დართული სქემის მიხედვით სულ სხვა ადგილას მიწევდა ჯდომა, პრეზიდენტის ქვრივისგან კარგა შორს. და ახლაღა მივხვდი, რატომ აღელდა მაშინ კისინჯერი. ჩემი ნათქვამი არ ირწმუნა, არ დამიჯერა. დიპლომატის ლოგიკამ უკარნახა, რომ შეურაცხყოფილი ვიყავი, რადგან არასაკმარისად საპატიო ადგილი მქონდა მიჩენილი.

შენიშვნები:

1. იაცეკ ვოზნიაკოვსი (დ.1920) — ხელოვნების ისტორიკოსი, პუბლიცისტი, ესეისტი.

2. 1956 წლის ოქტომბერში პოლონეთში გაიმართა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენრტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელზედაც პირველ მდივნად აირჩიეს ვლადისლავ გომულკა (1905-1982) და დაისახა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების დემოკრატიზაციის პროცესი.

3. 1957 წლის ოქტომბერში პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა.რაპაცკიმ წამოაყენა პროექტი ევროპის ცენტრში ბირთვული იარაღისგან თავისუფალი ზონის შექმნის შესახებ.

4. ბოსტონის გარეუბანი, სადაც ჰარვარდის უნივერსიტეტია.

პატივცემულ ავტორს

გთხოვთ გვიპასუხოთ შეკითხვაზე: თქვენი თხზულებების ტექსტებში რამდენჯერ არის გამოყენებული ზმნა **„რონინი“**. თუ არის, გთხოვთ არ დაიზაროთ მითითება — როდის, და ამ ანკეტაში ჩაგვიწერეთ ის წინადადება, ტაეპი, რეპლიკა, რომელიც შეიცავს **„რონინს“** ნებისმიერი ფორმით; ამასთან, იქნებ გაიხსენოთ, სხვა ავტორის როდინდელ ტექსტში გეგულებათ **„რონინი“.**

საკუთარი ტექსტიდან .....

სხვა ავტორის ტექსტიდან .....

წინასწარ გიხდით მადლობას

ჯანო ჯიქიძე

ამ ცოტა ხნის წინათ გამომცემლობა „ინტელექტმა“ ცალკე წიგნად გამოსცა XX საუკუნის რუსული პოეზიის ერთი შედევრის ოცი ქართულ თარგმანი. მარინა ცვეტაევას – „მე მომწონს ის, რომ თქვენ არა ხართ სნეული ჩემით...“ „ქართულ ინტერპრეტაციაში” განაგრძობს „ინტელექტის” კიდევ ერთ საინტერესო პროექტს, რომელიც ედგარ პოს „ყორანის” ქართული თარგმანების კრებულით დაიწყო და რომელიც კიდევ ერთხელ მიაბრუნებს მკითხველს, როგორც მსოფლიო ლირიკის შედევრებთან, ასევე ქართული მთარგმნელობითი სკოლის კლასიკურ თუ თანამედროვე ნიმუშებთან.

რადგან გვინდა ჩვენი დღევანდელი პუბლიკაცია ახალი გამოცემის ერთგვარი ანონსიც იყოს, ცვეტაევასეული ლექსის ორიგინალთან ერთად, გთავაზობთ ვახუშტი კოტეტიშვილის თარგმანს და კრებულის რედაქტორის, ზაზა აბზიანიძის ესეის — „ფატალური მინიშნებანი“ — ამ ლირიკული შედევრის შექმნის ძალზე საინტერესო ისტორიითა და ფარული ფსიქოლოგიური ქვეტექსტებით.

ზაზა აბზიანიძე

ფატალური მინიშნებანი

მარინა ცვეტაევას (1892-1941) ბიოგრაფია ისეთი ტრაგიზმითაა დაღდასმული, რომ „დაწყევლილ პოეტებად” მონათლული ფრანგი დეკადენტებიც კი ამ მრუმე ფონზე სვებედნიერ ბურჟუებად მოჩანან...

რაც უფრო უღრუბლო იყო ცვეტაევას ცხოვრებისეული გზის დასაწყისი, მით უფრო პირქუში აღმოჩნდა გაგრძელება და აქ უთუოდ ამ ორივე პერიოდზე უნდა ითქვას რამდენიმე სიტყვა, რადგან სწორედ მათ შუალედშია დაწერილი ჩვენთვის ესოდენ საინტერესო ლექსი — „მე მომწონს...” — ლექსი, რომელსაც ავტორის გუშინდელი სილაღის ინერციაც ახლავს და უნებლიეთ ხვალინდელი განსაცდელის ფატალური მინიშნებაც; რომელშიც სიტყვებით თამაშს — ბედთან თამაში ენაცვლება; ბავშვურ გულწრფელობას — ქალური ცბიერება, და ამ მრავლისმეტყველი მიზანსცენიდან — ჩვენამდე, ერთი საუკუნის შემდეგაც კი, ჯერ აკრძალული ტკბობის ჟრუანტელი აღწევს და მხოლოდ მერე — ამ ტკბობის საბედისწერო საფასური...

„მე მომწონს...” მარინა ცვეტაევამ 23 წლისამ დაწერა — 1915 წლის 3 მაისს.

ამ დროისათვის მას 17-წლიანი „პოეტური სტაჟი” ჰქონდა, ყოვლად სერიოზულად: ლექსების წერა ექვსი წლისამ დაიწყო (გარდა რუსულისა, ფრანგულ და გერმანულ ენებზეც წერდა); გამოქვეყნება — 16 წლისამ და უკვე ორი წლის შემდეგ, მშობლების დაუკითხავად, გამოსცა თავისი პირველი პოეტური კრებული — „საღამოს ალბომი” („Вечерний альбом“), რომელსაც გამოეხმაურნენ რუსული პოეზიის „ვერცხლის საუკუნის” (ანუ – XIX-XX საუკუნეთა მიჯნის) ისეთი „მეტრები”, როგორნიც იყვნენ — ვალერი ბრიუსოვი, ნიკოლოზ გუმილიოვი და მაქსიმილიან ვოლოშინი. ამ უკანასკნელთან „ლიტერატურული ნაცნობობა” მეგობრობაში გადაიზარდა და მარინა, თავის უმცროს დასთან — ანასტასიასთან ერთად, ხშირად სტუმრობდა „მაქსს” (როგორც ვოლოშინს ახლობლები ეძახდნენ) მის ზღაპრულ სახლში შავი ზღვის პირად, ყირიმში, კოქტებელში.

სწორედ კოქტებელსა და მასთან მომიჯნავე ფეოდოსიასთანაა დაკავშირებული „დები ცვეტაევების” (მათ შორის განსხვავება ორი წელი იყო) ყველაზე რომანტიკული ზაფხული 1911 წლისა: აქ, ზღვის ნაპირზე გაიცნობს და შეიყვარებს 18 წლის მარინა თავისზე ერთი წლით უმცროს სერგეი ეფრონს და ამავე ზაფხულს ანასტასიას (ანუ „ასიას”) „ხელის სათხოვნელად” ჩამოაკითხავს გასულ ზამთარს საციგურაო მოედანზე გაცნობილი ბორის ტრუხაჩოვი. კოქტებელში ზაფხულში ერთად ჩამოსული დები შემოდგომის დამდეგს, ფეოდოსიის სადგურიდან, თავთავიანთ საქმროებთან ერთად, უკვე სხვადასხვა მატარებლებით მიდიან...

„ჩვენ ცხრამეტი და ჩვიდმეტი წლისანი ვართ და რაღაც ჯადოსნური თანხვედრით, ერთდროულად ვთხოვდებით, ერთდროულად ვეთხოვებით ერთმანეთს, ერთდროულად მივემგზავრებით, — იხსენებდა ანასტასია ცვეტაევა იმ შორეული 1911 წლის შემოდგომას, — და აი აქ კი, უკვე მამის დაჟინებით, მოგვიხდა დედის დანატოვარი მემკვიდრეობის გაყოფა”.

მამა — პროფესორი ივანე ვლადიმერის ძე ცვეტაევი, იშვიათი კეთილშობილებით გამორჩეული ადამიანი — იმ სახვითი ხელოვნების მუზეუმის დამაარსებელი გახლდათ, აწ პუშკინის სახელის რომ ატარებს.

დედა — მარია ალექსანდრეს ასული მეინი, სერბულ-გერმანულ-პოლონური სისხლის ნაზავი, იერითაც, ხასიათითაც, აღზრდითაც (ოთხი ევროპული ენა; პროფესიული მომზადება მხატვრობასა და საფორტეპიანო ხელოვნებაში) სავსებით შეესატყვისებოდა უფროსი თაობის სახელმოხვეჭილი მეცნიერის (სხვაობა ცოლ-ქმარს შორის 20 წელი იყო) ერთგული თანაშემწისა და ოჯახის ბურჯის როლს. თუმცაღა,ამ ტრადიციულ ფასადს მიღმა, მას თავისი, ქალიშვილობის დროიდან გამოყოლოლი სულიერი იარა ტანჯავდა და, საფიქრებელია, სწორედ ამ გაუნელებელმა დარდმა დააჭლექა და გადაიყოლა კიდეც 38 წლისა, 1906 წლის ზაფხულში.

ივანე ცვეტაევმა ამ ელდის შემდეგ კიდევ შვიდი წელი იცოცხლა...

„მამის სიკვდილმა მკაფიო საზღვარი გაავლო ჩვენს ცხოვრებაში, — წერდა ანასტასია ცვეტაევა, — ნიშანდობლივი იყო, რომ ჩვენ-ჩვენი საოჯახო მიზეზების გამო, არც მარინას და არც მე არ გვინდოდა მოსკოვში დარჩენა მამის სიკვდილის შემდეგ. სადღაც უნდა წავსულიყავით და ჩვენი „წარსულის ქალაქებიდან” ყველაზე უფრო იმ ქალაქმა გვიხმო, რომელშიც ასე ბედნიერნი ვიყავით ამ ორი წლის წინათ”. კარგად დავიმახსოვროთ ამ ქალაქის სახელიც და მისი მრავლისმეტყველი ონომასტიკაც („ფეოდოსია” — „ღვთითბოძებულია” ბერძნულდ). 1913 წელია და ცვეტაევების ბოიგრაფიაში ზემოხსენებული „საოჯახო მიზეზების” მიკვლევაც შეიძლება: ანასტასიას ვაჟიშვილი კი ეყოლა თავისი რჩეულისაგან, მაგრამ ოჯახური ცხოვრება არ აეწყო — ქმარმა მიატოვა.

მარინა ხომ საერთოდ განსაკუთრებული შემთხვევა გახლდათ — ფეოდოსიაში უნდოდა განრიდებოდა მოსკოვურ ცდუნებებს. დეკარტესეული — „ვაზროვნებ, ესე იგი ვარსებობ!" მის ინტერპრეტაციაში ასე ჟღერდა — „მიყვარს, ესე იგი ვარსებობ!" და, რაც მთავარია, ეს არ ყოფილა არც ხმამაღლა გაცხადებული „კრედო", არც პოეტური ზეატაცებისას წამოძახილი ლამაზი ფრაზა — ეს იყო ჯერ წარმტაცი, მერე კი — საბედისწერო რეალობა, ზეგარდმო საჩუქარი და იმავდროულად — სასჯელი, ეს იყო რაღაც მაცოცხლებელი ფერმენტი, რომლითაც გაჯერებული იყო მთელი მისი არსება, მისი სხეულის ყოველი უჯრედი, და, რაღა თქმა უნდა, მთელი მისი შემოქმედება...

მარინა ცვეტაევა (1914)

ვინ არ წერდა მისი თვითმკვლელობის (ქ. ელაბუგაში, მდინარე კამასთან, 1941 წლის 31 აგვისტოს) მიზეზებზე: „ჩეკას" ჯურღმულებში მომწყვდეული ქმარი და ქალიშვილი; გვერდზე მყოფი, მაგრამ მარადჟამს უკმაყოფილო, გაუცხოვებული ვაჟი, მისი საფლავში ჩაყოლილი სადარდებელი (რომელიც მისასამძიმრებლად მისულ მეზობლებს ასე უპასუხებს: „ვფიქრობ, მარინა ივანოვნამ სწორი არჩევანი გააკეთა"...); უკიდურესი გაჭირვება (თვითმკვლელობამდე რამდენიმე დღით ადრე ელაბუგაში ევაკუირებულ მწერალთა დასახლების სასადილოში ჭურჭლის მრეცხავადაც რომ არ აიყვანენ!). როგორც ვხედავთ, საკმარისზე მეტი მიზეზია... და მაინც, ისე მგონია, გასაბეზრებელ სიღარიბესთან და ცხოვრების გამაოგნებელ „სიურპრიზებთან" (მარტო ის რად ღირს, პარიზის პოლიციის კომისარიატში რომ გაცნობებენ, — „საფრანგეთიდან მიმალული თქვენი ქმარი „ჩეკას" დაკვეთით განხორციელებული პოლიტიკური მკვლელობის თანამონაწილე იყოო") პირისპირ დარჩენამ ისე გააკაჟა, ჭირთათმენის ისეთი უნარი გამოუმუშავა, იმ წყეულ ელაბუგაშიც არ განასკვავდა თვითმკვლელის ყულფს — ერთი, თუნდაც ფიზიკურად მიუწვდომელი, თუნდაც მხოლოდ „ლიტერატურულად შეყვარებული", მაგრამ მასთან ყოველწამიერი სულიერი თანაარსებობის შეგრძნებით მცხოვრები ადამიანი რომ მოძებნილიყო დედამიწაზე...

ასეთი ადამიანების აღმოჩენის, ამ აღმოჩენით ტკბობის, აღფრთოვანების, ურთიერთშეცნობისა და შეყვარების, მაგრამ არგაფრთხილებისა და დაკარგვის დიდოსტატი იყო მარინა ცვეტაევა. ამ იშვიათმა, ორსაწყისიანმა, ფეთქებადმა უნარმა დიდწილად განაპირობა მისი ცხოვრების საბედისწერო კალაპოტი, მაგრამ, საფასურად — მისი აღსარებასავით გულწრფელი, „ქერქგადაცლილი" პოეზია, მისი ფენომენალურად საინტერესო ეპისტოლური მემკვიდრეობა და პროზა დატოვა...

ანასტასია ამ თვალსაზრისით, მისი მონოგამური ბუნებიდან გამომდინარე, უფროსი დის სრული ანტიპოდი გახლდათ. თავის ქალურ ბედნიერებას ის ყოველთვის ერთ კაცს უკავშირებდა, მაგრამ, ბედის დაცინვით, სწორედ ის „ერთი" ეცლებოდა ხელიდან...

ჩვენ კი „სიტყვა გაგვექცა" და ფეოდოსიაში მოგვიწევს დაბრუნება. იქ, სადაც ანასტასია „ხელიდან გამოცლილი" ბედნიერების დაკარგვით მიყენებულ იარებს იშუშებდა; მარინა კი, როგორც ეტყობა, ოდნავ განხიბლული ამ ზღვისპირზე გაცნობილი გარუჯული ჭაბუკით, „ღვთითბოძებული" ქალაქის მყუდრო აგარაკზე, ქმარსა და ერთი წლის ქალიშვილთან (არიადნასთან ანუ „ალიასთან") ერთად, ცდილობდა ორი წლის წინანდელი რომანტიზმისაკენ შებრუნებას. იმჯერად, გარეშე თვალისათვის მაინც, ოჯახი იდილიურად გამოიყურებოდა. ახლობელნიც კი ვერ გრძნობდნენ — რა ნაღმებს იყო აფარებული ეს „ოჯახური პორტრეტი ინტერიერში" (ერთი წლის შემდეგ მთელი „ლიტერატურული მოსკოვი" ალაპარაკდება საფოს კვალს ჩამდგარი მარინას რომანზე პოეტესა სოფიო პარნოკთან).

„ეს იყო მარინას სილამაზის გაფურჩქვნის დრო, — იგონებდა ანასტასია ცვეტაევა, როცა სევდანარევი ტკბობით აღწერდა უფროსი დის ოქროსფერ კულულებს, ახლომხედველთათვის დამახასიათებელ, მინაბულ მწვანე თვალებს და ასკვნიდა: „მისი ქალური საწყისი ჯერ მოუხელთებელია, ჯერ მხოლოდ კრთის..."

მშობლების გარდაცვალებამ როგორღაც შეაკავშირა დები (რაც არც ისე ადვილი იყო მათი ფსიქოლოგიური შეუთავსებლობის გათვალისწინებით), მაგრამ ერთგვარი „ქალური ქიშპობა" მათ შორის (რაც ასე ხშირია, და ასე ბუნებრივი) ეტყობა, ყოველთვის იყო. როდესაც ანასტასია აღწერს იმავ სიმფეროპოლში გამართული პოეზიის საღამოს, სადაც ის უფროს დასთან ერთად მის ლექსებს კითხულობს, ერთი, ძალიან მოზომილი კომენტარისაგან თავს მაინც ვერ იკავებს: „ვიცი, როგორ ვერ იტანს მარინა ვინმესთან მსგავსებას — ყველაფერში უნდა ერთადერთი იყოს. ვარცხნილობა შევიცვალე. ახლა სრულიად განსხვავებულები ვართ, მარტო თვალები, ცხვირი და ტუჩები გვაქვს მსგავსი. და კიდევ — მარინა ჩემზე მაღალია".

აი, ახლა კი მივადექით იმ „მოუხელთებელი ქალური საწყისის" ამოქმედების, მამაკაცის განმაიარაღებელი ხიბლის „გამოცდის", დებს შორის ფარული ქიშპობის გაცხადების, დაბოლოს, სულაც — იმ ქალური დაუნდობ-

ლობის თემას, რომელიც საფუძვლად დაედო რუსული პოეზიის ერთ შედევრს, სათაურით — „მე მომწონს ის, რომ თქვენ არა ხართ სნეული ჩემით...”

ერთადერთი, ვინც ამ ლექსში ვერცერთი ზემოთჩამოთვლილი საწყისი ვერ (ან – არ) დაინახა — ანასტასია ცვეტაევა აღმოჩნდა. უთუოდ იმიტომ, რომ მთელი ამ ცბიერი და ორაზროვანი კეკლუცობის, ამ უნატიფეს პოეტურ ფორმაში მოქცეული სასიყვარულო გამოწვევის სამიზნე მისი მეორე ქმარი — მავრიკი მინცი გახლდათ.

ალბათ არ არის საჭირო ადამიანმა მაინცდამაინც ფროიდი ან იუნგი მოიშველიოს, რომ ჩაწვდეს უკვე მხცოვანი ანასტასია ცვეტაევას შინაგან იმპულსებს, როდესაც იგი იძულებულია ცნობისმოყვარე ჟურნალისტებს ამ ლექსის თავისი (მეტ-ნაკლებად დამაჯერებელი) ინტერპრეტაცია შესთავაზოს (გასული საუკუნის 70-იან წლებში, ელდარ რიაზანოვის ფილმის წყალობით, ”მე მომწონს...” და მისი შექმნის ისტორია რუსულ პრესაში „მოდურ თემად” იქცა). „ანონსი” ანასტასია ცვეტაევას კომენტარებისა ასეთია: „ეს, ფოტოსურათზე რომაა, ჩემი ქმარია — პატარა, წითური ებრაელი, მავრიკი ალექსანდროვიჩი”. აი, მერე იწყება „მთავარი სათქმელი”: „ბევრს არ ესმის ეს ლექსი, რაღაც ქარაგმას, ქვეტექსტს ეძებენ. ამ დროს, არანაირი ქარაგმა აქ არ არის. იმხანად 20 წლისა ვიყავი, პირველ ქმარს გავშორდი და დავრჩი ორი წლის ანდრიუშას ამარა. მაშინ იყო სწორედ პირველად რომ შემოადგა ფეხი ჩვენს სახლში მავრიკი ალექსანდროვიჩმა (მეგობრის თხოვნით); მთელი დღე ლაპარაკში გავატარეთ. გაოცებული იყო, რომ უკვე ერთი რომანის ავტორი ვარ და ახლა მეორეს ვწერ (უნდა ითქვას, რომ ანასტასია ცვეტაევა უდახვეწილესი ლიტერატორი იყო, რაც ასე მკაფიოდ ემჩნევა მის მოგონებებს — ზ.ა.). თავისუფლად ვლაპარაკობდი უცხო ენებზე, ფერწერა, მუსიკა — ყოველივე, რაც კი მე და მარინამ დედისაგან მემკვიდრეობით მივიღეთ. მავრიკი ალექსანდროვიჩმა ხელი მთხოვა. ცოლად გავყევი. მაგრამ როცა მარინა გაიცნო — აღფრთოვანდა! მარინა 22 წლისაა, უკვე ორი პოეტური კრებულის ავტორია, შესანიშნავი ქმარი ჰყავს და ორი წლის ქალიშვილი. იმ ბედნიერ დროს მარინა ძალიან მომხიბლავი იყო, ქათქათა კანი, ოდნავ შეფაკლული ღაწვებით, ლამაზი, ხვეული თმა. მავრიკი ალექსანდროვიჩი ტკბებოდა მისი ცქერით, მარინა ამას გრძნობდა და ...წითლდებოდა. მარინა ემადლიერებოდა მავრიკი ალექსანდროვიჩს, რომ მე მარტო აღარა ვარ, რომ მას ვუყვარვარ... აი, სწორედ ამაზეა დაწერილი ლექსი „მე მომწონს” და არანაირი ქარაგმა მასში არ არის”.

„ცვეტაევოლოგების” ერთი ნაწილი შეიპყრო აკვიატებულმა იდეამ, რომ რადგან მარინა ცვეტაევა გულგრილი არ იყო ებრაელი მამაკაცების მიმართ (ხომ წერს კიდეც თვითონ ამის თაობაზეო; სერგეი ეფრონიც ხომ მონათლული ებრაელი იყოო) მინცსაც ამიტომ „დაადგა თვალი”. მაგრამ „მორიგი” ებრაელი „პატარა და წითური” რომ იყო და ამასთანავე ცვეტაევას სიძე, — ეს გარემოება „იუდოფილური” ვერსიის მომხრეებს ცოტა აბნევს. არ ვიცი, თავში არ მოსვლიათ თუ ვერ გაბედეს, რომ ეთქვათ: მაღალი გერმანელი რომ ყოფილიყო და ჰანსი რქმეოდა, — რეზულტატი იგივე არ იქნებოდა?! მთავარია ასიას ქმარი ყოფილიყო და თუნდაც ერთი წამით წამოგებულიყო წარმოსახული ღალატის ანკესზე... ის, რაც ანასტასიას უვნებელ ფლირტად უნდოდა წარმოედგინა, არც ისე უვნებელი იყო, რადგან ორი, ქვეცნობიერი მოქიშპის დუელს წააგავდა... სხვაზე კარგად სწორედ ანასტასია ცვეტაევამ იცოდა, რომ მარინას — უმცროსი დის მყიფე ბედნიერების შემყურეს, მაქსიმალური სულიერი სიფაქიზე უნდა გამოეჩინა, ნებისმიერთან ეკეკლუცა დედამიწაზე, იმ პატარა, წითური ებრაელის გარდა, რომელიც მისი „ფატალური” ლექსის დაწერიდან ზუსტად ორი წლის შემდეგ, 1917 წლის მაისში, ფეოდოსიაში(!) მყოფ ცოლ-შვილს მონატრებული, გამსკდარი ბრმა ნაწლავით, ცოლისდის კალთაზე დალევს სულს მოსკოვის საავადმყოფოში.

როდესაც ფეოდოსიაში ანასტასიას მარინას დეპეშა მიუვიდა — „მავრიკი ალექსანდროვიჩს ჩირქოვანი აპენდიციტი დაუდგინესო”, მან ავადმყოფი ბავშვები დატოვა და ქმრის საშველად მოსკოვში გამოქანდა, მაგრამ ცოცხალს ველარ ჩაუსწრო. უკან დაბრუნებულს უმცროსი ვაჟი (მავრიკისაგან შეძენილი ალიოშა) გარდაცვლილი დახვდა...

ანასტასია ცვეტაევამ 99 წელი იცოცხლა. აქედან 17 — ციმბირის „ლაგერებში” გატარებული წლებია და მხოლოდ ორი — იმ „მყიფე ბედნიერებისა”, რომელსაც მით უფრო ხშირად იხსენებდა, რაც ასაკი ემატებოდა — ჩასცქეროდა თავისი პატარა, წითური ებრაელის გაყვითლებულ ფოტოსურათებს და ცრემლმორეული კითხულობდა თავის საყვარელ ლექსს:

მე მომწონს ის, რომ თქვენ არა ხართ სნეული ჩემით,
მე მომწონს ის, რომ მეც არა ვარ თქვენით სნეული,
რომ დედამიწის მძიმე ბურთი, ისე ვით გემი,
არ გაცურდება ჩვენს ფერხთა ქვეშ გზაარეული.

. . . . . .

* * *

ახლა, როდესაც ძირათადი, რაც მინდოდა მეთქვა მარინა ცვეტაევას ლექსზე, უკვე ნათქვამია, არ შემიძლია მადლიერებით არ მოვიხსენიო დიდი რუსი პოეტის ის ქართველი თაყვანისმცემლები, რომელთაც სულიერი სიმშვიდე დაურღვია ცვეტაევისეულმა „Мне нравится, что вы больны не мной...” და ამ ლირიკული შედევრის ქართული ადეკვატის შექმნა დაისახეს მიზნად...

ეს იმდენად კეთილშობილი და პრაქტიკულად დაუძლეველი ამოცანაა, რომ ნებისმიერი „შეფასებითი ასპექტი” წინათქმაში გაანელებდა ამ წიგნის ხიბლს და გულწრფელ აღტაცებას ამგვარი კრებულების შექმნის იდეითა და განხორციელებით.

რაღა თქმა უნდა, ნიშანდობლივია, რომ ამავ წინათქმაში „მე მომწონს...” ვახუშტი კოტეტიშვილის თარგმანითაა წარმოდგენილი. და არა მგონია იმიტომ, რომ მისი უმცროსი მეგობარი და მისი თარგმანების ერთ-ერთი პირველი მკითხველი და შემფასებელი ვიყავი (თუმცა, ცხადია, მსიამოვნებს ამის ხაზგასმა). ამგვარი არჩევანი, როგორც წესი, უფრო ობიექტური მიზეზებითაა განპირობებული: რადგან ოცი მთარგმნელის „შერკინება” ერთსა და იმავე ტექსტთან ერთგვარი პროფესიული სკოლაც არის და შეჯიბრებაც, ვფიქრობ, ვახუშტი კოტეტიშვილი, დაუსწრებლადაც კი, განაგრძობს თავის დახვენილ მასტერკლასს და ცხრამეტ უმცროს კოლეგასთან ერთად ჩვენი კრებულის მკითხველს წარუდგენს ქართული მთარგმნელობითი სკოლის მართლაც ძალზე საინტერესო ნიმუშს.

Марина Цветаева

* * *

Мне нравится, что вы больны не мной,
Мне нравится, что я больна не вами,
Что никогда тяжелый шар земной
Не уплывет под нашими ногами.
Мне нравится, что можно быть смешной –
Распущенной – и не играть словами,
И не краснеть удушливой волной,
Слегка соприкоснувшись рукавами.

Мне нравится еще, что вы при мне
Спокойно обнимаете другую,
Не прочите мне в адовом огне
Гореть за то, что я не вас целую.
Что имя нежное мое, мой нежный, не
Упоминаете ни днем, ни ночью – всуе...
Что никогда в церковной тишине
Не пропоют над нами: аллилуйя!

Спасибо вам и сердцем и рукой
За то, что вы меня – не зная сами! –
Так любите: за мой ночной покой,
За редкость встреч закатными часами,
За наши не-гулянья под луной,
За солнце, не у нас над головами, –
За то, что вы больны – увы! – не мной,
За то, что я больна – увы! – не вами!

თარგმნა ვახუშტი კოტეტიშვილმა

მარინა ცვეტაევა

* * *

მე მომწონს ის, რომ თქვენ არა ხართ სნეული ჩემით,
მე მომწონს ის, რომ მეც არა ვარ თქვენით სნეული,
რომ დედამიწის მძიმე ბურთი, ისე ვით გემი,
არ გაცურდება ჩვენს ფერხთა ქვეშ გზაარეული.
მე მომწონს ის, რომ შემიძლია სახლის აკლება,
რომ თამაშ-თამაშ არა ვფანტო სიტყვები ამო
და სუნთქვაშეკრულს ღაწვები რომ შემეფაკლება
თქვენს სახელოსთან შემთხვევითი შეხების გამო.

მე მომწონს ისიც, რომ ჩემს თვალწინ თქვენ ძალგიძთ ასე,
სრულიად მშვიდად, სხვა ქალბატონს მოჰხვიოთ ხელი.
ჯოჯოხეთში რომ არა მგზავნით ეჭვებით სავსე
იმისთვის, სხვას რომ მივუძღვენი ამბორი ცხელი.
და მომწონს ისიც, რომ თქვენ ჩემი სახელი ნაზი
არ გაკერიათ წარამარა პირზე ამაოდ.
და ის რომ — ტაძრის მდუმარ თაღქვეშ ორივეს თავზე
ალილუიას არ აღავლენს ჩვენთვის მამაო.

დიდი მადლობა იმისთვის, რომ ვერც კი ხვდებით,
როგორ გიყვარვართ, როგორ გსურვართ და როგორ მლამობთ,
იმის გამოც რომ — საღამოჟამს ხშირად ვერ ვხვდებით,
და ჩემი მყუდრო, ღამეული სიმშვიდის გამო.
ვერ-სეირნობას რომ გვიქადის იღბალი ჩვენი,
და მზისქვეშეთს რომ ჰშურობს ჩვენთვის ბედი წყეული.
რომ არ შეგყრივართ, სამწუხაროდ, მე როგორც სენი —
და რომ არც მე ვარ, სამწუხაროდ, თქვენით სნეული!

„...კიდევ შორია მის დრო-ჟამამდე“

(თამარ შაიშმელაშვილს ესაუბრება თემურ შავლაძე)

— **ბატონო თემურ, რას გულისხმობდა გალაკტიონ ტაბიძე, როდესაც წერდა: „დრო, დრო აღნიშნე!“**

— ვფიქრობ, საკუთარ პოეტურ დროზე მიანიშნებდა, უფლისაგან მხოლოდ და მხოლოდ მისთვის განკუთვნილ დროზე და ამ დროში განფენილ თუ მოაზრებულ საკუთარ პოეტურ არსსა და დანიშნულებაზე. რა თქმა უნდა, დროში თავისთავად იგულისხმება ეპოქაც.

— **საქართველოში ლექსს მრავალი წერს და ლამაზ ტომებსაც გამოსცემენ. მაგრამ ნამდვილი პოეტი თითზე ჩამოსათვლელია...რატომ? რა ტენდენციები შეიმჩნევა უახლეს ქართულ პოეზიაში?**

— არსებობენ ლექსმწერლები და არიან პოეტები! შესაბამისია წიგნებიც! მდიდრული გამოცემა სასიამოვნოა, თუმცა არა — პოეზიამ (!) თავი არ უნდა ჩაიგდოს სასაცილო მდგომარეობაში. მაგრამ განა ყველას მოეთხოვება ან შეჰფერის პოეზიის ავთანდილობა? თუმცა რა გაეწყობა — „ჩვენ მათიცა გვეამებისო...“ ხომ უკვე ითქვა ერთხელ! ნამდვილი პოეტი ყოველ დროში, ყოველთვის იშვიათობაა, გამონაკლისობა — ანუ „მრავალნი არიან წოდებულ, მცირედნი რჩეულ.“ ნებისმიერ ტენდენცია-მიმართულებასაც პოეტი თვითონ ირჩევს და განსაზღვრავს. მეტიც, შესაძლოა იგი საყრდენ (ამოსავალ!) წერტილადაც მოვიაზროთ — ერთგვარ პოეტურ ფილოსოფიად, მრწამსად.

უახლესი ქართული პოეზიის ტენდენციებზე მსჯელობა, სიმართლე გითხრათ, გამიჭირდება; რა თქმა უნდა, იგულისხმება თვით ლიტერატურული პროცესი. და თუ მაინცდამაინც სახელდებაა აუცილებელი, პირადად მე, საკვლევ-საძიებოს დავარქმევდი, უფრო დუღილის პროცესს, ვიდრე დაღვინების. არადა, ეს სრულიადაც არ არის ცუდი, პირიქით; ერთი რამ ცხადია: არაერთი ნიჭიერი ავტორი წარმოჩინდა ხედვით, სათქმელით, გნებავთ, იგავურობით. ახალთაობა, როგორც ყოველთვის — ახალთაობაა! ზოგი „ორიგინალურობს“ და ამ გზით ცდილობს თვითდამკვიდრებას. ქმნის ვითომდა ახალ ესთეტიკას. ჰგონია, რომ ამსხვრევს ე.წ. სტერეოტიპს, ერთგვარად აშანტაჟებს პოეტურ სახისმეტყველებას და ამოყირავებული, გადმობრუნებული შინა-ხედვით ქმნის სრულიად ახალ ლექსემურ მეტამორფოზას. ამ მხრივ გამოვარჩევდი

რამდენიმე ახალგაზრდა, მართლაც ნიჭიერ პოეტს, თუმცა მოვიცადოთ, მოვითმინოთ, დავაცადოთ; დიახ, ახალთაობა — ახალთაობაა, მომავალია ახალგაზრდული არსითა და შემართებით, ბუნტარულობითაც. საკვირველიც არაფერია. ასეც უნდა იყოს. თუმცა არ უნდა დაავიწყდეთ, პოეზია მშვენიერისა და ამაღლებულის მსახურებაა...

— თქვენი ესეების, წერილების, კრიტიკისა და პუბლიცისტიკის კრებულს („ბაკმი," 2007) ჰქვია „პოეზია — მეოთხე განზომილება." რატომ არის პოეზია მეოთხე განზომილება?

— ჩვენი ადამიანური მიწიერ(ებით)ი ყოფ(ნ)ა - ცნობიერება სამგანზომილებიანია. პოეზია კი „აგვამაღლებს," გადავყავართ კოსმიურ ზე-განზომილებაში, საიდანაც (უკვე!) იწყება სამყაროსეული ზე-ხედვა-შემეცნება. პოეზიაც ამ სფეროს კუთვნილებად მესახება, ანუ პოეზიით იხსნება (აიხსნება! აისახება!) სამყარო (რასაც ვერ ვხსნით ლოგიკით! ვერ ვამჩნევთ ფერით! ვერ აღვიქვამთ ბგერით). დიახ, პოეზიით იხსნება სამყარო—სიტყვით (აზრით!), ფერით (ფერწერულობით!), ბგერით (მუსიკით!), სადაც „სმენად მხეცნიც მოვიდიან" — გადავდივართ (ნება-უნებლიეთ!) უფრო მაღალ, მიწიერებიდან განრინებულ-ამაღლებულ ზეციერებაში, პირობითად მეოთხე განზომილებაში. ისე კი სათაური „პოეზია — მეოთხე განზომილება," უფრო წიგნის საერთო დედა-არსის კრებით-შემეცნებითი პოეტური მეტაფორაა.

თემურ შავლაძე

— ეთანხმებით აზრს, რომ თავისუფალ ლექსს მიმართავენ არა შინაგანი აუცილებლობის, არამედ სიახლისაკენ ლტოლვის გამო?

— ჩემი აზრით, თავისუფალი ლექსი არის რიტმულ მელოდიკაზე დამყარებული (დაფუძნებული!) რითმისაგან თავისუფალი ლექსი. დიახ, რითმისაგან თავისუფალი და არა რიტმისაგან ანუ რიტმულ-მუსიკალურობისაგან. ვერლენი რომ ამბობდა „მუსიკა — უპირველეს ყოვლისა," რა თქმა უნდა, პოეზიის ენას გულისხმობდა. სადაც არ არის მუსიკა, იქ არც პოეზიაა. გალაკტიონთან („პოეზია უპირველეს ყოვლისა!") ისე გხიბლავს და აღგიტაცებს (გაჯადოებს!) სიტყვიერი ფერწერა (ფერადოვნება) და ბგერის მუსიკა (მუსიკალური ჟღერადობრივი ჰარმონია), რომ, არცთუ იშვიათად, უკვე, ნება-უნებლიეთ, აღარ გაინტერესებს თავად (თვით!) ლექსემური სააზროვნო პროცესი, რადგან „იისფერი თოვლის ქალწულებივით...ფენა" უკვე „არა თქვენებური" (არა-ჩვენებური!) სიზმარია, განცხადებული ხილვაა, ხედვაა! აი, რატომაა პოეზია აზრობრივი და გრამატიკული ლოგიკის მიწისძვრა, რომელსაც ხან გადაურჩები, ხან არა. გააჩნია პოეტური ბიძგების სიმძლავრეს, სიხშირეს და ა.შ.

რაც შეეხება თავისუფალი ლექსის (წერის!) შინაგან აუცილებლობასა და აქედან სიახლისაკენ ლტოლვას, რა მოგახსენოთ: შეიძლება ერთიც ვიგულისხმოთ და მეორეც, ან ორივე ერთად. თუმცა თავისუფალი ლექსი, როგორც ლექსემური სტრუქტურა, სრულიადაც არ გახლავთ სიახლე. უკეთესია—სათქმელმან შენმან გამოგაჩინოს, სიტყვის ხელოვანებამ წარმოგაჩინოს...

— ის, ვინც რითმიან ლექსს ანაქრონიზმს უწოდებს, არგუმენტად მოჰყავს ასეთი რამ: ახალი ეპოქა მძაფრ და კონკრეტულ აზროვნებას ითხოვს, რასაც მუსიკა და სილამაზე ფარავსო. ადამიანი და სამყარო ერთმანეთს გაუუცხოვდა, და, შესაბამისად, განცდასაც სიმძაფრე უნდა ახლდეს, რაც თავისუფალი ლექსით უფრო ადვილად გამოიხატებაო. თქვენ რას იტყოდით? არის კი თავისუფალი ლექსები ბოლო დროს მომრავლებული ე.წ. ტექსტები?

— ამ კითხვაზე ნაწილობრივ, მგონი, უკვე გიპასუხეთ. გააჩნია, რითმიანი ლექსი ვის ხელშია ანაქრონიზმი: გამრითმავი მომლექსავის თუ მართლა (ნამდვილი!) პოეტის. არ არსებობს ეპოქა, რომელიც მძაფრ და კონკრეტულ აზროვნებას არ ითხოვდეს. გააჩნია, ვინ რას წერს და როგორ, ანუ ვინ რას ქმნის და როგორს! დიდი პოეტისათვის რითმა სხვა განზომილებითი მოცემულობაა, სრულიად თავისუფალი ეპოქალური ზემოქმედებისა თუ სხვადასხვა ზეგავლენისაგან; რადგანაც პოეტი მუდმივად ახალი სამყაროს მქმედია, შემოქმედი! ანუ თვითონვეა ეპოქაც და სამყაროც. წინაადრე — თქმული „დრო, დრო აღნიშნეო," სწორედ ამასაც გულისხმობს. მუსიკა და სილამაზე ისედაც განუყოფელია პოეზიისაგან. ამის ახსნა შორს წაგვიყვანდა, მითუმეტეს, ასე თუ ისე ვისაუბრეთ პოეზიის მუსიკაზე.

რაც შეეხება გაუცხოება-სიმძაფრე-გამოხატვას: ადამიანი ყოველთვის, ყოველ ეპოქაში მეტ-ნაკლებად გაუცხოებული იყო სამყაროსაგან, ბუნებისაგან; ვაჟასეული მინდია-გველისმჭამელიც „უცხოდ" გამოიყურებოდა თანასოფლიერთათვის, ბუნების წიაღიდან გამოუსვლელი და მოუწყვეტელი თემისათვის. განცდის გარეშე იქმნება კი რაიმე ამქვეყნად? „განცდის სიმძაფრეც" ხომ სწორედ(აც) პოეტური ნაგებობის „შენებაშია" და არა „აშენებულით ტკბობაში;" სიმძაფრის არსი პოეტურ მეტყველებაშივეა თავისთავად მოაზრებული. არსებობს პოეტური ენა და, შესაბამისად, მეტყველება! ასევე პროზაული ენა-მეტყველება და, რა თქმა უნდა, ტექსტი! პოეზიასა და პროზას „შუა უძევს დიდი მზღვარი," თორემ პოეტური მეტყველების ნიმუშების ნაკლებობას ნამდვილად არ განიცდის ჩვენ — დიდ თუ მცირე — პროზაიკოსთა ნაწარმოებები. მეტიც, „აბო ტფილელის წამების" მეოთხე თავი — „ქება აბოსი" —

პროზაული ტექსტით ამეტყველებული პოეზიაა, შეიძლება ითქვას, შედევრი! ძველი ქართული ჰიმნოგრაფიული ტექსტები ხომ უმეტესწილად (!) თავისუფალი ლექსია, ოღონდ სწორედაც რომ რიტმულ მელოდიკაზე დამყარებული, რითმისაგან თავისუფალი ლექსი. ასე რომ, „ტექსტით“ პოეზიის „ქმნადობასა“ და ღირსება-ნაკლოვანებაზე მსჯელობა, პირობითია, საჭოჭმანოც! გამართლება ყველაფრის შეიძლება, მაგრამ პოეზია ან არის, ან არა!

— დღეს მომრავლდა ე.წ. ტექსტები, რომლებიც თავისუფალი ლექსის მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებენ, ანუ წერენ ყველაფერზე...

— წერა შეიძლება რითმითაც, ურითმოდაც; ყველაფერზეც, არაფერზეც; როგორც ვთქვით, მთავარია, რას როგორ წერ და ქმნი! შეიძლება წერდე სიყვარულზე და სიტყვა „სიყვარული“ არ ახსენო: „როგორ დავიპყრო მისი გული, როგორ დავტოვო ჩემს ახლოს იგი, მომზირალი მუდამ პირიქით. ო, ალუბლებო, ყვავილებით მიწა დათოვეთ, წაშალეთ ჩემგან წასასვლელი ყველა ბილიკი.“ აქ უკვე აღარ გაინტერესებს, რითმიანია თუ არა ეს ლექსი, ის პოეზიაა! და აღარც თარგმანება გაინტერესებს... რა თქმა უნდა, ვიდრე ამგვარი პოეზიის ბანგისაგან არ გამოფხიზლდები, არ გათავისუფლდები.

— ბროდსკი წერდა ანა ახმატოვაზე: „სიყვარული იქცა მის ენად, დროსთან საურთიერთობო კოდად... მის ტალღაზე მოსამართ მინიმუმად სიყვარულის ენა მისთვის უფრო მეტად მახლობელი იყო. ის ცხოვრობდა არა საკუთარი ცხოვრებით, არამედ დროით, დროის ზემოქმედებით ადამიანთა სულებსა და მის ხმაზე — ანა ახმატოვას ხმაზე“. ეთანხმებით?

— ასეთ შემთხვევაში ჩემს დათანხმება-არდათანხმებაზე არათუ საუბარი, მინიშნებაც კი უბრალოდ უხერხულია. თვალწინაა დიდი პოეტის მიერ აღქმულ-განჭვრეტილი დიდი პოეტის სულიერი ფოტოგრაფია — დროით დაღდასმული და დაშტამპული. თანაც, ეს ხომ ბროდსკისეული ხედვაა, მისმიერი სააზროვნებო-სივრცისეული მეტაფორისტიკა, რომელიც ვეღარ ჰგუობს გაწელილ მსჯელობას. ახალგაზრდა ბროდსკი ახლობლობდა და მეგობრობდა ხანმიერ რჩეულ პოეტესასთან. მეტიც, სწორედ ის მიაჩნდა პოეზიის მეტრად და მფარველად. ეს კიდევ სხვა თემაა. რაც შეეხება მოხმობილი ციტატის შინაარსს, აქ უკვე ანა ახმატოვას მიერ ქმნილ პოეტურ ენაზეა საუბარი, ეპოქალურ-სტილურ ენაზე, საურთიერთობო იდუმალ კოდზე, რასაც ბროდსკისეული სიმბოლიკით — დრო, ეპოქა, პოეტი — ანუ მთლიანობა-განუყოფლობაში — ანა ახმატოვა ჰქვია! მეტიც, მისი აზრით, ანა ახმატოვა თვითონ იყო ეპოქა და ამ ეპოქის ენის სახელმდებელიც.

— თქვენზე რომ იყოს დამოკიდებული, რას შეცვლიდით თანამედროვე ქართულ პოეზიაში?

— პოეზია ღვთაებრივია — „პირველადვე სიბრძნის დარგი“ ანუ სიბრძნეა (რუსთაველი). რაც ღვთაებრივია, არც ჩვენზეა დამოკიდებული. პოეზია სულის თავისუფლებაა. ვისაც როგორ(ც) ეწერება, ისე(ც) უნდა წეროს, იაზროვნოს, გამოიხატოს, წარმოისახოს. მე ჩემი გზა მაქვს, სხვებს თავისი. ამიტომ, არც შევცვლიდი და ვერც შევცვლიდი. ჩემი უფლებაა — მომეწონოს, ან არ მომეწონოს. დანარჩენი უკვე ზნეობ(რიობ)ის საკითხებია...

— ნიკოლოზ ბარათაშვილისადმი მიძღვნილი თქვენი ლიტერატურული ესეი „რად აქვს გულს ესე ჩუმი ნაღველი“ წარმატებით იდგმებოდა ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრში. როგორ დაიწერა იგი?

— უცნაური ამბავია, ალბათ დაუჯერებელიც! ის, რომ ბავშვობიდანვე გამორჩეულად მიყვარდა მისი პოეზია, ცალკე თემაა. 1984 წელია, ჩვეულებრივი ზაფხულის დილა. გნებავთ გასხივოსნება დაარქვით: დივანზე წამოწოლილს მეწვია ხილვა-აზრი, თუ როგორ აღესრულა განჯაში პოეტი. შემდეგ იყო მოგზაურობა განჯა-ნახიჭევანში, დაბრუნება და ესეის (ძალიან მალე!) წერის პროცესი. შეიძლება არც (კი!) დამიჯეროთ, მაგრამ რაღაც იდუმალი გონის კარნახით იწერებოდა ეს ლიტერატურულ-ფსიქოლოგიური პორტრეტი პოეტისა. პირველად დაიბეჭდა 1987 წელს, ლიტერატურული ალმანახის „სათავე“ პირველივე ნომერში. ალმანახს რედაქტორობდა ლაშა თაბუკაშვილი. შემდეგ მცირე (მინიატურულ) წიგნადაც გამოიცა, სცენაც იხილა და მაინც უცნობი დარჩა ფართო საზოგადოებისათვის. მოგეხსენებათ, წიგნებსაც თავისი ბედი აქვს...

— რატომ უწოდეთ თქვენი ლექსების მესამე კრებულს „შავრაძოვანი?“

— „შავრაძოვანი,“ როგორც სათაური, ერთგვარი პოეტური მეტაფორაა, სახისმეტყველება, საკუთრივ მხოლოდ ჩემეული გვარ-პოეზია. გამოცემით 2004 წელს გამოიცა, 200-ოდე ტირაჟით. მაღაზიებში არ შემიტანია. საჩუქრებად დავარიგე. რამდენიმე ცალი თუ შემომრჩა. წიგნის ფორმა-შინაარსისეულ თუ მხატვრულ-სახეობრივ სიახლეებზე საუბარს, თქვენი ნებართვით, მოვერიდები.

— რას იტყოდა ლიტერატორი თემურ შავლაძე პოეტ თემურ შავლაძეზე?

— „...კიდევ შორია მის დრო-ჟამამდე.“ ანდა, „უფრო შორია მისი დრო-ჟამი“... ან სულ უბრალოდ — „შორეულია მისი დრო-ჟამი,“ რომელიც გნებავთ, აირჩიეთ.

— თქვენს პოეზიას ახალი სალექსო ფორმა გამოარჩევს. სრულყოფილად ამბობთ სათქმელს?

— სალექსო ფორმის სიახლეზე გეთანხმებით. ეს მართლაც ასეა; რაც შეეხება სათქმელის სრულყოფილებას, მკითხველის განსასჯელია. თუმცა, როგორც პოეტს, ქართველი მკითხველი, მწერალთა ვიწრო წრის გარდა, თითქმის კი არა, საერთოდაც არ მიცნობს; რასაც, ალბათ, ჩემი პიროვნული ხასიათიც განაპირობებს. ორიოდე რეცენზია-გამოხმაურებასაც გავიხსენებდი: ივანე ამირხანაშვილის და ნონა გიორგაძისას.

— ფორმა წერს შინაარსს თუ — პირიქით? როგორ ფიქრობთ, ლექსის წერის დროს რა არის უმთავრესი — ფორმა თუ შინაარსი?

— თუ ამაზე იფიქრე, ვერასოდეს შექმნი ვერაფერს. ეს თავისთავადი პროცესია, ანუ პირველი „წერს“ მეორეს და, პირიქით: ორივე ერთმანეთის მსაზღვრელია, ორივე უმთავრესია, ერთიანი განუყოფლობაა; ეს მერეა ყოველივე ნათელი... გააჩნია პოეტს, ნიჭს, სათქმელს — „ვინ ახლოს ვდგავართ ღმერთთანა“... (ვაჟა).

— ერთხელ თამაზ ჭილაძემ მწერლობა ვენახს შეადარა და იქვე დასძინა: ვენახი გვეღუპებაო! რა არის ქართველი კაცისათვის მწერლობა, იქნებ გამუდმებით სულიერი სამშობლოს ძიება?

— ჩემი აზრით, მწერლობა ქართველი კაცისათვის სიცოცხლისეული არსია, დვრიტაა, მცნებაა. დიახ, მცნება! ვენახი, ვაზი, ღვთაებრიობის სახე-სიმბოლიკაა, სიწმინდეა — ნინოს ვაზის ჯვრით! ვენახი ხომ იგივე საქართველოა, მწერლობა კი მისი მტევანი, ნაყოფი. მწერლობა ჩვენი უპირველესი ეროვნული ღირსებაა, ერის სახეა, მისი ხატი! ხატთან მისვლა ყველას შეუძლია, მაგრამ გააჩნია მლოცველს.

მწერლობის დაკნინება-დამცრობა იგივე ვენახის სამშობლოსეული არსის შეურაცხყოფა-გაუფასურებაა, დაღუპვა და უბედურებაა. ყველა ვერ იქნება რუსთაველი და ბარათაშვილი და ვერც ყაზბეგი და ჯავახიშვილი, მაგრამ სამშობლო ერთია და ამ ვენახს ყველა უნდა მოუფრთხილდეს. ყველას უნდა გვახსოვდეს პოეტისეული ამონაკვნესი — „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს!“ ერის სკივრი-საგანძური მწერლობაა, სამშობლო კი არამარტო (საცხოვრებელი) ტერიტორია, უპირველესად სააზროვნებო სივრცეა! ამ სივრცის განმსაზღვრელ-დამსაზღვრელი კი, გვინდა თუ არ გვინდა, გვსურს თუ არ გვსურს, მწერლობაა.

მე პირადად, ჭეშმარიტი მწერალი, განსაკუთრებით საქართველოში, გმირად და ტანჯულ—წამებულად მესახება... და მტრის მახვილიც ხომ ყოველთვის მასზეა მოღერებული...

— „... და აი, ვფიქრობ, დავიტოვო თუ არა ბინა, აქ, ამ ქალაქში, სადაც გული ცარიელია; ან იქნებ დავრჩე, ჩავსვა სულში ჩამტყდარი მინა, მაინც ხომ ასე წრფელი განცდით არც სად მელიან...”

ლექსს „აქ, ამ ქალაქში“ ჰქვია. როგორია თემურ შავლაძის ქალაქი?

— რა გითხრათ, როგორ გითხრათ. აქ დავიბადე, აქ გავიზარდე, „აქ არის ჩემი ბინა, სამშობლო,“ არცსად წავსულვარ, და არც მსურს წასვლა, და მაინც რაღაც სულ სხვანაირი „სხვა ხალხის ისმის აქ ჟრიამული...“

— როგორ მუშაობს პოეტი და ლიტერატორი თემურ შავლაძე? როდის და როგორ იწერება ლექსი?

— მწერლისთვის ყოველგვარი მიზეზ-შედეგობრიობა მხოლოდ პირობითობაა. მწერლობა თავისთავადი მისტერიაა და ნებისმიერი რამ ქმნილ-ღირებული სწორედ ამ მისტერიის პირმშოება.

— „ო, ნეტავ იმ დღეს, დავქროდი როს უფლის ეზოში, დაბრუნდება კი ის დღეები, როდესმე, ოდეს?”

თქვენს პოეზიაში რელიგიური განცდა სჭარბობს. როდის დგება ლოცვის ჟამი?

— პოეტი ხომ ამოუცნობი სულია. ლოცვის ჟამი? განა სიცოცხლე, ცხოვრება ჩვენი მუდმივი ლოცვის ჟამი არ გახლავთო... ამ დროს იწერება ლექსიც და, საერთოდ, რასაც ვქმნი.

ლალი ალექსი-მესხიშვილი

რეკვიემის მაგიერ

ანუ
გარდასულ დღეთა მძიმე მოგონებანი

1952 წელი.
კიდევ ერთი „საინტერესო“ ღამე თბილისში

სრულიად მოულოდნელად, ერთ „მშვენიერ“ ღამეს შუა აზიაში ასახლებენ თბილისელებს, მთელ ოჯახებს, საკმაოდ ბევრს, „ასაბარგებლად“ 2-3 საათი. გადაასახლეს ჩვენი ახლობლები — ბაბო დადიანი და მისი შვილები თათული და გიორგი მასხარაშვილები — დედაჩემის ნათლულები. ირკვევა: ასახლებენ იმათ, ვისაც უცხოეთში ახლო ნათესავები ჰყავთ. ზოგი ოჯახი ამით იგებს, რომ მათი შვილები, ქმრები, მამები ცოცხლები არიანო — ომის შემდეგ უგზო-უკვლოდ დაკარგულებად ითვლებიან. თურმე ტყვეობის შემდეგ ისინი უცხოეთშივე რჩებიან, იციან თუ რა დღე დაადგებათ აქ რომ ჩამოვიდნენ. მათი ოჯახები გახარებულები მიდიან გადასახლებაში.

...1956 წელს უმაღლესი სასწავლებლების დამთავრებულ სტუდენტების პირველი ნაკადი ვართ, ჩვენ „ხალხის მტრების შვილები“ (ასეთი იარლიყით ვცხოვრობთ), რომელთაც ნებას გვრთავენ ასპირანტურაში სწავლის გაგრძელებისა.

შემდეგ სტალინი, ჩვენი „მამა და მასწავლებელი, საქართველოს სიამაყე“, რუსეთის ძლიერი სახელმწიფოს შემქმნელი, „ქართველების დიდი მოამაგე, ტერიტორიების შემნარჩუნებელი“ წავა ამ ქვეყნიდან, ალბათ პირდაპირ ჯოჯოხეთში, იქნებ ჯოჯოხეთსაც რამე მოუხერხოს? მაგალითად კომუნიზმი დაუმკვიდროს?

ამის შემდეგ იწყება 1937 წელს დახვრეტილთა რეაბილიტაცია, ბოდიშის მოხდა. ბოდიში შველის ობლობაში გაზრდილ ზრდასრულ ადამიანებს?

1956 წელი

როგორც კი სტალინს სამუდამო ადგილსამყოფელს შეუცვლიან, იწყება მისი „პრესტიჟის“ დამცავი, საწყალი ქართველების მანიფესტაცია-გამოსვლები. ძირითადად ამის მსხვერპლია სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტობა. სხვა ცალკეული სტუდენტების ჯგუფებიც იღებენ მონაწილეობას, მაგრამ არა მასობრივად. 20-20 კაცი მწკრივში მიდიან სკანდირებით: ლენინ, სტალინ...

სანაპიროზე, ბაღში დგას სტალინის ძეგლი. იქ იკრიბებიან, სტალინით იწყებენ, მერე კი საქართველოს დამოუკიდებლობის ლოზუნგები ისმის.

9 მარტი — სტუდენტების აგზნება მწვერვალს აღწევს, ალბათ პროვოკატორები აწვდიან იდეას, რომ უნდა აიღონ კავშირგაბმულობის შენობა. ხომ არ გგონიათ, რაიმე იარაღი გააჩნიათ (დანებს რომ ატრიალებენ და რევოლვერებს ისვრიან, ზოგიერთი ახლანდელი ახალგაზრდები?), სტალინის ძეგლთან მდგომნი როგორც კი გაიგებენ, რომ კავშირგაბმულობის შენობასთან რაღაც ხდება, ერთ წუთში, ბაღში მდგომ ხის სკამებს დაშლიან და ჯოხებით ხელში გარბიან მაღლა. იქ კიდევ კომუნისტური მთავრობა ნამდვილ ტყვიებს დაუშენს, ხოლო ხიდზე მდგომთ

*** დასასრული. იხ. „ჩვენი მწერლობა“ №5**

ხიშტებით წყალში ყრიან. ამ დღეს მე დავიბადე — 9 მარტს. მთელი ჩემი მეგობრები ჩემთან იკრიბებიან, ნამდვილად არ გვექეიფება, ვსხედვართ და ვლაპარაკობთ. მე სტალინისტები არავინ მყავს, მაგრამ ძალიან გვეცოდება ის მოტყუებული ახალგაზრდობა. 9 საათზე მოვიდა ძია აკაკი და დაჯდა გულმოკლული, ცეკაში დაუბარებიათ (მას ძლიერი ხმა აქვს) ყველა ის, ვისიც იმედი ჰქონდათ, რომ მათ ახალგაზრდობა მოუსმენდა. მაგრამ დაიგვიანეს, აგზნებულმა ახალგაზრდებმა ტრიბუნებთან არც კი მიუშვეს არავინ. აკაკი ღელავს, რაღაც ამბავი არ დატრიალდესო. ჩვენ ვკამათობთ, ვფიქრობთ. ალბათ დააპატიმრებენ ცოტა ხნით და გამოუშვებენ. ნურას უკაცრავად — შემოიყვანეს რუსი „მეგობრების“ ჯარი და დაიწყეს დახვრეტა. ჩემი ნაცნობებიდან მხოლოდ ნოდარ ნათაძეა დაკარგული. ორ დღეში გამოჩნდება, თურმე დადის და ამშვიდებს ახალგაზრდებს და ამ მომენტში კიდევ კარგი დააპატიმრებენ. ის საშინელება, რაც იმ ღამეს დატრიალდა, მიჩქმალეს, ხმის ამოუღებლად რამდენი ახალგაზრდა დაიღუპა?

1958 წელს ხელნაწერთა განყოფილება გამოეყო მეცნიერებათა აკადემიის მუზეუმს და დაარსდა კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი.

ასპირანტურას ვამთავრებ ამ დროს და პირდაპირ ვირიცხები შტატში.

შემდგომ ვამთავრებ სადისერტაციო თემას და აქ ერთი კურიოზი მომივა. ალბათ „დაუფიქრებლად“ ვწერ დისერტაციას რუსულად. ამის გაგონებაზე ილია აბულაძეს (ინსტიტუტის დირექტორია) ნამდვილი ისტერიკა ემართება. მე ვამშვიდებ: „ნუ ღელავთ, ქართულად დავწერ“. ჩვენ ჯერ მუზეუმის შენობაში ვართ. დიდი გრძელი დერეფანია, ერთ ბოლოში ბიბლიოთეკაა, ხოლო მეორეში ჩვენი სამუშაო ოთახებია, ბ-ნი ილია შუაშია, თვალს ერთდროულად ყველაფერს ავლებს. გამოვიტანე ბიბლიოთეკიდან ლექსიკონები (სახლში კი მაქვს, მაგრამ აქაც მინდა), 3 ტომი, კმაყოფილი ვარ. ბ-ნი ილია დგას თავის კართან და შორიდან მბურღავს თვალებით, როდესაც მივუახლოვდი და დაინახა თუ რა მომქონდა, მორთო კივილი მთელ დერეფანში: „დავით რექტორის შთამომავალი და რუსულ-ქართული ლექსიკონი?!“ ამ ფრაზას გაჰკიოდა (ბოდიშს ვიხდი ამ სიტყვისთვის, სხვა ვერაფერი მივუსადაგე) გაუჩერებლივ, ვიდრე ჩემს ოთახამდე მივაღწიე.

ცოცხალ-მკვდარი მივუჯექი მაგიდას. ან რა უნდა მეთქვა? დავით რექტორს რომ თავი დავანებოთ, ქართულ ხელნაწერთა ინსტიტუტია და რუსულად დაწერილი დისერტაცია მართლაც აბსურდია (ჩემს ოთახში შემოვარდნილ თანამშრომლებთან იხტიბარს არ ვიტეხ, რა მოხდა, მე ხომ ბიოლოგი ვარ!). ბ-ნი ილიასი მადლიერი ვარ, წლების მანძილზე ვესწრები სხდომებს, ვუსმენ მის ქართულს, ვინ უნდა იყო, რომ ასეთ დროს ვერ დაეუფლო მშობლიურ ენას კარგად?

შემდგომმა წლებმა შედარებით მშვიდად ჩაიარა. სასიამოვნო გასახსენებელია ჩვენი ბიძის აკაკის უკანასკნელი იუბილე, ჯერ თბილისში, მერე სოხუმში ჩავდივართ, სადაც ის განსაკუთრებულად უყვართ. მან ჩამოაყალიბა სოხუმის თეატრში აფხაზური დასი, ჩემთვის სასიხარულოა სენაკში ჩასვლა, ბევრს ვიცნობ, ზოგნი აღარ არიან. მთელი ბავშვობა ამ ქალაქს უკავშირდება, მიხარია, მიყვარს აქაურობა.

1970 წელი ჩემთვის დიდი უბედურების მომასწავებელი, უეცრად, მოულოდნელად, ტრაგიკულად ვკარგავ, სრულიად ჯანმრთელ დედას. მეტს ვერაფერს ვიტყვი. მორალურად განადგურებული ვარ. ამ დროს განგება მიგზავნის არჩილ კვეზერელ-კოპაძეს. კვეზერელი-კოპაძეების ოჯახის შესანიშნავ წარმომადგენელს — გეოლოგია. ქვრივია. მისი შვილი თემური და რძალი მაია — ექიმები არიან. ჰყავთ ორი მშვენიერი გოგონა — რუსუდანი და თინათინი — თავად უკვე დედები. არჩილი ძალიან მეხმარება ყველაფერში, ყველა სიძნელეების გადალახვაში, ხოლო გოგა შეიძენს მოსიყვარულე, მზრუნველ მამას, რომლისგანაც სწავლობს თუ რა არის ნამდვილი კაცი და როგორ უნდა გახდე ის. არჩილი ჩემს მამიდებს და დეიდას ძალიან შეუყვარდებათ. განსაკუთრებით კი ძია აკაკის, რაც მე უსაზღვროდ მახარებს. აკაკიმ საოცრად იცის ადამიანების გამოცნობა და იმ ორ უკანასკნელ წელიწადში, რაც მას რჩება ამ ქვეყნად, ძალიან დაუმეგობრდება აჩიკოს. 1972 წლის აპრილია, ვუხდით უკანასკნელ დაბადების დღეს ძია აკაკის. რუსთაველის თეატრიდან მოდიან მსახიობები (თუმცა ბევრი აღარ არის ცოცხალი, უდროოდ წავიდნენ ამ ქვეყნიდან), უზომოდ კმაყოფილი რჩება.

23 ივნისს ბიძაჩემი მიდის ამ ქვეყნიდან, იმ დღეს, რომელსაც წინდაწინ იწინასწარმეტყველებს.

ტატა

თამარ ალექსი-მესხიშვილი — ტატა, მამიდაჩემი, უფრო სწორედ ჩემი მეორე დედა. ადამიანი, რომელიც ჩვენ — ობლებს შეგვწირავს თავს. უკეთილშობილესი, განათლებული, ყველა გაჭირვებულის პატრონი. მთელი მისი არსებობა თავგანწირვაა. ოპერის პირდაპირ, ჭავჭავაძის კუთხეში მე-13 პოლიკლინიკაა, სადაც ტატა მუშაობს — სტომატოლოგია. თბილისელების უმეტესობა მასთან მკურნალობს და მთელი ჩვენი დიდი ნათესაობაც.

პირველი მსოფლიო ომია. თბილისში, ახლანდელი ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის შენობაში — ჰოსპიტალია, ომში დაჭრილი საქართველოს მოქალაქეებისათვის. 1915 წელია. ტატა ამ ჰოსპიტალშია — მოწყალების დაა... შემდგომში მიამბობს: „ვიგებ, რომ ჩვენს ჰოსპიტალში ვაჟა-ფშაველა წევს, მისი უკანასკნელი დღეებია, მე მასთან ვარ, ჩემს დეიდაშვილთან — თამარ მაყაშვილთან ერთად. ვაჟა გვეტყვის: „ძალიან მენატრება ტყის სუნიო!“ ჩვენ დავუკრეფთ ფოთლებს დიდი რაოდენობით და მის მთელ ოთახს მოვფენთ. იმ ღამეს ვაჟა სულს დალევს“.

ჩემი შვილთაშვილი ანნა მეოთხე კლასშია, მეტყვის: „დავალება მაქვს, ვაჟაზე უნდა დავწერო“. მე ვუამბობ მამიდაჩემის ნაამბობს. ანნა: „ლალიკო, შენ რა, ჩემი სახელმძღვანელო წაიკითხე? ეს ამბავი იქ წერია!“ მე გავჯავრდები. ანნა: „აბა თუ ამოიცნობ მამიდაშენს, წიგნში მოწყალების დების სურათია, მომაკვდავ ვაჟასთან ერთად!“ ვნახავ, სურათზე მარცხნიდან მეორე ტატაა, ძალიან გამიხარდება.

საინტერესოა, ფოტო ვინ გადაიღო მომაკვდავ ვაჟასთან ერთად?

ტატას შემდგომი საქმიანობა უკვე აღწერილი მაქვს. ის თავის სიცოცხლის ბოლო წლებს სავარძელში ატარებს, ფეხი მოტეხილი აქვს. არჩილი (ჩემი ქმარი) უყიდის დიდ სავარძელს ბორბლებზე. მთელ ჩვენს ბინაში კარები ღიაა და ტატა სულ დადის და დადის, ცდილობს ყველას დაგვეხმაროს ოჯახში. განსაკუთრებით ზრუნავს გოგაზე (ჩემს შვილზე), რომელიც ძალიან უყვარს, მამაჩემს აგონებს. თა-

ნაც გოგა მამას სახელს და გვარს ატარებს და გარეგნობითაც მამას ჰგავს. ღმერთმა ნათელში ამყოფოს ტატას სული. მისნაირი ადამიანები, დღეს, საუბედუროდ, „ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა“, გულსატკენია, მაგრამ ფაქტია.

მე 1973 წლამდე ფაქტობრივად უკვე ვხელმძღვანელობ იმ განყოფილებას (ჰიგიენის და რესტავრაციის), რომელიც ახლა იხსნება ოფიციალურად. ამავე წლის სექტემბერში, ჩვენს ინსტიტუტში მომუშავე ჩეკისტებმა (ალბათ არაერთია) მე დამასმინეს მინისტრ ინაურთან. ინაურის წერილი მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტ ილია ვეკუასთან (ტექსტი მეც წამაკითხეს), შემდეგი სიტყვებით იწყება: „Из достоверных источников мне известно, что Лали Георгиевна Алекси-Месхишвили, რომელსაც ამა და ამ ინსტიტუტში ესა და ეს თანამდებობა უკავია является вредителем და ა.შ. უბრძანებს: „შეჰქმენით კომისია, შეისწავლეთ ყველაფერი და მომახსენეთ, უკიდურეს შემთხვევაში ჩვენ უთქვენოდ ჩავერევითო. მე მგონი ნათელია, ამ უწყების (იმ პერიოდის) მინისტრის უტყუარი წყაროა — ჩვენს ინსტიტუტში მოკალათებული დამსმენები. ეტყობა მე ამ ქვეყანაზე ჩეკისტების გარეშე სიცოცხლე არ მარგუნა ღმერთმა (ალბათ ჯოჯოხეთშიც მათი სახით ბევრი ნაცნობი შემხვდება, აბა, სამოთხეს მე ვინ დამითმობს). ჩემს გვერდით მუშაობენ, მიღიმიან, მაგრამ სურვილი კლავთ გამანადგურონ, ციხეში ჩამსვან ამ ნაძირალებმა. ინგლისელების არ იყოს (ძალიან მომწონს ეს გამოთქმა): „ნეტავი რა გავუკეთე ასეთი კარგი რამ, რომ ასე ვძულვარ“.

გაკეთების არ ვიცი, მაგრამ არავისთვის რომ არაფერი დამიშავებია?

ჩემს 14 წლის ბიჭს როგორ უნდა შეხედონ თვალებში?

ჩემი საქმიანობის შემსწავლელი დიდი კომისია მუშაობს, სხვადასხვა დარგის აკადემიკოსებისაგან შემდგარი. ამ კომისიაში ჩემი ხელმძღვანელიცაა, აკადემიკოსი ლევან ყანჩაველი, როგორც კი გაიგებენ ამას, იმავე წამს ითხოვენ რუსეთიდანაც კომისიას (ჩემი ინსტიტუტის თანამშრომლები).

მერე რუსები მეტყვიან (გასაკვირია ალბათ არა? მე ისინი პატივს მცემენ და ვუყვარვარ კიდევაც): ჩვენც შემოგვითვალეს, ჩამოდითო: „იქ, სადაც ყანჩაველია, ჩვენ რა გვინდაო? როცა რამე გვიჭირს ყოველთვის მას მივმართავთო“ (მიკოლოგია იგულისხმება).

კომისიის თავმჯდომარეა ბ-ნი ევგენი ხარაძე, რომელიც ზედმიწევნით იკვლევს ყოველივეს და ყველაფერზე საბუთები აქვს. უდიდეს მასალას შეაგროვებს, მგონი სადოქტორო დისერტაციის ტოლფასია.

1974 წლის 28 თებერვალს პრეზიდიუმის სხდომაზე ჩემი საკითხი გადის.

აკადემიკოს ევგენი ხარაძის მოხსენების შემდეგ (მე არავინ არაფერს შემეკითხება), გამოდის პრეზიდენტი ილია ვეკუა და პირდაპირ მიმართავს ჩვენს დირექტორს ელენე მეტრეველს და ამბობს: „როდესაც ინსტიტუტში რაიმე ხდება (საგანგებო ვითარება) კოლექტივი ერთსულოვანი უნდა იყოს. რა ხდება თქვენს ინსტიტუტში? გაყარეთ ეს ინტრიგანებიო“. ეს სიტყვები სამუდამოდ მრჩება გულში. აგრეთვე ნათქვამია, რომ ამ განყოფილებისთვის არაა საკმარისი თანამშრომელთა რაოდენობა და 6 საშტატო ერთეულს მიმატებენ. მე აღარ მინდა დაბრუნება ამ კოლექტივში, მაგრამ ზეწოლას განვიცდი და ჩემს თავს გადავლახავ. იცით რა ხდება? ზოგიერთები ჩუმ-ჩუმად შემოდიან ჩემს კაბინეტში და მკცნიან. მე ყველას ვაპატიე, ასეთი ადამიანები შეცოდების ღირსნი არიან, ვაპატიე, მაგრამ მეხსიერებიდან ვერ ამოვიშალე და ვერასოდეს დავივიწყებ.

1991-92 წწ.
ხუთი დაუვიწყარი თვე კოლხურ კოშკში

1991-92 წლები, კიდევ ერთი სამარცხვინო ფურცელი რუსეთის „მფარველობის“ ქვეშ მყოფი საქართველოს ისტორიიდან.

ამ პერიოდს წინ უძღვის ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ახალგაზრდობის ახალი ტალღა. 1988 წლის გამოსვლები, მიტინგები, დემონსტრაციები, 1989 წლის 9 აპრილი, ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტი — ზვიად გამსახურდია, 26 მაისი — საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების თარიღი. ახალი მთავრობა, მის წინააღმდეგ ამხედრებული თბილისის „ინტელიგენცია“, „მხედრიონი“ და სამოქალაქო ომი.

ერთ მხარესაა მთავრობა — „ბუნკერად“ მონათლულ პარლამენტის სასადილოში.

ქუჩის მეორე მხარეს, ქაშუეთის ეკლესიის ეზოში — მეამბოხეები „გაურკვეველი“ წარმოშობის ზარბაზნებით. ორმხრივი სროლა, ზარბაზნების ქუხილი, ხანძარი, ნგრევა და ა.შ. უეცრად ახსენდებათ ვერაზე მდგომი კოლხური კოშკი. ისმის განკარგულება: ორი ტყვიამფრქვევი — ერთი ვერის სასაფლაოს ეკლესიის თავზე (ეკლესიებიც რომ გამოიყენეს თავისივე თანამოქალაქეების მოსასპობად, მე მგონი, მსოფლიოს ისტორიაში პირველი შემთხვევაა), მეორე კი კეკელიძის ქუჩის მაღლივი კორპუსების ერთ-ერთი სახლის სახურავზე, რომელიც კოლხურ კოშკს პირდაპირ შესცქერის.

მთავარსარდლის ბრძანება და იწყება კოშკის ორმხრივად ტყვიებით დასეტყვა, ხანგრძლივი და შეუჩერებელი. კოლხურ კოშკში ხომ საქართველოს დაუძინებელი მტერია მოკალათებული: პრეზიდენტის მეუღლე ორი პატარა ბიჭუნათი და მათი ოჯახის ახლობლები — ორი ახალგაზრდა გოგონა — დები, რომლებიც არ ტოვებენ გასაჭირში მყოფ თავისიანებს. მეტყვიამფრქვევეები ღელავენ: ვაი და ვერ დაძლიონ ასეთი „ძლევამოსილი“ არმია? — ისვრიან და ისვრიან...

...პრეზიდენტი და მთავრობა ტოვებენ დედაქალაქს, მაგრამ ახერხებენ ტყვიამფრქვევების გუგუნში და ტყვიების ზუზუნში ქალების და ბავშვების გამოყვანას.

ომი დამთავრდა, დედაქალაქი დანგრეულია, შენობები დამწვარი, თანამოქალაქეების ნაწილი დაიღუპა, მეორე ნაწილმა დატოვა სამშობლო, ზოგმა დროებით, ზოგმა კი სამუდამოდ. პრეზიდენტი და მისი ოჯახი გახიზნულია. გამარჯვებულმა „ინტელიგენციამ“ „გააცილა“ ისინი „ცეცხლითა და მახვილით“ და ბოლოს სასტუმროში დღესასწაულობენ ტაშფანდურით, ზეიმობენ „დამანგრეველი ეროვნული მოძრაობის“, ანუ თავისი ერის შვილების განადგურებას, გახიზვნას, დაღუპვას.

აფერუმ თვქენს ვაუკაცობას „ნამდვილო ქართველებო!“

დედაქალაქში კი სასოწარკვეთილება სუფევს. ვაი საოცრებავ, დაობლებული კოლხური კოშკი ისევ ამაყად დგას და გადაჰყურებს დანგრეულ, გაუბედურებულ დედაქალაქს. 1992 წლის 18 მარტია, ღამეა. კოშკის ჭიშკარი ხმაურით იღება, გამოჩნდებიან ჩვენი „ერთგული მხედრიონელები“. ავტომატების მომარჯვებით კედელთან ააკრავენ ამ ტერიტორიის დამცველ მილიციელებს და იწყებენ „კეთილშობილურ“ საქმეს, ცარიელი შენობის ფანჯრების შუშების მტვრევას და

ისედაც ტყვიებით სავსე შენობა, ხელყუმბარებით შეივსება. ხანძარია. მთელი შენობა იწვის. მეხანძრეების ვაჟკაცური შემართებით და მათი წყალობით კოლხური კოშკი ისევ გადარჩება, თუმცა შიგნით ბევრი რამ დაიწვება და განადგურდება. მოსულია (აწ განსვენებული) გურამ შარაძე. მისი ინიციატივით, დილიდანვე ყალიბდება კომისია, მთლიანად დაკომპლექტებული ლიტერატურული მუზეუმის გამოცდილი და წამყვანი თანამშრომლებით, მხოლოდ ამ სტრიქონების ავტორი ერთადერთია მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტიდან, განყოფილების ხელმძღვანელი — მიკოლოგი. კომისიის თავმჯდომარეა (აწ განსვენებული) ციცი ბუქურაული, ლიტერატურული მუზეუმის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში, კეთილშობილი, მცოდნე, შესანიშნავი პიროვნება, ასეთივენი არიან კომისიის სხვა წევრები: ლია გედევანიშვილი, რუსუდან დაუშვილი, რუსუდან ნიშნიანიძე და რუსუდან კობახიძე, მცოდნე, თავდადებული და კეთილსინდისიერი პიროვნებები, რომლებსაც მე დავუმეგობრდები.

კომისიის მუშაობის დროს, ლიტერატურული მუზეუმის თანამშრომლები, დირექციის ბრძანებით, თავისუფლდებიან სამსახურიდან.

ხანძრის შედეგები

მთლიანად განადგურებულია ბ-ნ კონსტანტინეს მემორიალური ოთახი (მეორე სართულზე). ძველებური, ძლიერ დამწვარი საწერი მაგიდა ძლივს დგას ფეხზე, მასზე — ნაცრად ქცეული უძველესი ქართული ხელნაწერების გროვა, რომელთა არსი დგინდება გადარჩენილი ფურცლების ნაგლეჯების მიხედვით, წიგნების ნაშთები, დამწვარი სავარძლები, სურათები და ა.შ.

ასეთივე ბედი ეწია ზვიად გამსახურდიას სამუშაო ოთახსაც პირველ სართულზე, მთლიანად დაიწვა. ხელყუმბარებმა აქაც იზეიმეს გამარჯვება... იატაკზე ნაცარია, რომელსაც ქექავს კომისიის ერთ-ერთი წევრი — რუსუდანი, თავად მთლიანად გამურულია, ხელთა აქვს პრეზიდენტის სასწაულად გადარჩენილი ქორწინების მოწმობა.

ამ ოთახს ემიჯნება ბიბლიოთეკა, 6000 უნიკალური წიგნით. კარადების უჯრებში საქაღალდეები, სხვადასხვა დოკუმენტი, წერილები და ა.შ. გარედან ყველაფერი გაშავებულია. ერთი შეხედვით დამწვარი, დაღუპული, მაგრამ არა მხოლოდ ზედაპირულადაა გამურული. წიგნებს ცეცხლი არ შეჰხებია, მეხანძრეებმა მოუსწრეს.

მთლიანად დაიწვა შიდა კიბეები კოშკის ნაწილში. პირველი სართულიდან ბოლომდე მშენებლობიდან მოტანილია მაღალი, სწორი კიბე, მეორე სართულიდან მესამეზე ასასვლელად. ცოტა გვიჭირს, მაგრამ მაინც ავდივართ. და გადარჩენილი გვხვდება საქართველოს დიდი მწერლის ოთახი, მისი ხელნაწერები, წიგნები და სხვა ნივთები.

რაც შეეხება ჩვენი კომისიის მუშაობას, გურამ შარაძის წყალობით, საქმისათვის საჭირო და აუცილებელი ყველა იარაღით, ხელსაწყოებითა თუ მასალებით, მომარაგებულნი ვართ. ნებისმიერი ახალი მოთხოვნა უსიტყვოდ კმაყოფილდება. სამუშაო ბევრია, მუშაობის პირობებიც საკმაოდ რთულია, ცივა, ყველაფერი მოშლილია, არა გაზი, არა წყალი და ა.შ. ჩვენი სამუშაო ოთახია — ბიბლიოთეკა თავისი დიდი მაგიდით, რომლის ირგვლივ ვართ შეკრებილნი. პირველ სართულზე შესასვლელი კარი ჩარაზულია. ოთახში შესასვლელი ერთი გზაა — ფანჯარა, რომელიც ცოტა მაღალზეა და შიგნით შესვლა მხოლოდ აძრომითაა შესაძლებელი. გაბრაზება, წყენა, გაოგნება და შემართება, ერთიმეორის ტოლფასია, ამიტომაც, შეუძლებელი შესაძლებელი ხდება და ნებისმიერი სიძნელე იოლად გადასალახი.

საქაღალდეებში მოთავსებული მასალა უნდა აღიწეროს, გაიწმინდოს, ახალ საქაღალდეებში გადაიტანოს და ყუთებში მოთავსდეს. რაც შეეხება ბიბლიოთეკის წიგნებს, ყველაფერი ისინჯება და პარტიებად მიდის ხელნაწერთა ინსტიტუტში. იქ ჩვენი ორი ქიმიკოს-რესტავრატორის, დალი კალატოზიშვილის და იზოლდა ჯიქიძის მონაწილეობით, ვწმენდთ, ვამუშავებთ, ვაშრობთ და უბრუნდებათ რა პირვანდელი სახე, ისევ ბრუნდება კოლხურ კოშკში და დროებით თავსდება ეზოში, ბავშვებისათვის აშენებულ, სუფთა სავარჯიშო დარბაზში. ასე დამუშავდა ბიბლიოთეკის ყველა (6000) ეგზემპლარი. ეს ყველაფერი ხერხდება „ინკოგნიტოდ“, ალბათ ჩვენი ინსტიტუტის დირექციამ იცის, მაგრამ ამ საკითხზე საუბარი არასოდეს გვქონია.

გარდა ლიტერატურული მასალისა, კომისიის მიერ აღიწერა ყოველი სხვა ნივთი, საოჯახო ინვენტარი, რაც კი დაგვხვდა. გავიგეთ, თითქოს კედელზე ეკიდა ხანჯლები და სხვა ძვირფასი ნივთები, მსგავსი არაფერი ჩვენ კომისიას არ დახვედრია.

სამუშაოს დამთავრების შემდეგ ყველაფერს ვლუქავთ, დილით ლუქს ვხსნით.

მემორიალურ ოთახში, შესასვლელი კარის მარცხნივ, მწვანე მარმარილოსაგან გაკეთებული შესანიშნავი ბუხარია. დამწვარ ოთახში ბუხრის გადარჩენა ძალიან გვახარებს. ერთხელ, შევდივართ და გვხვდება „ჩვენი“ ბუხარი ჩაქუჩით ულმობლად დაჩეჩქვილი. ასეთივე დღე გაუთენდება სავარჯიშო ოთახში მოთავსებულ ბიბლიოთეკის წიგნების ნაწილს. ტუალეტად გამოიყენებენ. თავიდან გვიხდება მათი დამუშავება. უკვე ადგილობრივად. საერთოდ, ჩვენი მუშაობის დროს ასეთი ხელისშემშლელი მომენტი არაერთი შეგვხვედრია.

მაგრამ კეთილი ადამიანებიც ჯერ კიდევ არსებობენ. შესვენებისას მეზობლები ჩაიდანს გვიდუღებენ, ჩაის სიამოვნებით ვსვამთ და ვთბებით, მაგრამ მათი ნაამბობი ძალიან გვაღელვებს. იხსენებენ — წითელი ტყვიებისაგან გადასარჩენად როგორ აწვენდნენ თავის შვილებს იატაკზე და ზემოდან როგორ ეფარებოდნენ მათ.

გურამ შარაძეს გამსახურდიების ოჯახთანაც აქვს მუდმივი სატელეფონო კავშირი. ცდილობს და ჩვენც ვეხმარებით შესაძლებლობების ფარგლებში, მათი ნებისმიერი თხოვნის შესრულებას. მაგალითად, ბავშვებს უნდათ თავიანთი წიგნები, გროვდება სახელმძღვანელოები, ორ ყუთში თავსდება და მათთან იგზავნება.

ოჯახის დანარჩენი ნივთების დაბინავებაში ცნობილი პედიატრი რეზო ლაბაძე და მისი ქალიშვილები — მანანა და მარინა ზრუნავენ.

კიდევ ერთი შემზარავი დილა გაგვითენდება. მივედით კოშკში და სამივე საფლავი წაბილწულია: ბ-ნი კონსტანტინეს, მისი არაჩვეულებრივი მეუღლის ქ-ნი მირანდასი და მათი ახალგაზრდა, სათნო, უნაზესი და უმშვენიერესი ქალიშვილის — თამრიკოსი.

ამდენი სისაძაგლე საიდან მოიტანეს? რატომ? ვისთან? რისთვის?

ნუთუ ვანდალები, ბარბაროსები ვართ? იქნებ გვეშლება და ქრისტიანებად არ ვართ დაბადებულნი?..

ყოველივე თავდება, წყალი წაიღებს. სადღეისოდ საქართველოს „კეთილდღეობისათვის“ მებრძოლი ერთი „მხედართმთავარი“ მოსკოვში „ისვენებს“, მეორე კი — საქართველოს დამსახურებულ მოღვაწეთა პანთეონში — განისვენებს. უფალმა ალბათ მიუტევა მათი ცოდვები, ჩვენც იგივე უნდა გავაკეთოთ — ვაპატიოთ ბოღმა, მიუტევებლობა, შურისძიება, შური ადამიანების დამტანჯველია. განსაკუთრებით შური, რასაც შესანიშნავად განმარტავს თავის ლექსიკონში სულხან-საბა ორბელიანი: „შური — წუხილი სხვისა სიკეთისა გამო“.

ისევ მძიმე დროა, არჩილი მძიმე სენით დაავადდება. მარტის პირველ რიცხვებში უკეთდება ოპერაცია. ვწევართ რესპუბლიკურ საავადმყოფოში, გელა მუხაშავრიასთან. ყველა ექიმი მას რომ ჰგავდეს, ნაკლები პაციენტი ეყოლებოდა საავადმყოფოებს. აქვეა მისი შვილი — გია, მამის ორეული. გელა დილით ადრე მოდის და ღამით გვიან მიდის, თუ მძიმე ავადმყოფია, რჩება კიდევაც. მისი კაბინეტი დავიპყარით (არჩილის ძმის — ავთანდილის მეგობარია, რომელიც ცნობილი პედიატრია), მეშაყირება „ბარემ პრივატიზაცია გაუკეთეო ჩემს კაბინეტს“.

ერთხელ შემოდის ახალგაზრდა კაცი უხალათოდ. „მე მორიგე ექიმი ვარ, ხალათებს აღარ ვიცვამთ მორიგეობის დროს, რათა „არავინ“ გაიგოს, ექიმები რომ ვართო“. მე ღამით ვიკეტები და ექიმის ხმაზე ვაღებ კარს. აქაც „კურიოზი“ მემართება. პალატის ექიმი გადახვევას უკეთებს არჩილს, მე გვერდით ვდგავარ. უცებ კარი იღება და შემოდის „სტალინი“, ტიპური: კეპკა, კიტელი, ულვაშები, სიმაღლე, ერთ ხელზე გასაყიდად ჯვრები აქვს გადაკიდებული, მეორე ხელის იღლიაში ამოჩრილი სტალინის ტომები. მე გადაღლილი, ღამეებნათევი, უძილო, აღელვებული, „სტალინიღა“ მაკლია. ეს კაცი მეუბნება: „სტალინის ტომები ხომ არ გინდათ?“ (ჯვრები მაინც ეთქვა). მე მივაძახებ (მაპატიოს მკითხველმა, ძალიან გამწარებული ვარ): „ძაღლი მიაკვდეს საფლავში სტალინს მისი ტომებიანად“ (მკრეხელობაა არა, მე ასე არ ვფიქრობ). ეს კაცი ხომ გავარდება და გავარდება, მაგრამ ექიმიც მიჰყვება მას. მანამდე მესვრის, რაც ხელში მოხვდება: სკალპელს, პინცეტს, კოლბას და სხვა, თან მომაძახებს: „ამ პალატაში ფეხს აღარ შემოვადგამ!“ (საწყალმა აჩიკომ რაღა დაუშავა). მეორე დღეს მშვენივრადაც შემოდის (გელას უყვარს ხანდახან, თუ საჭიროდ ჩათვლის, ექიმებისთვის მათი დედის შეხსენება, რომ არ დაავიწყდეთ მშობელი!). სადღეისოდ კი ვრჩები მარტო მუცელგადაფატრულ არჩილთან. ძალ-ღონეს მოვიკრებ და მშვიდად ვამთავრებ ექიმის დაწყებულ საქმეს. შემდეგ გავქანდები გელასთან. შორიდან რომ დამინახავს, ეტყვის გვერდზე მდგომ ექიმს: „ვაიმე ლალი მოდისო“. უკვე კარგად შემისწავლა და მეუბნება: „ვიცი რაც უნდა მითხრა, ძალიან კარგი ექიმია, მაგრამ...“

ამიხსნის რაშიცაა საქმე, ყველაფერს ვპატიობ. როგორც იქნა საავადმყოფოდან ვეწერებით. 94 წელთან ერთად არჩილიც მიდის სამუდამოდ ჩვენგან. მამა-პაპის ბინა, რომელთანაც მთელი ცხოვრება მაკავშირებს, აღარაა — ვყიდით.

ასევე მეც (ჩემი საკუთარი განცხადების თანახმად) 2007 წლის იანვრიდან ვქრები სამუდამოდ, ჯერჯერობით მხოლოდ ხელნაწერთა ინსტიტუტიდან, ჩემს მიკოლოგიის დარგთან ერთად, რომელსაც თან მიმაყოლებენ, საინტერესოა, რატომ? ვის მიერ და რითაა დასაბუთებული, რომ უნიკალური ხელნაწერების მოვლა-დაცვის საქმეში ნამდვილი სპეციალისტები ხელისშემშლელები არიან? კიდევ უფრო გაუგებარია, თუ რატომ მიაყოლებენ ხელნაწერთა ინსტიტუტს არაჩვეულებრივი პიროვნების და დიდი მეცნიერის კორნელი კეკელიძის სახელს, ნუთუ ახალდაარსებულ ქართული ხელნაწერების ეროვნულ ცენტრს ამ დარგში მომუშავე უცნობილესი მეცნიერის სახელი შეურაცხყოფს?

ურიგო არ იქნება, ასეთ რამეზე წინასწარ დავფიქრდეთ, რომ შემდგომმა თაობებმა ჩვენი შეცდომები აღარ გაიმეორონ. რამდენადაც ვიცი, ეროვნულ ცენტრში სადღეისოდ მოვიდა მთელი ნაკადი ნიჭიერი ახალგაზრდობისა, რაც ძალიან მახარებს და იმედს მაძლევს, რომ ყველაფერი გამოსწორდება.

მე ეს ორი წელი ვიყავი „სტიპენდიატი“ და თავი სულ „სტუდენტი“ მეგონა. 2010 წლიდან გავთავისუფლდი ამ „ტვირთისაგან“ და გავხდი ნამდვილი „პატივცემული“ პენსიონერი. ვცხოვრობ ახალ ბინაში (აქ ბიძაჩემის — აკაკის მემორიალური ოთახიც გვაქვს), ისევ დიდ ოჯახში, ჩემს შვილთან, რძალთან, შვილიშვილთან და სიძესთან ერთად. მყავს ორი შვილთაშვილი: ანა — 8 წლის და ნიკოლოზი — წლის და ოთხი თვის, რომელთა არსებობა ძალას მმატებს და სიცოცხლეს მიხანგრძლივებს.

* * *

ყოველივეს გახსენება ძალიან მიჭირს და მიმძიმს, მაგრამ დღევანდელი არაჯანსაღი სიტუაცია მაიძულებს, არც თუ ისე შორეული წარსული შეგახსენოთ თქვენ, ჩემო ქართველებო. შეგახსენოთ, თუ როგორ სწირავდნენ ჩვენი წინაპრები, ჩვენი მამები, დაუფიქრებლად თავის სიცოცხლეს, თუნდაც თავისი პატარა შვილების და ობლების ხარჯზე, თქვენი მომავლისათვის, თქვენი შვილების საკეთილდღეოდ, მივაგოთ მათ ნათელ ხსოვნას მცირეოდენი პატივი მაინც.

შევეშვათ შუღლს, პირადი ამბიციების დაკმაყოფილების არცთუ ისე კარგ მეთოდებს. მთელი მსოფლიო ჩვენ გვიყურებს, ცდილობს ჩვენს დახმარებას. რაც მთავარია, თქვენს შვილებს მოუფრთხილდით. ისინი ჩვენი ქვეყნის მომავალია და კეტებით შეიარაღებული, ქუჩაში მორბენალი ახალგაზრდობა ჩვენს არაერთგზის ტანჯულ სამშობლოს არ გამოადგება.

ღმერთი ფარავდეს ყველას, მართალსაც და შემცდარსაც.

„ავტოპორტრეტი“ ინტერიერისთვის

როდის დავიბადე, რა ოჯახში, ეს უკვე ცნობილია. 1939 წელს ჩავირიცხე თბილისის მე-18 საშუალო სკოლაში. მეოთხე კლასიდან გაგვყვეს გოგონები და ბიჭები, საბოლოოდ ქალთა სკოლიდან ჩამოყალიბდა 51-ე სკოლა, ხოლო ჩვენი განაყოფი ბიჭების სკოლიდან — 53-ე.

პედაგოგები ერთიმეორეზე უკეთესები არიან. განსაკუთრებით მათემატიკის მასწავლებელი — ვასილ აბდუშელიშვილი. მას ძალიან უყვარს გამოთქმა: „შენ ბატის ტვინო!“ მე მათემატიკა არც მიყვარს და არც მესმის. ბატონი ვასო ვარდისუბნის ქუჩის გადამკვეთ გუდაურის შესახვევში ცხოვრობს, მამასთან მეგობრობს. მე „ბატის ტვინოს“ სულ ვიმსახურებ და ვიმსახურებ, მაგრამ ბ-ნი ვასო ვერ მეუბნება და ვერ მეუბნება. ერთადერთი, რასაც ამბობს: „არ მესმის“. ვხედავ,

რომ იტანჯება კაცი, მაგრამ რა ვქნა? რითი დავეხმარო?

კერძო მონაფეები არასდროს ჰყოლია.

ვეღარ აიტანს ასეთ მდგომარეობას და ბოლოს მეტყვის: „ჩემთან მოხვალ სახლში და გამაცადინებო“. საწყალი, როგორ მეცოდება. კარგა ხანს დავდივარ მასთან, დედა ლამაზ ქუდს მოუქსოვს და კაშნეს, რომელსაც ქინძისთავით იკრავს და სულ ასე დადის. მარტოხელაა, ოჯახი არა ჰყავს. როდესაც წავა ამქვეყნიდან, ჩემზე დიდი ჭირისუფალი არა მგონია, ჰყავდეს. არა, მთლად დაუნი არ გეგონოთ. ძალიან მიყვარს მუსიკა. მაქვს აბსოლუტური სმენა. ვამთავრებ პირველ მუსიკალურ ტექნიკუმს, როიალის კლასით. ვმღერი რომანსებს, ქართულს, რუსულს, რა თქმა უნდა, მხოლოდ ოჯახში — ჩემთვის. მაგრამ ყველაზე ძალიან მიყვარს კითხვა (საკმაოდ კარგი ბიბლიოთეკა გვაქვს) და განსაკუთრებით — პოეზია.

ძალიან ბევრი ლექსი თუ პოემა ვიცი ზეპირად: ქართული, რუსული, შექსპირის სონეტები, რობერტ ბერნსი და სხვა. ყველაფერი მახსოვს. ახლაც, მარტო რომ ვრჩები სახლში, ჩემს თავს ხმამაღლა ვუკითხავ ლექსებს, ვუკრავ როიალზე და ნახევრად ჩახლეჩილი ხმით ვმღერი რომანსებს, რაც მნიშვნელოვანია — თავად ვტკბები. ვწერ პიესებს, პამფლეტებს ოჯახის წევრებზე, მეზობლებზე, ინსტიტუტის თანამშრომლებზე, მაგრამ ეს წარსულს ჩაბარდება. იმიტაციის უნარიც მაქვს, ამბობენ, კარგად გამომდის, მინდა თეატრალურზე შესვლა (ძალიან მიყვარს ანა მანიანი), მაგრამ ძია აკაკი სასტიკი წინააღმდეგია, ბოლოს მეტყვის „ჩემი თავი მეზარებაო“ (არ ვიცი რატომ?). ეს თემა სამუდამოდ იხურება, დღევანდელი გადასახედიდან — კიდევ კარგი.

ექიმობაც მინდა, აქაც ოჯახი წინააღმდეგია. ასე შევრჩი ბიოლოგიურ ფაკულტეტს, მიკოლოგიას და — სამუდამოდ — მიკროსკოპს, რომელიც საბოლოოდ შემიყვარდება.

თავისუფალ დროს ვქსოვ, აბაჟურებს ვაკეთებ (რა თქმა უნდა, ჩვენი სახლისთვის), მაგრამ ყველაზე კარგად ვასრულებ მოწყალების დის მოვალეობას, რისი კეთებაც მიხდება მთელი სიცოცხლის განმავლობაში (9 წლის ასაკიდან) სისტემატურად და უწყვეტლივ. იუმორიც და სატირაც „ჩემი მოგონილია“. აკი დედაჩემი მეტყვის, დაღუპვამდე რამდენიმე დღით ადრე (თითქოს გული უგრძნობს, რომ მალე წავა ჩემგან), ერთი თხოვნა მაქვს შენთან, ლალი, რაც არ უნდა შეგემთხვეს, იუმორის გრძნობა არასოდეს დაკარგოო. ვცდილობ შევასრულო დედის ანდერძი, მაგრამ ხანდახან ვარღვევ დანაპირებს და სატირაზე გადავდივარ. მეტი რაღა გითხრათ? რაც მართალია, ახლაც კი „მშვენივრად გა-

---

ეგზაფხულის ეგზამენი

გიცხადებთ დასაწყისშივე, მიგულეთ იმ მკითხველთა შორის, თქვენი ჟურნალის ყოველ ახალ ნომერს კეთილი მოლოდინით რომ გადაფურცლავს. ჩემთვის, ერთი რიგითი მოქალაქისთვის, ბევრჯერ მოგინიჭებიათ სიხარული ამა თუ იმ ნიჭიერად დაწერილი პუბლიკაციის გამოქვეყნებით. ახლა არაა იმის დრო, სათითაოდ რომელიმე მოვიშველიო, არც ჟანრობრივ არჩევანს გამოვედევნები: ლექსსა თუ მოთხრობას, თარგმანსა თუ ჟურნალისტური ოსტატობით წარმოდგენილ პუბლიცისტიკას, ბევრჯერ მოუგვრია დადებითი ემოცია. განსაკუთრებით ვეტრფი ეროვნული სულისკვეთებით გაჯერებულ ნაწარმოებებს, ჟურნალიდან არცთუ იშვიათად გამონათებულს.

„ჩვენი მწერლობის“ მე-5 ნომრის მრავალგვარი წასაკითხავიდან გამოვარჩევ დიალოგს **„ირანი — ჩემი სიზმრების ქვეყანა“.**

პირველივე შეკითხვიდან ვიდრე დაბოლოვებამდე ავტორები ცოცხალი დიალოგის კლასს აჩვენებენ. დიახ, ორი თაობის ორი აღმოსავლეთმცოდნე — ირანისტი **თეა შურღაია** და **ბელა შალვაშვილი** საუბრობენ ისე ალალად და გულშიჩამწვდომად, ამავე დროს საქმიანად, პოეზიის უზომო სიყვარულის გამო, მათი აღტაცების თანამოზიარეც ხდები.

სასიხარულოა ოფიციალური ცნობაც, რომ პოეტსა და მთარგმნელს ბელა შალვაშვილს „შაჰნამეს“ ქართულად ამეტყველებისათვის ირანის ისლამური რესპუბლიკის წლის წიგნის საერთაშორისო პრიზი მიენიჭა და იგი მეოთხე ქართველია, ვინც ამ მნიშვნელოვანი პრემიით დააჯილდოვეს.

ქალბატონების, ერთი შეხედვით, შემოსაზღვრულ თემაზე საუბარში ემოციური ადამიანის ტკივილიანი სიცოცხლეც იკითხება. მითუმეტეს თეა შურღაია, ისე ალაგებს შეკითხვას შეკითხვაზე, თითქოს მიგვიძღვება უცნაურ კოშკში, სადაც ბინადაა პოეტი და სადაც სიცოცხლის ბედნიერი დროც საგულდაგულოდ გადაუნახავს. როცა ლუკმაპურის მოძიებაში უცვდებოდა ცხოვრების საუკეთესო წლები, ბედნიერი დრო იქ პოეზიას გადაუნარჩუნა: „— სულ მეგონა, რომ გვერდით ფირდოუსი მედგა, მთელი ღამეები ვთარგმნიდი. ახალგაზრდობაში მაინც. ახლა უკვე 12 საათის შემდეგ აღარ შემიძლია მუშაობა...“

სტუდენტობიდანვე გამოარჩიეს და მიუთითეს ბილიკი, რაზეც უნდა გაევლო. გაევლო და „საკუთარი თავის რწმენა“ გასჩენოდა. ბედმა არგუნა უშურველთა თანადგომაც. და ამას რომ იხსენებს ბელა შალვაშვილი — მადლიერი სიყვარულითა და ოდნავი იუმორით — ხედავ ნამდვილ ადამიანებს, გრძნობ ნამდვილი კაცების გულის ჩახჩახს. სულ თავიდან: „III კურსზე **დავით კობიძემ, კოტე ფაღავამ** და სხვებმა უკვე დამიწყეს შეგულიანება **„შაჰნამეს“** თარგმნას მოკიდე ხელიო. მე სულ მიკვირდა: რა დაინახეს ჩემში ისეთი, რომ შემიძლია რაიმეს თარგმნა-მეთქი“... ოდნავ მოგვიანებით, **ვახუშტი კოტეტიშვილი** შეასახელებს კატეგორიულად: „მე შენ არ გეკითხები, გიბრძანებო“...

და ასე თანდათანობით, მაგრამ არა იოლად, ემატებოდა თარგმანი თარგმანს საგულვებელ განძად.

ისევ ახლანდელი დიალოგიდან:

„— სულ მგონია, ყოველი ბეითის თარგმნისას რომ ის დალოცვილი დამყურებს.

— **ფირდოუსი?**

— უნამუსო ვიყო, ეგეთი შეგრძნება მაქვს რატომღაც.

— რატომ? გაკონტროლებთ თუ თანაგიგრძნობთ?

— მეტსაც გეტყვით, როცა ვთარგმნიდი ფირდოუსის დატირებას ვაჟიშვილის სიკვდილის გამო, მეც ვტიროდი, იცით... ძალიან შემებრალა, ძალიან, ისე, რომ მეტი არ შეიძლება. მე ემოციური ადამიანი ვარ. ხანდახან მეუბნებიან, როგორი ემოციური ხარ. ვარ ასეთი და რა ვქნა?..“ — უდავოა, აქ გასაპრანჭავად არაფერი თქმულა.

...თქვენ არაჩვეულებრივი ადამიანი ხართ, ქალბატონო ბელა, თქვენი რეალური და გამოგონილი სამყაროთი. თქვენს სიზმარ-ხილვებსაც პატივს ვცემ — მაკედონელსაც რომ არ შეეპუეთ და თავიც ამართლებინეთ...

აგხდენოდეთ მოხილვა თქვენი „სიზმრების ქვეყნისა“, რასაკვირველია, 71 წელი ცოტა არაა, მაგრამ ისე ჩინებულად გამოიყურებით, ამარცხებთ ასაკს (ყოველშემთხვევაში ფოტოზე ასე ჩანს).

სასიამოვნოა, თქვენი ამნაირად გამოჩენა, გულისგამაწვრილებელი და დამთრგუნავი წლების შემდეგ... დიდებულია თქვენეული დათმენის ნიჭი. რომ აღმოგაჩინეს, გულითადად ვუერთდები თქვენს სიხარულს.

თინა პატარიძე
თბილისი

იოსებ ჭუმბურიძე

ოთხტომეულის დასასრული — პირქვე დამხობის დასაწყისი

„ერის პირქვე დამხობა, გათახსირება, გაწყალება იქიდამ დაიწყება, როცა იგი თავისს ისტორიას ივიწყებს.“ — დიდი **ილიას** ეს ფორმულა იმ შემთხვევაზეც უნდა გავავრცელოთ, როცა ერს საკუთარ წარსულს (თანაც უახლოესს, მის თვალწინ ჩავლილს) უყალბებენ და ამას ეგუება.

სინამდვილის დამახინჯება-გაყალბება საბჭოთა ეპოქისათვის ჩვეულებრივი რამ იყო, აღმაშფოთებელი ის არის, ეს დღესაც რომ გრძელდება.

კიდევ უფრო აღმაშფოთებელია, რომ ეს ხდება არა შემთხვევით წიგნში, არამედ კაპიტალურ გამოცემაში, რომლის სარედაქციო კოლეგიაც ოთხი აკადემიკოსითაა წარმოდგენილი (მ. ლორთქიფანიძე, ო. ჯაფარიძე, დ. მუსხელიშვილი, რ. მეტრეველი).

იგულისხმება „პალიტრა L“-ის მიერ ახლახან გამოცემული ოთხტომეულის („საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XX საუკუნის ბოლომდე). მეოთხე წიგნი, კერძოდ კი, მისი ბოლო XIX თავი — „ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა“ (ავტორი — **ალექსანდრე დაუშვილი).**

როგორ გგონიათ, ვინ არის ამ თავის მთავარი გმირი?

რა თქმა უნდა, **ზვიად გამსახურდია!** — უთუოდ ამას იფიქრებთ.

ნურას უკაცრავად — **ედუარდ შევარდნაძე!**

როცა მითხრეს, რომ ტომის რედაქტორი **(მაყვალა ნათმელაძე)** ყოფილი რაიკომის მდივანია; ხოლო აღნიშნული თავის ავტორი — ყოფილი... (ქსენოფობია არ დამწამონ!), ჩემთვის ყველაფერი გასაგები და ადვილად ასახსნელი გახდა, მაგრამ ახსნა და გაგება აღშფოთებას ვერ გააბათილებს.

მთელი ეს თავი საბჭოური აზროვნების თვალსაჩინო ნიმუშია.

აი, როგორ მსჯელობს ავტორი (სტილი დაცულია):

„70-იან წლებში ქართულ ლიტერატურაში გამოჩნდნენ ახალგაზრდა მწერლები, რომლებიც თავის შემოქმედებაში ილაშქრებდნენ პიროვნების უფლებების შელახვის, რუსიფიკაციის პოლიტიკის გაძლიერების წინააღმდეგ, იღვწოდნენ ეროვნული თვითშეგნების ასამაღლებლად, პიროვნების უფლებებისა და თავისუფლებისათვის...

ახალი სულისკვეთების მწერლებს შორის არ შეიძლება არ აღინიშნოს ვანო ურჯუმელაშვილი და მისი რომანი „ფერისცვალება“, რევაზ ჯაფარიძის ნარკვევი „ადამიანთა მორჩილი ზღვა“, გურამ ფანჯიკიძის „თვალი პატიოსანი“, რომლებშიც ნაჩვენები იყო თანამედროვე საბჭოთა საზოგადოების გამოუვალი მდგომარეობა, უძრაობა, სულისშემხუთველი გარემო, პიროვნების გაორება“.

ვფიქრობთ, სრულიად ნათელია ავტორის ლიტერატურული გემოვნება, აზროვნების დონე და წერის კულტურა, მაგრამ აღშფოთებას მაინც სულ სხვა რამ იწვევს — ის, რაც ხსენებულ თავს ლაიტმოტივად გასდევს: შევარდნაძის პერსონის განდიდება და ზვიად გამსახურდიას პიროვნებისა და ღვაწლის რაც შეიძლება დაკნინება.

მართლაც ვერ წარმოვიდგენდით, რომ მას შემდეგ, რაც საქართველოს პირველი პრეზიდენტი ჯვარს ვაცვით, კიდევ გამოჩნდებოდა ისტორიკოსი (ან სხვა ვინმე), ვინც მის მიმართ მსგავს სიძულვილს გაამჟღავნებდა.

ღმერთმა ნუ ქნას, რომ ჩვენი მომავალი თაობები ამგვარი „ისტორიის“ ამარა დარჩნენ. იმ „ისტორიისა“, რომლის ბოლო თავიც მათ ასეთ დამახინჯებულ სურათს უხატავს: XX საუკუნის 70-იანი წლებიდან საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განვითარებაში („ეროვნული ცნობიერების განვითარება და გაძლიერება“ — ერთ-ერთ ქვეთავს ასე ჰქვია), მთავარი როლი შეუსრულებია ედუარდ შევარდნაძეს — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს (?!), საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს (?!). ხოლო ზვიად გამსახურდიასა და მისი „ჰელსინკის ჯგუფის“ მოღვაწეობას მაინცდამაინც დიდი მნიშვნელობა არ ჰქონია, რადგან **„ჯგუფის წევრებს განუწყვეტლივ უთვალთვალებდა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი და ამიტომ, მათი პროპაგანდისტული შესაძლებლობები ერთობ შეზღუდული იყო“.**

თურმე, ეროვნული ცნობიერების გაძლიერებას ისინი უკეთ ემსახურებოდნენ, ვინც... ეროვნულ მოღვაწეებს უთვალთვალებდნენ.

აი, ისტორია?!

ავტორის მიკერძოება ყოველგვარ ზღვარს გადამცდარია:

დადებით კონტექსტში ედუარდ შევარდნაძეს პერსონალურად მოიხსენიებს, უარყოფით კონტექსტში კი ბრალს ზოგადად ხელისუფლებას სდებს.

როცა აბობოქრებულ სტადიონზე გადადის, ის ედუარდ შევარდნაძეა;

როცა თვითმფრინავის გამტაცებელ ახალგაზრდებსა და სრულიად უდანაშაულო სასულიერო პირს სიკვდილით სჯის — ხელისუფლებაა.

ტენდენციურობაზე უარესის — მოჩვენებითი ობიექტურობის ნიმუში კი ეს ფრაზებია: „თანდათან იკვეთებოდა ზვიად გამსახურდიას, როგორც არაფორმალური მოძრაობის ლიდერის ავტორიტეტი. აშკარა იყო, რომ საზოგადოების დიდმა ნაწილმა მას წარსულის შეცდომა — სამარცხვინო მონანიება — აპატია“.

პიროვნული სიძულვილი იმდენად ძლიერია, რომ საუკუნე („უძველესი დროიდან XX საუკუნის ბოლომდე“) ათი წლით ადრე მთავრდება — ისე, რომ საქართველოს პრეზიდენტად ზვიად გამსახურდიას არჩევა ნახსენებიც არ არის.

აი, ისტორია?!

ერთ-ერთ ქვეთავში ავტორი ასევე ტენდენციურად მსჯელობს 9 აპრილის ტრაგედიაზე. წერს, რა ხდებოდა 3, 4, 5, 6, 7 აპრილს, 8 აპრილი კი თითქოს არც ყოფილა. გასაგებია, რატომაც: სწორედ ამ დღეს ჩატარდა პარტაქტივის კრება, სადაც ქართველის პირით, რუსულად ის თავზარდამცემი ფრაზა ითქვა...

და ავტორი და ტომის რედაქტორი — ყოფილი რაიკომის მდივანი ყოფილ ცეკას მდივნებს ხომ არ აწყენინებდნენ?!

დიახ, „საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XX საუკუნის ბოლომდე“ მთავრდება 1990 წელს, როცა ზვიად გამსახურდია საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდო-

მარედ აირჩიეს, ხოლო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე თენგიზ სიგუა გახდა.

ყველაფერი გასაგებია: არ უნდათ, რომ ზვიად გამსახურდია საქართველოს პირველი პრეზიდენტი იყოს.

მაგრამ, საბედნიეროდ, ისტორია ტენდენციური ისტორიკოსებისა და მათი დამკვეთების ნება-სურვილზე არ დადის.

ზვიად გამსახურდია საქართველოს პირველი პრეზიდენტია! — ამ ფაქტის შეცვლა არავის ძალუძს.

ქართველმა ერმა ზვიად გამსახურდიას კი არ აპატია (საპატიებელი რა ჰქონდა!), უზომოდ შეიყვარა და მთაწმინდას გულში ჩაახუტა. და აუცილებლად მოვა დრო, როცა მას, თავისი სამშობლოსავით ჯვარცმულსა და წამებულს, წმინდანად შერაცხავენ.

ის დროც მოვა, როცა ღირსეული ისტორიკოსები მართალ ისტორიას დაწერენ.

P.S. ოთხტომეულში აკაკი ასათიანი — საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე — ნახსენები არ არის. გამახსენდა, რომ ის ისტორიკოსია. ვნახოთ, ამჯერად მაინც როგორ დაიცავს თავისი, ანუ საქართველოს პირველი პრეზიდენტის ღირსებას.

როსტომ ჩხეიძე

დარდი ფარული

VII.
გამოძახილი

კონსტანტინე გამსახურდია შენიშვნებს რომ ჩამოყვებოდა, ამ დეტალზეც მიუთითებდა, გმირის სახელად გრიგოლ აბაშიძეს ლუხუმი რომ აერჩია:

– არასოდეს დიდი მწერლის მიერ ნახმარი სახელი არ უნდა აირჩიოთ, წადით მთაში, რამდენი მშვენიერი სახელია...

ეს თითქოსდა წვრილმანია. და „დიდოსტატის მარჯვენის“ შემოქმედს ჰგონია, მთის ონომასტიკის შეზღუდულმა ცოდნამ არ მისცა საშუალება მის თანამოკალმეს, სხვა სახელი დაერქმია პერსონაჟისათვის.

მაგრამ ეს წვრილმანი სულაც არ არის, და არც მთის ონომასტიკის შეზღუდული ცოდნის ბრალი. მითუმეტეს, არც მთაში ასვლაა ძნელი და არც დედაქალაქშივე გამოკითხვა და ასე შერჩევა.

როგორც კონსტანტინე გამსახურდიასათვის არ ყოფილა სასხვათაშორისო, თავის ორ გმირს რომ შეარქვა თავისივე სახელი – სავარსამიძესა და არსაკიძეს, ამ მეორეს კი თავისივე თიკუნიც (უტა) დაანათლა, ისევე მიანიჭა გრიგოლ აბაშიძემ ამ სახელის შერჩევას განსაკუთრებული მნიშვნელობა, ანუ სავსებით შეგნებულად დაესესხა ვაჟაფშაველას. და ეს არა იმიტომ, რომ თვითონ სახელს მოეხიბლოს ისე, რომ არ გაემეორებინა, ვერ მოისვენებდა.

„ბახტრიონის“ ფინალური სტრიქონები უბიძგებდა ამ არჩევანისაკენ: „ეღირსებაო ლუხუმსა ლაშარის გორზე შადგომა!“

მათში შენივთებულია სიმბოლიკა, რაც საქართველოს აღორძინებას გულისხმობდა. პოემის ერთ-ერთი პერსონაჟი უეცრად ასე გარდაისახებოდა, ისედაც ჰეროიკული სახე კიდევ უფრო ამაღლდებოდა, განზოგადდებოდა და ქვეყნისათვის დაკარგული თავისუფლების დაბრუნებას გაუიგივდებოდა. რეალისტური სილუეტი მითოსურ განზომილებაში შეცურდებოდა და „ბახტრიონის“ მხატვრულ კონცეფციაზე გამჭვირვალე მინიშნებას ასე იტვირთებდა.

მკითხველის ცნობიერებაში სამუდამოდ ჩაიბეჭდებოდა ლუხუმის სახება საქართველოს ბედისწერის სიმბოლურ განზოგადებად, და სწორედ ამ განწყობილების გამოყენებას შეეცდებოდა მწერალი „ლაშარელაში“, თანაც საკმაოდ სწორხაზობრივად, მხატვრულ ქსოვილს პუბლიცისტიკის უსიამოვნო წინწკლებად რომ დააჩნდებოდა.

მეფისა და გლეხის ჭიდილს უნდა შეექმნა მთავარი კონფლიქტიც და დრამატული ხაზიც და თანდათანობით ლუხუმი საქართველოს ძლიერების სიმბოლოდაც განზოგადებულიყო.

თანადროული პოლიტიკური კონიუნქტურა, მარქსიზმის კლასობრივ თეორიაზე ამოზრდილი, უბიძგებდა აქეთ გრიგოლ აბაშიძეს და ისიც გაითვალისწინებდა ამ თავსმოხვეულ სქემას.

ეტყობა, ამით სურდა შეენელებინა ოფიციალური კრიტიკის მოსალოდნელი გულისწყრომა ისტორიული თემატიკით დაინტერესების გამო, გლეხკაცის ასეთი ამაღლება კი თავდაცვის საშუალებასაც მისცემდა და რომანისათვის გზის გაკვალვასაც გაუადვილებდა.

აკი შესაფერისი რეზონანსიც უნდა მოეხვეჭა მისთვის.

და ამ სიუჟეტური ხაზის გამკვეთრების საჭიროებას საზოგადოებრივ-პოლიტიკური სინამდვილე თვითონვე უკარნახებდა.

რას წარმოიდგენდა, თუ სულ სხვა მხრიდან აეშლებოდა ქარტეხილი.

ლუხუმი საქართველოს ძლიერების სიმბოლოდაც განზოგადებულიყოო...

იმ თავს, სადაც აღწერილია ამ პერსონაჟის დაღუპვა, ასე იმიტომ ჰქვია: „ლახვარჩაცემული ძლიერება“.

და ჩალხია ფხოველი, მწერალი ბიბლიურ წინასწარმეტყველთ რომ შეუთანაბრებდა, ასე იმიტომაც შეაგონებს შალვა ახალციხელს:

– ჩვენ გლეხების თავისუფლებისათვის ვიბრძოდით და მეფემ ჩვენი თავი ისევ ყმა გლეხებს ამოაჟლეტინა. მაგრამ ეს იცოდე, შალვა, კარგი დღე არც მეფესა და ჩვენს ქვეყანას დაადგება: ეგ ლახვარი მარტო მიგრიაულს კი არა, საქართველოს ძლიერებას ჩასცეს ზურგში, რადგან საქართველოს ძლიერება მიგრიაულისთანა პატიოსან ყმა გლეხების ძალსა და სიმტკიცეზე იყო მუდამ დამყარებული!..

ნიშანდობლივია, რომ როდესაც მონღოლებთან შეტაკებისას შალვა ახალციხელს ბეჭში მოხვედრილი ისარი შეატორტმანებს და კინაღამ მაშინვე გადმოაგდებს ცხენი-

* **დასასრული. იხ. „ჩვენი მწერლობა“ №4,5**

დან, ზურგში ლახვარდარტყმული მიგრიაული მოელანდება და ფხოველის ხმაც ჩაესმის.

და ლაშა-გიორგის წინაშე უეცრად მშვილდმომარჯვებული ცალთვალა მონღოლი სარდალი სუბუდაი ბაღათური რომ აღიმართება, მეფეს ლუხუმ მიგრიაული დაუდგება თვალწინ – იმას მიამგვანებს და დაიბნევა, ვეღარც ხმას დაძრავს, ვეღარც ცხენს შეიმაგრებს, რითაც ისარგებლებს მონღოლი და შიგ მკერდში აძგერებს ისარს.

თითქოს ბედისწერამ თვითონვე იძია შური ლუხუმის მკვლელობისათვის მონღოლთა მოვლინებითა და ძლევამოსილი სახელმწიფოს სიმტკიცის შერყევით, მისი გარდუვალი დაცემა რომ უნდა მოჰყვეს.

* * *

წლები გადაიკეცება.

„ლაშარელას“ თავზე გამართული აუტოდაფე თანდათან მივიწყებას მიეცემა.

გრიგოლ აბაშიძესაც დაუამდება ჭრილობა.

ამ მხრივ ძალიან შეეშველა გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში მიწვევა, ახალგაზრდა მწერალთა წრის ერთ-ერთ სხდომაზე ანუ ოთარ ჩხეიძის განთქმულ ოთხშაბათობაზე.

„ჩემ სავანეში“ გახსენებულია, რომ დასწრების მსურველნი ვერ დაიტია ფიზიკის დიდმა აუდიტორიამ.

ვერც დაიტევდაო, – დასძენს ოთარ ჩხეიძე, – აკი მწერალთა კავშირმაც ვერ დაიტია თავის სადისპუტო დარბაზში, თავიდანვე მიხვდნენ და „იმელის“ შენობაში ამიტომაც მიიწვიეს ხალხიო.

ისიც გახსენებულია, რომ ის და ვახტანგ ჭელიძე ვეღარც მოხვდნენ დარბაზში. დროზე კი მივიდნენ, მაგრამ ისე გატენილიყო იქაობა, გამობრუნება მოუხდათ.

იქ ამიტომაც ვერ შეაწია სიტყვა ოთარ ჩხეიძემ, თავისი პიროვნული ვალი ვერ მოიხადა, თორემ სრულიად ჩაიკარგებოდა მისი ხმა იმ ღრიანცელში – აბა, ვინ დაუგდებდა ჯეროვნად ყურს ისტორიულ რომანისტიკაში რეალისტური და რომანტიკული თვალთახედვის თავისებურებებზე მსჯელობას... მაგრამ „იმელის“ დარბაზში ხომ არ მთავრდებოდა ყველაფერი, დაე გორს გამოესწორებინა და, თანაც, დროულად, თბილისელთა უსამართლო საქციელი, თავისებურად მოტივირებული, ოღონდ ლიტერატურული გადასახედიდან უთუოდ გაუმართლებელი თავდასხმა მწერალზე.

„ლაშარელას“ განხილვა დაერქმეოდა და შეხვედრად კი გადაიქცეოდა, თანაც, საზეიმო შეხვედრად.

– თითქოს თბილისის ჯიბრზედაო. თითქოსაო და მართლაცაო.

მიუკერძოებელი კრიტიკულ-ესთეტიკური ანალიზი მკაფიოდ წარმოაჩენდა რომანის პატრიოტულ სულისკვეთებასაც და მის რეალისტურ ბუნებასაც.

ოთარ ჩხეიძე იმ ვარაუდსაც გამოთქვამდა ტრიბუნიდან: მოსალოდნელია „ლაშარელამ“ ახალ ნაკადს დაუდოს სათავე ჩვენი წარსულის მხატვრული გააზრებისასო.

– სულაც ნაკადს? – ვიღაც იკითხავს დარბაზიდან.

– ხედვისა და სტილის ასეთი მკვეთრი ცვლილება არ მიიჩქმალება და უსათუოდ მოახდენს სასიკეთო ზეგავლენას ჩვენს სალიტერატურო პროცესზე, – დაუბეჯითებდა ოთარ ჩხეიძე.

თანაც, იმათ, მიმდევრებს, აღარ დაჭირდებოდათ თავდასხმების მოგერიება.

მთავარი ბრძოლა უკვე გადატანილი იყო.

ჯერ ეს დღე გამოახედებდა თვალში გრიგოლ აბაშიძეს. მერე დროც განკურნავდა მწვავე ნაჩხვლეტს.

უეცრად „მნათობის“ ფურცლებზე – 1971 წლის მე-6 ნომერში – ქვეყნდება აკაკი ბაქრაძის მწვავე კრიტიკული სტატია „ლაშარელაზე“ („მხოლოდშობილი ამბის ჩრდილი“). თანაც, ესაა პირველი წერილი განზრახული ციკლისა „ისტორია და რომანი“, რომლის მეორე ნიმუშიც „დიდ ღამეს“ განიხილავს კრიტიკულად და თავის რიგს ელოდება.

სალიტერატურო ცხოვრებაში ჩვეულებრივი მოვლენაა მძაფრი კრიტიკული სტატიები, მაგრამ მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარეზე ამ ყაიდის წერილი სენსაცია გახლდათ, წერილი, სადაც რომანის ერთი მხატვრული ღირსებაც არ აღნიშნულიყო და შენიშვნების ნაკადი მკაცრი დასკვნით, ლამის განაჩენით, ბოლოვდებოდა:

– ზოგიერთი მოვლენის ახსნა, მიზეზის ჩვენება აუცილებელია. აუცილებელია თუნდაც იმიტომ, რომ პერსონაჟთა მოქმედება ლოგიკური იყოს, ხასიათი – მართალი და დამაჯერებელი, ხოლო ტრაგიკულობა ამაღლებული. თუ მხატვრულ ნაწარმოებს ამ თვისებებს დავუკარგავთ, მაშინ მხოლოდ ავად თუ კარგად მოყოლილი ამბავი შეგვრჩება ხელთ. ბელეტრისტიკაში კი, როგორც კარგად მოგეხსენებათ, მარტო ამბავი არ კმარა. სამწუხაროდ, მარტოდშობილი ამბის აჩრდილი „ლაშარელას“ უსიამოვნოდ ადგას თავს.

შენიშვნების ერთი წყება უთუოდ გასათვალისწინებელია, მაგრამ არაორდინარული, მრავალმხრივ საგულისხმო რომანის განსჯა მხოლოდ ერთი კუთხიდან? ნაკლოვანებათა და ხარვეზთა გარდა ნუთუ მოსაწონი არაფერი აღმოჩნდა წიგნში?

რაც მთავარია –

ნუთუ ასე იოლად გვერდასავლელი შეიძლება ყოფილიყო ესთეტიკურ-იდეური თვალთახედვის გადანაცვლება? ისტორიული რომანის შემობრუნება რომანტიკული სტილისტიკიდან რეალისტურისაკენ?

გარდატეხა მოხდა ჟანრის დინებაში, დროის კვალობაზე კიდევ უფრო შესამჩნევი შეიქნა, მაგრამ ეს გარემოება გაკვრითაც არ აღნიშნულა კრიტიკოსის მიერ აგებულ სქემაში.

მისი აღნიშვნა სქემის გარეგნულ შეუვალობას ერთბაშად მყიფეს გახდიდა.

„მნათობს“ იმხანად ელგუჯა მაღრაძე განაგებდა და იქ კვლავაც შეენარჩუნებინა თავისი გავლენა ირაკლი აბაშიძეს – მწერალთა კავშირის აწ უკვე გადარჩეულ თავმჯდომარეს.

მისი ხათრითა თუ უშუალო ჩარევით მოხდება ამ ჟურნალის ფურცლებზე პავლე ინგოროყვას განქიქება აკაკი გაწერელიას მიერ.

და აგერ კიდევ ერთხელ უნდა გადმოწვდენოდნენ გრიგოლ აბაშიძესაც.

აკაკი ბაქრაძე გულუბრყვილოდ ჩართულიყო ამ წამოწყებაში, და როდესაც გააცნობიერებდა, თუ რა ბადე იქსოვებოდა მისი ხელით, ვის წადილს აღასრულებდა უნებურად, კიდეც გამოეცლებოდა შეთქმულებს და გამზადებულ სტატიას „დიდ ღამეზე“ („დროის უკმარისობის მსხვერპლი“) აღარ წარუდგენდა რედაქტორს, თორემ მასაც აუცილებლად ზარზეიმით გამოუქვეყნებდნენ. აღარც მერე მო-

ინდომებდა დაბეჭდვას და მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ მის თხზულებათა მეხუთე ტომში (2005 წელი) იპოვნიდა ადგილს.

დასკვნა ამჯერად ცოტა თავშეკავებულია, მაგრამ ამ რომანის მხატვრული მნიშვნელობაც დაკნინებულია:

– მართალია, დროის უკმარისობის საკითხი „დიდ ღამეში“ იხსენიება, მაგრამ რომანის მხატვრულ-აზრობრივი ქსოვილის ორგანული ნაწილი არ არის. რომანი მთავარ ყურადღებას უთმობს პიროვნებისა და მთელი თაობის პირად პასუხისმგებლობის პრობლემას. რომელიმე ამ საკითხისათვის უპირატესობის მიცემა არ ეგებოდა. ორივე თანაბარი ძალით უნდა ასახულიყო. მაშინ დავინახავდით საქართველოს დიდი დღის დაღამების სრულ სურათს.

სარგის ცაიშვილი, ვახტანგ ჭელიძე და გრიგოლ აბაშიძე

თავის დროზე ამგვარ შეფასებას, ცხადია, სხვა ეფექტი მოჰყვებოდა, თანაც ორივე რომანი ზედიზედ აღმოჩნდებოდა კრიტიკის ქარტეხილში, რაც უფრო დაუმძიმებდა მდგომარეობას მწერალს... აკაკი ბაქრაძე კიდეც გამოეცლებოდა შეთქმულებსო...

უვნებლად გამოაღწევდა გრიგოლ აბაშიძე იმ ტალღებსაც, რომელიც ისერიგად ვერც აგორდა და იქვეც ჩაიჩუმქრა.

* * *

ზვიად გამსახურდია უკიდურესი სიმძაფრით რომ განიცდიდა ქართული ერის წარსულთან უდიერად შეხების ყოველგვარ მცდელობას, მითუმეტეს, მიზანმიმართულ ლაშქრობას ჩვენი ისტორიული რეალობის წინააღმდეგ, ყოველთვის მკაცრად ამხელდა, სადამდეც ხელი მიუწვდებოდა, ამ უკეთურობის თაოსანთ თუ მონაწილეთ. თვით იმ დროსაც, როდესაც ოფიციალური პრესა თითქმის – ან რაღა თითქმის – დახურული იყო მისი პოლიტიკური ესეისტიკისათვის და იატაკქვეშა გამოცემებში თუ მოათავსებდა ანდა მანქანაზე გადაბეჭდილ პირს ნაცნობ-მეგობართა წრეში დაატრიალებდა.

აგერ პასაჟი გოგი ქავთარაძესთან მიწერილი ღია ბარათიდან:

– დღეს საერთო ტენდენციაა ჩვენი ისტორიის გმირებისა და წმინდანების ლაფში ამოსვრა, რაც ერის ფსიქიკაზე ძალზე უარყოფითად მოქმედებს, უქმნის მას საკუთარი არასრულფასოვნების გრძნობას, აძლიერებს ეროვნულ ნიჰილიზმს და ინდიფერენტიზმს.

და ესეც აკაკი ბაქრაძესთან გაგზავნილი ღია ბარათის ამონარიდი:

– აქ უფრო შეგნებულად გამიზნული თამაშია: რაც უფრო მეტად დაამცირებ და გააბიაბრუებ შენს ერს, მის ისტორიულ როლს და მის კულტურას, გარკვეული „ინსტანციები“ მით უფრო მეტად დაგაფასებენ.

პირველ შემთხვევაში ისტორიულ გმირთა შორის, რომელნიც უსამართლოდ ამოსვარეს ლაფში და გაამასხარავეს, გადასახელებულნი არიან ლაშა-გიორგი და რუსუდან დედოფალიც, რაც გამჭვირვალედ მიანიშნებს მკითხველს გრიგოლ აბაშიძეზე, მეორე შემთხვევაში კი აღარ იკმარებს ნართაულს და ყველაზე მკაფიო მაგალითად – კინოფილმ „დათა თუთაშხიას“ ტრიუმფთან ერთად – უშუალოდ მოიხსენიებს „ლაშარელას“ ავტორის აღზევებას.

მეოთხედი საუკუნის შემდგომ ზუსტად განმეორდა ის განწყობილებაც და ლიტერატურული ფორმულირებაც, იმ თავყრილობაზე მწვავე თავდასხმათა შუაგულში რომ მოაყოლა XIII საუკუნის მხატვრულ ქრონიკათა შემოქმედი.

მართლაც ქართული შეგნებისა და თავმოყვარეობის შემლახავ ვაითხზულებათა შორის კვლავ უნებურად აღმოჩენილიყო გრიგოლ აბაშიძის სახელი.

ზვიად გამსახურდიას გულისწყრომა მხოლოდ იმას ადასტურებს, რომ მისთვის, როგორც მკითხველისათვის, მიუღებელი გახლდათ ისტორიული წარსულის გააზრება რეალისტური თვალთახედვით. ის მხატვრული მეთოდი, რაც სავსებით ბუნებრივი ეჩვენებოდა თანადროულობის მიმართ, აღარ ეჭაშნიკებოდა ისტორიის გზამკვლევად; და რომანტიკული სტილისტიკა ერთადერთ – არა უპირატეს, არამედ სწორედაც ერთადერთ – მხატვრულ მეთოდად ესახებოდა.

რეალისტური სამზერი მისთვის დაკნინებისა თუ გაბიაბრუებისაგან ამიტომაც აღარ განსხვავდება.

თორემ „ლაშარელას“ ავტორის აღზევება ამ რომანის შექმნას არ გამოუწვევია, ცხადია. მანამდე ორი ათეული წლის წინათ იგი უკვე წარმატებული კარიერის გზას შედგომოდა და მიღებულიც გახლდათ სამთავრობო და უმაღლეს პარტიულ წრეებში.

ისინი სხვანი იყვნენ, სულ სხვანი, საქართველოს ისტორიულ წარსულს რომ მისდგომოდნენ უდიერად და ანგარებით და ერთმანეთს ასწრებდნენ მის გაპამპულებასა თუ ლაფში ამოსვრას, გმირთა და წმინდანთა პანთეონის შეურაცხყოფას.

ამ ტენდენციას გრიგოლ აბაშიძესთან, აბა, რა ხელი ჰქონდა!..

იქით გადაფარებოდა ეროვნულ და სულიერ სიწმინდეებს, იქით ლამობდა მათ გამობრწყინებას!..

ისე რაკიღა მკვეთრი ფერისცვალება მოინდომა ისტორიულ რომანისტიკაში, დაე ბოლომდე ეწვნია რეალისტური მეთოდის არჩევით გამოწვეული გულისწყრომა.

VIII.
მალული ხლართი

იყო დრო, როდესაც გრიგოლ აბაშიძე პავლე ინგოროყვას მეტოქეთა თუ მოშურნეთა მიერ დაყრილ ხმებს უფრო ასდევდა და ერთგვარ თვითყვედრებად ამიტომ მოჩანს მის მემუარულ ჩანაწერებში ის პასაჟი, სიმონ ყაუხჩიშვილისათვის რომ უთქვამს: პავლეს რომ თქვენსავით ან ნიკო ბერძენიშვილივით სკოლა გაევლო, უთუოდ დიდი მეცნიერი იქნებოდაო, – იმას კი, ნაწყენს ასეთი შეფასებით, არ დაუხანებია: რას ამბობ, მაშინ ჩემსავით და ნიკო ბერძენიშვილივით ჩვეულებრივი მეცნიერი იქნებოდა, ახლა კი დიდი მეცნიერია, დიდი პავლეო.

იქვე იმ ეპიზოდსაც გაიხსენებს, თუ რა მეხთატეხა მოსწიეს პავლე ინგოროყვას მწერალთა სასახლეში შოთა რუსთაველზე შექმნილი მონოგრაფიის გამო, იმხანად გრიგოლ აბაშიძის რედაქტორობით გამოსული „მნათობის“ ფურცლებზე რომ იბეჭდებოდა გაგრძელებით.

მიზანი ის გახლდათ, რომ ეს დიდებული მკვლევარი ჩამოეცილებინათ მისი იდეითა და თაოსნობით მომზადებული რუსთველის დაბადების 800 წლისთავის იუბილესათვის და კიდეც მიაღწიეს მიზანს მწერალთა კავშირის სადამსჯელო მანქანის ამოქმედებისა და ამ დანაშაულში პარტიის ცენტრალური კომიტეტის თანადგომით.

მემუარისტი იხსენებს, თუ როგორ მატულობდა თანდათან დაძაბულობა დარბაზში, სადაც ეს უმსგავსობა ტრიალებდა, კიდევ ერთ ცოდვად რომ მიემატებოდა მწერალთა კავშირის ანტიჰუმანურ ქმედებათა ნუსხას.

– პავლეს კაცის ფერი აღარ ჰქონდა. შევატყვე, რომ დისკუსია უბედურებით დამთავრდებოდა, თუ დროზე არ შეწყდებოდა. კრების თავმჯდომარესთან მივედი და ჩუმად ვთხოვე შეეწყვიტა ან გადაედო პავლე ინგოროყვას უმოწყალო განქიქება, თორემ მაგას რომ რაიმე მოუვიდეს, შენ დაგაბრალებენ-მეთქი. თავმჯდომარეს ჭკუაში დაუჯდა ჩემი ნათქვამი. კამათი შეწყვიტა...

გრიგოლ აბაშიძის ადგილას სხვა აუცილებლად აღნიშნავდა, რომ მისი გათავმჯდომარების შემდეგ მხარში ამოუდგა პავლე ინგოროყვას და პირადად მისი ჩარევის წყალობით გახდა შესაძლებელი იმ უსამართლოდ დამხობილი მონოგრაფიის გამოცემა. აღნიშნავდა სიამაყით, ვრცლადაც მოყვებოდა „შოთა რუსთაველის“ რეაბილიტაციის ამბავს.

ბატონი გრიგოლი მინიშნებითაც არაფერს მიანიშნებს, თითქოს არავითარი წვლილი არ მიუძღოდეს თანამოკალმის დანაშაულის გამოსწორებაში.

თუმც იქამდე ბევრ წყალს უნდა ჩაევლო.

მანამდე აკი გრიგოლ აბაშიძემ საკუთარ თავზე იწვნია, თუ რას ნიშნავდა აუტოდაფე, თანაც იმავე პიროვნების მოთავეობით გამართული, პავლე ინგოროყვასაც ვინც გაიმეტებდა ასე ულმობლად.

ის მონოგრაფიაც გამოქვეყნდებოდა, როდის-როდის თხზულებათა შვიდტომეულის მეოთხე ტომის გამოცემასაც დაადგებოდა საშველი, მაგრამ პავლე ინგოროყვას სახელი მაინც მიჩუმათებული დარჩებოდა, ვიდრე ვახტანგ ჭელიძე 1979 წლის 19 მაისის „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე დაბეჭდავდა ამ დიდებული მკვლევარისა და მოღვაწის დაბადების 85 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო მასალებს, მათ შორის, გრიგოლ აბაშიძის მილოცვასაც... ოღონდ თითქმის ორ გვერდზე გადაჭიმულ მისალოცებს ისეთი კუდები გამოებმოდა, რომ ბატონ გრიგოლს დააეჭვებდნენ: ვახტანგ ჭელიძემ განზრახ მოგიწყო, შეთქმულება მოამზადა შენს წინააღმდეგო.

ნომრის გამოსვლისას საზღვარგარეთ იმყოფებოდა და ჩამოდგამდა თუ არა ფეხს ტრაპიდან, სულსაც არ მოათქმევინებდნენ, მაშინვე ამცნობდნენ: ასეა და ასეო...

ხელზე ის დაიხვიეს, რომ ორი მწერალი – ოთარ ჩხეიძე და გურამ ასათიანი – საყვედურს გამოთქვამდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მიმართ, ამხელა მკვლევარი თავიანთ წევრად რომ არ აირჩიეს და გაწამებული ცხოვრება ოდნავადაც არ შეუმსუბუქეს.

ვის აღარ მფარველობდა ეს დაწესებულება და ნუთუ პავლე ინგოროყვასათვის არ უნდა გამოძებნილიყო ადგილი?

ეს იყო ზოგადი დამუნათება, საზოგადოებრივ-სამეცნიერო ყოფის განუკითხაობის ერთ-ერთი დამადასტურებელი, ქვეყნის ყოველმხრივ მოშლილ რეალობას რომ აირეკლავდა – კერძო მოვლენაში საზოგადო მხარე მოჩანდა და ამის ნათელყოფა გახლდათ ორივე მწერლის მიზანი. არადა, თურმე გრიგოლ აბაშიძის არჩევა განზრახულიყო აკადემიის ნამდვილ წევრად და ახლა ისე წარმოუდგენდნენ ვითარებას, შენს წინააღმდეგ იქსოვება ფარული ბადე და „ლიტერატურული საქართველო“ უკვე შეუდგა შენი გაშავების კამპანიასო.

ვახტანგ ჭელიძე რომ შეიტყობდა მეგობრის დაბრუნებას მოგზაურობიდან, მაშინვე მიაკითხავდა კაბინეტში, მაგრამ ის ცივად დახვდებოდა. ის კი არა, ვალიდოლსაც ამოიღებდა და იქვე გადაყლაპავდა. „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორი შეწუხდებოდა: ეტყობა, გადაიღალეო. ის მიკიბულ-მოკიბულად გასცემდა პასუხს და სტუმარი შეფიქრიანებული გამოვიდოდა კაბინეტიდან.

ჯერ ხომ არ იცის, მის მეგობარს რა ჩააწვეთეს, როგორ შეატრიალეს გაზეთის ფურცლებზე გამოთქმული კეთილი განზრახვა, თორემ მეცნიერებათა აკადემიას ყურად რომ ეღო მწერალთა სურვილი, სულ იოლად შეეძლო პავლე ინგოროყვას გააკადემიკოსება, ისე, რომ მწერალთა კავშირის თავმჯდომარისათვის ადგილი არ წაერთმია.

მაგრამ ისეთი გავლენიანი პირები ანთებულიყვნენ მის წინააღმდეგ, ამ ბარიერს ვერც ამჯერად გააღწევდა.

გრიგოლ აბაშიძეც როგორ მზაკვრულად გარიეს ამ კულუარულ ორომტრიალში – კინაღამ მეგობრებს გადაკიდეს.

ეს მხოლოდ ზოგადი სატკივარი გამოითქვაო, – უხსნიდა ვახტანგ ჭელიძე, – გურამმაც და ოთარმაც დამოუკიდებლად გამოთქვეს ეს სურვილი, არც ერთმანეთთან მოულაპარაკიათ და არც მე მიხელმძღვანელია მათთვის, ოთარს მაინც არ იცნობდე, განა შეიძლება წრფელი განცდის გარდა რაიმე ამოქმედებდეს ან ფარულ შეთანხმებებში იყოს გარეულიო?..

ან მე რა შეიძლება მრჯიდეს, აბა, დაფიქრდიო, – ამასაც დასძენდა.

მამაც შეეხმიანებოდა და ამით დაიწყებდა:

– აქამდეც უნდა ყოფილიყო თუ არა პავლე ინგოროყვა აკადემიკოსი?

და გრიგოლ აბაშიძე:

– უსათუოდ უნდა ყოფილიყო, ჯერ კიდევ „გიორგი მერჩულეს“ გამოცემამდე, თორემ ამ ბრწყინვალე წიგნის შემდეგ საერთოდ როგორ შეიძლებოდა მისი დატოვება აკადემიის გარეთ!..

გაიცინებდა ოთარ ჩხეიძე:

– მაშ გამოდის, რომ შენც შეთქმულების მონაწილე ხარ შენივე თავის წინააღმდეგ.

გაიცინებდა გრიგოლ აბაშიძეც:

– ერთბაშად რომ მომახალეს, იმ წუთებში იმოქმედა, და, გამოგიტყდები, ძალიანაც, თორემ ვახტანგსაც და შენც როგორ გენდობით, ორივეს მოგეხსენებათ!.. აკადემიკოსობის ჩაშლის საფრთხემ კი არ შემაშინა, მეგობრების მიმართ ეჭვს რომ გაგიჩენენ, ესაა საშინელება... წამიერად, მხოლოდ წამიერად, თორემ კიდევ ასე რომ მეგონოს, აღარც ეღირებოდა სიცოცხლე!..

ხელისშემშლელი გარემოება არაფერი გამოჩნდებოდა.

და გრიგოლ აბაშიძის უამრავ ჯილდოსა და ტიტულს აკადემიკოსის მანტიაც შეემატებოდა.

IX.
„მე რაღაც სულ სხვა მინდა – მესამე“

უვნებლად გამოაღწევდა იმ ტალღებსაცო...

გამოღწევა გამოღწევად, მაგრამ თანამდებობებმა კი შეზღუდა მისი ბელეტრისტული უნარი, თორემ ასეთი რანგის რეალისტი ხელოვანი თანადროულ ყოფას გაცილებით შთამბეჭდავად წარმოსახავდა, ვიდრე „ყორნალია“, რომლის პირველი წიგნიც საკმაოდ მკვიდრ საყრდენზე დგას და მოდერნისტულ მეთოდსაც (მოთხრობა რომანში) საკმაოდ წარმატებით მიმართავს, მაგრამ ძალიან გაუჭიანურდებოდა მეორე წიგნის მოთავება, რომელიც საბოლოოდ მაინც ნაჩქარეობის შთაბეჭდილებას ტოვებს, კუდმოკვეცილობისას. და ეს უთანაბრობა „ყორნალს“ გულდასაწყვეტ ნაკლად დააჩნდა, სალიტერატურო პროცესიდან რომ გარიყავდა და ლიტერატურის მკვლევარებსღა შეატოვებდა.

„სამძიმარი“ არც კუდმოკვეცილია, ნაჩქარეობაც არსად ეტყობა, მაგრამ ისეც ვერ შეესხმოდა ჩანაფიქრს ხორცი, სრულფასოვან რომანად ქცეულიყო – „ყორნალის“ პირველ წიგნს რომ მაინც შეთანაბრებოდა.

და დარჩებოდა „ლაშარელა“ გრიგოლ აბაშიძის პროზის გვირგვინად – პირველი მცდელობა იმთავითვე მწვერვალის ამღები, მერე თანდათან დაბლა დაშვება რომ მოუწევდა მწერალს.

მხატვრული ნიჭიერება დაშრეტით მაინც არ დაშრეტოდა.

დაშრეტა კი არა, მისი უკანასკნელი წლების ლირიკა უჩვეულო ცხოველმყოფელობით განათდებოდა, დრამატიზმს სულაც ტრაგიზმი შეერეოდა, ვერსიფიკაციული ხელოვნება და სინატიფე იმთავითვე სჩვეოდა და ახლაც შეინარჩუნებდა კლასიკურ ბრწყინვალებას – არც ახალგაზრდა გრიგოლ აბაშიძეს დაუდებდა ტოლს მგზნებარებით და გამოცდილების სიბრძნე კი ერთიერთმანეთზე უკეთეს სტრიქონებსა და ლექსებს გამოაწურინებდა გულიდან, შარავანდად კი დაადგებოდა „არყოფნისაკენ!“ – ქართული პოეზიის დიდებულ ქმნილებათა გვერდით რომ დაიგულებდა ადგილს.

ასეთი აღმოჩნდებოდა სალიტერატურო წრეების ერთსულოვანი შეფასება მისი გამოქვეყნებისთანავე, უჩვეულო აფორიაქება რაღაც გამორჩეულის დაბადებით, და დრო ვერ გააფერმკრთალებდა ამ აღტაცებას.

ცალკე ის ტკივილი არ ეშვებოდა, ლოგინში უშფოთველი სიკვდილი რომ მოელოდა და არა ბარიკადებზე, იარაღით ხელში – როგორც შეჰფერის დაპყრობილი და თავისუფლებისმაძიებელი ერის შვილს; ცალკე კი ის ტკივილი აეკვიატებოდა, ხანდაზმულობა იმიტომაც ვერ შემიფერებია, რომ სიჭაბუკეშივე აღსრულებული პოეტებისა მცხვენია, თვალს ვერ ვუსწორებ მათ აჩრდილებს და, ეტყობა, ვალად მე დამკისრებია მათი დაუწერელი ლექსების დაწერაო.

პეტეფსა და ბარათაშვილს ახსენებდა, შელისა და კიტსს, და ლერმონტოვსაც მიაკერებდა მათ სახელებს.

როდესაც ასეთი მძაფრი გახლდათ თვითყვედრების ეს განცდა, არსთაგამრიგეს ამიტომაც ევედრებოდა: და ვიდრე გამსრესს სიმძიმე ვალის, მიჯობს, ჩემთვისაც დროზე დაღამდეს, თორემ როდემდის ვარიდო თვალი მათ, ვისი დღითაც ვცხოვრობ აქამდეო.

„არყოფნისაკენ!“ ამ განცდამაც დაბადა.

ამ ვალის შეგნებამაც.

მათი დაუწერელი ლექსების დაწერის ჟინმაც.

არყოფნისაკენ! არყოფნისაკენ!
ჩემს გასაფრენად ქრიან ქარები,
გიჟურ ქროლვაში გაქრობას ვჩქარობ,
უკვე გაშლილან იალქანები,
არარსებულთან
შესაერთებლად
სულმოუთქმელად მივექანები.

„სულმოუთქმელადო“ მარტოდენ სიტყვით არ გვაუწყებდა, თვითონ ლექსის მძაფრი რიტმი, სტრიქონთა შორის დატრიალებული ქარბორბალა მკითხველსაც ამავე განცდით აღავსებდა და თვალნათლივ აგრძნობინებდა, თუ რა სწრაფვა დაუფლებოდა უჩვეულო აღტკინებით ანთებულ პოეტს: აღარც სიცოცხლე, აღარც სიკვდილი, მე რაღაც სულ სხვა მინდა – მესამეო!

ნეტა რას გულისხმობდა?!.

რომელ განზომილებას მიწვდა იდუმალი მზერით?!.

მღელვარე განცდათაგან გამორკვეული თვითონაც ვეღარ ახსნიდა იმ მესამე ნაპირის რაობას.

მაგრამ იქიდან მონაბერმა სიომ წამით ხომ მაინც გაუსხივოსნა გულიც და გონებაც!..

მარტოდენ ამ ლექსს არ შობდა ის სიო, დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნთა ერთი პასაჟისთვის („მდინარეთა ზედა ბაბილონისათა დავსხედით და ვტიროდეთ... ძეწნათა ზედა და შორის მისსა მუნ დავკიდენით საგალობელნი ჩვენნი“) ფიქრის მისადევნებლადაც აიყოლიებდა, როდესაც ბაბილონის მდინარეთა ნაცვლად ენისეის ნაპირს მოალანდებდა და იქ შემოსწრებულ ღამეს – უსასრულოდ ხანგრძლივს – წარმოიდგენდა და თავს გაიმხნევებდა: არა, მე იმ დღეს ვერ შევხვდები თავდადრეკილიო.

როგორ მოიქცეოდა და:

ხმაჩაწყვეტილ ჩანგს
მივანარცხებ სისხლისმსმელ მომხვდურს
და თუ დამპყრობელს
ვერ შევაკვდი, ჩემს ჩანგს კი არა,
ჩემს ტანჯულ სხეულს
ჩამოვკიდებ იმ ძეწნის ტოტზე
გაჩანაგებულ სულის კარნახით!

საუკუნის წინათ გრიგოლ ორბელიანი შეჰკვნესდა თავის უბედო ყოფასა და ქვეყნის უნუგეშო სინამდვილეს, საიდან თავდასაღწევადაც საშველს ვერ ხედავდა და თავისი ცხოვრების ხანგრძლივ გზას ამ ტრაგიკულ ფორმულაში მოაქცევდა: დავბერდი, ბედს ვერ მოვესწარ, დაემხო ჩემი სამშობლო, გულს მიკლავს უიმედობა, საფლავს ჩავდივარ სიმწარითო...

ერთი-ორი გამონათებაც არაფერი ახსოვდა.

გულს ვერაფერი უთბობდა თუ უამებდა.

ნაპერწკლებს დაეძებდა და ისე მოებღაუჭებოდა ალექსანდრე ყაზბეგის ჰეროიკულ ქმნილებებს, თითქოსდა ესაა უკუნეთის საბოლოო გამფატრავიო.

იმ ტრაგიკულ ფორმულაში კი ამ და ამისთანა ნაპერწკლების ადგილი არ აღმოჩნდებოდა.

ამქვეყნიური წარმატებანი სულაც ამაოებად წარმოუდგებოდა, სრულ არარაობად დამხობილი სულთმობრძავი ქვეყნის წინაშე, და გულმოკლული მიაბიჯებდა უკანასკნელი განსასვენებლისაკენ.

მარტოდენ ეს ორი სტრიქონი რომ არ იყოს და უფრო ვრცელი ლირიკული სარბიელიც გამოეძებნა, ლექსში ალბათ ის გამონათებანიც აღიბეჭდებოდა, ისევე, როგორც გრიგოლ აბაშიძე არ დაივიწყებდა იმ „წვეთ-წვეთ შარბათსაც“, საწუთროს რომ ერგუნებინა მისთვის... მაგრამ ბოლოს მხოლოდ სამსალას რომ შეატოვებდა?!.

ამაოებად მოჩანდა ამ გადასახედიდან ამქვეყნიური წარმატებანი.

და ყველა სატკივარიც იჩრდილებოდა იმ მთავარის წინაშე, „დარდის იმ ნესტარისა“, რომელიც ტრაგიკულ ფორმულად დაიწურებოდა: მეც სამარეში ისე ჩავდივარ, სამშობლოს საშველს ვერ მოვესწარიო!..

„მეც“ გამჭვირვალე მინიშნებაა – გრიგოლ ორბელიანი გაიხსენეთო.

თითქოს მართლაც იმ სტრიქონთა პერიფრაზია.

მაგრამ პერიფრაზი რა აუცილებელია ანდა ნასესხობა, როდესაც განცდაა პირწმინდად იმგვარი, იმ უკიდურესობას მიწევნილი, სანუგეშოს რომ არაფერს გიტოვებს, ისე მიგეზიდება სამარისაკენ.

საუკუნე გასულა.

ქვეყნის ბედს კი – ამდენი მღელვარებით, ტრაგიზმით, ჰეროიკით, ტრიუმფით აღსავსეს – თითქოს სრულიად არაფერი დატყობია და მეოცე საუკუნის პოეტი ძალაუნებურად დამსგავსებია მეცხრამეტე საუკუნის პოეტს სულიერი განწყობილებით.

თანაც ისინი, რომელთა სამოღვაწეო გზაც ერთნაირად გადავსებულიყო აღმატებანითა და წყალობანით – ერთს ომის გმირის სახელიც რომ მოეხვეჭა და მეორეს შრომის გმირისა.

თუმც ერთი მთელი სიცოცხლე 1832 წლის შეთქმულების ხანას რომ მისტიროდა, მეორე – კოხტისთავის შეთქმულების ჟამს („მე ჯერ ქაოსი მერტყა წყვდიადად, თქვენ რომ გეხვიათ მზეზე ფუტკარი, მე შვიდასი წლით დამაგვიანდა, თქვენს შეთქმულებას ვერ მოვუსწარი“).

ესეც რა უცნაურად განმეორებულიყო მათ მსოფლხედვაში.

და კიდევ ისიც:

ერთს მწუხარე დღეების სიმბოლოდ აღა-მაჰმად-ხანის შემობრუნება რომ ელანდებოდა, მეორეს კი – ჯალალ ედდინისა.

გრიგოლ ორბელიანს არ დარჩენოდა ისეთი სტრიქონი, სადაც განაცხადებდა: არც მსურს გავლილის გავლა თავიდანო.

სამაგიეროდ, გრიგოლ აბაშიძეს რომ დასცდებოდა ეს სატკივარიც, იმავდროულად თითქოს თავისი წინამორბედის გულისნადებსაც გაამჟღავნებდა.

ისე იმასაც ასე პირდაპირ რომ გამოეთქვა ეს სამდურავიც, გრიგოლ აბაშიძე კვლავ გამჭირვალე მინიშნებით აღბეჭდავდა სტრიქონს: არც მე მსურს გავლილის გავლა თავიდანო, – რათა კიდევ ერთხელ გაედო ხიდი იმ ტრაგიკულ პიროვნებასთან, ვინც ასერიგად ლამობდა მოერიგებინა სინამდვილე და პოეზია... ლამობდა... ჰოი, რა ჟინით ლამობდა...

მაგრამ მკაცრია სინამდვილე.

პოეზიაც არანაკლებ მკაცრია.

და ნეტა... ავტობიოგრაფიულ რომანში როგორ შეეთვისებოდნენ ერთმანეთს?..

გოეთემ რაც შეძლო დიდი ხელოვნებით, გრიგოლ აბაშიძე სადამდე გაწვდებოდა?

ცალ-ცალკე იდინებდნენ პოეზია და სინამდვილე პარალელური ხაზებივით თუ დროდადრო გადაეჯაჭვებოდნენ იმ გულგადახსნილობის წყალობით, საკუთარ თავს სულაც ულმობლად რომ მოექცეოდი, ოღონდაც სინანული ბოლომდე ამოგეთქვა?..

გამანძილება თუ მოხერხდებოდა საკუთარი თავისაგან, ის ერთგვარი გაუცხოება, რაც აადვილებს გულის გადახსნას?.. შენივე თხზულების პერსონაჟად უფრო შეიგრძნობ თავს და პერსონაჟსაც თამამად ექცევი, თითქოსდა ავტობიოგრაფიული რომანი კი არა, პირველი პირით მოთხრობილი მხატვრული ქმნილება იყოს. ისევე, როგორც სხვა პერსონაჟებში არ გიძნელდება საკუთარ პიროვნულ თვისებათა შერევა.

ვთქვათ, იმ მოთხრობისა არ იყოს, თავდაპირველად ასე რომ დაასათაურებდა: „სიკვდილი ქვევრში“.

მერე მარტოდენ „ქვევრს“ ამჯობინებდა.

ეტყობა, ნოველური ფინალის ნაადრევ გამჟღავნებად მიიჩნია სიკვდილის ხსენება სათაურშივე, მოულოდნელობის ეფექტის განელებად.

თანაც ამგვარი სახელწოდება ავიწროებდა მოთხრობის მხატვრულ სივრცესაც და ქვევრის სიმბოლიკასაც.

არადა, ეს სიმბოლო მრავალშრიანად ჩაეფიქრებინა.

ეროვნულ ფესვებთან მისაბრუნებელი გზა რომ არის ქვევრი, ეს თავისთავად. მშობლიურ მიწას მონატრებული კაცი, დიდი ხნის შემდეგ სოფლად დაბრუნებული, ქვევრის გარეცხვას რომ მოიწადინებს და ვერაფრისდიდებით ვერ გადაათქმევინებენ ვერც ძმა და ვერც ახალგაზრდა თანასოფლელები, ეს ბუნებრივი განცდაა, ნოსტალგიით გამოწვეული, რათა სრულყოფილად განიცადოს მივიწყებული

გარემო და სწორედ ქვევრის წყალობით ეზიაროს აქაურობის მადლს, შეუცვლელსა და განუმეორებელს.

ეს ქვევრი ყველაზე დიდია, არადა, კარგა ხანია იქ ღვინო აღარ ჩაუსხამთ.

თავისი დანიშნულება დაუკარგავს და ეგაა.

მაგრამ რაკიღა მრთელი გადარჩენილა, იმედი ამიტომაც არ დაკარგულიყო, რომ ოდესმე აღიდგენდა ბუნებრივ ყოფას და კვლავაც იმ ქმნილებად მოევლინებოდა სოფელს, მისი აღვსება რაღაც გარდატეხის საწინდარი რომ უნდა გახდეს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

მაგრამ უნებურად სიკვდილის ჭურჭლად რომ უნდა გადაიქცეს?

თანაც, წარმატებული, აღიარებული ხელოვანის?

დიახ, ის კაცი, ვინც მონატრების განცდას კვლავ მიუყვანია მამა-პაპის სახლთან, დაფასებული, სახელგანთქმული მსახიობია, სასცენო კარიერა რომ მოუთავებია, მაგრამ ჯან-ღონე არ აკლია და საკუთარი მხნეობის დასადასტურებლადაც მოუნდომებია ქვევრის გარეცხვა, თორემ საპატიო სტუმარს ადვილად რომ არ დაანებებდნენ სოფლის საქმეს, კარგად იცოდა.

მისმა სიჯიუტემ თავისი უნდა გაიტანოს.

და იმიტომაც, რომ ბედისწერა მოაქანებს აქეთ, მას განუმზადებია უცნაური სარკოფაგი ელიზბარისათვის და ბედისწერის ნებას ამიტომაც ემორჩილებიან სტუმარიც და მასპინძლებიც.

ბედისწერის განჩინება მოულოდნელად სრულიად ახალ ნაკადს ხსნის გმირის სულში და სულ სხვა თვალით აღიქვამს სამყაროს, რომელიც ქვევრიდან ისეთი არ მოჩანს, როგორსაც შესჩვეოდა.

ან უფრო სწორად:

მანამდე ვერ ხედავდა, ყოველ შემთხვევაში წარმატებული კარიერის ფონზე აღარც სურდა შეემჩნია ის ყოფა, რომელიც სულაც არა ყოფილა ჩვეულებრივი და ადამიანური, რაკიღა დახუფულ სივრცეში მომწყვდეულიყო და ასერიგად მკაცრი პოლიტიკური რეჟიმის მიერ დატოვებული ვიწრო სარკმლიდან თუ მიმოავლებდა თვალს სამყაროს ფრაგმენტებს – მის წილ ზეცას, მის წილ ღრუბელს, მის წილ მზეს... მხოლოდ იმას, რაც ვიწრო სარკმელში შემოეტეოდა.

ქვევრს ხელშესახები გაუხდია ის, რისი გამხელაც მანამდე არ სურდა ელიზბარს საკუთარი თავისათვის, თორემ განუდგებოდა წარმატებულ აღმასვლას და უჩინარ ხვედრს იკმარებდა დედაქალაქშივე დარჩენილი ანდა სოფლად გადმოხვეწილი.

ქვეცნობიერში მოფუთფუთე აზრი თუ განცდა პლასტიკურადაც გამოკვეთილა და ელიზბარი ამ უჩვეულო ჩქერალს მინდობია.

სრულიად ახალი ნაკადი გახსნია სულშიო...

და სიკვდილის მოახლოებას რომ იგრძნობს გულთან რაღაცის მწარე ჩხლეტით და მამისა და შვილის აჩრდილთა გამოცხადებით, ჯერ უნდა შეკრთეს, მაგრამ მალევე უნდა დაუმშვიდდეს აფორიაქებული სული, როგორც კი გაახსენდება, თუ როგორ მარხავდნენ მევენახე ხალხები ძველად ქვევრებში თავიანთ მიცვალებულებს. აკი საკუთარი თვალითაც ეხილა მცხეთაში გათხრილი ქვევრ-სამარხები დროისაგან გამოფიტული ჩონჩხებით.

თურმე შეიძლება საკუთარი ფეხით ჩახვიდე შორეულ წინაპართა სამარხში.

სადღაც მუსიკის ხმაც უნდა გაისმას, ეს ხმა უკვე ამომდინარ სულში ჩაეღვაროს და როდესაც მოინდომებს ამოიძახოს: უუჰ, რა კარგი ყოფილა! – ყელში გრძელი ხრიალით ამომავალმა უკანასკნელმა ამოსუნთქვამ უნდა მოგუდოს გულის ეს გაჭაბუკება, რომელიც თითქოს ფარავს ელიზბარის ყველაზე მძაფრ განცდას, მისი ღრმად პიროვნული მე-ს, სულის იდუმალი შრეების გადამშლელს მკითხველის თვალწინ.

მწერალსაც თითქოს უღონოდ ჩამოუშვია ხელები, რაკიღა ვეღარ მიწვდენია მისივე გამოკვეთილი გმირის უკანასკნელ, ასერიგად მნიშვნელოვან გაფიქრებას:

„ელიზბარი აღარ სუნთქავდა და ვერავინ გაიგებს, თუ რას გულისხმობდა იმ წარმოთქმულ უკანასკნელ სათქმელში, რა იყო კარგი: სიკვდილი თუ სიცოცხლე?!“

ვითომ მართლა დაფარული რჩება გმირის ყელში გაჩხერილი ფრაზის აზრი?

მაშ ვეღარ ამოგვიცნია მოთხრობის კონცეფცია და ეგაა.

მაგრამ გრიგოლ აბაშიძეს ეიმედება ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაზე გაზრდილი მკითხველის მიხვედრილობისა, ვისაც „ქვევრის“ ფინალური ფრაზის ჩაკითხვისთანავე უსათუოდ „სარჩობელაზედ“ წამოაგონდება, უკანასკნელ ფრაზად ილიას გაოცება რომ აღბეჭდილა, გმირის დაჩივლებას:

მე რა შუაშია ვარ! – რომ მოსდევს:

„მართლა-და ჩვენი ბებერი პეტრე რა შუაში უნდა იყოს...“

ეს ვითომდა გაოცება ნოველის კონცეფციას გამოკვეთს და კიდევ უფრო დააფიქრებს მკითხველს, დანაშაულში მონაწილეობის შეგრძნებას რომ ჩაუსახავს: ჩვენ ყველა შუაში ვართ...

ელიზბარისათვის კი რა არის კარგი: სიკვდილი თუ სიცოცხლე?

მისი უკანასკნელი ამოსუნთქვა უკვე აღარ განარჩევს ამ ორ მოვლენას, აღარ მიჯნავს, რაკიღა ეს ერთი მთლიანობაა, ერთიმეორის განმსაზღვრელი და მასულდგმულებელი.

ის, რაც ვაჟა-ფშაველას ამ სტრიქონებით ამოეთქვა და მასში შეენივთებინა ადამიანური არსებობის აზრი და მიზანი: შენი ჭირიმე, სიკვდილო, სიცოცხლე შვენობს შენითაო, – გრიგოლ აბაშიძეს „ქვევრის“ სიმბოლიკაში გაეხვია და ასე დაედასტურებინა კიდევ ერთხელ სიკვდილ-სიცოცხლის მონაცვლეობის ღვთიური წარმომავლობა, ყოფითობის ფონზე მიჩქმალული და დავიწყებულიც.

ასე შეგვახსენებდა ამ ღვთიურ კანონს სიკვდილ-სიცოცხლის ის საგალობელი, რომელიც „ქვევრის“ გარსში მოქცეულიყო და ბევრგვარი ფიქრის აშლასთან ერთად იმასაც მკაფიოდ მიანიშნებდა მკითხველს, თუ რა ტკივილები ბრუნავდა ცხოვრებისაგან თითქოს გალაღებული, წარმატებული ხელოვანის გულსა და გონებაში.

* * *

ვახტანგ ჭელიძე დამირეკავს:

– რას იტყვი, არ მივულოცოთ შენს ძია გრიგოლს 80 წლის იუბილე რადიოთი?

მე შემეუხერხულება:

– იქნებ ჩემს მაგივრად უფროსი თაობიდან სჯობდეს ვინმე?

ის უარს არ მათქმევინებს.

– რას ამბობ, სწორედ შენს გამოსვლას ექნება მნიშვნელობა... მეც შენთან ერთად მირჩევნია!..

რადიომაუწყებლობის სტუდიაში უკვე გველოდნენ.

ბატონი ვახტანგი დიდებულად ილაპარაკებს, თუმც მერე მეტყვის: როგორც მინდოდა, ისე მაინც ვერ მოვახერხეო, – მე ვცდილობ სინანული გავუქარვო და ვარწმუნებ, რომ გრიგოლ აბაშიძის პიროვნული ხასიათიც ზუსტი შტრიხებით წარმოაჩინა და მისი მხატვრული მონაპოვარიც რელიეფურად შეაფასა. შეზღუდულ დროში საკმაოდ ბევრი მოასწრო.

ჩემი მხრივაც შევეცადე ცოცხალი სილუეტი წარმომესახა.

გადაცემა რომ გავა რადიოეთერში, ვახტანგ ჭელიძე შემეხმიანება:

– გრიგოლმა ხომ არ დაგირეკა?

– არა. თქვენ?

– არც მე... არადა, ისეთი ყურადღებიანია, გამორიცხულია, მაშინვე ტელეფონს არ წასტანებოდა... ეტყობა, რაღაც არ მოეწონა...

– ნეტა რა შეიძლება სწყენოდა?

– არ ვიცი... არ ვიცი... – შეფიქრიანებული მემშვიდობება.

ნახევარი საათის შემდეგ ისევ შემეხმიანება:

– არც შენთან დაურეკავს?

– არა.

ერთი-ორი საათის მერე კვლავ ბატონი ვახტანგის ხმა გაისმის ყურმილში:

– კიდევ არ დაურეკავს?.. ნეტა რა არ მოეწონა?..

მოგვიანებით შევიტყობთ მისი „უყურადღებობის“ მიზეზს, ალბათ ერთადერთი უყურადღებობისა გრიგოლ აბაშიძის სიცოცხლის მანძილზე.

რადიოგადაცემისათვის მოუსმენია და: მშვენიერიაო, – უთქვამს. კიდეც მაშინვე წამომდგარა და ტელეფონისაკენ დაძრულა, მაგრამ... იქამდე ვეღარ მიუღწევია... ესეც რა მისი ბედისწერა იყო – მაინცდამაინც დაბადების დღეს რომ უნდა შეკრულიყო მისი არსებობის ამქვეყნიური რკალი?!.

რაც ჯავრი მქონდა, სამარეშიც ჯავრად ჩავიტანო...

ჩაეტანა და ეგ იყო.

* * *

– ბატონ გრიგოლს უდიდეს პატივს ვცემდი და საკმაოდ ახლოსაც ვიყავი მასთან, – ჯანსუღ ჩარკვიანი გრიგოლ აბაშიძის ხსოვნის სუფრას თამადობს, – მაგრამ ირაკლისთან ჩემი სიახლოვე უფრო ჩანდა. ალბათ იმიტომაც, რომ ბატონ გრიგოლთან ერთად სახინკლეში ვერ შეხვიდოდი, ვერც დუქანში, სახელდახელო სუფრები არა ხიბლავდა, ვერც შესთავაზებდი და არც აგყვებოდა.

მოქეიფე, ბოჰემური ცხოვრების მიმდევარი არც არასოდეს ყოფილა, მაგრამ ახალგაზრდობისას სახელდახელო სუფრები ძალიანაც ჰყვარებია, რადგანაც იქ შესაფერისი სარბიელი ეძლეოდა მის კომიკურ უნარს.

ვერ ვიჯერებ, რომ გრიგოლ აბაშიძე ოდესღაც შესაძლოა კომიკოსი ყოფილიყო, რადგანაც მისი სიცილი არასოდეს მომისმენია, არც მახვილი სიტყვა მაგონდება, ხუმრობაც არა სჩვეოდა – არც ყოფაში გამოუმჟღავნებია იუმორის უნარი და არც შემოქმედებაში.

არადა, თურმე არამცთუ ტოლს დაუდებდა ვინმეს, საკმაოდაც აჭარბებდა მახვილსიტყვაობითაც და სახუმარო სიტუაციების შექმნითაც. ეპიგრამა არასოდეს ემარჯვებოდა, მაგრამ მხიარულებითა და კომიკური უნარით ტოლამხანაგთა წრის სული და გული გახლდათ და მისი ანცობანი კარგა ხანს გაჰყვებოდათ ხოლმე სალაპარაკოდ.

მაგრამ დადგებოდა დრო, როდესაც უნდა გამოთხოვებოდა ამ თვისებასა თუ „იმიჯს“. თანამდებობრივი კარიერა აღარ მისცემდა უფლებას მისი შენარჩუნებისა და ლაღი, ხალისიანი, მახვილსიტყვა კაცი ერთბაშად დისტანციური გახდებოდა – გარეგნულად ყოველთვის და ყველასთან დაიცავდა ამ ზღვარს, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანებზე გადაგება სჩვეოდა, ხელის გაწვდენა, მხარში ამოდგომა. თხოვნით ადვილად სთხოვდნენ, რაკიღა მოეხსენებოდათ მისი გულითადობა, და ისიც თავს არ ზოგავდა, მაგრამ უხილავი ზღვარი აუცილებლად უნდა დაცულიყო.

სხვანი იუმორის ნიჭს თანამდებობრივი აღმასვლის შემდეგაც იყენებდნენ, ის კი არა, უფრო ესწრაფოდნენ მის გაღრმავებას.

ხოლო გრიგოლ აბაშიძე ისე გამოეთხოვებოდა იუმორისტის უნარს, არც არასოდეს ინანებდა, თორემ იშვიათად მაინც როგორ არ წაცდებოდა ხუმრობა. ბოლოსდაბოლოს, მოსწრებული სიტყვა შენ გაკითხებს რაიმეს თუ რა, თვითონვე მოსხლტება და ამოფრინდება... მაგრამ ის სამყარო კი – იუმორის, კომიზმის, შინაგანი სილაღის – ხელუხლებლად შენარჩუნებულიყო მის არსებაში, გულის დაფარულ სკნელში, და ამიტომაც შეძლებდა, რომ ტრაგიკომიკოსის მზერით გაეხედა მისი წილი წუთისოფლისათვის.

ეპილოგი

ყველა დაუჭირეს აპოლონს დის მეტი, მაინც არ მოიშალა აპლოდისმენტიო, – მართლაც ეპოქის ტრაგიზმისა და აბსურდულობის გამოხატვა მოენდომებინა ლადო ასათიანს ამ ორად ორი სტრიქონით, ურთულეს განზრახვას შეჭიდებოდა და კიდეც აღესრულებინა ისე ლაღად და თამაშ-თამაშით, იუმორისტული ნიჭის უჩვეულო ძალით ამოსხლეტას რომ სჩვევია.

თითქოს ჩემზეცაა დაწერილიო, – გული უკვდებოდა გრიგოლ აბაშიძეს და ვერ აეხსნა, რაღა ეს ტრაგიკომიკური მოდელი მორგებოდა მის ბიოგრაფიასაც.

* * *

– არ იყო, არა, გრიშა მაგის მთქმელიო, – იცინებდა ვახტანგ ჭელიძე, ეს ჩანაწერები ხელთ რომ ჩავარდნოდა.

სამშაბათს, 27 მარტს
ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“
დარბაზში გაიმართება
წარდგინება

როსტომ ჩხეიძის
ბიოგრაფიული რომანისა

„მზის რაინდი“
(ალექსანდრე ბატონიშვილის ცხოვრების ქრონიკა)

დასაწყისი 14 საათზე
ჩუბინაშვილის 41

ნოდარ ტაბიძე

გადაზნექილი სიზმრების წლები

1921 წელი. ახალი ეპოქის აბარბაცება. მოსკოვის დიქტატი და ქართველ ფსევდოხელმძღვანელთა ლიქნა. დაგუბებული ტკივილების გადმოღვრა და ავადმოსაგონარი ციმბირის „მონახულება“. ეკონომიკური კრიზისი და სამათხოვროდ გაწვდილი ხელი.

და კიდევ ბევრი მრუდედ გავლებული ხაზი. ცალკეული გამონათებებიც.

ჩვენ ყველაფერი, უპირველეს ყოვლისა, გალაკტიონთან მიმართებით გვაინტერესებს.

ერთხელ კიდევ გადავავლოთ თვალი წარსულს და შემდეგ მივყვეთ მგოსნის ნაბიჯებს. ეს მეთოდი უთუოდ გაგვიადვილებს ფაქტების ერთ ჭრილში წარმოსახვას და მოვლენათა სიღრმისეულ ანალიზს.

გალაკტიონს უკვე პოეტთა მეფის გვირგვინი ამშვენებს. თავადაც კარგად აქვს შეცნობილ-გააზრებული ეს სიმაღლე.

წელიწადები წავლიან ძველნი,
შეიცვლებიან ქარით სიონი,
როგორც ერთია ქვეყანა მთელი,
ისე ერთია გალაკტიონი.

მავანთა და მავანთა შემოტევებიც არ უკვირს.

ვიცან, გალაკტიონ, შენში აქტეონი —
შენ გსჯის ყოველივე, როგორც სიყვარული.
შენგან დაწვრთნილები ყეფენ მოუსვენრად
ისევ შენთვისავე — ავი ძაღლებია.

შეუპოვარი და პირდაპირია.

მცირე გადახვევა. ანტონ ჩეხოვი თურმე მკაცრზე მკაცრი იყო საკუთარი ნაწერების მიმართ. ნაჯღაბნსა და მოჩმახულს უწოდებდა მათ. ბევრს ლაპარაკობდა აგრეთვე პირად სიზარმაცეზე და ეს მაშინ, როცა დღესა და ღამეს ასწორებდა საწერ მაგიდასთან. ამგვარ ტენდენციურობას იმით ხსნიან, რომ მწერალს სურდა საგულდაგულოდ დაეგმანა შემოქმედებითი ლაბორატორიის კარი.

გალაკტიონი განსხვავებულად იქცევა. საკუთარი წარმატებების წარმოჩენას ხაზგასმით ცდილობს. ეს მხოლოდ პიროვნული თვისებებით როდი აიხსნება. მხედველობაში მისაღებია სიტუაცია — მდგომარეობათა განსხვავებულობაც. სიტყვამ მოიტანა და შეგახსენებთ: უთუოდ გვმართებს სამართლიანი მოთხოვნის გამიჯვნა პატივმოყვარეობისაგან. ეს კი არც ისე იოლია.

მაშ ასე. გალაკტიონი ზენიტშია. მასში ზღვა ბობოქრობს და ისვრის ნაპირზე მარგალიტებს, გალაკტიონთან დუმილიც კი ხმაურობს. გაიძულებს სმენა დაძაბო, იაზროვნო, ახსნა. გინდა ვარსკვლავებს ესაუბრო მაშინაც კი, როცა „მთვარე-ნაფოტი“ არ ჩანს და ცაზე ხომლის ერთი ფრთაც არ ანათებს.

მისი პოეზიის ერთ-ერთი მთავარი გმირია „უხილავი წამი“.

ნამდვილად შეეძლო ხმამაღლა ეთქვა:

ჩვენ, პოეტები, მზიდან ვეშვებით
და ვსვამთ ცეცხლიან აზარფეშებით
მზის სადღეგრძელოს.

წინასწარ იმის აღნიშვნაც გვმართებს, რომ დღეს თითქმის პოლარული დამოკიდებულება იგრძნობა მგოსნის ცალკეული თხზულებებისადმი და ზოგჯერ მგოსნის მსოფლგაგებისადმიც კი.

არც არის საკვირველი. ყოველ ეპოქას თავისი საყვარელი ფერი და გამა აქვს, მოვლენებს ახლებურად აღქმა-გააზრება მოაქვს. სხვა საკითხია, რამდენად ზუსტი და სამართლიანია ეს ნოვაციები და როგორი პოზიცია უნდა დავიკავოთ მათ მიმართ.

გალაკტიონი არასდროს მდგარა „დროის, ეპოქისა და სივრცის გარეთ“, — გავიხსენოთ სტრიქონები:

განა არ არის საშინელი საცოდაობა,
ისეთ ქვეყანას — როგორც ჩვენი საქართველოა —
რევოლუცია არ აძლევდეს სიმშვენიერეს?

ეს დაწერილია 1918 წელს. ახლა გადავხედოთ ათი წლის შემდეგ შეთხზულ სტროფებს:

იმიტომ ხდება რევოლუცია,
რომ მოიტანოს დიადი რწმენა,
გჯეროდეს საქმე და სიხარული,
აღფრთოვანება და აღმაფრენა.
.....
პოეტი, ახლა გამდგარი განზე,
დროგადასული და მოხუცია,
უნდა შეერთო მასობრივ ტაღლებს,
ამიტომ ხდება რევოლუცია!

მეორე მხრივ, ცოცხლდება 1924 წლის გამოსვლები და გალაკტიონის გამოკეტვა მეტეხის ციხეში.

ნურც იმას დავივიწყებთ, რომ სწორედ ამ პერიოდში მგოსანს ასეთი ჩანაწერი გაუკეთებია: „თუ კომუნიზმი საზოგადო მოტყუებაა, შენ ნუ აღელდები, გალაკტიონ!“

ვიცი: ფაქტთა ჩამოთვლა არ კმარა. თავიდათავი მიზეზ-შედეგობრიობის გაშიფრვა, პირველ ხარისხოვნის მესამეხარისხოვნისაგან გამიჯვნა, ნაღდი აალების პოლიტიკური სუროგატისაგან განსხვავებაა.

ისიც უნდა ითქვას, რომ მკვლევარები სხვადასხვაგვარად სჯიან.

კრიტიკოსთა დიდი ნაწილს ეჭვიც არ ეპარება გალაკტიონის რევოლუციონერობაში. მეორენი კი განსხვავებულად ფიქრობენ. ერთი ნიჭიერი პოეტი და ესეისტი საგანგებოდ მსჯელობს „რევოლუციონურ საქართველოზე“ და ასეთ ვარაუდს გამოთქვამს: „...მეჩვენება, თითქოს განგებ ამახინჯებს სიტყვას (პოემის სახელწოდებას), რევოლუციას — ამ უზარმაზარ მოვლენას ბოლშევიკებისათვის და

ყოვლად მიუღებელ მოვლენას — პოეტისათვის („თბილისი“, 2006, №16). ჩვენთვის ამოსავალი უნდა იყოს დროის ფაქტორიც. მართალია, გალაკტიონი აღფრთოვანებით შეხვდა თებერვლის რევოლუციას, მაგრამ რამდენ ხანს გაჰყვა ეს აღტყინება? მიჯნავს თუ არა ერთმანეთისაგან თებერვლისა და ოქტომბრის რევოლუციებს? როგორ შედეგებზე ოცნებობდა მგოსანი? გარკვეულ პერიოდში ხომ არ იჩინა თავი სოციალურისა და ეროვნულის დაპირისპირებამ?

ვეთანხმები ოპონენტებს: ურთიერთისაგან უნდა გავმიჯნოთ მოჩვენებითი და ნაღდი პათოსი, თანაც ზუსტად გავხაზოთ თითოეულის ხვედრითი წონა.

ასე რომ, გასაშიფრ-გასარკვევი საკმაოზე მეტია.

ვისაც სურს მგოსნის შემოქმედების სრულყოფილად შეცნობა, უნდა გაჰყვეს მისი ცხოვრების ბილიკებს და პირუკუ, პოეტის ყოფის ნათლად წარმოსადგენად არსებითია ლიტერატურული მემკვიდრეობის მართებულად გააზრება, ხელოვანის სულის ასავალ-დასავალისათვის თვალის გადევნება.

მივყვეთ მოვლენებს.

უპირველესად იმის გათვალისწინება გვმართებს, რომ გალაკტიონს 30 წელი უსრულდება, ბევრის მნახველი და განმცდელია. იგი მართებულად ასკვნის: სამეფო პალატის მეზობლად არ უნდა დასახლდე. ისიც იცის, დუქნის გვერდით კერია არ უნდა გააჩაღო. რაც მთავარია, შეცნობილი აქვს: როდესაც „რევოლუციის ცეცხლის ალში შესვლას დააპირებ“, გამოსვლაზეც უნდა იფიქრო.

წითელი არმიის შემოჭრას საქართველოში ბევრი მწერალი აღტაცებით შეხვდა. 25 თებერვალს თბილისში გამართულ ხალხმრავალ მიტინგზე პაოლო იაშვილმა ვრცელი სიტყვა წარმოთქვა და ლექსით მიესალმა „წითელ საქართველოს“: **„შენს ჯვაროსნობას ჩვენ ვეთანხმებით, შენი გმირობით ვართ ავსებული, მაშ ავაფეთქოთ ახალ ნაღმებით ძველი ქვეყანა დახავსებული. მზად არის თოფი! მზად არის ხმალი! მტერს ჩვენ ვეყოფით მარტო კბილებით, დავაგვირგვინოთ ჩვენ მომავალი, წითელ რუსეთის დაძმობილებით. აზიის კარო! ელავს ფერებით შენი გვირგვინი და სამკაული! მაშ, გადიხადე ბედნიერებით პირველ მაისის დღესასწაული!“** (იხ. ანდრო მირიანაშვილის წერილი „ოქტომბერი და ქართული მწერლობა“, „ლიტერატურული საქართველო“, 1984, №46.)

ეს სრულიადაც არ იყო ფარსი. ნიჭიერ პოეტს სწამდა, რომ ტანჯულ სამშობლოს ახლა ნამდვილად ეშველებოდა.

ცხოვრება პარადოქსებით არის სავსე. სწორედ ამ ქება-დიდების ობიექტებმა თუ მათმა მემკვიდრეებმა იქამდე მიიყვანეს მგოსანი, რომ 1937 წელს მწერალთა კავშირის შენობაში უკანასკნელად დააქუხა სანადირო თოფი და თვითმკვლელობით დაამთავრა სიცოცხლე.

საგულისხმოა შემდეგი ფაქტიც. 1921 წლის პირველ დეკემბერს ლეო ქიაჩელმა წაიკითხა რეფერატი — „ჩვენი მწერლობის მიზნები“. მომხსენებელი ამტკიცებდა, რომ ქართული ლიტერატურის უპირველესი ამოცანაა საქართველოში სოციალიზმის გამარჯვებისთვის ხელის შეწყობა.

მაგალითების მოტანა შორს წაგვიყვანს.

გალაკტიონი? დუმს.

მიზეზი? პიროვნული და საზოგადოებრივიც. ნუ დავიწყებთ, რომ იგი დაახლოებული იყო ნოე ჟორდანიასთან. ერთხანს „საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მდივნადაც“ კი იყო მიწვეული. ამდენად, დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის ექსორია მტკივნეულად აღიქვა.

გთხოვთ ყურადღება გაამახვილოთ ქვემოთ მოტანილ უცნობ მასალაზე. ის უთუოდ უნდა შემოვიდეს ლიტერატურულ ბრუნვაში.

ემიგრანტის სიმღერა

შორი მხარის ცივი ქარი მიგვაქროლებს შორსა მხარეს.
ვერ იხილავს მზით გამთბარი საქართველო ჩემს სამარეს.
საფლავს ცრემლი არ დაალბობს, სატრფოს
თვალთგან დანაღვარი...
ფერს წაართმევს ყვავილთ გვირგვინს ჩრდილოეთის
ცივი ქარი.
მოგონება სიყმაწვილის აღტყინება უდარდელი,
რა ვიცოდი... რა მელოდა... და ა.შ.

ამ ლექსს რომ ვკითხულობ, ასე მგონია, ლევილში ვარ და სახელოვანი წინაპრების მიტოვებულ საფლავებთან მწუხრის ზარს ვუსმენ.

სწორედ თებერვალში ტაბახმელასთან ბრძოლაში დაიღუპა კოტე მაყაშვილის ქალიშვილი მარო. ის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხვა სტუდენტებთან ერთად იარაღით ხელში დადგა დამოუკიდებელი საქართველოს დასაცავად. გალაკტიონმა ძლიერ განიცადა კ. მაყაშვილის ტრაგედია. გულს უკლავდა ის, რომ ვერაფრით შველოდა თითქმის შეშლილ მამას. იდგა კუბოსთან ამღვრეული და მოცახცახე. ჭრილობა თითქმის შეუხორცებელი დარჩა. მახსოვს ოცდაათი წლის შემდეგაც ნერვიულად იგონებდა იმ დღეებს.

ორი თვის შემდეგ ახალი დარტყმა. 26 აპრილს ფილტვების ანთებით გარდაიცვალა მიხეილ ოკუჯავას მეუღლე ეკატერინე ხალვაში. იგი პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ ქალთა განყოფილებაში მუშაობდა და ავტორიტეტითაც სარგებლობდა. გალაკტიონი ძლიერ დაახლოებული არ ყოფილა მასთან, მაგრამ აღმერთებდა მიხეილს, რომელსაც იმ დროს სასურსათო კომისრის პოსტი ეკავა. ოლიას ძმის ურვა გულთან ახლოს მიიტანა. გვიანობამდე რჩებოდა ოკუჯავების ბინაში და ცდილობდა მცირედით მაინც შეემსუბუქებინა მწუხარება ძვირფასი პიროვნებისათვის.

კიდევ ბევრი სხვაც იყო შემაღონებელი და გამაღიზიანებელი.

თვალი გადავავლოთ „კომუნისტში“ დაბეჭდილ წერილს „თავი აიშვეს!“ „მოიგონეთ თეატრებში განუწყვეტლივ „ღალატის“, „სამშობლოს“ და ამისთანა პიესების დადგმა. ოპერაში „კოტე და ქეთოების“, „არშინ მალ-ალანების“ და სხვა გამრყვნელ მუსიკის ჟრიამული. მოიგონეთ „პოეზიის დღე“ და იქ ნაციონალისტ მგოსნების „ბუზღუნი“ სამშობლოზე, მოიგონეთ გრიშაშვილის და გალაკტიონის „უკვდავი საღამოები“, რომლითაც მათ ჩვენი „საზოგადოების“ უსაქმურ ნაწილს ისედაც აშლილი ნერვები გაუღიზიანეს და ჩვენს სამტროდ მომართეს. ეს ჩინებული აგიტაციაა ჩვენი აშკარა მტრების სასარგებლოდ გაწეული და ამის შემდეგ კიდევ შეიძლება ითქვას, ჩვენს აუტანე-

ლობაზე, ჩვენს მიერ „თავისუფლების შეზღუდვაზე“? („კომუნისტი“, 1921, №89.)

ერთ კერძო ბარათში გალაკტიონი ასე ახასიათებს ეკატერინეს: „Катя стала нежнее, чем польская панна, а, значит, нежнее всего!“

ამას წერს ძველი ბოლშევიკი რაჟდენ კალაძე.

ახლა გავიხსენოთ ვრცელი ინფორმაცია „უსაქმურად დარჩენილი მგოსანი“.

1921 წლის 9 ივნისს ოპერის თეატრში გაიმართა იოსებ გრიშაშვილის საღამო. მომხსენებელი გახლდათ შალვა ნუცუბიძე. და აი, კორესპონდენტი, ვინმე სევასტი პირველი აბზაციდანვე ანთხევს ზიზღსა და ბოღმას. „მოცლილ ქართველ ქალთა საყვარელმა მგოსანმა იოსებ გრიშაშვილმა, თავის „დაცალიერებულ“ ჯიბის შესავსებათ გამართა „საღამო“ („კომუნისტი“, 1921, №81).

განქიქებულია გრიშაშვილის პოეზია. უფრო მეტიც, მგოსანი მშრომელი ხალხის მტრად არის გამოცხადებული.

ამ ორ პუბლიკაციაზე იმიტომ შევჩერდით, რომ ისინი კარგად გამოხატავენ რესპუბლიკის ხელმძღვანელთა ნაწილის თვალსაზრისს („კომუნისტი“ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტის და საქართველოს რევოლუციური კომიტეტის“ ორგანო იყო). შეუძლებელია მგოსანი ნეიტრალური დარჩენილიყო ამგვარი შემოტევების მიმართ.

გალაკტიონი არასდროს ივიწყებდა შეურაცხყოფას. მოჩვენებითი გულგრილობის მიღმა მრისხანება და სამაგიეროს გადახდის მძაფრი სურვილი იმალებოდა.

ორმოცდაათიანი წლების დასაწყისი... ერთ დღესაც ადრევე შევუდექით საქმეს. ჯერ სოლოლაკი მოვიარეთ. შემდეგ ქალაქის საბჭოს ვეწვიეთ. პოეტთა მეფეს სურდა ძერჟინსკის ქუჩაზე, აკადემიის შენობის მახლობლად მდებარე შედარებით პატარა სახლისთვის სართული დაეშენებინა, რა თქმა უნდა, საკუთარი ხარჯით, და მუზეუმი გაეხსნა. მწერალთა კავშირიდან მოგვთხოვეს შუამდგომლობა — მიმართვა. მიზანს ვერ მივაღწიეთ (ამის შესახებ სხვა დროს გვექნება საუბარი).

მდუმარედ მივუყვებით მაჩაბლის ქუჩას. უცბად კარლო კალაძის სილუეტი გამოკრთა. ჩვენს საპირისპიროდ მოდიოდა. შეგვნიშნა და გვერდის ავლა, ქუჩის მეორე მხარეს გადასვლა დააპირა, მაგრამ...

— ძამიკო, კარლო, საით გაგიწევია?

ბატონი კარლო იძულებული გახდა განზრახვა შეეცვალა. მოგვიახლოვდა, მოგვესალმა.

გალაკტიონმა ქამარში ჩაავლო ხელი და აქირქილდა.

— ნოდარ, იცი, ამისი მამა ვინ იყო?

— როგორ არა, პარტიული მოღვაწე, მწერალი.

გალაკტიონს თვალებში ჭინკები აუთამაშდა.

— ჰოდა, შუა ზაფხულში შეჯდებოდა ეს ჩვენი რაჟდენი ვირზე, დაიხურავდა ქოლგას, „ზონტიკს“ — შეასწორა, ალბათ მეტი ირონიისათვის, და მიაჩაჩკებდა საწყალ სახედარს.

ქირქილი ხარხარში გადაიზარდა.

ბატონ კარლოს მკვდრისფერი დაედო, ზიზღმა და დაუნდობლობამ გადაურბინა სახეზე. მარტონი რომ ყოფილიყვნენ, ვინ იცის, რით დამთავრდებოდა ეს შეხვედრა...

— გამიშვი ხელი, გალაკტიონ, — კბილებში გამოცრა ბატონმა კარლომ, თავი გაინთავისუფლა და სწრაფად გაუჩინარდა.

დიახ, გალაკტიონი არაფერს ივიწყებდა.

ცხადია, ამგვარი დამოკიდებულების გამო კარლო კალაძე ვერ იქნებოდა გალაკტიონისადმი კეთილად განწყობილი. ამას ამჟღავნებდა კიდეც. გავიხსენოთ ლიტერატურის მუზეუმში მოწყობილი დიდი გამოფენა, მიძღვნილი ქართული მწერლობის განვითარებისადმი, და ბატონი კარლოს შეუნიღბავი, აგრესიული გამოსვლა.

სხვა მხრივაც არ ულხინს გალაკტიონს. მუდმივი სამუშაო-სამსახური არა აქვს და თითქმის შიმშილობს. ხშირად მიმართავს მწერალთა კავშირს დახმარებისათვის. ისიც, რამდენადაც ძალუძს, ხელს უმართავს. მაგალითად, 1921 წლის 22 ივნისს აკადემიური ულუფა გამოუყვეს. ორი თვის შემდეგ 50 000 მანეთი მისცეს და ა.შ.

თანხის რაოდენობამ არ გაგაკვირვოთ. მანეთის მყიდველობითი უნარი უკიდურესად დაცემულია. საჯარო ლექციების ბილეთის ფასი 10-20 ათასი მანეთია, ხოლო კილო ლობიო 80 000 მანეთი ღირს.

ოჯახი არ ივიწყებს. ძმა თავისი მწირი ხელფასიდან გადანახულ გროშებს სისტემატურად უგზავნის. დროდადრო სოფლის ნობათითაც გაახარებენ. მაგრამ ყოველივე ეს წვეთია ზღვაში.

შედარებით სარფიანი საქმეა ლიტერატურული საღამო. მაგრამ მისი გამართვა იოლი როდია. აუცილებელია ნებართვა, არცთუ ცოტა თანხაა საჭირო თეატრის დასაქირავებლად*. სხვა ნაირგვარი წვრილმანი ხარჯები და... დაიმედებული მაინც არ ხარ. გაიყიდება ბილეთები? გაივსება თეატრი? მხოლოდ ახალი ნაწარმოებების დეკლამირება როდი კმარა. აუდიტორია უფრო მეტს მოითხოვს.

დავესესხები ერთ უცნობ დოკუმენტს, მიმართვას, რომელიც მომდევნო წლისაა, მაგრამ კარგად ახასიათებს საერთო ვითარებას. „ცნობილი პოეტი გალაკტიონ ტაბიძე, რომელსაც მთელი საქართველო თვლის ქართული პოეზიის საუკეთესო წარმომადგენლად, კვირას, 18 ივლისს სახელმწიფო ოპერის თეატრში მართავს ტრადიციულ საღამოს. სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭო შუამდგომლობს თქვენს წინაშე, სესხად მიეცეს მას ოცდახუთი მილიონი (25 000 000) მანეთი წინასწარი ხარჯების დასაფარავად. ეს ფული დაუბრუნდება აღმასრულებელ კომიტეტს გალაკტიონ ტაბიძის საღამოს გამართვისთანავე. მწერალთა კავშირი იმედოვნებს, რომ აღმასრულებელი კომიტეტი ამ სახით დაეხმარება ნივთიერად ხელმოკლე პოეტს“ (უახლესი ისტორიის არქივი, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება, ფონდი 8, აღწერა 1, საქმე 34, ფურცელი 1).

მივყვეთ დინებას. გალაკტიონი თავგამოდებით იბრძვის.

ბევრისმთქმელია შემდეგი განცხადება: „ხვალ (კვირას, 12 საათზე) სახელმწიფო ოპერის თეატრში შესდგება გალაქტიონ ტაბიძის პოეზიის საღამო. საღამოში სხვადასხვა სახით მონაწილეობას მიიღებენ ხელოვნების საუკეთესო წარმომადგენლები. მოხსენებას („გალაკტიონ ტაბიძის პოეზია“) გააკეთებს ალ. წერეთელი, ახალი ლექსებით, ნოველებითა და სიტყვებით გამოვლენ ტფილისში მყოფი თითქ-

*** საგულისხმოა, რომ 1922 წელს პოეზიის დღისადმი მიძღვნილი ზეიმი უნდა ჩატარებულიყო ოპერის თეატრში. თეატრის გამგეობამ სოლიდური თანხა მოითხოვა. მწერალთა კავშირს ამის შესაძლებლობა არ ჰქონდა და იძულებული გახდა განეცხადებინა: „საოპერო თეატრში მოხსნა საღამო“.**

მის ყველა ქართველი მწერლები. გამოვლენ აგრეთვე უცხოეთის მწერლები. პოეტის ლექსებს წაიკითხავენ მსახიობები სახელმწიფო დრამის თეატრისა. წაკითხულ იქნება ლექსები I, II და III წიგნიდან (მერი, მთაწმინდის მთვარე, ლურჯა ცხენები, მე და ღამე, ვლ. ალექსი მესხიშვილის ხსოვნას, რევოლიუცია, პოეტების მეფედ გამოცხადების გამო და სხვ.). წაიკითხავს ლექსებს თვითონ პოეტი II და III წიგნიდან. მონაწილეობენ აგრეთვე მომღერლები სახელმწიფო ოპერის თეატრიდან (ინაშვილი და სხვ.), იქნება პიანინო, სკრიპკა. დაიდგმება ცოცხალ სურათად რამდენიმე ლექსი გალაქტიონ ტაბიძისა. ამ დღეს უფასოდ დარიგდება ეგზემპლარები პოეტის უკანასკნელი წიგნისა „Graine aux fleurs“. ადგილების ფასი ამ საღამოზე დაკლებულია და დიდი ნაწილი ბილეთებისა გადადებული, მსურველთათვის უფასოდ დასარიგებლად. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. დაწვრილებით შემდეგ“ („კომუნისტი“, 1921, №81).

ჩვენ მივაკვლიეთ გალაკტიონის ხელით დაწერილ აფიშას — „საღამო პოეტების მეფისა“, რომელიც უფრო ვრცელია. მასში აღნიშნულია, რომ ზეიმში მონაწილეობას მიიღებს სომხების ვარპეტი — ოვანეს თუმანიანი, რომ ქართველი კალმოსნები გამოვლენ „მწერალთა კავშირის თავმჯდომარის ს. აბაშელის დირიჟორობით“ და ა.შ.

რეკლამა ხელოვნების ნამდვილ ფეიერვერკს გვპირდება. პოეზია, მუსიკა, თეატრალური სანახაობანი, კრიტიკული განსჯანი... საღამოში მონაწილეობენ სახელოვანი ოსტატები.

წარმოსახვაში საოცნებო სურათები ენაცვლებიან ურთიერთს: ლამაზმანთა კაბების შრიალი და ქვეშ-ქვეშ გამოხედვა, მამაკაცთა თავაზიანი ღიმილი და მხრებში გასწორება, ლოჟებში ჭოგრიტთა მომარჯვება და ჭაღების ნელი, თანდათანობითი ქრობა...

დავუკვირდეთ შემდეგ დეტალსაც. ნახსენებია მესამე წიგნი. ის კი მაღაზიის ვიტრინებში ჯერ არ გამოჩენილა. არსებობს კი? ინტერესი უფრო და უფრო ცხოველდება.

საგულისხმოა ისიც, რომ უფასოდ დარიგდება „არტისტული ყვავილები“ — ახალი პოეზიის ბალავარი, ქართული მწერლობის უდიდესი მონაპოვარი.

ვერაფერს იტყვი. რეკლამა დიდებულია.

საღამო რიგიანად ჩატარდა. გალაკტიონმა ცოტათი ამოისუნთქა, მაგრამ რამდენ ხანს ეყოფა 12 ივნისის შემოსავალი?! უფრო მეტად უნდა იზრუნოს მუდმივი სამუშაო ადგილის მოსაპოვებლად. მეცადინეობას არ აკლებს. გამონათება მაინც არ ჩანს.

უჭირს ქვეყანას, უჭირს მოსახლეობას, განსაკუთრებით ინტელიგენციას. 1921 წელს ხელოვანთაგან მხოლოდ სამი კაცი იღებს აკადემიურ ულუფას: გრიგოლ რობაქიძე, მელიტონ ბალანჩივაძე და შალვა დადიანი.

არ დარჩენილა მწერალი, რომელსაც 1921-1923 წლებში დახმარება არ ეთხოვოს. თითქმის შიმშილობენ ს. მგალობლიშვილი, ე. გაბაშვილი, ა. ერისთავ-ხოშტარია, შ. არაგვისპირელი, დ. კლდიაშვილი, დუტუ მეგრელი, ვ. ბარნოვი, ია ეკალაძე, ზ. ჭიჭინაძე, რ. ფანცხავა, გ. ქუჩიშვილი და სხვა.

და აი, განათლების სახალხო კომისარიატში ლიტერატურის განყოფილების გამგის ადგილი განთავისუფლდა. აკაკი პაპავას, რომელიც ამ თანამდებობაზე მუშაობდა, წალაპარაკება მოუხდა უფროსთან და იძულებული შეიქნა თავი დაენებებინა სამსახურისათვის. ამასთან დაკავშირებით გალაკტიონი ვრცელ ინფორმაციას აწვდის მეუღლეს.

„...ნარკომპროსმა წინადადება მისცა ხელოვანთა კავშირის მთავარ გამგეობას ამ ადგილზე დაესახელებინათ ერთის მაგიერ სამი კაცი, რომ ისინი პასუხისმგებელნი იყვნენ მთავრობის წინაშე და გამგეობამ პაპავას ადგილზე დაასახელა სამი კაცი: გაფრინდაშვილი, აბაშელი და ისევ პაპავა. და ეს კაცები წარუდგინა ნარკომპროსს, — ისევ დიპლომატიურად მინდა მოველაპარაკო ზოგიერთებს, მაგრამ მგონი არაფერი გამოვიდეს.

ძალიან კი მინდა ამ ადგილზე ყოფნა.

გარდა იმისა, რომ საქმე ლიტერატურულია — აღსანიშნავია ჯამაგირიც 500 000 (ნახევარი მილიონი მანეთი და აკადემიური „პაიოკი“ 60 „სოლოდნი“, 5 გირვანქა „მასლო“, ბევრი შაქარი და უამრავი კიდევ სხვა)... მაგრამ ყოველივე ეს არაფერია. ჩემთვის უმთავრესია ის ლიტერატურული მუშაობა, რომელიც აქ გაჩაღდებოდა“.

გალაკტიონს ძლიერ იზიდავს ხსენებული თანამდებობა. საქმეში მიხეილ ოკუჯავას ჩართვაც სურს, მაგრამ ვერ ბედავს მის შეწუხებას.

„მთელი ამ საქმეების გამგე თუმანოვია, რომელიც მე სრულიად არ მიცნობს. რომ მიცნობდეს, იგი ძლიერ მალე დარწმუნდებოდა, რომ მე ათჯერ მეტს გავაკეთებ, ვინემ სხვა რომელიმე მწერალი საქართველოში.

ერთის სიტყვით, სულ ერთია — იქნება — კარგი, თუ არადა, არც ამდენი ხანი მქონია. ეს კია, ასეთი ადგილი, თითქოს პირდაპირ ჩემთვის შექმნილი... არ გამოჩნდება“.

გალაკტიონს ეჭვიც არ ეპარება საკუთარ სიძლიერეში. გული მიუწევს დიდი საქმეებისკენ. მას ჭეშმარიტად ძალუძს კვალის გავლება.

კიდევ ერთი მტკივნეული საკითხი — უბინაობა.

კაცმა რომ თქვას, გალაკტიონი მოხეტიალე ცხოვრებას ეწევა. ერთხანს მწერალთა კავშირის შენობას შეაფარა თავი. მაგრამ აქაც შემოუტიეს. პოეტი არ მალავს აღშფოთებას. „...მთელი ნარკომპროსი აივსო სხვადასხვა ჯურის ციგნებით — რომელთაც ჰგონიათ, რომ ჰა, პოეტს არც სასმელი სჭირდება, არც საჭმელი სჭირდება, არც ბინა უნდა, არც არაფერი. შევარცხვინე მე მაგისთანა ნარკომპროსი. ეხლა კიდევ მომდგომია კარზე ეს ჩვენი მთავარი სახელოვანი კომიტეტი და მაღრჩობს, გინდა თუ არ გინდა, ერთ კვირაში ბინა დაცალე და სადაც გინდა იქ წადიო. ასეთი **ჩინოვნიკური** ფორმებით, რომელთაც **პოლიციელიც** არ მიმართავდა პოეტს: წინადადებას გაძლევთ ერთი კვირის განმავლობაში და სხვა... რა თქმა უნდა, ყველას მშვენიერი ბინები აქვთ მომარაგებული, ცხოვრობენ შიგ და გალაკტიონ ტაბიძეს თუ სული ამოხდება ქუჩაში, ეს იმათი აზრით დიდი არაფერია“.

ეს ტენდენცია გრძელდება. 1921 წლის 13 იანვარს გალაკტიონს კატეგორიულად მოსთხოვეს ათ დღეში დაეცალა ოთახი.

რა უნდა ქნას მატერიალურად ხელმოკლე პოეტმა? ხან უძრავი ქონების სამმართველოს მიმართავს, ხანაც ქალაქის მერიას. იქნებ საერთო საცხოვრებელში მაინც შეასახლონ. ხსნის ყველა კარი დახშულია.

მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობა ცდილობს მხარში ამოუდგეს მგოსანს. აი, რას სწერს იგი ქალაქის აღმასკომის პრეზიდიუმს 1923 წლის 3 მაისს:

„სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭო შუამდგომლობს თქვენს წინაშე, რათა უფასოდ დაეთმოს ცნობილ პოეტს გალაკტიონ ტაბიძეს ჟურნალის რედაქციის ბინა. პოეტის გარშემო თავმოყრილია მთელი რიგი ახალგაზრდა მწერლებისა, რომლებიც ენერგიულად მუშაობენ და ხელს უწყობენ ქართული პოეზიის აღორძინებას. იმედია, აღმასკომის პრეზიდიუმი დააკმაყოფილებს ჩვენს შუამდგომლობას და ამით შეაძლებინებს ახალგაზრდა მწერლებს განაგრძონ კულტურული საქმიანობა“ (უახლესი ისტორიის არქივი, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება, ფონდი 8, აღწერა 1, საქმე 59, ფურცელი 6).

მეტი წონა რომ მიეცეს შუამდგომლობას, ინდივიდის სურვილ-მისწრაფებები საზოგადოებრივ ინტერესებზე გადაჯაჭვულად არის წარმოჩენილი.

საწუხარ-სანერვიულო სხვაც ბევრია. გავიხსენებთ ერთ ძალზე დამაფიქრებელ ფაქტს.

1922 წლის 23 ივნისს მწერალთა კავშირის საბჭომ საყვედური გამოუცხადა გალაკტიონს იმიტომ, რომ მან აფიშებში თავი პოეტების მეფედ მოიხსენია.

ეს ტიტული მგოსნისთვის არცერთ ორგანიზაციას ან საზოგადოებას არ მიუნიჭებია. ამიტომაც მისი საქციელი დასაგმობიაო.

დადგენილებას ხელს აწერენ საბჭოს თავმჯდომარე კოტე მაყაშვილი და მდივანი მიხეილ ბოჭორიშვილი. ორივე გალაკტიონის მახლობელია.

რა მოხდა?

გალაკტიონის მტრებმა თუ მოწინააღმდეგეებმა ქვეყანა შესძრეს, მაღალი ეშელონები ჩარიეს საქმეში და კოტე მაყაშვილი იძულებული იყო ასეთი დადგენილება გამოეტანა.

გალაკტიონი საბჭოს წევრი გახლდათ, მაგრამ ამ სხდომას არ დასწრებია. მ. ბოჭორიშვილმა ადრევე გააცნო ვითარება და ურჩია, იმ დღეს არ გამოჩენილიყო.

საღამოს ტომარაძის დუქანს მიაკითხეს. გალაკტიონი, გიორგი ქუჩიშვილი, მიხეილ ბოჭორიშვილი, შალვა გომართელი და სოსიკო ფანცხავა უბრად მიუსხდნენ სუფრას.

პური, ღვინო, ყველი, თევზი, მწვანილი...

მოღრუბლული სახეები.

ხაშმის საფერავმა მალე გაჭრა.

— კოწია ესწრებოდა? — კითხულობს გალაკტიონი.

— არა.

— აბაშელმა რა თქვა?

— ხმა არ ამოუღია.

— დავლიოთ! — თითქმის ყვირის ქუჩიშვილი, — ერთი იმ ქიზიყელის... — და ცხრასართულიანი გინება კედლებს ბზარავს.

გალაკტიონი პურს კიკნის.

— არ მომწონს ეს თევზი.

— რას ამბობ, გალაკტიონ? ძეგველებისაა. სპეციალურად შევიარე. — თვალებში შესცქერის ბოჭორიშვილი.

გალაკტიონი ორჭოფულად აქნევს თავს. უნდა ყურადღება სხვა თემაზე გადაიტანოს.

მერე ბახუსის სადღეგრძელოს ამბობს: — ყოველთვის მოწყალეა, არასდროს გვღალატობს...

დუქანი გამთენიისას დატოვეს.

იტყვით, მეტი სიფრთხილე მართებდაო მგოსანს, ჰო! მაგრამ ნურც იმას დავივიწყებთ, რომ გენიოსთან გვაქვს საქმე, რომლის აზროვნება და ქცევა ჩვენთვის მიღებულ სტანდარტებში ვერ ეტევა.

საგულისხმოა, რომ ანალოგიური რამ 1923 წელსაც გამეორდა. 15 ივნისს ჩატარდა მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომა. გადავხედოთ 13 ოქმს. მეხუთე საკითხი: „ი. გრიშაშვილის განცხადება, რომ „ზარია ვოსტოკა“-ში მოთავსებულია, ახალ ამბებში, თითქოს საბჭო 15 წლის იუბილეს უხდის გ. ტაბიძეს. ეს განცხადება გაუგებრობას იწვევს წევრთა შორის. ამიტომაც საჭიროა რედაქციისათვის განმარტების მიცემა.

დაადგინეს: მიეწეროს „ზარია ვოსტოკა“-ს რედაქციას, რომ გ. ტაბიძის შესახებ ახალ ამბებში მოთავსებული ცნობა სინამდვილეს მოკლებულია“ (უახლესი ისტორიის არქივი, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება, ფონდი 8, აღწერა 1, საქმე 46, ფურცელი 9).

ეს მძლავრ ჩხვლეტაზე მეტია.

განა გალაკტიონმა არ იცოდა, რა მოყვებოდა მის საქციელს! მგოსნისთვის უცხო ხომ არ იყო მწერალთა ერთი ნაწილის მისადმი ანტაგონისტური დამოკიდებულება. და მაინც გადადგა ეს ნაბიჯი.

იქნებ იმიტომ, რომ უფრო მეტად განემტკიცებინა თავისი პოზიცია.

იქნებ იმიტომ, რომ ბევრი ხალხი მიეზიდა და ეკონომიკური მდგომარეობა ცოტათი გაეუმჯობესებინა.

იქნებ...

ვფიქრობ, თავიდათავი მაინც ის არის, რომ ღრმად სწამდა: ღირსეული მფლობელ-მატარებელი ბრძანდებოდა ამ ტიტულის.

ამგვარი შემოტევები მაინც აღიზიანებდა და აშფოთებდა პოეტს.

ახლა გალაკტიონს მოვუსმინოთ.

„დღიური

შესრულდა 15 წელიწადი, რაც პოეზიის ასპარეზზე გამოვედი. რათაც არ უნდა დაჯდეს ეს დღე უნდა ვიდღესასწაულო დიდის სიხარულით.

ეს დღე იქნება 27 ივნისი.

25 მაისი

ვარლამ რუხაძემ დიდის სიამოვნებით მოაწერა ხელი თეატრის აღების ქაღალდს, ასევე ტიციანმა და პლატონ კეშელავამ. გრიგოლ რობაქიძემ ქაღალდს არც კი დახედა, ისე დააწერა რეზოლუცია (მან დასწერა გ. ტაბიძეს). დათიკო ჩხეიძემ მომცა სწორედ ის დღე, რომელიც მე მინდოდა, 17 ივნისი, კვირა დღე. მამულაიშვილი დაინტერესდა, სახეზე შევამჩნიე, ჩემი 15 წლით. ვახტანგ გარრიკი მპირდება აქტიურ მონაწილეობას (მას შევიყვან ტეხნიკურ კომისიაში, ამასთანავე შევუკვეთ მთელ რიგ წერილებისას. ვახტანგ ფხალაძე მპირდება მთელი იუსტიციის კომისარიატის და გეომრევკომის ფეხზე დაყენებას. გარრიკმა სთქვა: მილიარდი მინიმუმიაო. გარრიკის პროექტი: ლექცია, წარმოდგენა, სალიტერატურო ნაწილი, მუსიკალურ-ვოკალური განყოფილება. მე ვუმატებ მილოცვებსა და პოეზიის ჰიმნს. კოტე მარჯანიშვილმა რაღაც სიმპათიით ჩამომართვა ხელი. ვასო არაბიძემაც მომცა პრაქტიკული რჩევები. მე ერთ ადგილას ფორმსით ვსთქვი: „თეატრში მითხრეს, რომ ეს იქნება მეორე იუბილე აკაკი წერეთლის იუბილეს

შემდეგ“. მორიგი საკითხია: შექმნა ტექნიკური კოლეგიის, ყველა დაწესებულებათაგან. გზაში შემხვდა ჩემოელი ალ. გაფრინდაშვილი, რომელმაც კარგი სალამი მომცა. ჩემოში იგი გამოდგება დღეს კრებაა სამსახურში. წავალ. შვიდს — ელო ანდრონიკაშვილის თხუთმეტი წელია. ხუთს — გამსახურდიას საღამოა. 10 — სახალხო სახლის იუბილე. საჭიროა დიდი სიფრთხილე, რომ წინდაწინვე არ გამამასხრონ. ტიციან, რაღაც... მაგრამ არაფერი, ჩავიყოლიებ.

26 მაისი

მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომაზე გუშინ კოტე მაყაშვილი არ იყო. დილით კი მითხრა, საღამოს ვიქნებით და ხელს მოვაწერო. მე რომ მას დავნდობოდი, მთელი ოთხი დღე უნდა დამეკარგა. კიდევ ბედი, რომ ვარლამი და ტიციანი დათანხმდნენ დილითვე ქაღალდის მოცემას. ძალიან ფრთხილად ასეთ ადამიანებთან: საქმეს გაგიფუჭებენ.

ვარლამმა სთქვა: რად სჭირდება **გალაკტიონ ტაბიძეს** რეკლამა? ეს ისეთი დიდი პოეტია... და სხვ. გამაფრთხილა ისევ სკანდალით არ დავიწყო. არ ვიცი, რას გულისხმობს სკანდალად.

ლეო ქიაჩელმა მითხრა მხოლოდ სიტყვები, რომ იგი ძალიან დამეხმარება, მხოლოდ სცენაზე ვერ გამოვა. ისე, რა თქმა უნდა, და სხვა.

ლიუდმილა მგელაძე — წერილით მთხოვს შევიარო მასთან: სურამში საღამოს მოგიწყობო. ის სურამში მიემგზავრება. უკეთესია სურამიდან გამოგზავნიდეს რაიმე საჩუქრებს. დღეს ვნახავ.

გაზეთი მანამდე უსათუოდ გამოვა: მიუხედავად იმისა, რომ ფული არ გვაქვს. გრიშაშვილი ძალიან ეცდება, რომ დამიშავოს რამე. აკი დამემუქრა წინად, რომ ჩამიშლის. ხარფუხი მე ვერაფერს დამაკლებს.

ბარათები!!!

ოლიას სრულიად არ გახარებია (ჩვეულებრივად) ჩემი საღამო. მან ირონიულად სთქვა: იუბილე 15 წლის მე არ გამიგონიაო. მისი ნებაა. არაფერში მე მისი იმედი არ მაქვს. ე.ი. საღამოს მოწყობის საქმეში. საწყალი ძლიერ ავად არის და მაინც ფეხზე სდგას. საწყალი ოლია. ფილტვები საგრძნობლად დაზიანებული აქვს. საშინელი სისხლნაკლულობა. მარჯვენა ხელი თანდათან უხმება. ყველა კბილები სტკივა. საცოდავი ბავშვი. როგორ უმიზნოდ დაიღუპა მან თავი. აჩრდილსა ჰგავს და მაინც ხანდახან იღიმება. თვალებში თანდათან უძლიერდება რაღაც იდუმალი და ბოროტი ცეცხლი. ექიმები ურჩევენ დასვენებას. ექიმებმა არ იციან, რომელი ამ მრავალი ავადმყოფობათაგანიდან დაიწყონ ექიმობა. მაგრამ ოლიას არ სურს ექიმობა. იგი კატეგორიულად წინააღმდეგია საწოლში დაწოლის და ისევ სამსახურში დადის. წამებაა პირდაპირ.

უნდა აიტანო!!!

ეჰ, დრო არის ასეთი.

დღესაც არა ერთსა და ორ ნაბიჯს გადავდგამ.

მხატვარის შევარდნაძის საღამოა მეორე კონსერვატორიაში 1 ივნისს. მე მომხსენებელი ვარ.

მე კარგი ორატორი ვარ. ეს ძალიან მომეხმარება ლიტერატურული ანალოგიები.

არ მინდოდა პირდაპირი საქმისაგან გადახვევა, არც გადავუხვევ. ამ საღამოებს (გამსახურდიასას და შევარდნაძისას) მე გამოვიყენებ ჩემი საღამოსათვის.

დროა თუ არა პროგრამაზე ზრუნვის? პროგრამა კარგზე უკარგესი უნდა იქნეს, რეკლამა დიდზე უდიდესი. ფული უნდა შემოვიდეს ძალიან ბევრი. დღეს ვნახავ: ლუდმილა მგელაძეს, ვახტანგ გარრიკს, შალვა გომართელს.

27 მაისი

ახალგაზრდა მხატვარი, რომელიც გააკეთებს რამდენიმე პლაკატს, მაძლევს ასეთ მისამართს: ჩერქეზიშვილის ქ. 107. კორნელი სანაძე. იცის ობოლმა მუშამ, რადგან მახლობლად ცხოვრობს. მეორე ახალგაზრდა მხატვარი, რომელიც ძალიან კარგი ხელითა სწერს, იცის „ლომისის“ დამტარებელმა სერგომ“.

28, 29, 30 მაისისა და 2 ივნისის ჩანაწერების მოტანისაგან თავს ვიკავებთ. ისედაც დიდი ადგილი დაეთმო დღიურებს.

ამ ვრცელი ციტატებიდან კარგად ჩანს არა მხოლოდ საერთო ვითარება, არამედ ცალკეულ პიროვნებათა განწყობა და, რაც მთავარია, გალაკტიონის ხასიათი.

მკითხველისათვის აშკარაა, თუ როგორი თანმიმდევრობითა და შეუპოვრობით იბრძვის მგოსანი მიზნის მისაღწევად.

და მაინც: ხომ არ ჟონავს ზედმეტი ეჭვიანობა? ხომ არ იგრძნობა სასურველის რეალობად წარმოსახვა?

სიტყვას არ გავაგრძელებ იმის შესახებ, თუ როგორ ჩაიარა იუბილემ. მხოლოდ ერთს გავხაზავ, მიუხედავად მრავალთა დაპირებისა, გალაკტიონი მარტოდმარტო მიარღვევს ტალღებს.

საერთოდ, გალაკტიონი ცდილობს ზეკომუნიკაბელური იყოს, მაგრამ არ გამოუდის. იგი მაინც განმარტოებულ მწვერვალად რჩება. არადა, პარტიული თუ სხვაგვარი დაჯგუფებების ამ გამძაფრებულ ხანაში მარტოსულს, როგორი დიდიც არ უნდა იყოს, უკიდურესად გაუძნელდება ლელოს გატანა.

საგულისხმოა, რომ 1922 წლის 29 დეკემბერს ჩატარდა მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის წევრთა არჩევნები. ესწრებოდნენ: კ. მაყაშვილი, ლ. ქიაჩელი, ვ. რუხაძე, გ. აბაშიძე, გ. ტაბიძე და ობოლი მუშა. გრიშაშვილმა მიიღო 5 ხმა, ქიაჩელმა — 4, ტაბიძემ — 1, მაყაშვილმა — 6, ობოლმა მუშამ — 4, გ. აბაშიძემ — 1.

არა მგონია, ამათგან რომელიმეს ეჭვი ეპარებოდეს გალაკტიონის დიდ პოეტობაში. მაშ რა ხდება? ისევ არაკომუნიკაბელურობა, ყოველდღიურ ყოფაში გაურკვევლობა. გალაკტიონის გამოსვლები, საქციელი არცთუ იშვიათად ირიბ ღიმილს იწვევს, ზოგჯერ კი განრისხებასაც.

და აი, გალაკტიონი ცდილობს შექმნას საკუთარი ჯგუფი, თანაც ოფიციალური სტატუსით. ეს ძნელზე ძნელია. გავიხსენთო ცისფერყანწელთა გამოყოფა მწერალთა კავშირიდან და ამგვარი გამოცალკევებით გამოწვეული ვნებათაღელვა.

1923 წლის 27 ოქტომბერს მწერალთა მეხუთე კონფერენციაზე კენჭი უყარეს ფრაქციათა გაერთიანებას. მომხრე იყო 58, წინააღმდეგი — 5 და მათ შორის გალაკტიონიც. თავი შეიკავა ოთხმა. გალაკტიონის პოზიცია ბევრ რამეზე მეტყველებს.

დასასრული შემდეგ ნომერში

მარინე ტურავა

„ტრიოლეტებით შევრჩი საწუთროს“

გენო კალანდიას პოეზია

პოეზიაზე წერა ყოველთვის ძნელია. სუფთა ფურცლის წინ აღმოჩენილს ისეთი შეგრძნება გიჩნდება, რომ ამას პირველად აკეთებ, ამიტომაც გაუცნობიერებელი შიში გიპყრობს. მითუფრო, როცა საქმე ნამდვილ პოეზიას ეხება. „ჩვენი მწერლობის“ წლევანდელი 13 იანვრის ნომერში (№1) დაიბეჭდა გენო კალანდიას ტრიოლეტების ციკლი. ტრიოლეტებს ასოციაციურად ცისფერყანწელებთან და რა თქმა უნდა ვალერიან გაფრინდაშვილთან მივყავართ. თავად პოეტი საკუთარ თავს ქართველ სიმბოლისტთა, ცისფერყანწელთა სულიერ მემკვიდრედ მიიჩნევს. იგი თვლის, რომ დღემდე მათი ტრადიციების ერთგულია და სწორედ თავისი პოეზიის სახით წარმოუდგენია სიმბოლისტური ტენდენციები ამჟამად. „გენო კალანდიას ფაქიზ ლექსებში ცოცხლობს სიმბოლისტური ტრადიციები. იგი ცხოვრების მღვრიე ნაკადში ეძებსა ლამაზსა და მშვენიერს, არტისტულსა და ამაღლებულს. ამიტომ მოუხმობს ესოდენ ხშირად მითოლოგიურ და ისტორიულ ლანდებს. ისინი დავიწყების ღამეს მოარღვევენ შორეული ზეციდან, რათა კიდევ ერთხელ გაცოცხლდნენ ლირიკულ წარმოსახვებში” (სოსო სიგუა). მიუხედავად იმისა, რომ ეს შესაძლოა ანაქრონიზმად მოგვეჩვენოს, პოეტის ლექსისათვის დამახასიათებელია სიმბოლისტური სიღრმე და იდუმალება. იგი შეიძლება ნეოსიმბოლიზმის მიმდევრადაც კი ჩაითვალოს, მაგრამ ერთი მიმდინარეობის ფარგლებს სცილდება მისი პოეტური სიტყვაცა და სათქმელიც.

გასული საუკუნის 50-60-იანი წლებიდან იწერება ახალი ქართული პოეზიის ისტორია, რომელსაც ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში ლიბერალიზებული პოეტური დისკურსის სახელით იცნობენ (ირმა რატიანი). ამ ეპოქის პოეზიას ქმნიან — ანა კალანდაძე, შოთა ჩანტლაძე, ოთარ ჭილაძე, თამაზ ჭილაძე, მუხრან მაჭავარიანი, მურმან ლებანიძე, გივი გეგეჭკორი, შოთა ნიშნიანიძე, არჩილ სულაკაური, ტარიელ ჭანტურია, ვახტანგ ჯავახაძე, მიხეილ ქვლივიძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, რეზო ამაშუკელი, ემზარ კვიტაიშვილი, მორის ფოცხიშვილი... სწორედ ამ პერიოდში მოღვაწეობას იწყებს ახალგაზრდა პოეტი — გენო კალანდია, რომელიც თავისი გამორჩეული ხმით აფხაზეთის ქართველ მწერალთა ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელია.

ქართული მწერლობის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ ეპოქაშიც მან შეფარვით, ქვეტექსტურად მაინც მოახერხა სათქმელის და პოზიციის გამოხატვა, მოგვცა ანტისაბჭოთა განწყობების მოდელი. ამ თვალსაზრისით გამონაკლისი არც აფხაზეთის ქართველი მწერლები ყოფილან. ისინი გამუდმებით ეხმიანებოდნენ და თანაფარდობაში იყვნენ ერთიან ქართულ სალიტერატურო პროცესთან. „ასე მგონია: კომუნისტურ კონიუნქტურასთან ერთად მოკვდა ლექსის ბუნდოვანი ქვეტექსტი და ასევე უჰაერო ჰერმეტიზმით გარდაიცვალა!..” (ჯარჯი ფხოველი). ამ მხრივ ერთგვარი მიჯნა, ზღვარი ნამდვილად არსებობს, არა მხოლოდ გენო კალანდიას, არამედ იმ ეპოქის ბევრი პოეტის შემოქმედებაში. გ. კალანდიას პოეზიაში არსებობს მეორე, არანაკლებ ტრაგიკული მიჯნა — აფხაზეთის დაკარგვა, ქართული სახელმწიფოს ერთიანი სხეულის დანაწევრება. მიუხედავად იმ ტრაგიკული ქარტეხილებისა, რომელიც პოეტმა გამოიარა, მისი პოეტური სამყარო ერთდროულად არის ერთიანიც და მრავალფეროვანიც, ქვეტექსტურიც და ნათელიც. გენო კალანდია არის პოეტი-მოქალაქე, რომლისთვისაც თავისი ადამიანური, მამულიშვილური პოზიცია ყოველთვის მნიშვნელოვანია.

ტრიოლეტების პასტორალური განწყობა, ჩურჩულით წარმოთქმული სტრიქონები გენო კალანდიას პოეზიის კიდევ ერთ თავისებურებას ავლენს და ახალ ნაკადს ქმნის მის შემოქმედებაში. პოეტის ბოლოდროინდელი ლექსები მოთქმაა დაკარგული ტერიტორიების, დაკარგული სამშობლოს გამო. გენო კალანდია წუთითაც ვერ ისვენებს, გმინავს, შფოთავს, ამიტომაც ტკივილად, გაფრთხილებად, სინანულად, ცრემლად იღვრება მისი სტრიქონები. მისი პოეზიის მთავარი თემაა „წუხილი დაკარგულ ტერიტორიებზე, წუხილი გადაგვარებულ ქართველობაზე, წუხილი კაცთა შორის გაუტანლობაზე... შემაკრთობი, შემაშფოთებელი ვითარების გამო წუხილი და ამ სინანულს, მწუხრს მოდევნებული იმედი იმისა, რადგან ამდენად ვწვდებით ფესვებს, რადგან ჯერ კიდევ მისი ლბილი და ტკბილი წვენით ვიკვებებით, გადავრჩებით... გენო კალანდიას მიმორწევადი, დარდით შემკვრივებული და იმედით სხივფენილი სტრიქონები გაფიქრებინებს ამას, ტკივილს გაგიახლებს, ჭრილობას გაგიხსნის, უკეთ რომ შეგიხორცოს, გინამლოს, მალამოდ დაგედოს” (ელგუჯა თავბერიძე).

პოეტს ბედმა მძიმე ჯვარი არგუნა — ვარამითა და მო-

ნატრებით, ნოსტალგიითა და ტკივილებით გაჯერებული დღეების გაცოცხლება, მეტაფორად ქცევა, რომ მომავალმა თაობებმა კარგად იცოდნენ — რას ნიშნავს საკუთარ სამშობლოში უსამშობლოდ დარჩენა.

ტრიოლეტებში კი გენო კალანდია თვითჩხრეკითა და თვითანალიზით არის დაკავებული, საკუთარ ფიქრს, გულისთქმას, სულის ხვეულებს, მოგონებებს უგდებს ყურს და მისთვის ჩვეული ოსტატობით გვიმხელს, გვილაგებს, გვეჩურჩულება, თუმცა წამითაც არ ავიწყდება თავისი „ქვეყნის ყალბი კაშკაში".

„გლეხს რომ ბალახი გაექცევა სავსე ყანაში, ისე გამექცა ამ სისხამზე სიტყვა ქაღალდზე" — თავს იმართლებს, გვებოდიშება „მოისართა და ქართული მიწის ქადაგი", ნამდვილი ქურუმი. ***„არ დაძაბუნდე, საქართველოვ, არ გატყდე სულით, გეყო ცრემლი და სინანული, გეყო: — ვაიმე"*** — ამის გარეშე წარმოუდგენელია პოეტის ტრიოლეტებიც კი. თუმცა აქ ჩანს სხვაგვარი გენო კალანდიაც — ტაძრამდე მისვლას რომ სთხოვს უფალს, გული სხვა შვებით რომ უფეთქავს „გელათს თუ ბოლნისს, ბეთანს თუ მცხეთას", საყდართან მდგარი მოხუცის აჩრდილი რომ არ ასვენებს, მარადიულად რომ ახსოვს „ძისა და მამის წითელი წიგნი," რუის-ურბნისის კეთილი მოძღვრის მეხოტბედ რომ გვევლინება...

„ჩვენი მწერლობის" პუბლიკაცია იხსნება ლექსით „ვაჟა-ფშაველა:" ***„ვაჟა-ფშაველა ბრუნდებოდა სოფელში ღამით, აბგაში ედო ნაძვის კვარი და იის კონა, გულს უხარებდა მშობლიური მდინარის სრბოლა, ვაჟა-ფშაველა ბრუნდებოდა სოფელში ღამით".*** მკითხველს ბესიკ ხარანაულის ცნობილი ლექსი — „ვაჟა-ფშაველა ცხენით მიდის ჩარგლიდან თბილისში და გზად თავის ცოლს ებასეება" მოაგონდება, ქართული პოეზიისთვის ესოდენ მოულოდნელი სათაურით, ერთგვარ ბალადას უფრო რომ ჰგავს, ვიდრე ლექსს. თუმცა ამ ლექსების ტიპოლოგიურ მსგავსებაზეც ზედმეტია საუბარი, რადგან ორი განსხვავებული ხელწერის პოეტთან გვაქვს საქმე, ორ სხვადასხვა სამყაროსთან. ერთი რამ კი ნამდვილად სიმბოლურია — ჩარგლის გზაზე მიმავალი, ცხენზე ამხედრებული, ხურჯინგადაკიდებული დიდი წინაპარი კვლავაც არაერთ პოეტს აუმღვრევს შთაგონებას.

„ლამაზი იყო დედაჩემი სიკვდილის კვირას, ღვთის მსახურივით თეთრი ვარდი ეფინა გულზე, მზე ჩადიოდა ქარიატას, ერგეტას, ყულევს, ლამაზი იყო დედაჩემი სიკვდილის პირას" — მომაკვდავი დედის ამგვარი ხატება ძალიან იშვიათია, მელანქოლიურიც და იდუმალიც, ტკივილთან ერთად ქრისტიანულ მორჩილებასა და სიკვდილის განსხვავებულ აღქმასაც რომ იმარხავს.

„პოეტი მოკვდა... შეაცივდა ბაგეზე სიტყვა, ვით წუნდის ირემს შემოდგომის ელვა და ცრემლი, ვით ჩამქრალ ვულკანს, ცეცხლის დაისს კვამლი და ფერფლი, პოეტი მოკვდა, შეაცივდა ბაგეზე სიტყვა. სამურაივით ზეზეულად შეაკვდა იღბალს და სიტყვა დარჩა მჭვირი, როგორც ქარვა და სთველი" — გენო კალანდიას პოეზია კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ ლექსი-მეტაფორა არასოდეს მოკვდება და პოეტი უპირველესად სიტყვის მსახურია.

„აქ სჯულის კანონს, კარაბადინს ქმნიდნენ მოგვები, მკათათვის მწიფე თავთავივით მძიმე თავებით, ეს თეთრი სახლი ტაძარივით მიყვარს, თოლიგე, აქ მწუხრის ლოცვებს გვიგალობდნენ წმინდა მამები" — სულისმიერი სიმშვიდე და პასტორალური განწყობა მოდის ამ სტრიქონებიდან.

„მოდი, ზღვისპირას დავდგათ კარავი, — ზაფხულის უცხო დღეთა სადაგი, ქვიშის ხასხასა ნოხით, ფარდაგით, მოდით ზღვისპირას დავდგათ კარავი" — ნოსტალგიას სიო აქაც ხატოვნად, სევდანარევად წამოუბერავს.

გასული საუკუნის ცნობილ ამერიკელ მწერალს რეი ბრედბერს ეკუთვნის სიტყვები: „ჩვენ არ ვიწინასწარმეტყველებთ მომავალს, ჩვენ მის პრევენციას ვახდენთ", მაგრამ ამასთან სრული ჭეშმარიტებაა, რომ სიტყვას დიდი ძალა აქვს, განსაკუთრებით პოეტურ სიტყვას. პოეტები ხშირად სრულიად გაუცნობიერებლად ჭვრეტენ მომავალს. ლექსი „კურატი ილორის წმინდა გიორგის ეკლესიის ეზოში" თითქოს აერთიანებს წარსულსა და მომავალს, რომელიც აწმყოს მცირე ხნით დავიწყების უფლებას გვაძლევს:

მთვარის ნაჭდევი აჩნია მკერდზე,
თვალებიც მთვარის ნაკვერჩხალს უგავს
წმინდა გიორგის სახელის კურატს,
მთვარის ნაჭდევი აჩნია ქედზე.

მომლოცველები აქებენ მნათეს,
მამაოს, — ყველა წმინდანის სუფრაჯს,
მთვარის ნაჭდევი აჩნია ქედზე,
თვალებიც მთვარის ნაკვერჩხალს უგავს.

ტრიოლეტი რვატაეპიანი კანონიკური და საკმაოდ შეზღუდული ფორმაა, ყველაზე მეტად გავრცელებული იყო შუა საუკუნეების ფრანგულ პოეზიაში. როგორც აღვნიშნეთ, ქართულ სინამდვილეში ის XX საუკუნის 10-20-იან წლებში დაამკვიდრეს ვალერიან გაფრინდაშვილმა, პაოლო იაშვილმა, იოსებ გრიშაშვილმა, ალექსანდრე აბაშელმა. ტრიოლეტი სათქმელს ერთგვარ არტახებში აქცევს, რაც ფორმალური ძიებების მოყვარული პოეტისათვის ნამდვილი გამოწვევაა. გენო კალანდიასათვის ტრიოლეტი შთაგონების ახალ წყაროდ იქცა. პოეტი არასოდეს იზღუდება ფორმით, პირიქით, სათქმელს თავისუფლად გამოხატავს — ***„ტრიოლეტებით შევრჩი საწუთროს, ვით პურის ყანებს ბაბუაწვერა, ვით სახლის კედელს წვიმის წარწერა, ტრიოლეტებით შევრჩი საწუთროს"***.

გენო კალანდიას ბოლოდროინდელ ლექსებს დაჰყვა „მესამე თვალის შეგრძნება", ღრმა სულიერება, რელიგიური განწყობა, რომელიც არასოდეს არ არის თავსმოხვეული, ნაძალადევი, მოდური ან „კარგი ტონის" გამო გაღებული მსხვერპლი. ეს პოეტის ბუნებრივი მდგომარეობაა, მის პოეზიაში დიდი ხნის წინათ დაწყებული ღმერთის ძიების პროცესია, უფლის აღმოჩენითა და ღრმა სულიერებით რომ დასრულდა. ამასთან ტრიოლეტებში არის სევდა და სიხარული, ტკივილი და იმედი, ირონია და თვითირონია, საკუთარი თავისა და სხვების ჩხრეკა, ნოსტალგია, რეფლექსია ადამიანის დანიშნულებაზე, ყოფნა-არყოფნაზე. ეს ლექსები თანამედროვე პოეტური დისკურსის რკალში ექცევა და მიმდინარე ლიტერატურული პროცე-

ჩვენი ცნობილი ჟურნალისტის მაია კვეზერელის ზრუნვა ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებზე იმითაც გამოიხატება, რომ სურს სტუდენტები ისე ჩააბას საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში, როგორც ეს XIX საუკუნეში ხდებოდა, სტუდენტი უკვე თავს რომ გრძნობდა მოვალედ გამოხმაურებოდა სხვადასხვა მოვლენას. ჩვენი ჟურნალის ორ ნომერში გთავაზობთ სტუდენტთა თვალით დანახულ აფხაზეთის პრობლემას. ამჯერად მონაწილეობენ ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის მიმართულების სტუდენტები — ლანა გიორგიძე, თამარ შამათავა და ეკა მაღალდაძე — და... ერთიც მოსწავლე: წყნეთის №137 სკოლის მე-12 კლასელი ნანა წიკლაური.

გამარჯობა, აფხაზეთო, შენი!

თამარ შამათავა

ჩემი პირადობის მოწმობის მიხედვით, მე ოჩამჩირეში, სოხუმის გზატკეცილზე უნდა ვცხოვრობდე, მაგრამ ამ მისამართზე ნამდვილად ვერავინ მნახავს. ოჩამჩირეში კარგა ხანია აღარ, უფრო სწორად, ვეღარ ვცხოვრობ.

იცით, რატომაც... ყველაფერი ომის ბრალია... არ ვაპირებ აქ რომელიმე მხარის დამნაშავეობასა თუ უდანაშაულობაზე წერას, არც იმაზე, რა დიდი იყო ტრაგედია. მხოლოდ ვიტყვი, რომ აფხაზეთის ომმა ათასობით ადამიანი დევნილი გახადა. მათ შორის, მეც...

ეს თემა ჩემთვის ძალიან ახლობელი და ტკივილიანია. მართალია, არაფერი მახსოვს იქაური, თუმცა ყველაზე ძლიერი მაინც ფესვებია, რომლებიც მჭიდროდ მაკავშირებს ჩემს მშობლიურ კუთხესთან. არ მინდა სენტიმენტალური ვიყო, მაგრამ ძნელია აფხაზეთზე გრძნობების გარეშე საუბარი (განსაკუთრებით ჩემთვის).

მიყვარს ჩემი მზიანი ქალაქი, მენატრება იქაურობა — ზღვა, მზე, სანაპირო...

საქართველოში ყველა ზღვისპირა ადგილას ვარ ნამყოფი — ურეკში, გრიგოლეთში, ქობულეთში, ბათუმში, სარფში, ფოთში, ანაკლიაში. აფხაზეთთან ახლოსაც — განმუხურსა და ადლერში, მაგრამ, მეუბნებიან და მეც ასე მგონია, აფხაზეთის ზღვა მაინც სულ სხვაა.

მინდა, ჩემი პირადობის მოწმობის მისამართზე ვცხოვრობდე და აღარ იყოს ჩემი ზღვა ასე შორი და მიუწვდომელი...

18 წლის წინათ ოჩამჩირეში, ზღვასთან ახლოს, ლამაზ ყვავილებიან სახლში, ვცხოვრობდი (ეს მშობლების ნაამბობიდან და შემორჩენილი ვიდეოკასეტიდან ვიცი). ვცხოვრობდით მშვიდად და ბედნიერად. ზღაპარს არ ვყვები, მართლა ასე იყო...

თუმცა მერე ომიც იყო და მშობლიურთან განშორების ტკივილიც. ტყვიებს ჩვენც გადავურჩით და ჩემი სახლიც. ომმა კვალი ჩვენზეც დატოვა და სახლზეც. მართალია, სახლი კვლავინდებურად დგას, მაგრამ გაძარცულ-გაპარტახებულია, ბებოს დარგული ლამაზი ყვავილები ეკალბარდებმა შეცვალა...

მერე სვანეთის უღელტეხილიც იყო და გაჭირვებაც (უკვე დრამას ემსგავსება ჩემი მონათხრობი), ზუგდიდში ცხოვრების ოთხი წელიწადი და ქუთაისში დაფუძნებაც (ლამის მთელი საქართველო მოვიარეთ), ახლა თბილისში ვცხოვრობ და ვსწავლობ...

მეგობრები მეკითხებიან, რა იქნება შემდეგი?

მე არაფერი ამირჩევია, მაგრამ თუ ჩემს ნებაზე იქნა, ოჩამჩირე-მეთქი, — ვუპასუხებ.

ლანა გიორგიძე

ქართველების ტკივილო, ზღაპრულო აფხაზეთო, საქართველო უშენოდ დანგრეულ ეკლესიას დამსგავსებია, უგუმბათოს, ჩამოშლილს. გვითხარი, რა ვიღონოთ, როგორ დაგაბრუნოთ დედის უბიდან მოტაცებულო, ლაჟვარდოვანო და დატანჯულო.

გახსენ გულის კარი, აფხაზეთო, საქართველო შენთვის ლოცულობს, გიმღერიან, ლექსებს გიძღვნიან, უშენობას სურათებითა და მოგონებებით უმკლავდებიან.

ავბედითმა ყორანმა საქართველოს გამორჩეული მხარე მოსტაცა, შენი შვილები მიმოფანტა სხვადასხვა მხარეს. დამიჯერე, მათ ენატრები, მაგრამ დრო მკურნალობს მათ იარებს, ცრემლებს უშრეტს...

„აფხაზეთო, ბევრი კარგი მოყმის გამდელო, ამორძალი ხარ, მკერდმოჭრილი უსაქართველოდ“.

ისე დაგკარგეთ, არც კი გიცნობდი, მაგრამ ოცნებებში სულ გიბრუნებდით, მე შენკენ მოვიჩქაროდი, რომ შემეგრძნო შენი კალთის სურნელი. თან ხომ იცი, შენამდე არცთუ ისე შორია... მაგრამ ზოგჯერ უიმედობა მიპყრობს და მგონია, რომ ოდესმე გასაოცარი ილუზიებიც კი გაქრება.

შენ ხარ მსხვერპლი, შენ ხარ ობოლი, შენ ხარ უშვილო. შენ სახლი დაგიწვეს, გაგჩეხეს, გაგაცამტვერეს, გესროლეს, ტყვიით მიგაჯაჭვეს ცივ, მშობლიურ მიწას. შენგან იძულებით გაიქცნენ, უცხოები დაგეპატრონნენ, მიგისაკუთრეს.

ჩვენ დაგიბრუნებთ, აუხდენელო ოცნებავ, რეალობად გაქცევთ, გამოგიხსნით და შენს ენას გადაჩვეულ, შენზე მონატრებულ შვილებს დაგიბრუნებთ. აფხაზეთო, ყრმობის ზღაპარო, ზღაპრულ სვე-ბედს გისურვებთ!

ეკა მაღალდაძე

მე არ მახსოვს, რა იყო მანამდე... მაგრამ მახსოვს, რა იყო მერე... მე არ მტკენია მაშინ... მაგრამ ახლა მტკივა...

ზუსტად ვერ გეტყვით, როდის გავაცნობიერე, რას ნიშნავდა აფხაზეთი... რატომ იყო ყველას ნატვრა გამთლიანებული საქართველო, და რატომ ეწერა კახეთისკენ მიმავალ გზაზე დაკიდებულ დიდ ბანერზე: „აფხაზეთი ჩვენი ტკივილია...“

არ მახსოვს, რა იყო ადრე, მაგრამ მახსოვს, როგორ მითხრა ბებიამ, ჯერ კიდევ ძალიან პატარას, ჩვენს მეზობლად გადმოსულ ოჯახზე: „ისინი ლტოლვილები არიან და ყველანი უნდა დავეხმაროთო...“

მახსოვს, როგორ ვიკითხე ერთ-ერთ საავადმყოფოში დასახლებული დევნილების ნახვისას, რატომ ცხოვრობენ ეს ადამიანები აქ-მეთქი, და მაშინ მიპასუხეს: „იმიტომ, რომ მათ სახლები აღარ აქვთ...“

ერთხელ, უკვე ცოტა დიდს, კლასელმა გოგონამ გამანდო, რომ ღამით ჭექა-ქუხილის საშინლად ეშინოდა, რადგან სოხუმის დატოვებამდე მის სახლში ყუმბარა აფეთქდა და მხოლოდ გამაყრუებელი ხმა ახსოვს და სულ ეშინია, ეს არ განმეორდეს...

მერე ერთმა დევნილმა ქალმა მიამბო, როგორ დაეღუპა მოხუცი დედა სვანეთის მთებით მომავალს, როგორ დატოვა და ვერ დაიტირა მშობელი, რათა შვილი მშვიდობით ჩამოეყვანა თბილისში.

შეიძლება ვინმემ გაიფიქროს, რომ ამ ადამიანებს შეუძლიათ ცხოვრება თავიდან დაიწყონ, მაგრამ შეუძლებელია დაივიწყო შენი მიწა, სადაც დაიბადე; სახლი, რომელშიც გაიზარდე; ბაღი, რომელშიც ბავშვობა გაატარე; ეზო, რომელშიც შვილი დაკრძალე... შეუძლებელია დაივიწყო ეს ტკივილი...

ეს ადამიანები დღეს ჩვენ გვერდით ცხოვრობენ, ჩვენი მეგობრები, ნათესავები, მეზობლები, ჯგუფელები არიან... ხანდახან არც კი გვახსოვს, რომ მათ აღარც სახლები გააჩნიათ, რომ თითოეულ ოჯახს თავისი დიდი ტრაგედია აქვს, დევნილობის თავისი ისტორია. მაგრამ ზოგჯერ მეჩვენება, რომ ჩვენ ყველანი ვინაწილებთ მათ წილ ტვირთს... ეს ხომ მხოლოდ იმ ადამიანების ტრაგედია არ ყოფილა, რომლებსაც აფხაზეთის დატოვება მოუხდათ, ეს ჩვენი, ყველას ომი იყო. მაშინ, როცა ქართველი ბიჭები, საკუთარი სურვილით მიდიოდნენ იქ და ტყვიებს მკერდს აგებებდნენ... და ახლაც, როცა საქართველოს საზღვარი ფსოუს ნაცვლად ენგურზე გადის... და მდინარის მეორე მხარეს უამრავი ძვირფასი ადამიანია დარჩენილი.

მე არასდროს მინახავს აფხაზეთი, მაგრამ ვგრძნობ, რატომაა ის ყველას ტკივილი... მე არ დამღუპვია იქ ახლობელი ადამიანები, მაგრამ ყოველი ასეთი ამბის მოსმენისას მგონია, რომ ეს ყველაფერი მეც დამემართა. თითქოს მეც რაღაც წამართვეს, თითქოს ჩემი მშობლების ფერადი მოგონებები სოხუმზე — ჩემიცაა, თითქოს მეც გავრუჯულვარ გაგრაში, დავმტკბარვარ ახალი ათონით... 20 წელი გავიდა და თაობა, რომელიც აფხაზეთს მხოლოდ ნაამბობით იცნობს, მაინც ფიქრობს და მაინც ნატრობს მის დაბრუნებას...

ყოველთვის, როცა რომელიმე პოლიტიკოსი გამოდის და წინასაარჩევნოდ გვპირდება, რომ აფხაზეთს დაიბრუნებს, ვიცი, ცრუობს, რადგან ეს ნიშნავს, რომ მას არაფერი ესმის. აფხაზეთს ერთი ადამიანი ან ერთი პოლიტიკური პარტია ვერ დაიბრუნებს. ის მოპარული ნივთი არ არის, რომ ვიღაცამ ვიღაცას წაართვას. ჩვენ ის ყველამ ერთად დავკარგეთ და ყველამ ერთადვე უნდა დავიბრუნოთ. დავიბრუნოთ არა მიწა, სახლები ან ქონება, არა, დავიბრუნოთ ყველაზე მთავარი — ადამიანები, რომლებიც დავკარგეთ... მათი ნდობა და რწმენა, პატივისცემა და კეთილგანწყობა...

ამბობენ, ადამიანების ყველაზე დიდი შეცდომა ისაა, რომ ხიდების ნაცვლად, კედლებს აშენებენო... მე კი ვისურვებდი, რომ ჩვენსა და აფხაზებს შორის აღარაფერი იყოს სიყვარულისა და მეგობრობის ხიდების გარდა...

ნანა გეგეჭკორი

შარატინ! — აამოძრავა ფიქრები აფხაზურად თქმულმა ფერხულმა! ვგრძნობ უშენოდ დარჩენილ სხეულს, რომლის სულიც შენთან დამრჩა, მტკივდები, მელანდები, მეჩრდილები... ჩემი თვალით ნანახი ხარ შენ. არაფერს მმატებს ეს დრო, რომელიც შენ გარეშე მიდის და მიდის... არ ვაძლევ ჩემს თავს იმის ფიქრის საშუალებას, რომ სამუდამოდ დაგკარგე, თუმცა იმასაც ვხვდები, რომ ეს მანძილი ისევ არ ილევა. მე შენ, აფხაზეთს, ჩემს დიდ მონატრებას გეუბნები: მეფიქრები, ყოველ ახალ დღეს გასულზე უფრო მეტად. დაკარგულის ფასს ხომ უფრო გვიან ვხვდებით. ისევ არის ეს ცოცხალი კედელი და შენი სიმწრით სავსე თვალები, თუმცა მე შენ თუნდაც სიზმარში მეღიმილები. საუკუნე მგონია ეს წლები და ამ დაუსრულებელ წუთებში შენი სევდით გამოწვეულ ცრემლებში ვიკარგები. წარმოვიდგენ, რომ თითქოს ვდგავარ შენგან რამდენიმე ნაბიჯში და მეშინია... როგორ შემხვდები?.. იქნებ შეიცვალე და ის აღარ ხარ, რაც იყავი? იქნებ მე ვარ შეცვლილი... იქნებ გამიბრაზდი ამდენხანს რომ გალოდინე? ან იქნებ შენ ამომიწურე შენი ხილვის იმედი... იქნებ ისევ გაიხსენო ძველი წუხილი და სევდა ან იქნებ ჩემს თვალებში ნახო დაუშრეტელი ცრემლი... იქნებ არ მიმიღო, არ შემომხედო, ვეღარ მიცნო... მაშინ რა ვქნა, გავბრუნდე? არა, გაგახსენებ ჩემს თავს! ხმის კანკალით და ჩურჩულით გეუბნები: „აი, მოვედი“. იქნებ შენც ჩემსავით სიზმრებში მხედავდი, იქნებ შენც გეშინია, რომ ვეღარ გიცნობ? არა, მე გიცნობ! შენ ხომ სულ ჩემში იყავი!

ასე ახლოს ვარ შენთან და მინდა ვიყვირო, ვიყვირო, რომ: „მე შენთან ვარ!“ ვიცი, რომ ამას ჩურჩულითაც გაიგებ, მაგრამ მე მინდა, რომ ჩემი და შენი თავისუფლება ბოლომდე ვიგრძნო! შენ წინ ვდგავარ და არ მინდა მოვიდე კიდევ უფრო ახლოს, განა იმიტომ, რომ არ მომენატრე, არა! უბრალოდ, არ მინდა, რომ ეს სიზმარი აღმოჩნდეს. იქნებ შენც ჩემსავით გიჭირს ახლა სიტყვის თქმა, მაგრამ მე ხომ შენი ვარ! იქნებ არ გინდა შენი ნაწილი ნახო... შენ მე უარმყოფ? არა, შენც მელი! მელი, როდის გადმოვდგამ ნაბიჯს და გეტყვი: „მოვედი!“ იქნებ ისევ წარსულს იხსენებ და ისევ გტკივა? მეც მტკივა ჩვენი წარსული, მაგრამ მე შენი და ჩემი მომავლის მჯერა! ვდგავარ შენ წინაშე თავდახრილი და გელი! როდის მომიხმობ, როდის ჩამიხუტებ, როდის გამიღიმებ! და მეტყვი: „გელოდი“. ვფიქრობ, როდის დავუვლით „შარატინს“ ერთად, როდის ჩავებმებით ქართულ ფერხულში. ვდგავარ და მთელი 18 წლის განმავლობაში არეული გრძნობებით, ტკივილით და სიხარულით, ცრემლით და ღმილით დაუსრულებლად გაგიმეორებ: „მოვედი... მოვედი... მოვედი!“ ნეტავ როდის ჩამჩურჩულებ შენს სიყვარულს, სითბოს... ახლა ვდგავარ ენგურის ხიდთან და გხედავ, იქით შენ ხარ! იქით ყველაფერი შენია! ვერ დაიტევს ეს გული და ფურცლები შენთვის სათქმელ სიტყვებს. განვიცდი, რომ ჯერ კიდევ არსებობს ეს „იქით“ და „აქეთ“. ისე მეშინია შენს მიწაზე ფეხის დადგმა, შენი ჰაერის ჩასუნთქვა, არც შენ მოდიხარ და ვერც მე... ვერც, ვერც! ვდგავარ და ვტირი იმაზე მეტს, ვიდრე მიტირია. ისე მინდა შენს მიწაზე იარების მოშუშება, შენს ზღვაზე მზის ჩასვლის ნახვა, მაგრად მინდა შენს გულში ჩაკრობა და თქმა იმისა, რაც ამდენი ხანი სათუთად დასტრიალებდა გონებას და ერთი სული ჰქონდა, როდის გამოთქვამდა სიტყვით: „დაგიბრუნდი!..“ მარტო ერთი რამე, ერთი მუჭა მიწა მინდა, რომ დავკოცნო, ჩავიხუტო, ვიგრძნო მასში გაჟღენთილი სისხლი, მასში ჩამარხული ძვლები, მასში ჩაქსოვილი შენზე ფიქრი. რა ახლოს ხარ და რა შორიდან გიცქერ. ხედავ? ხედავ უფლის რწმენით, რომ მოდიან? ხედავ შენზე მლოცველებს? ხედავ ამ სულში შენი სხეულის მატარებელს, ხედავ დასერილ იარებს, ხედავ ამ თვალებში შენით სავსე წარსულს, მოგონებებს? გესმის ჩემი სუნთქვა, გულისცემა? გრძნობ ამ მონატრებას? შარატინ! ჩავებათ აფხაზურად თქმულ ქართულ ფერხულში. ნეტავ ხედავ ჩემს ხელებს, შენს ჩასაკრობად მზად რომ არიან? უყურებ ამ ცრემლებს, მიწას რომ ასველებს? შარატინ! ვებმებით ქართულ-აფხაზურ ფერხულში! ნახე, აფხაზეთო, როგორ მეკვეთება ფეხები, ხედავ, რომ ჩემში მთლიანად შენ ხარ? შენზე ფიქრია, მონატრებაა, სიყვარულია... ჯერ წარსული ხარ, აწმყო ცრემლია, მომავალში კი იმედად მესახები! რაღაც მინდა გითხრა... იცი, შენი დაბრუნება ჩვენი მომავლის სურათია, რომლის ხატვაც უკვე დავიწყეთ!

წიგნის მყუდრო გარემოში

(„ოქტავა“ — დალილა ბედიანიძის ახალი პოეტური კრებული)

ეს იყო წლების წინათ, უფრო იქითაც... ოღონდ თბილისში.

იდგა გაზაფხული და ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი პოეზიის საღამოს მასპინძლობდა. ვიდრე მიკროფონს მოიხდენდა ახალგაზრდა პოეტი ქალი, იმოწმებდა სცენიდან ხმას: — ისმის? არ ისმის?!..

ეს იყო სულ ახლახან. ისევ დედაქალაქში. ნაკიანი წლის ნისლისფრად ჩაკეცილ დღეს, 29 თებერვალს. ამჯერად პოეზიის საღამოს მასპინძლობდნენ გამომცემლობა „**დიოგენეს**“ წიგნების მაღაზიაში. ღონისძიებამდე, იგივე პოეტი ქალი კვლავ იმარჯვებდა მიკროფონს: — ისმის? მეორე შეკითხვა აღარც დასჭირდება, სახელდახელოდ შეკრებილ აუდიტორიას ისედაც მიანვდენს ხმას... და ჩაიარა წლებმა უმოწყალოდ, გულქვად, შეუბრალებლად. **დალილა ბედიანიძემ** აჯობა წუთისოფლის ამგვარ გამოწვევას ლექსებისა და დედის ერთგულებით. ყოფას პირისპირ შეეჩეხა და შერჩა — დიდ და გაკვირვებულ ბავშვად.

ახლანდელ პოეზიის საღამოზე, შეიძლება ითქვას, პოეტს გული საგულეში ჰქონდა. გვერდით — მანუგეშებელი დედა, დარბაისელი ქალბატონი **მარიამ ღვთისიაშვილი,** უახლოესი მეგობრები — ახალი პოეტური კრებულით გამოწვეული სიხარულის გამზიარებელნი. წიგნების მყუდრო საუფლოში შეკრებილნი იყვნენ, ამავე დროს, ღირსეულად ალერსიანნი.

ღონისძიებას თვითონ დალილა უძღვებოდა. საზოგადოებას წარუდგინა „**სიესტას**“ მიერ გამოცემული ახალი პოეტური კრებული „**ოქტავა**“.

სიტყვით გამოვიდნენ: ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორები: **ზოია ცხადაია, ვენერა კავთიაშვილი, ინგა მილორავა;** პოეტები: **ლია სტურუა, შოთა იათაშვილი, თენგიზ სვანიძე, შალვა საბაშვილი;** ფილიპე გოგიჩაიშვილის სახელობის იურიდიულ-ეკონომიკური ინსტიტუტის თანამშრომელი **ქსენია თხილეიშვილი.**

და როგორც ხდება ხოლმე ასეთ დროს, გამომსვლელთაგან ერთ ნაწილს მოესწრო და საგულდაგულოდ გადაეკითხა კიდეც ახალი პოეტური კრებული. შესაბამისად, პროფესიული პასუხისმგებლობითა და ინდივიდუალური ლიტერატურული წიაღსვლებით საინტერესოდ წარმოაჩინეს მშვენიერი პოეტის მშვენიერი სამყარო.

ზოგადად კი დახასიათდა დალილა ბედიანიძის კონვენციული და ვერლიბრული ლექსები, გულკეთილად იღვრებოდა ეპითეტები და მეტაფორები. იხსენებდნენ სათითაოდ საყვარელ ლექსებს პოეტის შემოქმედებიდან, წრფელად საუბრობდნენ შთაბეჭდილებებზე. ითქვა, რომ დალილა ბედიანიძეს ხელეწიფება ნებისმიერი ყოფითი ფაქტი, თუნდაც ხელფასის აღების დღეც, აქციოს პოეზიად.

დახასიათდა დედისადმი მიძღვნილი ლექსების რკალი, აღინიშნა, რომ პოეტი ეკზისტენციურად განიცდის სიკვდილ-სიცოცხლეს, რომ ემოციის კარიბჭიდან გაჰყურებს „მაქს რობლეს“ და ასე გადის ცხოვრება ოქროს თევზის მოლოდინში... ასე რჩება ლექსები. ლექსები — ბედის საჩუქარი.

ნინო დეკანოიძე

ვერგილიუსი

მეოთხე ეკლოგა

ვერგილიუსის „ბუკოლიკები“ პასტორალურ, მწყემსურ ცხოვრებას გვიხატავს, ბუნებასთან ყოფნის ჭირსაც და ლხინსაც, დღიურ წვრილმანებს, სასიყვარულო ურთიერთობებს, პოეტურ შეჯიბრებს. მაგრამ ეს მეოთხე ეკლოგა ციკლის დანარჩენი ტექსტებისაგან სრულიად განკერძოებით დგას. როგორც პოეტი დასაწყისშივე გვეუბნება, მან აქ მაღალ სათქმელს შეჰბედა. ამ ლექსის წყალობით ევროპულმა შუა საუკუნეებმა ვერგილიუსი წინასწარმეტყველად და ჯადოსნური ძალის მფლობელად აღიარა და ჯოჯოხეთში დანტეს მეგზურადაც იგი, პირველ ყოვლისა, სწორედ ამ ლექსმა აქცია.

მიჩნეული იყო, რომ აქ პოეტმა, რამდენიმე ათწლეულით ადრე, ქრისტეს დაბადება იწინასწარმეტყველა.

პოეტი ამ ლექსში მომავლის განჭვრეტას ლამობს და სრული თავდაჯერებით აცხადებს, რომ სულ მალე გაჩნდება ყრმა, რომლის მოვლინებაც ქვეყნიერების ბედ-იღბალს სავსებით შეცვლის და ახალი ერა, ჟამთა ახალი წრებრუნვა, დაიწყება, ბოროტება თანდათან უკან დაიხევს, მთელ ქვეყანაზე სიკეთე დაისადგურებს. პოეტის აუხდენელი სურვილია, როგორმე იქამდე იცოცხლოს, რომ იმ ნანატრ დროს შეესწროს და ღვთაებრივ ყრმას ყველასაგან აღმატებული სიმღერები უძღვნას.

ვინ უნდა ყოფილიყო ეს ცით მოვლენილი ყრმა, ვის უნდა გულისხმობდეს პოეტი? მეცნიერები ბევრს ეცადნენ, ისტორიულად დამაჯერებელი ვერსია აღმოეჩინათ, მაგრამ რამდენადმე მაინც ხელჩასაჭიდს ვერაფერს მიაგნეს და ისევ მითოლოგიურ მოტივთა კვლევისკენ მოუხდათ გადანაცვლება. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ძალიან წარმატებული არც მითოლოგიაში გადანაცვლება გამოდგა. ამდენად, ვისაც მიაჩნია, რომ პოეტს მართლა ნათელხილვა ეწვია, საეჭვო ვარაუდების გარდა, დღესაც ვერავინ ვერაფერს დაუპირისპირებს ამ რწმენის გასაქარწყლებლად.

ვერგილიუსი ლათინურენოვან პოეზიაში სიტყვის სწორუპოვარ ოსტატად არის მიჩნეული და, როგორც ერუდიტები გვარწმუნებენ, მისი პოეზიის ეს მხარე არც ერთ თარგმანში სრულად არ ასახულა, მათ შორის მოიხსენიება „ბუკოლიკების“ პოლ ვალერისეული მაღალოსტატური ფრანგული თარგმანი. ჩვენ ასეთი პრეტენზიული მიზანი, ცხადია, ვერ გვექნებოდა, ჩვენი სურვილი იყო, ენობრივად გამართული და დედანთან მაქსიმალურად მიახლოებული ორეული შეგვექმნა. რამდენად გამოგვივიდა, მკითხველის განსასჯელია.

ანტიკური პოეზიის თაგმნისას გარკვეულ სირთულეს ისიც ქმნის, რომ ქართულ ენაზე დაქტილური ჰეგზამეტრის შესატყვისი სალექსო საზომი არ არსებობს. ხელოვნური საზომები ძალზე იშვითად ამართლებენ, თოთხმეტმარცვლოვანი ბესიკური, რომელიც თარგმანებში ყველაზე ხშირად გამოიყენება, ამ შემთხვევაში ინტონაციურად შეუსაბამოა, სულ სხვა ჟანრული ინერცია ახლავს. ჩვენ მიერ არჩეული საზომიც, მართალია, ჰეგზამეტრს მხოლოდ პირობითად შეესაბამება, მაგრამ ზოგი რამ მაინც აქვს მასთან საერთო – ესეც ჩვიდმეტმარცვლოვანია (ბერძნულ-ლათინურში უკადანსო გრძელი ხმოვანი ორად ითვლება), აუცილებელი ქორეთი ბოლოვდება და კადანსების რიცხვიც უმეტესად იგივეა. თან, რაც მთავარია, ნიშანდობლივად სხვა ჟანრებს არ გვახსენებს.

აწ კი, მუზებო სიცილიისა, მაღალს შევბედოთ სათქმელს,
წვრილ ეკალბარდებს და ტამარისკებს ვერ შესჯერდება
ყველა,
თუ ტევრს ვუგალობთ, დაე ის ტევრიც იყოს
კონსულის ღირსი.

ახდა, რაც კუმელ მისანქალს უთქვამს, საბრუნს
იცვლიან დრონი,
თავიდან იწყებს ჟამთა სათვალავს სრბოლა
გზაცვლილი წლების,
კვლავ უბრუნდება მიწას ქალწული, კვლავ
სატურნუსი ზეობს
და ცა, მოწყალედ ჩვენდა მზირალი, მოდგმას
გვიგზავნის სხვარიგს.
ახალშობილი ყრმა შეიყვარე, მისთვის მოწყალე იყავ,
ვინც რკინის ხანას, თეთრო ლუცინა, ოქროს
დროებით შეცვლის,
ხვალ ტყუპისცალი იმეფებს შენი, ხვალ აპოლონის
დრო დგას.

შენს კონსულობას, დიდო პოლიონ, თანხვდა დიადი ჟამი,
ახლა წამოვა დიდებულ თვეთა, დიდებულ წელთა წყება,
თუკი შენსობას კვლავ შემორჩება მცირე სიავის კვალი,
ისიც გაქრება და დედამიწას მუდმივ შიშისგან იხსნის.
ყრმა კი იცხოვრებს ღმერთთა ცხოვრებით, ნახავს
გმირებს და ღმერთებს,
ღვთაებრივ კრებულს მიეახლება, მას იხილავენ ზეცად,
მამრთა სიქველით გამთბარ ქვეყანას წინ წარუძღვება იგი.

მიწა უხვნელად შემოგძღვნის თაველს, ყრმაო,
გაჩნდები როცა,
სურნელს შემოგძღვნის ლადანთან ერთად
მიმობნეული სურო
და ღიმილს დაღვრის თეთრი აკანთი კოლოკასიებს შორის.
რძით დამძიმებულ ცურებს თავადვე შინ მიიტანენ თხები,
არც საქონლის ჯოგს აღარ შეაკრთობს მეტად
ლომებთან შეყრა,
და ყვავილნარიც აკვანს გაგიშლის და დაირწევა შენთვის,
მყის განქარდება შხამაბალახა, გადაშენდება გველიც.

როცა დაიწყებ კითხვას გმირებზე, იმათ საქმეებს გაჩხრეკ,
როცა შეიცნობ, რაა სიქველე, როცა გაიგებ ამას,
მაშინ თანდათან ნაზი თავთავით ყვითლად იელვებს ყანა
და ალისფერი ყურძნის მტევნებით დაიხუნძლება ვაზი,
მძლავრი მუხებიც გადმოადენენ თაფლს
წვეთ-წვეთობით ცვრიანს.

თუმცა იმ ძველი სიავის კვალი მაინც დარჩება ერთხანს,
მაინც დასერავს თეტისს ნავები, წავლენ საბრძოლოდ ისევ,
შემოერტყმიან ციხე-ქალაქებს, ხნულიც კვლავ
დაფლეთს მიწას,
კვლავ გამოჩნდება სხვა ტიფისოსი, არგო წაიყვანს კვლავაც
რჩეულ ვაჟკაცებს და დაიწყება ისევ ახალი ომი.
და კვლავ აქილევსს — გმირს უდიადესს, გაუყენებენ ტროას.

მაგრამ რაჟამსაც მოიწიფები, კაცად გაქცევენ წლები,
ზღვას დატოვებენ მეხომალდენი, ფიჭვის ნავებიც უკვე
აღარ ივლიან ზღვაზე სავაჭროდ, არ შეაკრთობენ
ზღვის პირს,
თავად მოიწევს მიწა მოსავალს, არ შეაწუხებს თოხი,
და არც სასხლავით დაიტანჯება მტევნებდასხმული ვაზი
და მიწისმხვნელიც ხარებს აუშვებს, მძიმე
უღლისგან დაღლილთ,
არ შეღებავენ, აღარ იბრწყინებს მაცდურ ფერებად მატყლი,
ვერძი ველებზე ლაღად აიშვებს და ფერს შეიცვლის თავად
თუ ზაფრანისფრად, თუ მეწამულად, თუ მოელვარე
ყვითლად,
და თავისთავად დასცემთ სიწითლე ველად
გამოშლილ ბატკნებს.

ჩქარა ნანატრო საუკუნენო! დაჰკრეს თითისტარს ხელი,
ერთხმად შესძახა სამივე პარკამ — ხმაშეწყობილმა დებმა,
ო, როგორ პატივს მიეახლები, მალე დადგება ჟამი!
იუპიტერის ნაშიერო და შთამომავალო ღმერთის!
მძიმე კამარის ქვეშ მოტორტმანე ნახე სამყარო ვრცელი,
ზეცა უძირო, ცა და ხმელეთი, ზღვის თვალუწვდენი სივრცე,
ნახე ყოველი, რაც კი შეჰხარის ამ საუკუნის მოსვლას.

მე კი ვიცოცხლო ნეტავ იქამდე, მეყოს სამღერლად სუნთქვა,
რომ განვადიდო შენი საქმენი, ძალა იმ დრომდე გამწვდეს!
ვერც ორფეოსი და ვერც ლინოსი ვერ აჯობებენ ჩემს ლექსს,
რაგინდ უზადო დედა ჰყოლოდა ერთს და მეორეს — მამა,
კალიოპეა ჰყავდა ორფეოსს, თვით აპოლონი — ლინოსს.
დიდ სამსჯავროზე, არკადიულზე, ვერ მაჯობებდა პანი,
იქ, არკადიულ დიდ სამსჯავროზე,
დავამარცხებდი პანსაც.
თვალი აღაპყარ, ყრმაო, შეჰღიმე, დედა მშობელი იცან,
მთელი ათი თვე როგორ იწვალა, ტანჯვას გაუძლო რამდენს!
ყრმაო, მშობლების ტკბილი ღიმილი არ უგემია ვისაც,
ვერ ეღირსება ტრაპეზს ღმერთებთან და ვერც
ქალღმერთის ალერსს.

ლათინურიდან თარგმნა,
შესავალი წერილი და
შენიშვნები დაურთო
მანანა ღარიბაშვილმა

შენიშვნები:

„ბუკოლიკების“ მოქმედების ადგილი კუნძული სიცილიაა და, როცა მთელ ციკლს ერთიანად ვკითხულობთ, ეს მიმართვა თავისთავად გასაგები ხდება.

აქ რომელიმე კონსული არ იგულისხმება. დაახლოებით იმასვე ნიშნავს, „მეფეთა ღირსი“ რომ თქმულიყო. ვერგილიუსისდროინდელ რომაელს ასეთ კონტექსტში მეფის ხსენება სულ სხვა ასოციაციებს აღუძრავდა.

კუმელი მისანქალი — იგივე სიბილა (კუმეს სამისნოში მოქმედ წინასწარმეტყველ ქალთა საერთო სახელი). სიბილურ წინასწარმეტყველებათა წიგნები ფართოდ იყო გავრცელებული.

ძველი რომაელების რწმენით, ჟამთასვლა სხვადასხვა ციკლისაგან (წრებრუნვებისაგან) შედგებოდა და იმხანად სატურნუსის ციკლი მიმდინარეობდა, რომელიც მალე აპოლონის ციკლით უნდა შეცვლილიყო.

იგულისხმება არა ახალი წელთაღრიცხვა, არამედ შემდგომი ციკლის დაწყება.

ძველ რომაელთა რწმენით, თავდაპირველი ოქროს ხანა რკინისამ შეცვალა, მაგრამ ის ოქროს დროება ოდესმე ისევ დაბრუნდება.

ლუცინა — იგივე ქალღმერთი დიანა, აპოლონის ტყუპისცალი, იუპიტერისა და ლატონას ასული.

გაიუს ასინიუს პოლიონი, პოლიტიკური მოღვაწე და მწერალი. იგი კატულუსსაც შეესწრო და ადრეულ სიჭაბუკეში მასთან მეგობრობდა. მისი კონსულობის წელი ამ ეკლოგის დაწერის თარიღს ემთხვევა. პოეტი გულისხმობს, რომ დროის ახალი ციკლი მისი კონსულობისას დაიწყება. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ღვთაებრივი ყრმაც იმავე წელს დაიბადება, რაზედაც ცხადად მეტყველებს ქვემორე პასაჟი: „მე კი ვიცოცხლო ნეტავ იქამდე“...

მცენარე, რომლისგანაც საკმეველი მზადდება.

თეტისი — ზღვის ნიმფა, ნერევსის ასული, აქილევსის დედა. აქ ეს სახელი ზღვის სინონიმია.

ტიფისოსი — არგონავტების მესაჭე.

სამი პარკა — ბედისწერის ქალღმერთები. ისინი ადამიანებისა და თვით ღმერთების მომავალ ბედ-იღბალს თითისტარზე ძაფებად ართავდნენ.

ორფეუსი და ლინოსი — მითოლოგიური სწორუპოვარი მომღერლები.

მგოსანთა და მომღერალთა დიდი შეჯიბრი, რომელიც, ძველი და ისტორიულად დაუდასტურებელი გადმოცემების მიხედვით, არკადიაში პერიოდულად იმართებოდა.

ვერგილიუსი წერს „ენეიდას“

რეი ბრედბერი

მენაგვე

სამუშაო ასეთი ჰქონდა: ბნელ და ცივ დილას ხუთ საათზე დგებოდა. თუ გამათბობელი მუშაობდა, ხელ-პირს თბილი წყლით იბანდა, თუ არა და – ცივით. წვერს ფრთხილად იპარსავდა, სამზარეულოში რამდენიმე სიტყვას გადაუგდებდა ცოლს, რომელიც ლორიან კვერცხს წვავდა, მაჭკატებს აცხობდა, ან იმას ამზადებდა, რაც იმ დილით უნდა ეჭამათ. ექვსი საათისათვის სამუშაოსკენ მიმავალ გზას მარტო დაადგებოდა და მანქანას მზის ამოსვლამდე დიდ ეზოში აჩერებდა. თავის მანქანას ყველა მამაკაცი იქ აყენებდა.

ცა იყო ნარინჯისფერი ან იისფერი, ზოგჯერ წითელი, ყვითელი ან წყალივით გამჭვირვალე, ფრიალო კლდის ძირსაც რომ დაგანახვებს, ისეთი. ზოგჯერ შეეძლო ჰაერზე საკუთარი ამონასუნთქი დაენახა, ზოგჯერ – ვერა.

მზე ძალას მოიკრებდა თუ არა, მწვანე სატვირთო ავტომობილს მუშტს დაჰკრავდა, მძღოლი ერთს გაუღიმებდა, მიესალმებოდა, კაბინის მეორე მხარეს შეძვრებოდა და მანქანა დიდი ქალაქის ქუჩებს გაუყვებოდა. ზოგჯერ შეჩერდებოდნენ, შავ ყავას დალევდნენ, გათბებოდნენ და გზას გააგრძელებდნენ.

ამასობაში მუშაობის დაწყების დროც მოდიოდა. ყველა სახლის წინ კაბინიდან ჩამოხტებოდა, სანაგვე ყუთს ხელში აიღებდა, მანქანასთან მიიტანდა, ყუთს თავს ახდიდა, ნაგავს მანქანაში ყრიდა და თან ბორტზე აკაკუნებდა, ფორთოხლის ნაფცქვენები, ნესვის ქერქები, ყავის ნალექი ერთმანეთში იზილებოდა და მანქანის ცარიელი ძარა თანდათან ივსებოდა.

საქონლის ძვლები, თევზის თავები, მწვანე ხახვის ნარჩენები, გამხმარი ნიახურიც არ აკლდა ნაგავს. ნაგავი ახალი თუ იყო, კიდევ რა უშავდა. აი, ძალიან ძველი ნაგავი იყო ჭირი და თავის ტკივილი.

დარწმუნებით ვერ გეტყოდათ, მოსწონდა თუ არა ეს საქმე, მაგრამ მისი სამუშაო ეს იყო და პატიოსნად ასრულებდა. დროდადრო მასზე საუბრის სურვილიც უჩნდებოდა, ხან კი კრინტსაც ვერ დააძვრევინებდი.

ხანდახან მუშაობას არაფერი შეედრებოდა – ადრიანი დილა, ჰაერი – გრილი და სუფთა, ვიდრე მუშაობაში დრო სწრაფად არ გაივლიდა, მზე არ დააჭერდა და ნაგავი არ აყროლდებოდა. მაგრამ ძირითადად სამუშაო მაინც ერთფეროვანი იყო, არაფერი ანაღვლებდა, მანქანიდან გაჰყურებდა სახლებსა და მოვლილ გაზონებს და ხედავდა, როგორ ჰგავდა თითოეული ჩვენგანის ცხოვრება ერთმანეთს. ერთორ თვეში კი, მისდა გასაკვირად, აღმოაჩინა, რომ უყვარს საკუთარი სამუშაო. მეტიც – ის მსოფლიოში საუკეთესოა.

ასე გრძელდებოდა მრავალი წელი და უცებ მისთვის ყველაფერი შეიცვალა. სულ ერთ დღეში შეიცვალა. მოგვიანებით ხშირად ეკითხებოდა საკუთარ თავს, რამდენიმე საათში ასე როგორ შეიძლება შეიცვალოს სამუშაოო.

იგი შინ შევიდა, ცოლი არ დაუნახავს, არც ხმა გაუგონია, თუმცა ქალი იქვე ტრიალებდა. ცოლმა დაინახა, როგორ მივიდა კაცი სკამთან, შეეხო და ხმაამოუღებლად ჩამოჯდა. დიდხანს იჯდა ასე მდუმარე.

„მოხდა რამე?“ – როგორც იქნა, ცოლის ხმამ კაცის ყურამდე მიაღწია. ქალმა კითხვა სამჯერ თუ ოთხჯერ გაუმეორა.

— მოხდა? – კაცმა თავი ასწია და ქალს შეხედა, კი. დიახ, ქალი ნამდვილად მისი ცოლი იყო და იცნობდა, ოთახიც მისი იყო, მაღალჭერიანი და ძველისძველი ფარდაგით.

— ჩემს ნაგავმზიდზე მოხდა, – კაცმა გამშრალ ტუჩებზე ენა გადაისვა და თვალებს მანამდე ხუჭავდა, ვიდრე შუქი ბოლომდე ჩაქრებოდა და საბოლოოდ ყველაფერი გაშავდებოდა. ზუსტად ისე, ღამით სრულ სიბნელეში ლოგინიდან რომ წამოდგეთ და ოთახში მარტო აღმოჩნდეთ – ვფიქრობ, სამსახურს თავს დავანებებ. შეეცადე გამიგო. — ვერაფერს გააწყობ. ჩემს ცხოვრებაში მსგავსი არაფერი მომხდარა, უცნაური წყევლა-კრულვაა. – კაცმა თვალები გაახილა, გაყინული ცერა და საჩვენებელი თითები ერთმანეთს მიატყუპა – რაც მოხდა, ნამდვილი სასწაული იყო...

— და ასე დიდხანს იჯდები?

კაცმა ტყავის ქურთუკიდან გაზეთის ნახევი ამოიღო.

– დღევანდელი გაზეთია, „ლოს ანჯელეს ტაიმსის“ 1951 წლის 10 დეკემბრის ნომერი. სამოქალაქო თავდაცვის შტაბის განცხადებაში წერია, რომ ნაგვისმზიდავი მანქანებისთვის რადიომიმღებებს ყიდულობენ.

– ჰო, მაგრამ ამაში ცუდს რას ხედავ? ადგები და მუსიკას მოუსმენ.

– არანაირი მუსიკა, შენ ვერაფერი გაიგე, მუსიკას – არა.

კაცმა მოუხეშავი ხელისგული გაშალა და ზედ ფრჩხილით ხაზვა დაიწყო, ნელ-ნელა ხაზავდა, ცდილობდა ცოლსაც დაენახა, რაც თვითონ დაინახა. – სტატიაში მერი წერს, რომ ქალაქის ყველა ნაგავმზიდზე რადიომიმღებებს ჩადგამენ, – თქვა და ხელისგულს ცერად გახედა. – ატომური დაბომბვის შემდეგ რადიოთი დაგვიკავშირდებიან და ჩვენი მანქანები გვამების ასაკრეფად წავლენ.

– კარგია, სწორად გადაუწყვეტიათ, როცა...

– ნაგავმზიდავები გვამების ასაკრეფად წავლენ, – გაიმეორა კაცმა.

– აბა, გვამებს ქუჩაში ხომ არ დატოვებენ, უნდა აკრიფონ და... – ცოლმა პირი ნელ-ნელა დამუწა, თვალები მხოლოდ ერთხელ დაახამხამა, ესეც ნელა. კაცმა დაინახა, თანდათან როგორ ჩამოეწელა ქალს ქუთუთოები, შემდეგ, თითქოს აიძულესო, ქალი სკამთან შეჩერდა, ცოტა ხანს იფიქრა, უმჯობესი როგორ იქნებაო, და ბოლოს სკამზე მოწყვეტით დაეშვა.

კაცს ესმოდა, როგორ წიკწიკებდა ქალის მაჯის საათი, მაგრამ ახლა საათის წიკწიკი მისი გონების მხოლოდ მცირე ნაწილს ეკავა.

ქალმა გაიცინა. „იხუმრეს".

კაცმა თავი გააქნია. გრძნობდა მის მოძრაობას მარცხნიდან მარჯვნივ და პირიქით. ისევე მოძრაობდა, როგორც ახლა, ყველაფერი – მის გარშემო.

– არა, რადიომიმღები უკვე დააყენეს ჩემს მანქანაში, თანაც გაგვაფრთხილეს, ნაგავი იქ დაყარე, სადაც მოგიხდება, ბრძანებას მიიღებ თუ არა, წადი და გვამები აკრიფეო.

სამზარეულოში წყალი აშიშინდა, ცოლმა ხუთი წამი დაიცადა, შემდეგ ცალი ხელით სკამის საზურგეს დაეყრდნო და წამოდგა. კართან მივიდა, გამოაღო და ოთახიდან გავიდა.

– ყველაფერი დაგეგმილი აქვთ, რაზმები, სერჟანტები, კაპიტნები, კაპრალები, ყველანი ჰყავთ. ისიც კი იციან, გვამები სად უნდა მივიტანოთ.

– და შენ მთელი დღე მხოლოდ ამაზე ფიქრობდი, – ჩაილაპარაკა ქალმა.

– მთელი დღე, დილიდანვე. ვფიქრობდი: იქნებ აღარ მინდა მენაგვეობა. ერთ დროს ტომთან ერთად მხიარული თამაშიც კი მოვიგონეთ, სხვაგვარად არც შეგვეძლო. გინდა-არ გინდა, ნაგავი ნაგავია, და მაინც, თუ შენი სამუშაო ესაა, უმჯობესია ცოტათი გაერთო. მე და ტომს გამოგვივიდა. ნაგავში ადამიანებს ვხედავდით. ვხედავდით, როგორ ცხოვრობდნენ ისინი. საქონლის ძვლები – მდიდრების სახლებშია, სალათი და ფორთოხლის კანები – ღარიბებისა. რა თქმა უნდა, ეს სისულელეა და მაინც, კაცმა საქმე რაც შეიძლება კარგად უნდა აკეთოს. აბა, სხვაგვარად მუშაობას რა აზრი აქვს? გზას ადგახარ და, რაღაც აზრით, საკუთარი თავის ბატონ-პატრონი ხარ. ალიონზე შინიდან გადიხარ და სუფთა ჰაერზე მუშაობ. ხედავ, როგორ ამოდის მზე, ხედავ, როგორ იღვიძებს ქალაქი და ეს უკვე არცთუ ისე ცუდია. მაგრამ ახლა, დღეიდან, მოულოდნელად ეს საქმე საჩემო აღარაა.

ცოლი სწრაფად ალაპარაკდა. ყველაფერს მიედ-მოედო, მაგრამ ვიდრე ბოლომდე გაუტევდა, კაცმა მშვიდად შეაჩერა: "ვიცი, მეც ვიცი: ბავშვები, სკოლა, ავტომანქანა – ყველაფერი ვიცი. გადასახადებიც, ფულიც და ანგარიშებიც, მაგრამ მამისეული ფერმა რომ არ გიხსენებია? ხომ შეგვიძლია, საცხოვრებლად იქ, ქალაქიდან შორს გადავიდეთ? სოფლის მეურნეობისა ცოტა რამ მეც გამეგება. შევქმნით მარაგს, სარდაფში ჩავიკეტებით და შიგ თვეობით ვიცხოვრებთ, თუ რამე მოხდება".

ქალს არაფერი უთქვამს.

მხატვარი ნინო ხურცილავა

– ჰო, რა თქმა უნდა, ყველა ჩვენი მეგობარი აქ, ქალაქში ცხოვრობს, – ღრმააზროვნად გააგრძელა კაცმა, – კინოც აქაა და წარმოდგენებიც, ბავშვების მეგობრებიც და...

ქალმა ღრმად ამოისუნთქა.

– განა არ შეგვიძლია რამდენიმე დღე კიდევ ვიფიქროთ?

– არ ვიცი, მე მეშინია ამის. ამ ყველაფრის მეშინია. ჩემს ნაგავმზიდსა და ახალ სამუშაოზე ფიქრი რომ დავიწყო, ჭკუიდან შევიშლები. ღმერთო ჩემო, განა სამართლიანია, ადამიანი, სულიერი არსება, მსგავს იდეებს რომ შეეჩვიოს?

ქალმა თავი წყნარად დააქნია, თან ფანჯარას, რუხ კედლებს, შავ-თეთრ ფოტოებს გაჰყურებდა. მან პირი გააღო.

– საღამოს მოვიფიქრებ, – თქვა კაცმა, – გვიან დავწვები. დილით კი მეცოდინება, რა ვქნათ.

– ბავშვებთან ფრთხილად იყავი. არა მგონია, ეს ამბავი მათთვის სასარგებლო იყოს.

– ფრთხილად ვიქნები.

– მოდი ამაზე მეტს ნუღარ ვისაუბრებთ, საღილის მომზადება უნდა დავამთავრო! — ქალი სწრაფად წამოდგა, ხელები სახესთან მიიტანა და ფანჯარასთან მომდგარ მზის სხივსა და ხელებს გახედა.

– არც თუ ისე მშია.

– უნდა ჭამო და ძალა მოიკრიბო. – ქალი ოთახიდან სწრაფად გავიდა და კაცი მარტო დატოვა. იგი ოთახის შუაში იდგა. ფარდები ოდნავადაც კი არ ირხეოდა, ზემოთ, ნაცრისფერ ჭერზე, ერთადერთი ჩამქრალი ნათურა ისე ეკიდა, როგორც ღრუბლებში გაუჩინარებული ბებერი მთვარე. კაცი დუმდა. ორივე ხელით სახე დაიზილა. წამოდგა, სასადილოს კართან მცირე ხნით შეჩერდა. შევიდა და სკამზე დაეშვა. იგრძნო, ძალაგამოცლილი ხელები თავისით დაეყარნენ მაგიდის თეთრ გადასაფარებელზე.

– მთელი დღე ამაზე ვფიქრობდი, – ჩაილაპარაკა კაცმა.

ქალი სამზარეულოში ტრიალებდა და ირგვლივ გამეფებული სიჩუმის დასარღვევად ჩანგლებსა და ქვაბებს არახუნებდა.

– საინტერესოა, – თქვა მან, – როგორ უნდა დაიდოს გვამი, ძარის გასწვრივ თუ გარდი-გარდმო, თავი უნდა ჰქონდეს მარჯვნივ თუ ფეხები. კაცები და ქალები ერთად თუ ცალ-ცალკე? ბავშვები ერთ მანქანაში თუ კაცებსა და ქალებთან ერთად? ძაღლებისთვის საგანგებო სატვირთო იქნება თუ იქვე დატოვებენ? საინტერესოა, რამდენი გვამი დაეტევა ერთ ნაგავმზიდზე? ისიც საინტერესოა, რამდენი დაეტევა, ერთმანეთზე რომ შეყაროთ, სხვა გზა მაინც არ იქნება. რას წარმოვიდგენ, რამდენი. ვერ დავითვ-

ლი. ვცდი, მაგრამ მაინც ვერ გამოვიცნობ. ვერ გამოვიცნობ, სულ რამდენი დაეტევა ერთ სატვირთოზე.

იჯდა და ფიქრობდა, რა გვიან მთავრდებოდა სამუშაო დღე. ნაგვით სავსე მანქანის კონტეინერზე გადაფარებულ ტილოს უსწორმასწორო გორაკის ფორმა რომ მიეღო, სწორედ ასეთი სურათი დაგხვდებოდათ, ტილო სწრაფად რომ გადაგეძროთ და შეგეხედათ. რამდენიმე წამში თეთრი მაკარონისა და ატრიის მსგავს ნარჩენებს გამოარჩევდით. თეთრი პროდუქტი იგრძნობდა თუ არა მცხუნვარე მზის სხივებს, ადუღდებოდა და დაძველებული საქონლის ხორცის ფარშში, ყავის ნალექსა და თეთრი თევზების თავებში გაუჩინარდებოდა. კიდევ ათი წამიც და მაკარონების მსგავს თეთრფერა ნარჩენებსა და ნაგვის დანარჩენ ნაწილს, რომლებიც თავისთვის წყნარად და უსწორმასწოროდ და მდუმარედ ყრია, ქვეცნობიერად იცით, რომ ტილოს კვლავ გადააფარებენ და შიგნით ისევ დაბნელდება და ნაგვადქცეული ნივთები მოძრაობას დაიწყებენ, ამოძრავდებიან, რადგან ხელახლა გაშავებულმა ნივთებმა აუცილებლად უნდა იმოძრაონ.

კაცი ჯერ კიდევ ცარიელ ოთახში იჯდა, როცა გარეთა კარი ხმაურით გაიღო. შვილები — ბიჭი და გოგო — ოთახში სიცილით შემოცვივდნენ, მამა დაინახეს და შედგნენ.

სამზარეულოს კარიდან ოთახში დედაც შემოიჭრა, ზღურბლზე შეჩერდა და საკუთარ ოჯახს გადახედა. ისინი ხედავდნენ დედის სახეს და ესმოდათ მისი ხმა: „დასხედით, შვილებო, დასხედით!“ – ხელები მათკენ გაიშვირა და თქვა: „სწორედ რომ დროზე მოხვედით“.

ინგლისურიდან თარგმნა
ემზვარ კახაძემ

მთარგმნელის მინაწერი

„სხვის ტექსტში მოგზაურის ფიქრები“ ტიპმა ნაგვით დახატა, და ეს ტიპი, არც მეტი არც ნაკლები — ბრედბერია... რეი ბრედბერი... გინდ დაიჯერეთ, გინდ არა.. დღეს ნაგვის მანქანები... მთელი დღე ვეძებე... აღარაა ის მანქანები.. კაია, რო აღარაა...ისე კი მინდოდა მენახა, სულ რამდენიმე წამით, არა, არა ზუსტად ნ... ბრეზენტგადაფარებული, თანაც ნახევრად... ნაგავი აქეთ-იქით რომ იყრება და ქუჩებს ანაგვიანებს... რა ბრეზენტი, ხალხო. რა ბრეზენტი... ტილოა, ტილო... ბრედბერი კი ხატავს... ხატავს, ოღონდ ბნელა.. ჩემთვის ბნელა... აბა, თქვენ როგორ გაკადრებთ?!.. აი, ბრედბერისთვის ყველაფერი ნათელია, ნაღდად! აი, ახლა ფორთოხალი გავფცქვენი... ყვითელია ხომ? აბა, თეთრ ფორთოხალს სად ნახავს კაცი? მენაგვე უნდა ვიყო მანდამაინც? აქ მაინცდამაინც ხომ არ უნდა დამეწერა?! გადავაბრუნე და წავიდა... გამიმართლა, დღეს ცოლმა სამარხვო მაკარონი დამახვედრა სადილად... აბა, აბა, ეგეთები არ იყოს და ჩემს ოჯახზე დღევანდელი დღით ნუ იმსჯელებთ... უჰ. ფინალი მომივარდა თავში, სწორედ რომ დროულია... დედა? დედა პენსიონერია... ახლა ზამთარია და თბილისში ჩემი დის სახლში ცხოვრობს... მამა, მამაც მყავს... 87 წლის... ფერმა არ ვიცი, მაგრამ... სოფლის მეურნეობის ცოტა მეც გამეგება... ატომური ბომბი კი არა, ის... კიდევ... ახლა ცოტა კიდევ უნდა ვიფიქრო.. დანარჩენს მერე დავწერ... ისე.. მაგარი ტიპია ბრედბერი...

...ვიცი, ვიცი , ბრუნება, უღლება... გრამატიკა... არ ვიცი... არა, არა... როგორ არ ვიცი.. მაგრამ თარგმნისას... ოღონდ გავიგო და.. არა, არა სულს ეშმაკს ნამდვილად ვერ მივყიდი... ვთარგმნი რა, ჩემთვის... ვდებ მერე “ებლიტფოზე” , რომელიც ამეგობრებს... ეგ კი ნაღდია და მერე ვკითხულობ, ვისმენ... ვპასუხობ და ვაგრძელებ... თარგმნას.. ვიღლები... საკმაოდ სწრაფად...

... მივდივარ ფანჯარასთან...ვიხედები ფანჯრიდან... ვუყურებ მანქანებს... და ვფიქრობ.. სხვები რატომ არ თარგმნიან...

ან თუ თარგმნიან, მე რატომ ვერ ვპოულობ?!... თვალს ხო არ ვარიდებ ნეტავი?! რა ნაგავი , რის ნაგავი... ოქროა, ოქრო!... თეთრი ოქრო უფრო ძვირი ღირს თუ ყვითელი?

აბა, აბა კარგად დაავკვირდით თითოეულ (ყოველ, ნებისმიერ... აკი, გითხარით, არ ვიცი გრამატიკა-მეთქი)... ბნელ და ცივ დილას ცა იყო ნარინჯისფერი ან იისფერი, ზოგჯერ წითელი, ყვითელი ან წყალივით გამჭვირვალე, ფორთოხლის ნაფცქვენები, ნესვის ქერქები, ყავის ნალექი ერთმანეთში იზილებოდა, მანქანის ცარიელ ძარას თანდათან ავსებდა.

აბა, ერთი მითხარით. ცივი და თეთრი ფერების დაპირისპირება როგორია?!

„მხატვარს“ ვარქმევ მე ამ ნათარგმნს და შენიშვნებს, წინადადებებს და ა წერტილი შ წერტილს არ ვღებულობ... თარგმანში გული ჩანს. ბრედბერის გული... მისეულია... და ესაა ყველაფერზე მთავარი...

კი, კი მართალია.. ეს ნაგვის მანქანა პალიტრა გამოდის... უი, ახლა რა წამომცდება.. მენაგვე... კარგი, რადიომიმღები სხვა ტალღაზე გადავრთოთ... მაგალითად... მუსიკალურზე... მენაგვეზე სიმღერა იცით?

უი, უი... ეგ რა დამიწერია.. რა შუაშია აქ ცივი და თეთრი? თბილი უნდა იყოს.. თბილი.. ისე... რო დაფიქრდეს კაცი.. დილით ხუთ საათზე ზაფხულშიც ხომ ცივა?!

ეგაა საქმე?!... თავი ხან მარცხნივ მივარდება(?!), ხან მარჯვნივ... აი, ახლა ეს ადგილი გამახსენდა.. “მაგრამ, ძირითადად,სამუშაო მაინც ერთფეროვანი იყო , არაფერი ანაღვლებდა, მანქანიდან გაჰყურებდა სახლებსა და მოვლილ გაზონებს და ხედავდა, როგორ ჰგავდა თითოეული ჩვენგანის ცხოვრება ერთმანეთს.” – საინტერესოა (აქ ბოლდი, კურსივი უნდა იყოს) სწორად ვთარგმნე?

ეგ რა მომდის, ჩემო მცირერიცხოვანო მკითხველო... „თვალებს მანამდე ხუჭავდა, ვიდრე შუქი ბოლომდე არ ჩაქრა და საბოლოოდ ყველაფერი არ გაშავდა. ზუსტად ისე, ღამით სრულ სიბნელეში ლოგინიდან რომ წამოდგეთ და ოთახში მარტო აღმოჩნდეთ” – აკი გითხარით, დრო, ბრუნება... უღლება მეშლება-მეთქი.. ეს მე დავხუჭე თვალები... მენაგვესავით... ბრედბერიო?! აბა, აბა... ეგეთები არ იყოს!!!

უნდა დავამთავრო... გაქრა ოცნება, ვარდისფერი სათვალეც გაქრა.. შავი (აქ კურსივი არ წავა... ბოლდია, ბოლდი) ფერით შეუღებავთ სამყარო თითქოს (?!) მოგონებების დაშვებულა ფერადი ფარდა... ეგ ის ფარდაა, უძრავად როა ტექსტში და უმწეობა თითქოს გლეჯს და იკერავს კაბას... კი კი... უღონო, უმწეო ხელებით... სკამზე დახეთქებისას მაგიდაზე თვითონ რომ ეშვებიან!!!

ტილოს ისევ გადააფარებთ, და თქვენ გეცოდინებათ, რომ კვლავ დაბნელდება და ნაგვადქცეული ნივთები მოძრაობას დაიწყებენ, ამოძრავდებიან, რადგან ხელახლა გაშავებულმა ნივთებმა აუცილებლად უნდა იმოძრაონ... – „ხელახლა გაშავებულმა ნივთებმა” – მე კი ცოტა ხნით მენაგვედ მუშაობას ვისურვებდი...

P.S. **არ მითხრათ ახლა, დაალაგე სათქმელი, კაცო. შენ რო არეული ხარ, მკითხველმა რა დააშავა. ჯოისის არაცნობიერის ნაკადი ხო არაა. დაალაგე შთაბეჭდილება და კარგი იქნება...**

არც ეს მითხრათ: ვაიმეეეე. რა აღტყინებული ხარ. რა გჭირს.

არაფერი არ მჭირს... წავიკითხე, ვთარგმნე, დავლიე...

ესაა სულ.

და შევაქე მე მხიარულება

ორშაბათობით წვეულებანი იმართებოდა კავკასიის მეფისნაცვლის ვორონცოვის (1782-1856) სასახლეში. სასტუმრო დარბაზის შესასვლელთან მასპინძელი ცოლ-ქმარი იდგა და გულითადად ეგებებოდა ნაირნაირ სტუმრებს. სუფევდა უშუალობა და ცოცხალი საუბარი. ლამაზი ქალები და მოხდენილი ვაჟები ამშვენებდნენ იქაურობას (თბილისს, ამ მხრივ, მარტოოდენ პეტერბურგი და მოსკოვი თუ გაეჯიბრებიანო). მშვენიერი ორკესტრი, გულუხვად გაწყობილი ბუფეტი და მერე — საუცხოო ვახშამი, ცალ-ცალკე მაგიდებითა და ჩინებული ღვინით. დასასრულ, ჩაღდებოდა მაზურკა (ვორონცოვის მეუღლე წარმოშობით პოლონელი იყო და ყველაზე მეტად სწორედ ეს ცეკვა ეამებოდა).

ამ მეჯლისებზე ბრწყინავდა მანანა ერისთავი-ორბელიანისა (ლადო ასათიანი: „შენ, შაოსანო, შავთვალავ, შავ სამარეში გძინავს, ჯერ კარგად არც კი გამთბარა ჩემი პატარა ცირა, შენი სახელი დავარქვი, მინდა შენ გგავდეს მარტო, ერისთვის ქალო, ფიქალო, მკერდბუმბერაზო ვარდო!“).

არნოლდ ზისერმანი თავის წიგნში „ოცდახუთი წელიწადი კავკასიაში“ ასე ახასიათებს მანანა ორბელიანს: ახალგაზრდა აღარ ეთქმოდა, თითქმის ორმოცდახუთი წლისა იქნებოდა. ოხუნჯები ამუნათებდნენ, შენი ბრალია, ასული გაუთხოვარი რომ გრჩებაო. ყველგან შენ დაგყვება და ზედაც არავინ უყურებსო.

ზისერმანი მოკრძალებით შენიშნავს, ყველა მსგავსი წვრილმანები მკითხველს, ალბათ, არც დააინტერესებს და ვინც კავკასიაში ყოფილა, იმას ზედმეტად მოეჩვენებაო, მაგრამ ამ წვრილმანებს ჩემს მეხსიერებაში რომ აღვადგენ, ძველი ამბები უფრო მკაფიოდ მაგონდება და ვინ იცის, ეგებ მკითხველიც დაინტერესდესო.

დაინტერესება რა სათქმელია, ერთი ყველაზე გამოჩენილი მკითხველი იმდენად გაიტაცა ზისერმანის ნაშრომში მოყვანილმა მასალამ, რომ რამდენიმე ცნობა თითქმის უცვლელი სახით გადაიტანა თავის უბადლო მოთხრობაში, „ჰაჯი-მურატი“ რომ ჰქვია. და იქაც აელვარდა მანანა ორბელიანის სილუეტი: „ორმოცდახუთი წლისა, აღმოსავლური იერის, ხორცსავსე და ტანმაღალი მზეთუნახავი“. ლევ ტოლსტოი რამდენიმე სტრიქონს ქვემოთ იმეორებს — მზეთუნახავიო.

არნოლდ ზისერმანი გახლავთ ის უნიკალური პიროვნება, რომელსაც ვორონცოვის ჟამს საქართველოში გამწესებულმა რუსებმა „ზისერმანიძე“ შეარქვეს, ვინაიდან რუსხელმწიფის ჩინოვნიკმა, სისხლით და რჯულით გერმანელმა, ისე კარგად შეისწავლა ქართული და ისე გაითქვიფა ქართველებში, ისიც ქართველი ეგონათ ხოლმე.

ამდენად, მტრულ გამოხდომად არ უნდა აღვიქვათ ის გარემოება, რომ „ზისერმანიძე“ თავის ჩანაწერებში ერთგულად მიჰყვება მისთვის უცნობი დავით გურამიშვილის მცნებას (ავს თუ ავი არ ვუწოდეო...).

აგერ მოგვითხრობს, რომ მიხეილ ჩოლოყაშვილთან სტუმრად მოსულა მისი მეგობარი — თავადი ოთარი. მასპინძელი იფიცავს მამის კუბოსა და შვილის ბედნიერებას, ყველაფერს დავთმობ, ყველაფერს გავწირავ, ოღონდ კი შენ გაგახაროო. მისი წასვლიდან ერთი საათი რომ გაივლის, ახლა თავადი დავითი ესტუმრება თუშ-ფშავ-ხევსურთა ოლქის გამგებელს (ზისერმანის უშუალო უფროსს). მასპინძელი, ალბათ, სტუმრის საამებლად, იწყებს ზემოხსენებული ოთარის ლანძღვას: „გამიხმეს მარჯვენა და შვილები დამეღუპოს, თუკი არ ვაიძულე, ჩემს ფერხთით იფოფხოს და ჩექმები ამილოკოს“.

ახლა ავს მოვეშვათ და კარგს მივხედოთ.

ზისერმანი დაწვრილებით აღწერს რთველსა და ყურძნის დაწურვას, კახეთში რომ უნახავს. ახასიათებს ქართულ ღვინოებს, წითელსა და თეთრს (წითელი, თითქმის შავი რომ ეთქმის, სქელია და მაგარიო; თეთრი, თითქმის ნარინჯისფერი, უფრო სუსტია, მაგრამ ისიც ძალზე გემრიელი არისო).

ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ქართულ ღვინოთა უპირველესი ღირსება — მათი სრული უვნებლობაა. რამდენიც გინდა დალიო, მეორე დილით თავის ტკივილი ერთი ბეწოზეც არ შეგაწუხებს და ქართველებს, რომლებიც წარმოუდგენელი ოდენობით სვამენ, არც კი სმენიათ ის სნეულება, პოდაგრას რომ ვეძახითო.

ზისერმანის სიტყვით, რთველი მთავრდება და კახეთში ყველაზე მხიარული დრო დგება. თავად-აზნაურები ერთმანეთს სტუმრობენ ჯგუფ-ჯგუფად. რამდენიმე დღით რჩებიან თავიანთ ნაცნობ-მეგობრებთან. ქორწილებიც, მეტწილად, შემოდგომაზე იმართება.

ზისერმანი სტუმრად ყოფილა ჭავჭავაძეებთან. ლხინი ათი დღე გაგრძელებულა! და ამას ვერ გაიგებს ის, ვისაც თავისი თვალით არ უნახავსო. საჭმელი, სასმელი, სიმღერა — ყოველივე ეს „ილიადას“ მოგაგონებდათო.

განსაკუთრებით საგულისხმოა ქართული სუფრის აღწერილობა, თავისი საპატიო ადგილი რომ უპოვია ზისერმანის ცხრაასგვერდიან წიგნში.

ზემოხსენებულ მიხეილ ჩოლოყაშვილთან გამართულ ლხინს გადმოგვცემს:

აირჩიეს ტოლუმბაში და ყველა ულოცავდა. იწყებოდა სადღეგრძელოები, ერთიმეორის მიყოლებით — შეუწყვეტლივ. ადღეგრძელებდნენ სუფრის ყველა წევრს ოჯახებიანად და იმათაც, ვინც არ ესწრებოდა ლხინს. ხელიდან ხელში გადადიოდა ჭიქები, ჯამები, ყანწები ანდა რამდენიმე ჭიქა ერთ თეფშზე. ერთმანეთს ეხვეოდნენ, კოცნიდნენ, ყვიროდნენ: ალავერდი და პასუხად ისმოდა: იახშიოლ. როცა შეზარხოშდებოდნენ, ლხინით და სიყვარულით აღტკინებულნი ძირს მოისროდნენ ჭიქებს და თეფშებს. ჩაღდებოდა ცეკვა და სიმღერა — მომხიბლავი, შეუდარებელი.

ლხინი შუაღამემდე გრძელდებოდა. სტუმრებს რამდენიმე რიგად მოასვენებდნენ ვეებერთელა ტახტზე და ატყდებოდა გოლიათური ხვრინვა. ზისერმანი დასძენს: მაგრამ მთვრალები, ფეხზე რომ ვეღარ დგანან ანდა საჩხუბრად მიიწევენ ერთიმეორეზე, არასოდეს თვალით არ მინახავსო.

და კიდევ ერთი ციტატა ზისერმანის წიგნიდან:

„მშვენიერ მზიან დღეს, როდესაც გაზაფხული გულში იხუტებს თავის საყვარელ საქართველოს, როდესაც იქაური ბუნებაც და ადამიანებიც გულკეთილი მხიარულებისა თუ უზრუნველობის სამოსელით გვევლინებიან, ჰაერში თითქოსდა ტრიალებს მოწოდება: „კაი ერთი, ძმებო, ჭირსაც წაუღია ყველა სატკივარი და საზრუნავი. მოდი, ვსვათ და ვიმხიარულოთ!“

ამ ტექსტს რომ წაიკითხავთ, ალბათ, მოგაგონდებათ სიტყვები ეკლესიასტესი: „და შევაქე მე მხიარულება, რადგან არ ყოფილა სხვა სიკეთე ადამიანისთვის მზისქვეშეთში, გარდა იმისა, რომ სვას, ჭამოს და იმხიარულოს“.

ეს არასოდეს ავიწყდებოდათ საქართველოში...

ომი არ გაჩაღდებოდაო

ეს ამბავი მოხდა პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე.

ავსტრიის ერცჰერცოგი ფრანც-ფერდინანდი, მემკვიდრე ჰაბსბურგთა ტახტისა, ისე გულითადად მიიღეს პეტერბურგში რუსეთის სამეფო კარზე, რომ გამომგზავრებისას ავსტრია-უნგრეთის სამხედრო ატაშეს უბრძანა, შპიონაჟი რუსეთში, რაც შეიძლება, შეკვეცე, რათა რუსები არ შევაწუხოთო. სამხედრო ატაშემ ტახტის მემკვიდრე გააცილა ვარშავამდე, სადაც ორი დღით დაყოვნდა. მეორე დღესვე მას სასტუმროში ეწვია ერთი რუსი პოლკოვნიკი, რომელმაც შესთავაზა მიეყიდა კომპლექსური გეგმა რუსთა შეტევისა გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის წინააღმდეგ, თუკი ომი გაჩაღდებოდა. სამხედრო ატაშემ, მიუხედავად ერცჰერცოგის მითითებისა, გარიგება ძალზე მაცდუნებლად ჩათვალა და დათანხმდა.

ავსტრია-უნგრეთის სამხედრო დაზვერვისა და კონტრდაზვერვის უფროსმა, პოლკოვნიკმა ალფრედ რედლმა, რომელიც გარკვეული ანაზღაურების ფასად ემსახურებოდა რუსეთის დაზვერვას, შეიტყო ჩატარებული გარიგების ამბავი და მაშინვე ამოქმედდა. მან, თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის წყალობით, პირველმა იგდო ხელთ რუსი პოლკოვნიკის ძღვენი. მერე დაამზადა ფიქტიური გეგმები და ნამდვილი შეცვალა ნაყალბევით. ამით მას სურდა ეჩვენებინა უფროსობისათვის, რომ სამხედრო ატაშემ არა მარტო დაარღვია ერცჰერცოგის მითითება, არამედ თავიც გაისულელა მისტიფიკაციაზე წამოგებით. ატაშე გამოიწვიეს პეტერბურგიდან და „მგლის ბილეთით“ სამსახურიდან დაითხოვეს. ამის შემდეგ რედლმა ნამდვილი გეგმები დაუბრუნა პატრონს. ამასთანავე, რუსეთის საიდუმლო სამსახურს მიაწოდა ინფორმაცია იმ პოლკოვნიკის შესახებ, რომელმაც მიჰყიდა გენშტაბის გეგმები ავსტრია-უნგრეთის სამხედრო ატაშეს.

რუსმა პოლკოვნიკმა თავი მოიკლა. რედლმა კი თავის დღიურში ჩაწერა, რომ ამ ოპერაციამ მას მოუტანა 100 ათასი კრონა (იმხანად ეს იყო ეკვივალენტი 20 ათასი მაშინდელი დოლარისა, ათჯერ მაინც რომ აღემატებოდა დღევანდელს).

ამგვარად, პოლკოვნიკმა რედლმა კიდევ ერთხელ გაყიდა რუსულ ფულზე სინდისი, ნამუსი, ოფიცრის ღირსება, წინაპართა საფლავები და მომავალ თაობათა ბედნიერება. და, რაც მთავარია, მან გაყიდა თავისი სამშობლო!

რედლის გამოისობით, გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის გენერალური შტაბებისათვის გაურკვეველი რჩებოდა, რა ოდენობის კორპუსები იყო ჩამოყალიბებული და ყალიბდებოდა რუსეთში.

როგორც ზოგიერთი ისტორიკოსი ამტკიცებს, პოლკოვნიკ რედლის ამ აქციამ საგრძნობი წვლილი შეიტანა სამი იმპერიის (გერმანია, ავსტრია-უნგრეთი, რუსეთი) შემდგომი ნგრევის საქმეში.

გრაფი ალბერტ აპონიი (უნგრეთის რელიგიისა და განათლების მინისტრი პირველი მსოფლიო ომის წლებში) წერს: „თუკი ჩვენ გვეცოდინებოდა, რომ რუსეთს ჯარის ასეთი ოდენობა მოეპოვებოდა, მაშინ ავსტრია-უნგრეთისა და გერმანიის გენერალური შტაბებისათვის ნათელი გახდებოდა უდიდესი რისკი მასთან ომში ჩაბმისა და ჩვენ მოვახერხებდით დაგვეყოლიებინა ჩვენი „სახელმწიფოს მამები“, არ დაეწყოთ ომი 1914 წელს. მაშინ აღარ იქნებოდა არც ეს აბსურდული საომარი ფსიქოზი, რომელმაც საბოლოო ჯამში ჩვენვე მოგვიტანა განადგურება... ოჰ, ეს წყეული რედლი! მან გასცა აბსოლუტურად ყველა ავსტრიელი მსტოვარი, რუსეთში რომ იმყოფებოდა, გადასცა მოწინააღმდეგეს ჩვენი საიდუმლოებანი და წინ აღუდგა იმას, რომ მათგან მიგვეღო საჭირო ინფორმაცია“.

მაშასადამე, რედლი რომ არ გაჩენილიყო ამქვეყნად, პირველი მსოფლიო ომი არ გაჩაღდებოდა? მოდი და ამის შემდეგ დაიკნინე პიროვნების როლი ისტორიაში.

როგორც მოგეხსენებათ, ცხონებული „პერესტროიკის“ ტრუბადურთა ფეხდაფეხ ჩვენი ადგილობრივი მასშტაბის ჩიტუნიებიც აჭიკჭიკდნენ, ომი საჭადრაკო პარტია ხომ არ არის, რომ მისი მოგება ერთ კაცს დავაბრალოთო (მეორე მსოფლიო ომს გულისხმობდნენ), მაგრამ აგერ ცხონებული უნგრელი (ე.ი. ევროპელი!!!) პოლიტიკოსი გვარწმუნებს, პოლკოვნიკი რედლი რომ არაო... და ა.შ.

---

21 იანვარს შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა უმასპინძლა ინსტიტუტის ყოფილ მეცნიერ-თანამშრომელს **მაკო ჯანჯიბუხაშვილს**, რომელმაც წიგნად გამოსცა ამავე გარემოში დაცული სადისერტაციო ნაშრომი — **„მითის პოეტური ტრანსფორმაცია გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებაში“.** საკონფერენციო დარბაზი სავსე იყო ხალხით, რომელთა შორის მრავლად შეინიშნებოდა ახალგაზრდობა. როგორც ჩანს, გრიგოლ რობაქიძის შემოქმედება ჯერ კიდევ აღელვებს ახალ თაობას, რაც განსაკუთრებით სასიხარულოა.

სხდომას უძღვებოდა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი **მაია ჯალიაშვილი.** მან მოკლედ გააცნო დამსწრე საზოგადოებას წიგნის ავტორის ბიოგრაფია, მისი სამეცნიერო თუ პუბლიცისტური ნაშრომები, ისაუბრა ახალგამოცემული წიგნის ღირსებებზე და აღნიშნა, რომ გრიგოლ რობაქიძის მკვლევარებმა უთუოდ უნდა გაითვალისწინონ ამ ნაშრომში გამოთქმული მოსაზრებანი, რაც მათ გაუდვილებთ კვლევას.

შემდეგ სიტყვა გადასცეს ღვაწლმოსილ მეცნიერს **რევაზ სირაძეს,** რომელმაც გაიხსენა მაკო ჯანჯიბუხაშვილის პირველი გამოჩენა ფილოლოგიურ „ასპარეზზე“. ეს იყო ჯერ კიდევ უნივერსიტეტის მისაღებ გამოცდებზე – წერითი ნაშრომი და ზეპირი გამოცდა. როგორც მან აღნიშნა, გამოცდებზე გამოჩნდა აბიტურიენტის დიდი ერუდიცია, წერის ნიჭი და არაორდინარული აზროვნება, რამაც აღაფრთოვანა მიმღები კომისია.

ნონა კუპრეიშვილმა ვრცლად ისაუბრა როგორც წიგნის ღირსებებზე, ისე – გრიგოლ რობაქიძის ფენომენზე. აღნიშნა, რომ მაკო ჯანჯიბუხაშვილმა ერთ-ერთმა პირველმა გამოიკვლია გრიგოლ რობაქიძის შემოქმედების მითო-პოეტური ასპექტები და ამგვარი სიღრმისეული კვლევა საჭირო იყო ასეთი რთული მწერლის უკეთ გასაგებად. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წიგნი დიდი ხნის წინ უნდა გამოსულიყო, მაგრამ „ამ ნაშრომმა აჩვენა, რომ ნამდვილი მეცნიერული კვლევა არასოდეს კარგავს თავის ჭეშმარიტ ფასეულობას, ამიტომ მისი გამოცემა მისასალმებელია დღესაც. ხოლო მაკო ჯანჯიბუხაშვილისგან ველოდებით ახალს და უფრო დიდ წიგნებს”.

მკვლევარი **მაკა სახურია** მიესალმა ნაშრომის წიგნად გამოსვლას და წარმატებები უსურვა ავტორს.

შემდეგ სიტყვა ითხოვა ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორმა, სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ბიოეთიკის კათედრის გამგე **ბელა მამულაშვილმა,** მან აღნიშნა: საზოგადოების მხრიდან გრიგოლ რობაქიძის შემოქმედების გაგებას კიდევ ბევრი დრო დასჭირდება, რადგან იგი უაღრესად ღრმაა თავისი ფილოსოფიური თუ მხატვრული სიღრმეებით. ხოლო მაკო ჯანჯიბუხაშვილმა, რომლის აზროვნებაც გამოირჩევა ერთგვარი ინტუიტურობით, შესძლო ღრმად ჩაწვდომოდა ამ რთული მწერლის მხატვრულ სამყაროს და შექმნა საინტერესო სამეცნიერო ნაშრომი.

მაკო ჯანჯიბუხაშვილმა ისაუბრა გრიგოლ რობაქიძის, როგორც მწერლისა და საზოგადო მოღვაწის შესახებ. ყურადღება დაუთმო იმ უდიდეს ღვაწლს, რაც მწერალმა დასდო ქართულ კულტურას ზოგადად, ქართული მითოსური და ფოლკლორული აზროვნების თავისებურებების წარმოჩენას, ვაჟა-ფშაველას პოპულარიზაციას. ისაუბრა გრიგოლ რობაქიძისთვის საბედისწერო, ჰიტლერსა და მუსოლინიზე დანერილი ესეების შესახებაც, თუ როგორ შეიცვალა ევროპული საზოგადოების დამოკიდებულება მანამდე დიდ მოაზროვნედ აღიარებული ქართველი მწერლისადმი. ისაუბრა აგრეთვე ღრმად მოხუცი მწერლის უკანასკნელ სიყვარულზე, რითაც რობაქიძე თითქოს მიემსგავსა თავის სათაყვანებელ გოეთეს.